

ჯუჩხა ნაღიჩაძე

---

საირხე  
საქართველოს  
უკველესი ქალაქი

ღლებთის აღმოსავლეთ კროვინციების ისტორიისათვის  
(მ. წ. I ათასწლეულში)

ფიგნი

I

ნაშრომში განხილულია საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის უნიკალურ არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაზე, მის კულტურაზე. მოკვლეული მასალები სრულიად ახალ გეერდს შლის საქართველოს უძველესი ხანის ისტორიაში.

ნაშრომი განუთვნილია ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი პ რ ო ფ. ო. ჯაფარიძე

0504000000—014

H ————— 115—90  
M (601) 08—90

ISBN 5—529—00494—6

© გამომცემლობა „საქართველო“, 1990

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველი ხალხისა და მისი უძველესი წარსულის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ცნობაა შემონახული, როგორც ძველ აღმოსავლურ წყაროებში, ასევე ბერძენ ავტორთა თხზულებებში. განსაკუთრებით ვრცელსა და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართული საისტორიო მწერლობა და მიუხედავად ამისა ეს წყაროები მაინც არ იძლევიან საშუალებას წინაფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მთლიანი, თუნდაც ბუნდოვანი სურათის წარმოსადგენად. აგრე უკვე ას წელზე მეტია, რაც ამ სურათს ფოკუსში აქცევს, ასწორებს და თანდათან ანათებს არქეოლოგიური მეცნიერება, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებებს უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე მიაღწია და საქართველოს უძველეს ისტორიას უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომა მიუძღვნა. ამ შრომის ერთ-ერთ მთავარ და ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ქართველი ხალხის განსახლების, მისი ფორმირების, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოების წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესები.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, რომელიც დასავლეთ საქართველოს კულტურის ბაზაზე წარმოიქმნა ძვ. წ. VI საუკუნეში, იყო კოლხეთის სახელმწიფო. მის შესახებ არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ძველ თხზულებებში, მაგრამ არც თუ ისე შორეულ წარსულში ამ ცნობის ლეგენდარულობაში უფრო არ ეპარებოდათ ეჭვი, ვიდრე მათ ფაქტობრივ სისწორეში. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი ძეგლის გამოჩენილება-შესწავლამ დაადასტურა ამ ცნობების რეალობა და ლეგენდა სინამდვილედ აქცია. საქართველოში, კერძოდ კი, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. VI საუკუნიდან კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, სახელმწიფოს წარმოქმნისა და ამ სახელმწიფოს მაღალი კულტურის დამადასტურებელ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს ვანის ნაქალაქარი წარმოადგენს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კულტურის დონის თვალსაზრისით სადღეისოდ ვანს მხარი მხოლოდ საირხემ გაუსწორა და სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა შორის, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა კულტურის კერამ და მისმა კულტურულ-ეკონომიკურმა ცენტრმა. აქ მოპოვებული მრავალფეროვანი და მდიდრული მასალა მომავალში დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო კოლხეთის სამეფოს,

არამედ შედარებით ვციან წარმოქმნილი მეორე ქართული სახელმწიფოს, იბერიის ისტორიის შესწავლასაც. ქართლის საზღვარზე მდგარი ამ უძველესი ნაქალაქარის მონაპოვარში წყლის ზედაპირზე არეკლილი სილუეტებით გამოირჩევა არა მარტო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურის ერთობა და განმასხვავებელი ნიშნები, არამედ იმ პოლიტიკური ძვრების შედეგად მომხდარი ურთიერთობანიც. რომელიც საქართველოს პირველი გამაერთიანებლის, მეფე ფარნავაზის მოღვაწეობას უკავშირდება დასავლეთ საქართველოში და კერძოდ კი მის აღმოსავლეთ პროვინციებში<sup>1</sup>.

სამოციან წლებში, სამი სეზონის მანძილზე იმუშავა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. თოთხმეტი წლის შემდეგ, 1982 წელს ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, საირხის ნაქალაქარის შესწავლა გაგრძელდა და სულ რვა მოკლევადიანი არქეოლოგიური სეზონის მანძილზე საირხეში მოპოვებული იქნა მაღალგანვითარებული ცივილიზაციის ამსახველი მატერიალური და მხატვრული კულტურის ძეგლები: უძველესი ხუროთმოძღვრების, ლითონის საწარმოო ნაშთების, ქვის, მინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ნაწარმის გვერდით, განსაკუთრებული ბრწყინვალეობით არის წარმოდგენილი ნატიფად ნახელავი ოქროს ნივთები, რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებს და ამრავალფეროვნებს წინაქრისტიანული ხანის ქართულ ოქრომჭედლობას. ქვემოთ შევეცდებით სხვადასხვა ხასიათის ძეგლებიდან მომდინარე, ამ მასალების შესწავლის საფუძველზე წარმოვადგინოთ საირხის ნაქალაქარის ქრონოლოგია და განვსაზღვროთ მისი ადგილი და როლი ანტიკურ-ელინისტური ხანის საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

საირხე ზემოიმერეთში მდებარეობს, ქალაქ საჩხერის სამხრეთით, სამ კილომეტრზე, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე. ფერდობზე შეფენილ სოფელს თავს დაჰყურებს დიდი კავკასიონის სამხრეთით განშტოებული რაქაიმერეთის ქედი და ამ ქედის უკანასკნელ კიბზე აღმართული ციხე „მოღინახე“, რომელსაც არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, იმთავითვე საფორტიფიკაციო ნაგებობის ფუნქცია ჰქონდა და გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ანტიკურ-ელინისტური ხანის საირხის ნაქალაქარის ისტორიაში.

საირხის ნაქალაქარის მიცვლევა-შესწავლას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი თითქმის მთლიანად უკავშირდება ზემოიმერეთში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მოღვაწეობას, რომელსაც წინ უძღოდა მუზეუმის თანამშრომლის ნ. ლამბაშიძის და ჩემს მიერ ჩატარებული წინასწარი დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები.

1950 წელს საირხეში, ადგილ ლომინაურში, ისტორიის მასწავლებელმა გ. გელბახიანმა კირქვისაგან გამოკვეთილი, საკმაოდ სტილიზებული ლომის თავი იპოვნა, რომელიც სიძველით დაინტერესებულ ექიმ შ. შარვაძეს აჩვენა. შარვაძემ იგი იმ ხანად ზემოიმერეთში მომუშავე აკადემიკოს ბორის

კუფტინს გადასცა. ახლა ისიც არ არის გარკვეული, იხახულა თუ არა ზ. კუფტინმა მხატვრული კულტურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის აღმოჩენის ადგილი. ერთი წლის შემდეგ, 1953 წელს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და ქანდაკების ამბავი კარგა ხანს აღარავის გახსენებია?

1957 წელს საჩხერის რაიონში დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ნ. ლამბაშიძე. მან სოფელ საირხეში, ამ სოფლის მკვიდრის რომანოზ ნადირაძის ეზოში შემთხვევით მიაკვლია წინაფეოდალური ხანის სატაძრო ნაგებობის ფრაგმენტებს. როგორც შემდეგში გაირკვა, რ. ნადირაძეს ისინი ხენის ღროს ეპოვნა ლომინაურში, იმ ადგილზე, სადაც შემდეგ მასწავლებელმა ლომის თავის ქანდაკება აღმოაჩინა. ლომინაურში ნ. ლამბაშიძემ გათხრები აწარმოვა, მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ არავითარი დოკუმენტაცია არ დაუტოვებია და სწორედ ამის გამო ჩვენ ხელმეორედ გავწმინდეთ მის მიერ კონსერვირებული ძეგლი. იქ მოპოვებული ნივთების მიხედვით, აგრეთვე ლამბაშიძესთან მომუშავე მუშების გამოკითხვის შედეგად, დავადგინეთ კირქვისაგან გამოკვეთილი საკულტო ნივთების აღმოჩენის ადგილი. მოვახდინეთ იქ არსებული ნაგებობების ნაშთების ფიქსირება და დამატებით მოვიპოვეთ კირქვისაგან გამოკვეთილი ფალიური საგნები, ცხოველის ქანდაკების და კაპიტელის ფრაგმენტები. ადგილობრივი და ბერძნული კერამიკის ნიმუშები.

1967 წელს საირხის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ექსპედიციამ ანგარიში წარუდგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას<sup>3</sup>. ამ დროისათვის საირხეში უკვე მიკვლეული იყო ანტიკურ-ელინისტური ხანის ვრცელი დასახლება, რომელიც ადგილ ლომინაურის დასავლეთით მდებარეობს ერთი კილომეტრის დაცილებით<sup>4</sup>. ჯერ კიდევ 1961 წ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა დაძვავალა დაზვერვითი ხასიათის გათხრები მეწარმოებინა საირხეში. მეცნიერი დაინტერესდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალებით და მისი თაოსნობით 1966 წელს შეიქმნა ხელოვნების მუზეუმის საჩხერის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელობა მე დამევალა და რომელიც თუ წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებსაც ჩავთვლით, აგრე უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია იკვლევს ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ ძეგლებს. ექსპედიციამ 1966—68 წლებში, სამი სეზონის განმავლობაში, საირხეში ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე გათხარა ძვ. წ. 1 ათასწლეულის ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა ელინისტური, ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთებს, ხოლო სახოველაში — ლითონის საწარმოო უბანი, სადაც სამი სათავსოსაგან შედგენილი ნაგებობების ნაშთების ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული ფერადი ლითონის წარმოებებთან დაკავშირებული საგნები<sup>5</sup>.

საირხეში გაითხარა აგრეთვე ელინისტური ხანის სამაროვანი. სხვადასხვა ეპოქის ამ მეტად მნიშვნელოვანი მასალების შესწავლის საფუძველზე იმთავითვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ძვ. წ. VI—I საუკუნეებში საირხე წარმოადგენდა ზემოძირეთის პოლიტიკურ, სამეურნეო და რელიგიურ ცენტრს. მაშინ საირხე, რომლის არქაული სახელი საირხედ იკითხება, სოფლის ეკლესიის კედელში ჩატანებულ გვიან-ფეოდალური ხანის ერთი საფლავის ქვაზე, ბერძენი ავტორის კლავდიოს პტოლემეიოსის „გეოგრაფიაში“ დასახელებულ კოლხეთის ქალაქ სარეკეს გაუვიგევთ. ამ ვარაუდის დაბეჯითებით მტკიცება ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ 1982—86 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები დანამდვილებით ადასტურებს, რომ იგი ძველი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ანტიკურ-ელინისტურ ხანაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 60-იან წლებში მხოლოდ სამი სეზონის მანძილზე ვსწავლობდით ნაქალაქარის ძეგლებს. 1968 წელს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო საირხეში გათხრები შეწყდა.

1981 წელს ქალაქ საჩხერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დაიწყო ბამბის ჭაფსართავი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკისათვის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის დროს სოფ. საირხის ტერიტორიაზე ნაწილობრივ დააზიანეს მიწისქვეშა არქეოლოგიური ძეგლები. არსებული კანონის საფუძველზე შეჩერებული იქნა სამუშაოები. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გამოყო ძეგლის შესასწავლი თანხა და 1982 წელს, ზაფხულში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა გათხრები სოფ. საირხეში. 1982—86 წლებში საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ მუზეუმის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები.

ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე. ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ გათხრების მსვლელობის აღწერასა და მოპოვებული ძეგლების განხილვაზე, აღვნიშნავთ, რომ სოფ. საირხის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მთავარი სასოფლო გზის მარჯვენა მხარეს, სოფ. ქორეთსა და კალვათას შორის გაშლილ ზეგანზე აღმართულია 15 გორა (იხ. ტაბ. XI). ყველა მათგანი, როგორც ეს დაზვერვითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, წარსულში წარმოადგენდა გორა-ნამოსახლარებს. ამას ადასტურებს ბორცვების ჩამოქცეულ ფერდობებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილი კულტურული ფენები, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ანტიკურ-ელინისტური ხანის სამეთუნო ნაწარმის ნაშთები.

ძლიერი და ინტენსიური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო სადღესოდ არც ერთი სამოსახლო გორის ზედაპირი აღარ შეიცავს კულტურულ ფენებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ვეშაბიძისა და საბადურის სამოსახლო ბორცვები, სადაც ჯერ კიდევ 60-იან წლებში ფიქსირებული იყო კულტურული შრეები, რომლებიც ძვ. წ. 1 ათასწლეულის სამი ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთებით ხასიათდება. გათხრების შედეგად მოპოვებული

მასალებით, ლეგენდა-გადმოცემებით სპილენძის ქვაბებისა და ოქროს ნივთების პოვნის შესახებ<sup>7</sup> იმთავითვე ყურადღებას იქცევდა საბადურის გორა. ამიტომაც 1982 წ. სეზონში ძირითადი სადაზვერვო სამუშაოები ამ ბორცვის მიდამოებში მიმდინარეობდა. შემთხვევით ნაპოვნმა და ანაკრეფმა მასალებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა იყო სავარაუდო. ნაშრომში ძირითადად ამ უბანზე აღმოჩენილი ძეგლებია განხილული.

## ნამოსახლარი და ლითონის საწარმოო უბნები

გორის დასავლეთ ფერდობზე, (ტაბ. X.III<sub>1</sub>) გათხრების შემდეგ დადგინდა, რომ ფერდობის ზედაპირი ძვ. წ. 1 ათასწლეულის მეორე ნახევარში, იმ დროს როდესაც აქ მდიდრულ აკლამებსა და საკულტო მოედნებს მართავდნენ, ვეუულად აღმართული კლდის ძირში, დღევანდელი გორის ზედაპირიდან დაახლოებით 10 მ დაბლა მდებარეობდა. საუკუნეების მანძილზე ეს ადგილი იფარებოდა ზემოდან ჩამოცვენილი ქვა-ლორღით, რამაც ხელი შეუწყო საკულტო ხასიათის ძეგლებისა და ნეკროპოლის კონსერვაციას. იგი 7—8 მ სისქის მიწის ფენით დაიფარა და ამ შემთხვევის წყალობით ძეგლმა ჩვენამდე ხელუხლებლად მოაღწია. როგორც ჩანს მოგვიანებით მოხდა წარმოქმნილი ფერდობის უდოდესი მასივის ერთბაშად მოწყვეტა. ასეთმა უეცარმა გეომორფოლოგიურმა ცვლილებებმა კულტურული ფენების დარღვევა გამოიწვია. ამის გამო ძეგლების სტრატეგრაფია ძნელი დასადგენია. მიუხედავად ამისა ცალკეულ მონაკვეთებზე ხერხდება სხვადასხვა ხანის ფენების გამოიჭენა და მათში მოპოვებული მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე ნაქალაქარის ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება.

ამჟამად საშუალება არა მაქვს დაწვრილებით აღწერო ცალკეულ უბნებზე სტრატეგრაფიულ ჰრილში მოცემული ფენების განლაგება, იგი აქ სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ მრავალი წლის მუშაობის შედეგად საბადურის დასავლეთ ფერდზე სტრატეგეციკრებულია სამი კულტურული ფენა: პირველი — წინარეანტიკური; მეორე — ადრეანტიკური და მესამე — ელინისტური (ტაბ. X.III<sub>2</sub>).

ქვედა, პირველი ფენა, რომელიც გეომორფოლოგიური ცვლილებებისა და ფერდობის დახრილობის გამო სხვადასხვა სიღრმეზეა, ზოგჯერ გამოიჩენილი არ არის მეორე ფენისაგან. მხოლოდ რამდენიმე ადგილზეა იგი ლინზების სახით ჩართული სტერილურ შრეებში. ასეთი ლინზების სისქე, რომლებიც ცალკეული ნაგებობის ხანძრის შედეგად ჩანს წარმოქმნილი, 20—30 სმ არ აღემატება. უმეტეს შემთხვევაში პირველი ფენა უშუალოდ ებმის მეორეს და ხასიათდება ქვის ცალბირ კედლებზე დაფუძნებული ნაგებობის ნაშთებით, ბათქაშის გროვით, ნაცრისა და ნახშირის სქელი შრეებით, რომლებიც უხვად შეიცავს თუნის ნაწარმს, ხელსაფქვავის ქვებს, ოსტეოლოგიურ მასალას და ლითონის ნივთებს. B<sub>4</sub> კვ. ნიშნულის ხაზიდან 2,5 მ სიღრმეზე, მცირე სათავსოს იატაკზე, ეკრამიკასთან ერთად დაფიქსირდა ბრინჯაოს კოლხური ცული და ბრინჯაოს წრიული ფირფიტა. პირველი ფენის ლეგა და შავი ფერის სამეთუნო ნაწარმისათვის უმთავრესად დამახასიათებელია გეომეტრიული ორნამენტი და, რაც უთავარი, ჰურჭლის ყურები შემკულია ზომორფული სახეებით. ასეთი ყუ-



რები დიდი რაოდენობითაა დადასტურებული კოლხური ცულის შემცველ ფენაში, საშუალო და მცირე ზომის ქურქლებზე (ტაბ. XIV).

უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე ზემომიერეთის ტერიტორიაზე საკმაოდ გავრავლდა და ვაფართოვდა ზოომორფული კერამიკის შემცველი არქეოლოგიური ძეგლების რიცხვი და გეოგრაფია. მესამე ფენის ანალოგიურ კერამიკას დიდი რაოდენობით შეიცავს გორაძირის სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა თარიღსაც მკვლევარები ძირითადად ძვ. წ. VIII—VI სს. განსაზღვრავენ<sup>9</sup>. თოდაძის ციხის სამხრეთ ფერდობზე, დაზვერვითი სამუშაოების შედეგად, ჩვენ მიერ წინარეანტიკური ხანის ფენაში მრავლადაა მოპოვებული ზოომორფულუურიანი კერამიკის ნაშთები<sup>10</sup>. „მოდინახის“ ნამოსახლარის მეორე ფენაში ფიქსირებული შედარებით არქაული ფორმის ზოომორფულუურიანი კერამიკის ქრონოლოგიური ჩარჩოები, იქ მოპოვებული ბრინჯაოს ნივთების მეშვეობით ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით განესაზღვრეთ<sup>10</sup>. ამ სახის კერამიკას შეიცავს საირხის მოსაზღვრე, უდერძისა და ჭიჭინაძეების გორის ნამოსახლარების ანაკრფე მასალები. სოფ. ბეინევეში პროფ. ბ. კუფტინმა, ჯერ კიდევ 1936 წ. დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვნა ქოთნის ყური წაკვეტილი რქის მსგავსი შეერილებით, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის ნაწარმად მიიჩნია<sup>11</sup>. მსგავსი მასალები დამახასიათებელია ითხვისის არქეოლოგიური ძეგლის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარი ფენებისათვის<sup>12</sup>. ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შედარებით კარგადაა შესწავლილი და სტრატოგრაფიული წინსოფლის ციხის და ჯიეთის ნაქალაქარის ფენები. ორივე ძეგლზე გამოიყოფა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული შუა (ძეორე) ფენა, რომელიც ხასიათდება საირხის მესამე ფენის ანალოგიური ზოომორფული კერამიკით<sup>13</sup>. ასეთი ხასიათის ძეგლებს განეკუთვნება ნავარძეთის ბორცვი და სერვის ციხე, სადაც ჩვენს მიერ დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ფიქსირებულია ზოომორფული კერამიკის შემცველი ნამოსახლარი ფენები<sup>14</sup>. აუარებელი პარალელური მასალის მოტანა შეიძლება კოლხეთის დაბლობის იმ ნამოსახლარებიდან, რომლებიც შეიცავს საირხის ანალოგიურ ზოომორფულ კერამიკას და რომლებიც პროფ. თ. მიქელაძის პერიოდიზაციის მიხედვით, ძველი კოლხური პერიოდის მეორე ეტაპს განეკუთვნება<sup>15</sup>.

საირხის გარშემო ორმოცი კილომეტრის რადიუსით განლაგებული ათეულობით ნამოსახლარი მიუთითებს, რომ ეს რეგიონი საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ) ამ ძეგლების შემდგომ პერიოდიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის სამეფოს შემქმნელი ტომების განსახლების ქრონოლოგიისათვის რიონ-ყვირილის აუზში. საბადურის ბორცვის პირველი, ქვედა ფენა არ შეიცავს ამ კულტურისათვის დამახასიათებელ არქაულ ელემენტებს. არქაულობა არც ლითონის ნაწარმში შელავნდება, რაზეც გარკვეულად მიუთითებს ბრინჯაოს ცული (ტაბ. XV). იგი ლაზთიანად ნახელავ იარაღს წარმოადგენს და თავისი ფორმით საირხის მო-

საზღვრე სოფ. კალვათაში, ჯერ კიდევ 1930 წ. აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებს უახლოვდება. რომელთაც დ. ქორიძე კოლხური ცულების მესამე და მეოთხე სახეობაში აერთიანებდა და ზოგადად ძვ. წ. X—VIII სს. ათარილებდა<sup>16</sup>. საირხის ცული ვანსაკუთრებით ახლო დვას შედარებით მოგვიანო ხანის, მეოთხე კვესახეობის ცულთან<sup>17</sup>. ურეის სამაროვანზე მოპოვებული საირხის მსგავსი ყუაყვირანი ცულების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარად პროფ. თ. მიქელაძეს ძვ. წ. VII საუკუნე აქვს მიჩნეული, მისი აზრით, აღნიშნული დროისათვის იგი არა თუ გამოდის ხმარებიდან, არამედ ფართოდაა გავრცელებული<sup>18</sup> კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლების გარეთაც. ასეთი მოსაზრების დასტურად მრავალი პარალელის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დასავლეთის უკიდურეს საზღვარს, სადაც საირხის მსგავსი ცულებია მოპოვებული, ძვ. წ. IX—VI სს. დათარიღებული სოხუმის წითელშუქურას სამაროვანი წარმოადგენს<sup>19</sup>, ხოლო აღმოსავლეთისას ლიხის მთის დასავლეთი ფერდობები და საკუთრივ მდინარე ყვირილას სათავეები<sup>20</sup>. აღმოსავლეთ საქართველოში საკულტო დანიშნულების მცირე ზომის ასეთი ცული აღმოჩენილია ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ მცხეთიჯვრის № 82 სამარხში<sup>21</sup>. ბორჯომის რაიონში<sup>22</sup> და შიდა ქართლში თლის სამაროვანის ძვ. წ. VIII—VII სს. სამარხეულ კომპლექსებში<sup>23</sup>. აღარაფერს ვამბობთ ამ ტიპის ცულების გავრცელებაზე ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ისინი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეების ძეგლებთანაა დაკავშირებული<sup>24</sup>.

ამრიგად, საბადურის მესამე ფენაში მოპოვებული კერამიკისა და კოლხური ცულის შედარებითი ანალიზი საძულელებს გვაძლევს ამ ფენის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ. წ. VII საუკუნის დასასრული მივიჩნიოთ, რაც შეეხება მის ქვედა ქრონოლოგიურ ჩარჩოს, სადღეისოდ აღმოჩენილი მასალა საშუალებას არ იძლევა ზუსტად შემოვფარგლოთ. ჯერ კიდევ 1961 წელს საირხეში, ვეშაბიძის გორაზე მეწყერისაგან ჩამოშლილ მიწაში არქაული იერის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტთან ერთად ვიპოვეთ ლამაზად ნახელავი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, რომელიც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის საწყის საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს<sup>25</sup>. აქვე აღმოჩნდა რკინის თავხვია საკინძი და საკინძები პირამიდული თავებით, რომლებიც გვიან ბრინჯაოს ხანის ასლებს წარმოადგენენ. საირხეში ჯერჯერობით მცირე მოცულობის არქეოლოგიური სამუშაოებია ჩატარებული და ამ ეტაპზე გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა ნაადრევი იქნებოდა. ზოგიერთი მასალის მიხედვით კი თითქოს ისე ჩანს, რომ საირხის გორანამოსახლარები კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში უნდა იყოს ათვისებული.

შუა (მეორე) ფენის სისქე რიგ შემთხვევაში ერთ მეტრამდე აღწევს, თუმცა ზოგიერთ მონაკვეთზე ისიც თხელია და მოყვითალო სილნარ ნიადაგში 20—25 სმ სისქის ლინზებითაა შექრილი. გათხრილი ფართობის მთელ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ნაგებობათა ქვის საძირკვლები, რომლებზედაც შემორჩენილია და ზოგ შემთხვევაში კარგად იკითხება დამწვარი ძელების ფრაგ-

მენტები (ტაბ. XIV<sub>2</sub>). D<sub>4</sub> კვადრატში დაფიქსირებულმა ერთი ასეთი ნაგებობის ფართობმა თითქმის 50 კვ. მ. გადააჭარბა. კარგად ჩანს, რომ შენობა ქვის საძირკველზე დაფუძნებული ძელებისაგან იყო ნაგები და შემდეგ შებათქაშებული-შელესილი. დანახშირებულმა ძელებმა და ბათქაშოვანმა ფენამ პრეპარაციის შემდეგ მცირე გორაკის ფორმა მიიღო და ნათელი გახდა, რომ უეცარი ხანძრის შედეგად აქ საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა უნდა განადგურებულიყო. სწორედ ამ ნახშირიან ფენაში, D<sub>4</sub> კვადრატის მეთექვსმეტე უჯრედში ჩაჭრილი იყო № 6 სამარხის ორმო. სამარხეული ინვენტარი, რომელიც მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა, კარგად თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულით და გვაძლევს ნამოსახლარის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს. მეორე კულტურული ფენა გათხრილი ფართობის თითქმის ყველა მონაკვეთზე ხასიათდება ერთგვაროვანი კერამიკული მასალით. მესამე ფენისაგან განსხვავებით იგი დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ასორტიმენტის ჭურჭელს. ჭურჭელი ნაკეთებია მოწითალო ან რუხი ფერის მსხვილმარცვლოვანი, ქარსმინარევიანი თიხისაგან, გამომწვარია წაბლისფრად, შავად ან რუხად, ზოგიერთ მათგანს ნაპრიალები, ხოლო უმეტესობას ხაოიანი ზედაპირი აქვს, ჭურჭელი შემკულია მრავალსახოვანი გეომეტრიული ორნამენტებით.

სასუფრე ჭურჭლის ტიპებიდან გამოიყოფა ჯამები. ძირითადად ორი სახეობის: პირმოყრილი და პირგადაშლილი.

პირველი ტიპისათვის დამახასიათებელია შიგნით მკვეთრად გადახვეული პირი, დაქანებული კალთა და ბრტყელი ძირი (ტაბ. XVI<sub>2</sub>, 4, ა), მეორისათვის გაშლილი კალთა და გარეთ გადმოწეული პროფილირებული პირი (ტაბ. XVI<sub>1</sub>, ა).

ამ ტიპის ჯამების მრავალრიცხოვანი პარალები მოიპოვება ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში. სამოციანი წლების არქეოლოგიური კამპანიის დროს, როდესაც არ გეჟონდა საშუალება სტრატოგრაფიულად მკვეთრად გაგვემიჯნა (დამეწყრილ ფერდობზე) საირხის ნაქალაქარის კულტურული ფენები, ძირითადად სწორედ ამ ტიპის ჯამებით ვეპარაუდობდით ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ნამოსახლარი ფენების არსებობას. მას შემდეგ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალზე გამრავლდა იმ არქეოლოგიური ძეგლების რიცხვი, სადაც პირმოყრილი ჯამებია ნაპოვნი. „მოქინახეს<sup>26</sup>, ითხვისის<sup>27</sup>, წინსოფლის, ვანის<sup>28</sup>, ქობულეთ-ფიჭვნარის<sup>29</sup>, მცხეთი-ჯვრისა და სხვა მრავალი არქეოლოგიური ძეგლების დახურული და ღია კომპლექსები მრავლად შეიცავენ ანალოგიურ ჯამებს და ეს კომპლექსები თითქმის ყველგან ძვ. წ. VI—IV სს. არის დათარიღებული. ასეთი ჯამებია საირხის მდიდრულ აკლამებშიც, რომლებიც იქ მოპოვებული მასალების და განსაკუთრებით კი ბერძნული იმპორტის საშუალებით ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება.

ს ა ს მ ი ს ე ბ ი მეორე ფენაში დაფიქსირდა კოლხური ცილინდრულტანიანი სასმისის ორი ფრაგმენტი. ერთი მათგანი, რომლის ქვედა ტანი მთლიანადაა შემორჩენილი, მოწითალოდაა გამომწვარი და სადაზღედაპირიანია, ხოლო მეო-

რე შავი ფერისაა და მისი შუა ნაწილი ღარებითა და ტალღისებური ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XVI, ა).

მეორე ტიპს წარმოადგენს შავი და რუხი ფერის ჭიქისებური სასმისები, რომლებიც ძირის ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი (ტაბ. XVI, ვ). სასმისები, ისე, როგორც ჭამები, ადრეანტიკური ხანის სასუფრე ჭურჭლის ძალზე გავრცელებული ტიპია, რომელიც ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ნამოსახლარი ფეხებისთვისაა ძირითადად დამახასიათებელი და ისეთი მრავალფეროვანი ფორმითაა წარმოდგენილი, რომ მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაციაც კია შემუშავებული<sup>30</sup>. პროფ. თ. მიქელაძე სასმისების სამ ტიპს გამოყოფს<sup>31</sup>, ვანის კერამიკის მკვლევარები კი ხუთს<sup>32</sup>. საირხული ცილინდრულტანიანი სასმისები უნდა მიეკუთვნოს ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ მესამე ტიპში გაერთიანებულ სასმისებს, რომლებიც იქ ძირითადად ძვ. წ. VI—IV საუკუნეების ფენებშია ფიქსირებული. ამავე ხანისაა პირველ ტიპში გაერთიანებული ჭიქისებური სასმისები.

საირხეში მოპოვებული სასმისები ავსებს და ამრავალფეროვნებს კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულ სასუფრე ჭურჭლის ასორტიმენტს. სასმისების ფართოდ გავრცელებას ანტიკურ ხანაში მევენახეობა-მელღინეობის განვითარებას მიაწერენ<sup>33</sup>. რა თქმა უნდა იგი გულისხმობს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კოლხეთის დაბლობზე, შავიზღვისპირა ზოლის ახლოს, სადაც ეს სასმისები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული, არასოდეს ყოფილა პირობები კულტურული მევენახეობა-მელღინეობის განვითარებისათვის. ამდენად, სასმისების ასორტიმენტის გამრავლება-გაფართოვება კულტურის საერთო დონის, მისი ახალ საფეხურზე ასვლის გამოძახებელი ფაქტი უფროა, ვიდრე მეურნეობის ერთი რომელიმე დარგის დაწინაურებისა.

ქვევარები მეორე ფენაში ქვევრები ყელპირისა და გვირგვინების სახითაა წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც ოთხი ტიპის გამოყოფა ხერხდება, ესენია: 1. ოღნავ ვარეთ გადმოხრილი პროფილიანი პირით, მზრისა და ყელის შეერთების ადგილზე რელიეფური გრეხილით (ტაბ. XVII). 2. დაბალი, მკვეთრად გადმოხრეპილი, მომრგვალებული პირის გვირგვინით, ყელისა და მზრის შეერთების ადგილზე გრეხილორნამენტიანი სარტყლით (ტაბ. XVII). 3. მკვეთრად გადმოქანებული ბრტყელი ბაკოთი, რომლებიც შემკულია ბადისებური ორნამენტით (ტაბ. XVII). 4. შეხრეპილპროფილიანი პირის გვირგვინით, ყელზე ტალღისებური და წიწვოვანი ორნამენტით (ტაბ. XVII).

ღვინისა<sup>34</sup> და სხვა პროდუქტების<sup>35</sup> შესანახი ქვევრები ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა<sup>36</sup> და თითქმის ყველა ძეგლზეა აღმოჩენილი, სადაც კი ძვ. წ. VI—IV საუკუნეების მასალებია მოპოვებული. კოლხური სასმისების მსგავსად არქეოლოგიურ ლიტერატურაში შემუშავებულია ქვევრების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. საირხული ქვევრები საერთო იერითა და ორნამენტით უახლოეს მსგავსებას პოულობს ვანის ქვევრებთან<sup>37</sup>. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინის ფორმითა და მოყვანილობით ისინი რამდენადმე

განსხვავებულნი არიან, რაც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ კოლხური კერამიკის შემდგომი საგანგებო შესწავლისას კიდევ რამდენიმე ტიპის ან ქვეტიპის გამოყოფა იქნება შესაძლებელი საირხული ქვევრების მიხედვით. ეს ქურჭლები გენეტიკურად დაკავშირებულია წინარეანტიკური ხანის ქვევრებთან, მაგრამ ე. წ. VI—IV სს. მრავალგვარი ფორმით გვხვდება. მათი ასორტიმენტის გაფართოება მევენახეობა-მეღვინეობის გარდა დაკავშირებული ჩანს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების აღორძინებასთან და კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქტების სხვა ქვეყნებში ექსპორტირებასთან. ამის დამადასტურებელ ფაქტადაა მიჩნეული კოლხური ქვევრების ე. წ. სქელკედლიანი კერამიკის აღმოჩენის ფაქტები ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში<sup>38</sup>, სადაც საგანგებო ტიპის ქვევრებით კოლხეთიდან გაქმონდათ თაფლი, ცვილი და მთელ ანტიკურ სამყაროში სახელგანთქმული, კოლხური სელის ზეთი<sup>39</sup>. ვარაუდობენ, აგრეთვე ქვევრებით ღვინის გატანასაც<sup>40</sup>, რაც ზოგიერთ მკვლევარს არაღამაჯერებლად მიაჩნია<sup>41</sup>.

ასე თუ ისე შეიძლება ითქვას, რომ ქვევრების ასორტიმენტის გაზრდა-გაფართოება მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების გარდა რამდენადმე განპირობებული ჩანს საგარეო და მით უმეტეს საშინაო ვაჭრობის გაცხოველებით.

დერგები მეორე ფენაში დერგები, ისე როგორც ქვევრები, ძირითადად გვირგვინებისა და პირკედლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, მათი თანმხლები ყურები პირველი ფენის ქურჭლის ყურებისაგან განსხვავებით აღარ არის ზომობრფული, უმრავლესობა სადაა, მხოლოდ რამდენიმეზეა შემორჩენილი, თითქმის გამქრალი ჭედული, რაც ძველი ტრადიციების გამოძახილი უნდა იყოს. ისე, როგორც ვანის კერამიკის მკვლევარები<sup>42</sup>, დერგებს ქვევრებისაგან მეტრული პრინციპით ვანსხვავებთ. ქურჭელს, რომლის პირის დიამეტრი 50—35 სმ, ხოლო კედლები 1 სმ-ზე მეტი სისქის აქვთ — ქვევრებს ვაკუთვნებთ, ხოლო 30—20 სმ დიამეტრის მქონე პირის ქურჭლებს, რომლებსაც 1 სმ-ზე ნაკლები კედლის სისქე აქვთ — დერგებს. ამ პრინციპის მიხედვით საირხეში მოპოვებული დერგები ოთხ ტიპად შეიძლება დაიყოს. ესენია: 1. კრილში სამკუთხაგანივკვეთიანი, ბაკოთი შემკული ბადისებური ორნამენტით და ყელზე ირგვლივ ღარებით (ტაბ. XVIII). 2. პირგადმოშლილი გვირგვინით, რომელთა ზედაპირი სადაა და შეზნექილპროფილიანი (ტაბ. XVIII). 3. გარეთ გადმოკეცილი გვირგვინით, რომლებსაც ყელსა და მხრის შეერთების ადგილზე შემოუყვება ირიბნაჭდევიანი სარტყელი (ტაბ. XVIII). 4. დაბალ ცილინდრულ ყელიანი, რომელთა პირის გვირგვინი რომბული ბადითაა შემკული (ტაბ. XVIII). დერგებს მიეკუთვნება აგრეთვე ზენური ხეიბით შემკული, მოწითალო ფერის, შედარებით მალაყელიანი ქურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. XVIII). როგორც ვხედავთ მეორე ფენაში დერგებიც საკმაოდ ნაირგვარი ფორმითაა წარმოდგენილი. მათ, ისე როგორც სასმისებსა და ქვევრებს მრავალი პარალელი ეძებნებათ მოდინახს<sup>43</sup>, ითხვისის, წინსოფლის, ვანის<sup>44</sup>, გურიანთის<sup>45</sup>, ფიქნარის<sup>46</sup>

არქეოლოგიურ ძეგლებზე. დერგები ნაკლებად იყო შესწავლილი და უკანასკნელ ხანამდე არ არსებობდა მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია<sup>47</sup>. სადღესოდ ეს ხარვეზი შევსებულია და ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული მასალების მიხედვით დერგების შვიდი ტიპია წარმოდგენილი. ყველა ისინი მომდინარეობს ძვ. წ. VI—IV საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან და ზოგიერთი ფორმა მოგვიანო ხანაშიც განაგრძობს არსებობას<sup>48</sup>.

ქოთნები მეორე ფენაში ამ ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტებიც დიდი რაოდენობითაა მოპოვებული. ერთი ცალის მთლიანად აღდგენამ საშუალება მოგვცა წარმოდგენა შეგვექმნა ამ ტიპის სამზარეულო ჭურჭელზე. იგი მოშაო ლეგა ფერისაა, მკვეთრად გადმოხრილი პირით, გამობერილი ტანით, ბრტყელი აირით და ოვალურგანივკვეთიანი ყურით, რომელიც პირზე და მხარზეა მიძერწილი (ტაბ. XXI). ქოთნის მეორე ტიპი უფრო ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. იგი წარმოადგენს მოშაო ლეგა ფერის ჭურჭელს, ყელზე ირგვლივ ღარებით, გადმოხრილი პირით, გამობერილი ტანით და მხარზე თარაზულად მიძერწილი ყურით. ქოთნის დანარჩენი ტიპები მოზრდილი ნატეხების სახითაა შემორჩენილი და მათ არქიტექტონიკაზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. პირკედლის ნატეხების მიხედვით ქოთნის რამდენიმე ტიპის გამოყოფა შეიძლება, ესენია: 1. მკვეთრად გადმოხრილი პირით, მუცელზე მიძერწილი მრგვალგანივკვეთიანი ყურით. 2. ქილისებური, სწორპროფილიანი პირით, დაბალი ყელით, რომლებიც შემკულია წიწვოვანი ორნამენტით და 4. ოდნავ გადმოხრილიპირიანი, რომლებსაც ყელზე და მხარზე ტალღისებური ორნამენტი შემოსდევს (ტაბ. XIX).

სამზარეულო ჭურჭლის ისეთი ტიპები, როგორსაც შეიცავს საირხის ნაქალაქარის მეორე ფენა, ფართოდაა წარმოდგენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე. როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ასევე ნამოსახლარებზე. ისინი თითქმის იმეორებენ მოდინახეს<sup>49</sup>, დაბლაგომის<sup>50</sup>, ვანის<sup>51</sup>, ფიჭვნარის<sup>52</sup> და სხვა მრავალ არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ ამ სახის ჭურჭლებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქოთნის ზოგიერთი ტიპი ხასიათდება კონსერვატიულობით, მათ პარალელები წინარეანტიკური ხანის სამეთუნო ნაწარმში ეძებნებათ და ოდნავ სახეშეცვლილი ელინისტური ხანაშიც განაგრძობენ არსებობას<sup>53</sup>. ამის მაგალითები საირხეშიც ვვაქვს, როგორც ეს ქვემოთ იჩვენება ნაჩვენები. ელინისტური ხანის ზოგიერთი ჭურჭელი გენეტიკურად უკავშირდება ადრეანტიკური ხანის სამზარეულო ჭურჭელს. მეორე ფენაში ცალკეული ფრაგმენტების სახით დაფიქსირდა და შემდეგ სრულიად აღსდგა მეტად ორიგინალური და საინტერესო ფორმის თიხის ჭურჭელი, მას ფართოდ გაშლილი სწორხაზოვანპროფილიანი პირი, ზომიერად დაქანებული მხრები, ბრტყელი ძირი, სადა ყური და პირზე სითხის გადმოსასხმელი ტუჩი აქვს. ზომები: პირის დიამეტრი 20 სმ.; ძირის დიამეტრი 13 სმ.; სიმაღლე 13 სმ. (ტაბ. XX3). ამ საინტერესო ჭურჭელს ანალოგი არსად ეძებნება, ყველაზე მეტად იგი საწველ ჭურჭელს ჰგავს.

დეკორატიული ქურქელი ლარნაკი — ყავისფერკეციანი, გამოძერწილი კარგად განლექილი თიხისაგან, სამკუთხაგანივეკეთიანი პირი გარეთ აქვს გადმოხრილი, შემკულია დაკბილული იარაღით დატანილი ირიბი ნაკლებებით, ზედაპირი გაპრიალებულია. ზომები: სიმაღლე 7,5 სმ., ტანის დიამეტრი 10 სმ. (ტაბ. XX<sub>2</sub>).

მეორე ასეთი ქურქელი წარმოდგენილია პირისა და ტანის ორი ნატეხით, ისინიც შემკულია ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მიმართული ირიბი ნაკლებებით. ამ ნიმუშების დეკორატიულ ქურქულად განსაზღვრა განპირობებულია მათი ფორმის თავისებურებებით, აგრეთვე ორნამენტის სილამაზით, სიუხვით და ზედაპირის საგულდაგულო დამუშავებით. ანტიკური ხანის მასალებს შორის საირხის ლარნაკებს უშუალო ანალოგები ეძებნება მხოლოდ ვანში. მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებული ნიშნისა, საირხისა და ვანის ლარნაკებს გააჩნიათ საერთო ზოგადი ნიშნები: გარეთ გადმოხრილი რთულპროფილიანი პირი, ბიკონუსური ტანი, ბრტყელი ძირი. ვანში ლარნაკები აღმოჩენილია ნაქალაქარის ზედა ტერასაზე და ძვ. წ. V ს. დათარიღებულ № 11 სამარხში<sup>51</sup>. ზოგადად ამ ტიპის ქურქელი ძვ. წ. VI—IV სს შეიძლება მივაკუთვნოთ.

მეორე ფენაში დაფიქსირდა ბერძნული შავლაკიანი ფიალის ფრაგმენტები. იგი აქტიური ქურქლის ნაწარმია და მიეკუთვნება პატარა ზომის ჯამებს, რომლებიც დაბალქუსლიანი კილიკების ტიპისაა და ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. V ს.<sup>55</sup>

მეორე ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა რკინის ლურსმნები და რამდენიმე სამეურნეო იარაღი: თოხი, ცული და გაურკვეველი დანიშნულების ნივთი.

ლურსმნები რკინის ძირითადად ორი სახისაა, მრგვალგანივეკეთიანი, სოკოსებური თავით, ორკუთხაგანივეკეთიანი, დიდი ზომის უთავო ლურსმნები. რომელთა სიგრძე რიგ შემთხვევაში ნახევარ მეტრს აღწევს. ასეთი ლურსმნები ადრეანტიკურ-ელნისტურ ხანაში მრავალ ძეგლზეა დაფიქსირებული და როგორც მდიდრული სამარხების აღწერისას დავრწმუნდებით, ისინი მძლავრი ხის კონსტრუქციების დასამაგრებლად გამოიყენებოდა საერო და საკულტო ნაგებობების მშენებლობაში (ტაბ. XX<sub>5</sub>, ტაბ. XXIX<sub>2</sub>).

ცული რკინის, დაბალი ყუთი, ოვალური სატარე ნახვრეტით. მკვეთრად დაქანებული ტანით, რომელიც წელს ჰქვემოთ საგრძნობლად ფართოვდება (ტაბ. XV<sub>3</sub>). ზომები: სიგრძე 21,5 სმ; პირის სიგანე 8,5 სმ.

მესამე ფენაში მოპოვებული ბრინჯაოს ცულისაგან განსხვავებით, რომელიც საკულტო დანიშნულებისა უფრო ჩანს, მეორე ფენის ცული აშკარად სამუშაო იარაღს წარმოადგენს. ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებული მსგავსი ფორმის იარაღი ზოგიერთი მკვლევარის მიერ კოლხური ცულის გადაკვარებულ ფორმადაა მიჩნეული<sup>56</sup>. საირხული ცული გენეტიკურად დაკავშირებული უნდა იყოს გუაიდიუს<sup>57</sup>, ბრილის<sup>58</sup>, ბეშთაშენის<sup>59</sup> რკინის ცულებთან, რომელთაც პროფ. თ. მიქელაძე გენეტიკურად ბრინჯაოს ყუავერიან ცულებს უკავ-

შირებს და ადგილობრივი კოლხური წარმოშობის იარაღად მიიჩნევენ. მკვლევარების აზრით ამ ფორმის ცულების გაჩენა უნდა მომხდარიყო ბრინჯაოს ცულების ხანში ძვ. წ. VII ს. დასასრულს ან VI ს. დასაწყისში<sup>60</sup>.

ზედა (მესამე) ელინისტური ხანის ნამოსახლარი ფენა ადრეანტიკურისაგან გამოყოფილია სტრაილური შრით, რომლის სიმაღლე ერთიდან სამ მეტრამდე მერყეობს. საკუთრივ ფენის სისქე 3 მეტრს აღწევს. იგი ხასიათდება ძლიერი ხანძრის კვალით, რომელშიც არქეოლოგიური მასალა ძირითადად თუნის ნაწარმითაა წარმოდგენილი. დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო ჭურჭელი.

სუფრის ჭურჭლის მრავალრიცხოვან ჩგუფს შეადგენენ დოქები. ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია წითლად ანგობირებული, ზედაპირნაპრიალები ნიმუშები, რომლებიც მსგავსებას ამჟღავნებენ ე. წ. მსხლისებურკოროპუსიან დოქებთან. მსგავსი ნიმუშები აღმოჩენილია: ვანში, სამადლოზე, კავთისხევში, თეთრი წყაროს ქვევრსამარხებში და სხვა<sup>61</sup>.

მეორე ქრონოლოგიური ჩგუფი წარმოდგენილია ხაოიან ზედაპირზე მკრთალი წითელი საღებავით მოხატული დოქებით, რომელთა შორის გამოირჩევა სამტუჩა და შეწყვილებულ ღეროიანი ყურის მქონე ნიმუშები. როგორც წესი ისინი მოჩაღისფროდაა გამომწვარი, მოხატულობა ფრინზებად არის განლაგებული და საკმაოდ დაუდევრადაა შესრულებული. გვხვდება წერტილები, სარტყლები, ბადეები, ლაქები და სხვა (ტაბ. XXI). მსგავსი ნაწარმი აღმოჩენილია: ალაიანში, უფლისციხეში, ვანში, მცხეთაში და სხვა<sup>62</sup>. ამ ტიპის კერამიკა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი და მონეტების შემცველი კომპლექსებით დამაჯერებლად თარიღდება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით.

დოქების ყველაზე გვიანდელ სახეობას შეადგენენ ყელწიბოიანი ნიმუშები. მათთვის დამახასიათებელია ფართო პირი, გამოკვეთილი მხრები, ყელის წიბოზე და მხრის ზედა ნაწილზე მიძერწილი ყური (ტაბ. XXI). ყელწიბოიანი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი და, როგორც წესი, ახ. წ. 1 ს. თარიღდება: დიდი რაოდენობით გვხვდება მცხეთისა და ალაიანის არქეოლოგიურ კომპლექსებში<sup>63</sup>.

ელინისტური ხანის ფენაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჯამები. მათთვის დამახასიათებელია შიგნით გადახრილი პირი, ოღნავ გამობერილი, ქვემოთკენ დაეწროვებული კალთა და დაბალი ქუსლი (ტაბ. XXII). გამოწვის ფერის მიხედვით გამოიყოფა შავ და წითელკეციანი ჯამები. შავკეციანი ნიმუშები როგორც წესი გაპრიალებულია, წითელკეციანები კი მოხატული. ამ ტიპის ჯამები ფიქსირებულია გვიანელინისტური ხანის თითქმის ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე: უფლისციხე, ვანი, ზემოფცხხმა, ფარცხანაყანები, „საყარაულო სერის“ სამაროვანი<sup>64</sup>. ყველგან ეს ჭურჭელი ძვ. წ. II—I სს. თარიღდება.



სამზარეულო ჭურჭელი ძირითადად ქოთნებითაა წარმოდგენილი. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან პირგადაშლილი. თანაბრად მომრგვალებული მუცლის მქონე ნიმუშები (ტაბ. XXII). ისინი გამოიწვარია შავად, მოწაბლისფროდ და ჩალისფრად. გვხვდება მოხატული ცალებიც. ქოთნების განხილული სახეობა ყველაზე გავრცელებული ჭურჭელია ელნისტური ხანის საქართველოში, იგი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი: ვანში, სამადლოზე, უფლისციხეზე და სხვა<sup>65</sup>. ისევე, როგორც მითითებულ ძეგლებზე ამ ტიპის ქოთნების შიდა ქრონოლოგიური დიფერენციაცია არ ხერხდება, ამიტომ მათ თარიღს ძვ. წ. III ს და ახ. წ. I ს განვსაზღვრავთ.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელში გამოიყოფა დერგებისა და ქვევრების ჯგუფი, რომლის დამახასიათებელი ნიშანი განივკვეთში ოთხკუთხა მოყვანილობის პირის გვირგვინი. ხშირად მათი კორპუსი შემკულია კონცენტრული, ირიბნაჭდევიანი სარტყლებით. ამ ტიპის კერამიკის უდიდესი ნაწილი აღმოჩენილია „საბადურისა“ და „კოკილაშვილების“ გორებს შორის, ადგილ „ნავენახარში“ — გაქრილ თხრილში, სადაც თავმოყრილია ყველაზე გვიანდელი ხანის არქეოლოგიური მასალა. (მათ შორის ყელწიბოიანი ქოთნების უმრავლესობა). ეს ნაწარმი დაკავშირებული უნდა იყოს საირხის ნაქალაქარის არსებობის უკანასკნელ პერიოდთან, რადგან მსგავსი ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის<sup>66</sup>. რაც ჰქვია „საბადურის“ გორის დასავლეთ ფერდობზე გამოვლენილ ქვევრებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობისათვის უცხოა პირის გვირგვინი. ამ ქვევრებს გააჩნიათ მარტივი მოყვანილობის გარეთ გადახრილი პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებური კორპუსი და გამოყვანილი ბრტყელი ძირი. ყველა გამომწვარია მოწითალო-მოვარდისფროდ, უმრავლესობა სადაა. ხაოიანზედაპირიანი, თუმცა გვხვდება წითლად შეღებილი, ზედაპირნაპრიალები და მოხატული ნიმუშებიც. მსგავსი ნაწარმი აღმოჩენილია შიდა ქართლში: სამადლო, უფლისციხე, ციხიაგორის<sup>67</sup> და აღრეელინისტური ხანის ნამოსახლარების სამაროვანზე.

ამგვარად ელნისტური ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი კერამიკა სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I. ზოგადად ძვ. წ. III—II სს. თარიღდება წითლად ანგობირებული დოქები, რომლებიც მსხლისებურკორპუსიანი ნიმუშების მიბაძვით არის დამზადებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნებიან მეორე ტიპის ქვევრები, მათ შორის წითლად მოხატული და შეღებილი ნიმუშები.

II. თიხის ჭურჭლის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. დათარიღებული ნაწარმი.

III. ქრონოლოგიურ ჯგუფს ქმნიან განივკვეთში ოთხკუთხამოყვანილობის პირის გვირგვინიანი დერგები, ქვევრები და ყელწიბოიანი დოქები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ახ. წ. I ს-ში ვრცელდება. საირხეში დღემდე არაა მიკვლეული გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი

ნაწარმი. დღეს სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება ნაქალაქარის ტერიტორიაზე ახ. წ. I ს-ში გრძელდა.

ვანხილული არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს ელინისტური ხანის მესამე ფენა ზოგადად ძვ. წ. III და ახ. წ. I სს. დაეთარილოთ.

ამგვარად კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალების მიხედვით, საირხის ნაქალაქარის ისტორიაში, გამოეყოფთ განვითარების სამ ეტაპს. ქალაქობის წინა პერიოდს ვათარილებთ ძვ. წ. VIII—VII სს. ქალაქობის პირველ პერიოდს ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით და მეორე პერიოდს ძვ. წ. III—I საუკუნეებით. ამგვარად ჩვენ არ ვეხებით გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას. აღნიშნული ეპოქის მასალები ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

**ლითონის საწარმოო უბნები.** საირხეში საბადურის გორის გარდა 1985-87 წლებში გათხრები მიმდინარეობდა „კარანტინში“ და „სახოველში“. ეს ადგილები ფაქტიურად წარმოადგენს გორებს შორის მოქცეულ გავაკებულ ერთიან მასივს, რომელიც საკმაოდ ვრცელ ფართობს მოიცავს და ხასიათდება ინტენსიური კულტურული ფენებით. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ნაქალაქარის ეს უბანი წარმოადგენს ფერადი და შავი მეტალურგიის საკმაოდ მძლავრ საწარმოო კერას. აქ ჯერ კიდევ სამოციან წლებში გაითხარა ბრინჯაოს სადნობი სახელოსნო, რომელიც სამი სათავსოსაგან შედგებოდა. შემორჩენილი საძირკვლების მიხედვით პირველ სათავსოს 25 კვ. მ. ფართობი ეკავა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიშენებულ № 2 სათავსოს 10 კვ. მ., ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მიშენებულს 15 კვ. მ. როგორც ჩანს ქვის საცირკველზე, რომლის სიგანე 30—40 სმ ფარგლებში მერყეობს, დაფუძნებული იყო საწარმოსათვის განკუთვნილი ხის ნაგებობათა კომპლექსი. ნაგებობის შიგნით და გარეთ დაახლოებით 150 კვ. მ. ფართობზე დადასტურდა ორი სხვადასხვა ხანის ფენა, რომელიც ჭრილში იძლევა ორ დონეს<sup>68</sup>; სტერილური შრე არ შეინიშნებოდა. პირველი დონე შეიცავს საბადურის გორის მეორე ფენის კერამიკას. ამ კერამიკაში ერევა ზომორფულურირიანი სამეთუნო ნაწარმი, რაც თითქოს წინარე-ანტიკური ხანის ნამოსახლარის არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ მოპოვებულ მასალებში ძირითადად მაინც ადრეანტიკური ხანის კერამიკისათვის დამახასიათებელი ფორმები ქარბობს და საწარმოც აღნიშნულ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ოსტატურად ჩამოსხმული ბრინჯაოს ანკესი, ბრინჯაოს სამაჯურები, სატხი, სადგისი და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქალის მცირე ქანდაკება, რომელიც წარმოების წუნს წარმოადგენს. საირხის ნაქალაქარის საწარმოში ქალის ვამოსახულების ყალიბის შექმნასა და მისი ჩამოსხმის ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქანდაკება დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტთან და კიდევ ერთ საბუთს წარმოადგენს იმის დასტურად, რომ საირხელთა რელიგიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნაყოფიერების ქალღვთაებას<sup>69</sup>.

მეორე ფენა ძირითადად კერამიკული მასალით არის წარმოდგენილი. იგი იმდენად ფრაგმენტულია, რომ არც ერთი ჭურჭლის შეკოწიწება არ მოხერხდა,

ამის გამო კი საშუალება არ გვეძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ მის მთლიან ფორმებზე. მსხვილმარცვლოვანი, ზოგჯერ კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული სასუფრე და სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები ხასიათდება მოწითალო და ზაფრანისფერი, ნაპრიალები ან ხაოიანი ზედაპირით. ამ მხრივ იგი იდენტურია საბადურის გორის მესამე ფენის თუნის ნაწარმისა და ვეშაპიძის გორის ელინისტური ხანის სამარხების კერამიკისა, რომელიც ძვ. წ. II—I სს თარიღდება.

სახოველას ორივე ფენა შეიცავს ბრინჯაოს წილებს და ბრინჯაოს ზოდის რამდენიმე ფრაგმენტს. ნაგებობათა კედლებს შორის ბლომად ეყარა ბათქაშის ნამტვრევები, მათზე შემორჩენილი ძელების ანაბეჭდები მიუთითებენ, რომ ქვის საძირკველზე დაფუძნებული, ძელებით ნაგები სახელოსნო კომპლექსები ბათქაშით იყო შელესილი. სათავსოების შიგნით და გარეთ, როგორც პირველ ისე მეორე ფენაში, დიდი რაოდენობით ჩნდებოდა გამოძნარი ლითონის დასაყალიბებელი თიხის ტიგელები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეორე სათავსოს ცენტრში ფიქსირებული ტიგელების გროვა, რომელიც მთლიანად პირველ ფენას მიეკუთვნებოდა და ასეულობით ტიგელის ფრაგმენტს შეიცავდა. ერთ ადგილზე დალაგებულმა ჭურჭლის ნამტვრევებმა რაღაც შემთხვევის წყალობით ჩვენამდე მოაღწია და იქიდან ამოკრეფილი ნატეხების შეკოწიწების შედეგად ექვსი ტიგელი მთლიანად აღდგა. ზომებისა და კეცის მიხედვით ჭურჭლები ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. დიდი ზომის ტიგელები, წარმოადგენენ მსხვილმარცვლოვანი სტრუქტურის, ქარსმინარევიანი თიხისაგან გამოქარაშნილ მასიურ ჭურჭლებს, რომელთაც ფართო გადაჭრილი პირი და მკვეთრად დაქანებული კალთა აქვთ. ოვალური ფორმის ძირზე ტიგელებს მიღერწილი აქვთ სამი მასიური ფეხი. ყველა ჭურჭელს პირზე ღარისებურ ჭრილთან ერთად ლითონის გადმოსასხმელი ტუჩიც აქვს გამოყვანილი. ოთხი ასეთი ტიგელის ზომები დაახლოებით ერთნაირია სიმაღლე 14 სმ. პირის დიამეტრი 23 სმ. (ტაბ. XXIII).

მცირე ზომის ტიგელები ფორმით თითქმის არ განსხვავდებიან დიდი ზომის ამ სახის ჭურჭლებისაგან, ისინიც გამოქარაშნილია ხელით, შედარებით კარგად განლექილი თიხისაგან.

ჭურჭლების ძირზე შემორჩენილი ლითონის ფენის სპექტრალურმა და ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ტიგელები გამოიყენებოდა კალიანი ბრინჯაოს ზოდების დასაყალიბებლად.

ტიგელებთან ერთად აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები (ტაბ. XXIII<sub>2</sub>) უცილობელს ხდის ადრეანტიკური ხანის საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სახოველის უბანში, ფერადი მეტალურგიის მძლავრი საწარმოო კერის არსებობას. მეტალურგიული საწარმოს კონცენტრაცია ნაქალაქარის ტერიტორიაზე დაწყებული ჩანს წინარეანტიკურ ხანაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახოველიდან სამასიოდ მეტრის დაშორებით, სოფ. კალვათაში, რომლის ერთ მონაკვეთს მოიცავს საირხის ნაქალაქარი, ჯერ კიდევ 1938

წელს შემთხვევით მიაკვლიეს ბრინჯაოს ნივთებისაგან შედგენილ განძს<sup>70</sup>. განძი შეიცავდა ბრინჯაოს ექვს თოხს, ორ კოლხურ ცულს და ნახევარსფეროსებურა ფორმის ბრინჯაოს ისეთ ზოდებს, რომლებიც სახოველაში მოპოვებული ფორმის ტიგელეშშია დაყალიბებული. ვფიქრობ ამ ნივთების სახელსნობები შორს არ არის საძებნელი. ისინი აქვე, ძველი საიარხის ტერიტორიაზე უნდა იყოს დამზადებული. განძში შემავალი საგნები გარკვეულად მიუთითებს მეტალურგიული წარმოების (გამოდნობა, ქედვა-ჩამოსხმა) მთლიან ციკლზე.

დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი რაიონები, განსაკუთრებით კი რიონისა და ყვირილის ზედა დინებები, არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძვლებზე, სადღეისოდ მეტალურგიის მძლავრ და უძველეს კერადაა აღიარებული. ყვირილის ხეობაში ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე არსებობდა მეტალურგიული საწარმოები. სადღეისოდ ცნობილია, რომ ჩვენში ადრებრინჯაოს ხანის არცერთ ძეგლს არ მოუცია ბრინჯაოს ნივთების ისეთი რთული და მრავალგვარი ფორმები, როგორც საჩხერულმა ძეგლებმა<sup>71</sup>. სალითონო საქმემ, რომელიც საუკუნეობრივ გამოცდილებას ემყარებოდა, მომდევნო ეპოქაში განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს მდ. ყვირილისა და მისი შენაკადების ხეობებში აღმოჩენილი მძიმე წონის ბრინჯაოს ზოდები და რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები. ყვირილის ხეობაში, სოფ. ნავარძეთში, რკინის მადნის გამონამუშევრებიც კია მიკვლეული, ხოლო სოფ. პერევეში, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გვხვდება რკინის გამოდნობა-გამოქედვასთან დაკავშირებული საწარმოები. სოფლის ჩრდილოეთით, მთის ძირში გავაკებულ ველზე, დიდი რაოდენობით ყრია რკინის მადნის ნარჩენები. აქვე, წყაროსთან რკინის სადნობი ლუმელიცაა ფიქსირებული. სამწუხაროდ სოფელი პერევეი არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის, მაგრამ აქ ლითონის წარმოებასთან დაკავშირებულ ადგილში აკრეფილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ანტიკურ-ელინისტურ ხანაზე მიუთითებს. სრულიად მოსალოდნელია, რომ ამ სოფლის მეტალურგიული საწარმოები, რომლებიც ფეოდალურ ხანაშიც მოქმედებს, უძველეს ტრადიციებს ემყარებოდეს. რკინის მძლავრ წარმოების კვალი სოფ. წინსოფლის ციხის სამხრეთ ფერდობზეც ჩანს, ისევე, როგორც თითქმის ყველა სახის სხვა ძეგლზე, რომელიც ექსპედიციების მიერაა მიკვლეული ზემომხრეთის ტერიტორიაზე. მათ შორის მეტალურგიის განსაკუთრებით მძლავრ კერად გამოიყურება საიარხის ნაქალაქარი ანტიკურ-ელინისტურ ხანაში. ძირითადად აქ არის თავმოყრილი, როგორც ფერადი, ისე შავი მეტალურგიის საწარმოო კერები. მიუხედავად იმისა, რომ საიარხეში ჯერჯერობით მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებია ჩატარებული, თითქმის ყველგან, სადაზვერვო თხრილებშიც კი, ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთებია ფიქსირებული. კოდისწყალზე, რომელიც სახოველის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, დაახლოებით ხუთასიოდ მეტრის დაშორებით, მცირე სათავსოთა ნაშთების გაწმენდისას, დაფიქსირდა წილები და საბერკელის საქშენი მილები (ტაბ. XXIII), — უტყუარი მოწმობა იმისა, რომ ქალა-

ქის ამ უბანზეც აღნობდნენ ლითონს. სადაზვერვო თხრილში, რომელიც ვეშაპიძის გორაზე გაიქრა, სახოველის აღმოსავლეთით, სამასიოდე მეტრის დაშორებით, აღმოჩნდა ტიგელის ფრაგმენტები, ხოლო საბადურის ბორცვზე რკინის წიდეები და დანგრეული რკინის ქურის ნაშთები (ტაბ. XXIII<sub>3</sub>), რომელიც დიდ ლოდებს შორის იყო ჩაშენებული. ბრინჯაოს დასაყალიბებელი ტიგელები აღმოჩნდა, აგრეთვე, სახოველიდან ასიოდე მეტრით დაშორებულ ადგილ-კარახტინში. ეს უკვე მეოთხე უბანია საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სადაც ფერადი ლითონის წარმოების კვალი ჩანს. რაც შეეხება რკინის საწარმოს, საბადურის გორის გარდა, ქურის ფრაგმენტები რკინის წიდებთან ერთად კრახტინშიცაა ფიქსირებული, რაც აშკარას ხდის, რომ ფერადი ლითონის საწარმოებთან ერთად აქ რკინის სადნობი სახელოსნოებიც არსებობდა.

საირხეში მოპოვებული შესანიშნავად ნახელავე რკინა-ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი და საწარმოო უბნების სიმრავლე უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ანტიკურ-ელინისტურ ხანაში საირხე წარმოადგენდა მეტალურგიის მძლავრ საწარმოო კერას.

საირხეში. საბადურის დასავლეთ ფერდობზე გათხრილი სამარხები წინარე-ანტიკური ხანის ფენაში იყო ჩაშვებული. ათი სამარხიდან შვიდი მდიდრულად აღმოჩნდა, სოლო სამში თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხის გარდა თითქმის არაფერი იყო. ზოგიერთი მათგანი რთულადაა ნაგები და უფრო სწორი იქნება მათ აკლდამები ვუწოდოთ.

აკლდამა № 5 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 5,60 მეტრზე, D ვ კვ-ში, შედგებოდა ორი ნაწილისაგან: დამწვარძელებიანი კამერისაგან, რომელსაც ქვაყრილის სქელი ფენა ფარავდა და უქვაყრილო კამერისაგან (ტაბ. XXIV), სადაც დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, რომლებსაც ჩატანებული ჰქონდათ ხუთი ცხენი. დასაკრძალავი კამერა, რომელიც წინარეანტიკური ხანის ფენაშია ჩაჭრილი, ფსკერით თირნარე-სილნარ ნიადაგს ებჯინება. მისი ზომებია 5X4 მ. კამერის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ სამი მიცვალებული ესვენა. აკლდამის დაძვრისა თუ მეორადი დამარხვის გამო, მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან დასვენებული მესამე მიცვალებულის დაკრძალვის წესი დაფიქსირდა ზუსტად. იწვა მარჯვენა გვერდზე ძალზე მოკრუნჩხულ პოზაში. თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ასეთივე პოზაში იყო დაკრძალული პირველი მიცვალებული, თუმცა მისი ძვლები საკმაოდ არეული იყო. როგორც პირველ, ისე მეორე მიცვალებულს ზემოდან ცხენის ძვლები ეყარა.

პირველ მიცვალებულს თავის ქალისა და გულმკერდის არეში აღმოაჩნდა ვერცხლის დიადემა და ცვარათი შემკული რკალვარდულიანი, მთვარისებური ფორმის ოქროს საყურე. მეორე მიცვალებულს, გულმკერდისა და თავის არეში, აღმოაჩნდა ვერცხლის დიადემა, ცვარათი შემკული პირამიდულბოლოებიანი ოქროს ორი საყურე, ოქროსაგან გამოტიფრული ფრინველის თავის (არწივის) მინიატურული ორი ქანდაკება და იმპორტული ჭურჭელი — გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით შემკული ბერძნული ლეკითოსი. მესამე მიცვალებულს აღმოაჩნდა ვერცხლის დიადემა, ვერცხლის სამაჯურები, გავარსით შემკული ოქროს ორი სასაფეთქლე. რკალვარდულიანი მთვარისებური ფორმის ოქროს საყურეები, მძივებისა და ვერძის თავის ქანდაკებებისაგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი.

როგორც აღწერიდან ჩანს ადამიანების დაკრძალვაში და მორთულობაში გარკვეული წესი და რიგია დაცული. აღმოსავლეთით დაკრძალული ასულის სამკაული დიდად აღმატება მომდევნო ორისას. ნივთების საერთო რაოდენობა აქ რამდენიმე ათეულია და წონითაც რვაჯერ მეტია მეორე მიცვალებულისაზე, თავის მხრივ მეორე მიცვალებული პირველთან შედარებით მდიდრულადაა ღამარხული. მიცვალებულებს შორის ქონებრივი განსხვავება დადგენილია ვანის № 11 მდიდრულ სამარხშიც<sup>1</sup>, რომ არაფერი ვთქვათ მთავარ მიცვალებულზე, რომელიც ძალზე მდიდრულად იყო დამარხული. მეორე მიცვალებულს

აღმოაჩნდა ვერცხლის ორი დიადემა, სამაჭურები, ოქროს სხივანა საყურეები, ყელსაბამი, ოქროსა და პასტის მძივები, მაშინ, როდესაც მეოთხე მიცვალებულს ოქროს ერთადერთი საყურე ჰქონდა.

საიარხის სამარხში ასეთი ქონებრივი იერარქიულობა დაცულია ცხენებს შორისაც. ცხოველების დამარხვაც გარკვეული წესით ხდება. წვანან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. პირველი ცხენის თავის ქალის არეში აღმოჩნდა: ვერცხლის საშუბლე, ვერცხლის დაფანჯრული ყუნწიანი საყბურები, ვერცხლის სამკერდული და ბრინჯაოს ლაგამი. მეორე ცხენს ახლდა ვერცხლის სამკერდული, ვერცხლის საყბურები, ვერცხლის საშუბლე\* და ბრინჯაოს ლაგამი. მესამეს კი ლაგამთან ერთად, თავის ქალის არეში აღმოაჩნდა ეშვისებური ფორმის ორი ოქროს ნივთი და ზუსტად ასეთივე ფორმის, სანახევროდ დამუშავებული ტახის ეშვები, ძირთან ორი გამქოლი ნახვრეტით, როგორც ჩანს ეს ნივთები ცხენს შებმული ჰქონდა ავზრის თასმაზე, ლაგამთან და სასაფეთქლებთან. მეოთხე ცხენს, ისე როგორც მესამეს ტახის ეშვები და ეშვისებური ოქროს საკიდები აღმოაჩნდა, აქვე იყო შესანიშნავად ნახელავი ბრინჯაოს ლაგამი და დიდი ზომის რკინისენიანი ბრინჯაოს ზარი. როგორც ნივთის მდებარეობით დადგინდა, ზარი ცხოველს ყელზე ჰქონდა შებმული. მეხუთე ცხენს გულმკერდის და თავის არეში ეშვისებური ფორმის 4 ოქროს ნივთი აღმოაჩნდა, ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივის შვიდი და მოცურავე პოზაში ვადმოცემული იხვების რვა ფიგურა, ბრინჯაოს ლაგამი, რკინისენიანი ბრინჯაოს ზარი აღმოაჩნდა მეოთხე და მეხუთე ცხენებს შორის ჩადგმულ სპილენძის ჭურჭლის ქვეშ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სამარხის მეორე ნაწილი, რომელიც ადამიანებისა და მათთვის ჩატანებული ცხენების სამარხის სამხრეთით მდებარეობდა, დამწვარი ძელებისაგან შემდგარ მოედანს წარმოადგენდა, რომელსაც თავზე ჭეაყრილის სქელი ფენა ედო. ჭეაყრილის გაწმენდისას, სხვადასხვა მონაკვეთზე ვხვდებოდით ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის ნაშთებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წითელფიგურიანი და თეთრანგობიანი ლეკითოსის ფრაგმენტები. ჭეაყრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში საგანგებოდ იყო დალაგებული კოლხური ჭურჭლები და პალმეტით შემკული შავლაკიანი ბერძნული ჯამი.

ჭეაყრილის აღების შემდეგ გამოიკვეთა დანახშირებული ძელებისაგან შედგენილი მოედანი, რომელიც ცხენების დასაკრძალავ კამერას ებჯინებოდა და მისგან თითქოს გამოყოფილი იყო ვერტიკალურად მდგარი ბრტყელი სამანისებური ქვით. სამარხის ამ ნაწილში აღმოჩნდა ცეცხლისაგან სრულიად გამლღვალნი და ნაწილობრივ დაზიანებული ოქროს ნივთები, ესენია: ხუთი ნაღვენთი, არწივის თავის ფორმის, გეომეტრიული ორნამენტით შემკული საკიდი ფირფიტა, გავარსით შემკული ცილინდრული ფორმის მძივი და ძვირფასად ნახელავი მძიმე წონის ოქროს სასაფეთქლე საკიდები. საკიდების წრიულ რკალზე ფრინველის თავებია გამოსახული, რომელთა ქვეშ გირჩის მსგავსი საგნებია ჩამოკიდებული ოქროსავე ძეწკვზე. სამარხის ამ ნაწილში, დამწვარ ძელებს შორის

ეყარა რკინის ლურსმნები, მთელ ფართობზე გაბნეული იყო სპილენძის ჭურჭლის (სიტულის) ფრაგმენტები და წნული ორნამენტით შემკული ყური. აქვე იყო მინის ალბასტრონის ნატეხები და შესანიშნავად ნახელაუი, ცეცხლისაგან დეფორმირებული ძვლის სავარცხლის ფრაგმენტები.

აკლდამის ეს ნაწილი, როგორც ეს მომდევნო აკლდამების გათხრისას ვაირკვა, ეკუთვნოდა მთავარ მიცვალებულს და იგი გაძარცვული იყო.

ინვენტარის განვიხილავთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. სამარხის პირველ ნაწილში მოპოვებული ადამიანის სამკაულები.

2. ცხენის სამკაული და აღკაზმულობის ნაწილები.

3. სამარხის მეორე ნაწილში მოპოვებული ოქროს სამკაულები.

4. სამარხის პირველ და მეორე ნაწილში მოპოვებული ბრინჯაოს, თიხის და მინის ჭურჭელი.

**ვერცხლის სამკაული. დიადემა.** თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ერთ ძეგლზე, არსად ისეთი ნაირგვარი ფორმის არ ყოფილა წარმოდგენილი სამკაულის ეს ტიპი, როგორც საირხეში. საირხის დიადემებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი — გრეხილი რკალი, მაგრამ განსხვავებაა, როგორც ფირფიტების ფორმებში, ასევე ორნამენტში, რომელთაც ეს ფირფიტებია შემკული. პირველად განვიხილავთ დიადემების იმ ტიპს, რომელიც შედარებით კარგადაა შესწავლილი და ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის კომპლექსებისათვის. მესამე მიცვალებულის კუთვნილი ეს დიადემა, რომელიც თავის ქალასთან აღმოჩნდა, გრეხილრკალიანია, რომბისებური ფორმის ფირფიტები შუბლზე შესაკვრელი კავებით ბოლოვდება და შემოჩაჩნობულია ირიბი ქდეების რიგით; პორიზონტალური სარტყელი ფირფიტას ორ ტოლფერდა სამკუთხედად ჰყოფს, სარტყელი ორ პარალელურ ხაზს შორის მოქცეულ წრეების რიგს წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთზე მოკლე ირიბი ღარებითაა შეერთებული. სამკუთხედებში თითო ვარდულია მოთავსებული, რომლის შუაგულში ნახევარსფეროსებური ბურცობია ამოტვიფრული. ვარდულები ქდეული წრეების საშუალებითაა გამოსატული. ზომები: ღეროს დიამეტრი 5 მმ., ფირფიტის სიგრძე 110 მმ., სიგანე 30 მმ. (ტაბ. XXV<sub>1</sub>).

საირხული სამკაული ფორმებისა და შემკულობის ხასიათით ახლო მსგავსებას პოულობს ძვ. წ. V ს შუა ხანებით დათარიღებულ ვანის № 11 სამარხის ვერცხლის დიადემებთან, რომლებსაც მკვლევარები<sup>2</sup> თავის მხრივ პარალელებს უძებნიან ითხვისის<sup>3</sup> და გუადიხუს<sup>4</sup> არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალ ვერცხლის დიადემებთან. ადრეანტიკური ხანის თავსამკაულის ამ ტიპებს შორის მსგავსების გარდა განსხვავებაც შეინიშნება, როგორც ორნამენტში, ისევე დამზადების ტექნიკაში. მაგალითად, საირხული დიადემების რკალი ოთხკუთხეა-განივკვეთიანი მავთულის გრეხვითაა მიღებული, ხოლო ვანისა — ოთხი ერთმანეთზე მირჩილული ვერცხლის ფირფიტის გრეხილს წარმოადგენს. საირხის დიადემაზე, ვარდულების გვერდით, ვერ ვხედავთ ე. წ. თითისტარისებურ



ბურცობებს, რომლებიც, ვანისა<sup>5</sup> და იხვისის<sup>6</sup> დიადემებზეა ამოტიფრული. ეს და სხვა ამგვარი ტექნიკური და მხატვრული ნიუანსები არ არღვევენ ადრე-ანტიკური ხანის კოლხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ერთიან მხატვრულ სტილს. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ სახის სამკაულის პოვნის ერთადერთი შემთხვევაა დადასტურებული — ნესტეროვის სამაროვანზე<sup>7</sup>. ჩრდილოეთ კავკასიაში მისი აღმოჩენის ფაქტი არქეოლოგებს უჩვეულო მოვლენად მიაჩნიათ და სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ იგი აქ საქართველოდანაა შემოტანილი<sup>8</sup>. რომულ-ფირფიტის ვერცხლის დიადემებს ი. გაგოშიძე, ალგეთისა და ყანჩაეთის ვერცხლის თვალსაფარებს უკავშირებს<sup>5</sup>. ასევე გარკვეულ ტიპოლოგიურ გავლენას ხედავენ ადრეულ ძეგლებთან, რაც კოლხური კულტურის გავლენითაა ახსნილი<sup>10</sup>.

მეორე მიცვალებულის კუთვნილი დიადემა, როგორც ფორმით, ასევე კონსტრუქციულად ზემოთ განხილულისაგან განსხვავდება. მისი გრძელი რკალი ბოლოვდება ფართო ოთხკუთხედი ფირფიტებით, რომლებსაც არ აქვთ შესაკრავი კავები. ფირფიტები შემკულია გრავირებული ორნამენტებით, კიდეები შემოსაზღვრულია ღარებითა და ირიბი ჭდეებით. ჰორიზონტალური სარტყელი ერთ შემთხვევაში წიწვისებური ორნამენტის სახითაა წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში ორ ღარს შორის მოქცეული ვერტიკალური ჭდეების რიგით. ჰორიზონტალური სარტყლის ორივე მხარეს წრეებია გრავირებული, რომლებიც ერთმანეთთან მოკლე ირიბი ღარებითაა შეერთებული. წრეების შუაში წერტილებია ჩაქდებული. ზომები: რკალის დიამეტრი 6 მმ., ფირფიტის სიგრძე 118 მმ., სიგანე 35 მმ. (ტაბ. XXV). ორნამენტის ეს ქარგა თითქმის იმეორებს რომულფირფიტის დიადემებზე გრავირებულისას. რაც შესაძლოა ამ ორი ნივთის ერთი სახელოსნოდან მომდინარეობაზე მიუთითებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ირიბი ამოღარული ხაზებისა და ჭდეული წრეებისაგან შედგენილი ორნამენტი დამახასიათებელია ამ სახის ხელოვნებისათვის. იგი კერამიკულ ნაწარმშიც გვხვდება და ფართოდ გავრცელებული ჩანს კოლხეთის ტერიტორიაზე<sup>11</sup>.

პირველი მიცვალებულის კუთვნილი დიადემა ფორმითა და კონსტრუქციით მსგავსია მეორისა, მასაც გრეხილი რკალი და ოთხკუთხედი ფორმის ღეროსაკენ დაწვრილებული ფირფიტები აქვს. რომელიც რკალისებური ჭრილით ბოლოვდება და გეომეტრიული ორნამენტითაა გრავირებული. თვითველ ფირფიტაზე წერტილებით, ჭვარდინი და პარალელური ღარებით შედგენილი ჰორიზონტალური სამ-სამი სარტყელია გამოყვანილი, კიდეები შემოსაზღვრულია ღარებისა და ირიბი ჭდეების რიგით. ზომები: რკალის დიამეტრი 8 მმ., ფირფიტის სიგრძე 104 მმ., სიგანე 35 მმ. (ტაბ. 12). ასეთივე სამი სარტყელია გამოყვანილი რაჭაში, სოფ. ბრილში აღმოჩენილ № 20 სამარხის დიადემაზე, იმ განსხვავებით, რომ იქ სარტყელი პარალელური ირაბი ღარებითა და წერტილებითაა შედგენილი<sup>12</sup>. საირხული და რაჭული დიადემები ფორმითაც ძალზე უახლოვდებიან ერთმანეთს, მათი რკალი ოთხკუთხედი მავთულის გრეხითაა

მიღებული და ფირფიტებიც მორკალური ნახევარმთვარისებური ქდეებით ბოლოვდება.

ლიადემების დანიშნულებისა და წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ჩვენის აზრით იგი იყო სარიტუალო სამკაული, რომელიც ვარკვეული ცერემონიის დროს თავზე ეკეთათ დიდებულებს. წარჩინებულობის ხიზნად. სწორედ ამის გამო ეკავა ამ სამკაულს დაკრძალვის რიტუალში განსაკუთრებული ადგილი. ეს წესი ბერძნებს ნასესხები ჰქონდათ ეგეოსური კულტურიდან<sup>13</sup>, ხოლო კოლხებს თავის მხრივ ბერძნებისაგან შეუთვისებათ. ერთი სიტყვით ამ ჩვეულებას უცხოურ გავლენას მიაწერენ<sup>14</sup>. თუმცა მკვლევარები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ლიადემები ჩვენში აღმოჩენილია წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებშიც<sup>15</sup> და ამდენად შესაძლებლად მიიჩნევენ ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის ამ სახის სამკაულების გენეტიკურ კავშირს<sup>16</sup>. ლიადემების ადგილობრივი წარმოების სამკაულად თვლიან და უყოყმანოდ მიაკუთვნებენ კოლხური კულტურის წრეს<sup>17</sup>. საირხული ლიადემები თავიანთი განსხვავებული ტექნიკური და მხატვრული ნიუანსებით ამრავალფეროვნებენ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ამ სახის სამკაულების არც თუ ისე მდიდრულ კოლექციას და მიუთითებენ ახალ სახელოსნო ცენტრზე, რომლის არსებობა საგულისხმებელია ყვირილის ხეობაში, თვით იმ ძველი ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც ეს ნივთებია აღმოჩენილი.

სამაჯურები ვერცხლის წყვილი აღმოჩნდა მესამე მიცვალებულის მაცებთან. მრავალგანივკვეთიანი მასიური, სადა ღეროთი, შემსხვილებულ გახსნილ თავზე შემოსდევს ირგვლივი ღარები. ტეხილი ხაზებისაგან შედგენილი სამკუთხედის წრიული მოხატულობა ოდნავ ოვალურში გადადის. ზომები: 65 მმ X 55 მმ., 63 მმ X 53 მმ. (ტაბ. XXV<sub>3</sub>).

სამაჯურებს პირდაპირი ანალოგები არ ეძებნებათ, ისინი რამდენადმე მოგვაგონებს ვანის № 9 სამარხის ვერცხლის სამაჯურებს, რომლის გამსხვილებული თავები შემკულია რელიეფური სარტყლებით და სამკუთხედებით<sup>18</sup>. უფრო ახლო მსგავსება შეინიშნება ვანის № 9 სამარხის ოქროს სამაჯურებთან, რომელთაც საირხული ცალებივით შესქელებული ბოლოები და სადა ღერო აქვს, იგი გადაკეთებულია და დიდხნის ტარების კვალი ეტყობა<sup>19</sup>. ჩანს სამაჯურს ორი მფლობელი ყავდა. რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამკაული შედარებით ადრეულ ხანაშია დამზადებული და ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის სამარხში დიდი ხნის ტარების შემდეგაა მოხვედრილი. ა. ჭყონია ვანის სამაჯურებს ტიპოლოგიურად უკავშირებს ძვ. წ. IV—III სს. ვერცხლისა და ბრინჯაოს ნიმუშებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში<sup>20</sup>.

საყურეები ოქროსი წყვილი აღმოჩნდა, მესამე მიცვალებულის თავის ქალასთან. რგოლზე უძრავად დამაგრებული კვირული ბურთულა დაბოლოვებულია ცვრათი შედგენილი პირამიდით, რგოლი ოვალურია, გახსნილ ბოლოებში გახვრეტილია, შემკულია ვარდულითა და ორნამენტური სარტყლით, რო-

ნელიც შედგენილია დაქენჯილი მავთულით გამოყვანილი მარყუქისებური რიგებით. ვარდული ათფურცლიანია, ბურთულა სფერული, მისი პორიზონტალური სარტყელი შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით, დაბოლოება ჭვრიულ პირამიდას წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ ცვარათი გამოხატული მცირე პირამიდებითაა შემკული. ზომები: სიმაღლე 92 მმ., ბურთულას დიამეტრი 30 მმ. (ტაბ. 13).

საყურეები ოქროსი წყვილი, აღმოჩენილია. მეორე ნიცვალეზულის თავის ქალასთან. რგოლზე უძრავად დამაგრებული ჭვრიული ბურთულა დაბოლოებულია ცვარათი შედგენილი პირამიდით. რგოლი ოვალურია, გახსნილ ბოლოებში გახვრეტილი, შემკულია ვარდულით და ორნამენტული სარტყლით. სარტყელი წარმოადგენს ცვარათი შედგენილ მცირე ზომის სამკუთხედების რიგს, რომელთა შორის დაქენჯილი მავთულია, საყურის ბურთულა თითქმის ბიკონუსურია. მისი პორიზონტალური სარტყელი შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით, დაბოლოება ჭვრიულ პირამიდას წარმოადგენს. ზომები: სიმაღლე 48 მმ.; ბურთულას დმ. 15 მმ. (ტაბ. 14).

როგორც აღწერიდან ჩანს მესამე და მეორე ნიცვალეზულის კუთვნილი ეს სამკაული შემადგენელი ელემენტებით, აღნაგობით და მხატვრული სტილით მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დიდი განსხვავებაა ზომებში და წონაში. მესამე ნიცვალეზულის კუთვნილი საყურეები ექვსკუთხედიანი მგობრის მგობრზე. წონას, რომ ხაზს ვუსვამთ, ამით იმის თქმა მსურს, რომ 30 გრ. სამკაულის ყურით ტარება შეუძლებელი იქნებოდა და მართებული ჩანს განსვენებული მეცნიერის ნ. ხოშტარის აზრი, რომლის თანახმად დიდი ზომის საყურეები დიადემების საკიდებია<sup>21</sup>.

საბრუნული საყურეები ვანში მოპოვებული იმ ჭვირულბურთულეზიანი საყურეების ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც ა. ჭყონია მეორე ტიპში აერთიანებს<sup>22</sup>. ეს სამკაული ფორმითა და შემკულობის ხასიათით თითქმის იმეორებს ვანის საყურეს, რომელიც № 9 სამარხიდან მომდინარეობს<sup>23</sup>, თუ არ ჩავთვლით ოდნავ განსხვავებულ ბურთულებს. ამ სამკაულზე ყველაფერი: რგოლის სარტყელი, ვარდული, პირამიდებით შემკული ბურთულის სარტყელი და ჭვირული ბურთულის დეტალები თითქმის ერთნაირია. ასევე შეიძლება ითქვას მეორე ნიცვალეზულის კუთვნილ საყურეზე, იმ განსხვავებით, რომ მათ რგოლზე სარტყლების ორნამენტი წარმოდგენილია ცვარათი შედგენილი სამკაულების რიგით. ამ მხრივ ისინი, ისე როგორც სხვა დანარჩენი კომპონენტებიც, სრულიად იმეორებენ ითხვისის № 4 სამარხის ჭვირულბურთულიანი საყურეებს<sup>24</sup>. მსგავსი ტიპის საყურეები აღმოჩენილია ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. დათარიღებულ ბერძენი მოახალშენის № 3 სამარხში<sup>25</sup> და კოლხური სამარხის № 19 სამარხში<sup>26</sup>. ფორმისა და შემკულობის ზოგიერთი დეტალით ისინი შეიძლება დაუკავშიროთ რაჭაში, შრომის უბანში და საჩხერეში, ციხე მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე მოპოვებულ ბურთულიანი საყურეებს<sup>27</sup>.

ნახევარმთვარისებური საყურეები ოქროსი, აღმოჩნდა ხუთი ცალი. ორი—

პირველი მიცვალებულის, სამი — მესამე მიცვალებულის თავის ქალასთან. სამი საყურე ნაკლულია. რგოლები მომტვრეული აქვს. ფორმითა და შემკულობით ეველა ერთნაირია. საყურის ოვალური რგოლი ქვემოთკენ ნახევარმთვარისებურადაა შემსხვილებული. რგოლის ბოლოები გაბრტყელებული და გახვრეტილია, ზურგის მხარეს რგოლი ვარდულითა და ორნამენტული სარტყლითაა შემკული. სარტყელი მიღებულია გრეხილი და სადა მავთულის მონაცვლეობით. ვარდული გამოხატულია გრეხილი მავთულით შედგენილ წრეებში ჩასმული ცვარათი. ნახევარმთვარისებური შემსხვილება მიღებულია ორი გამოტიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. მირჩილვის ადგილას დამაგრებულია სადა ვიწრო ფირფიტა, რომელიც ცვარათი შედგენილი პირამიდებთანაა შემკული, მსგავსი პირამიდების რიგი ფირფიტას გასდევს ორივე გვერდზე. ზომები: სიმაღლე 38 მმ. (ტაბ. 11.).

საყურეების ეს ტიპი, უპირველეს ყოვლისა, ახლო ანალოგებს პოულობს 1961 წ. ვანში გათხრილ წარჩინებული ქალის სამარხში აღმოჩენილ ნახევარმთვარისებურ ოქროს საყურებთან<sup>28</sup>. მცირე განსხვავება შეინიშნება ცალკეული დეტალების დამუშავებაში. საირხული ნიმუშები შედარებით გამარტივებულია. მაგალითად, რგოლების სარტყლებზე წარმოდგენილი არ არის ვარდულის ფურცლები. როგორც უკვე აღვნიშნეთ რკალი საირხულზე, ისე როგორც ფიქვენარის ნაქალაქარზე მოპოვებულ ნახევარმთვარისებურ საყურეზე<sup>29</sup>, ვანურთან შედარებით გამარტივებულია. გამარტივებულია აგრეთვე საირხული ნიმუშების სარტყლის ორნამენტიც. იგი მიღებულია გრეხილი და სადა მავთულის მონაცვლეობით, რომელიც ამავე დროს საყურის ღეროსაც წარმოადგენს. ეს განსხვავებული ნიშნები შესაძლოა სხვადასხვა სახელოსნო ცენტრზე მითითებდეს, მხატვრული სტილი კი ერთნაირია. საყურეები ფორმითა და აღნაგობით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული საიუველირო ნაწარმისადმი მიძღვნილ ნაშრომში ა. ჭყონია დაწვრილებით განიხილავს ნახევარმთვარისებურ საყურეებს და წარმოგიდგენს მათი გავრცელების საზღვრებს, რომელიც მოიცავს ამიერკავკასიას, ხმელთაშუა ზღვისპირეთს, შავი ზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიას. ასევე დიდია ამ სამკაულის ქრონოლოგიური დიაპაზონიც, იგი გვხვდება ხანგრძლივი დროის მანძილზე, ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე ძვ. წ. IV საუკუნემდე. მისი თავდაპირველი წარმოშობის ცენტრად ზოგი მეცნიერი ფინიკიას<sup>30</sup>, ზოგი იონიას<sup>31</sup> მიიჩნევს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ სახის სამკაულის უძველესი ნიმუშები მოპოვებულია სომხეთის კარმირ-ბლურზე ურარტული ქალაქის თეიშებაინის ტერიტორიაზე<sup>32</sup> და ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან გავრცელებულად მიაჩნიათ<sup>33</sup>, ურარტულ და კოლხურ ნიმუშებს შორის მსგავსება ნახევარმთვარისებური ფორმის შემკულობის ხასიათში, მაგრამ სრულიად განსხვავებული რგოლები აქვთ. ურარტულისა მოკლე, სადა, მავთულის ღეროს წარმოადგენს, ხოლო კოლხური მდიდრული ორნამენტითაა შემკული და სრულიად შეცვლილია. სწორედ ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ნახევარ-

მთვარისებური საყურე უცხოური ნაწარმის კოლხური კულტურის მიერ ასიმილირებულ სამკაულს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საირხის სამარხში. მესამე მიცვალებულთან, დიდი ზომის ქვირულბურთულიან საყურებთან ერთად მთვარისებური ფორმის სამი საყურე იყო. სამარხში რამდენიმე საყურის აღმოჩენის შემთხვევა სხვაგანაცაა დადასტურებული: ნიძგვაში, მაგალითად, რვა ცალი აღმოჩნდა<sup>34</sup>, ზოლო ოლიბიაში ექვსი<sup>35</sup>. ამის გამო გამოთქმულია მოსაზრება, რომ საყურეები თავსაბურავის, შესაძლოა დიადემაზე ჩამოყიდებულ სამკაულს წარმოადგენდა<sup>36</sup>. ასეთ მოსაზრებას საირხის არქეოლოგიურ ძეგლებზე ფიქსირებულ ფაქტიც ადასტურებს.

ყელსაბამი ოქროსი აღმოჩნდა მესამე მიცვალებულის გულმკერდის არეში, შედგენილია ვერძის თავის გამოსახულებანი საკიდებისა და დაღარული მძივებისაგან. ვერძის თავის გამოსახულება მირჩილულია ძაფის გასაყრელ დაღარულ მილაკზე. ვერძის თავის ქანდაკების გამოსახულება მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილვით. ყელსაბამი შედგება 27 საკიდისა და 19 მძივისაგან, ნაკლულია. ზომები: საკიდის სიმაღლე 10 მმ; სიგანე 6 მმ.; მძივის დმ. 3,5 მმ. (ტაბ. 11<sub>2</sub>).

ეს სამკაული თითქმის იდენტურია ძვ. წ. V ს. შუა ხანებით დათარიღებული ვანის № 11 სამარხის ყელსაბამისა, რომელიც ვერძის თავების საკიდებისა და დაღარული მძივებისაგან შესდგება<sup>37</sup>. მცირე განსხვავებაა ქანდაკებისა და მძივების ზომებში. ვერძის თავის გამოსახულებები ერთნაირი ხერხითაა დამზადებული, როგორც ვანური ასევე საირხული საკიდები მთლიანად გამოტვიფრულია, დატალღული მოხრილი რქები და თავები სფეროსებური ბურცობებითაა გამოხატული. ვანში ეს ერთადერთი ყელსაბამია ამ ხერხით დამზადებული, დანარჩენი ცალკეული ნივთები და დეტალები გამოყვანილია ცვარათი, დაკენჭილი მკეთულის ან ფირფიტის საშუალებით. ვერძის თავების ქანდაკებების გამოსახვის ეს განსხვავებული მანერა ა. ჭყონიას აფიქრებინებს, რომ ყელსაბამი კოლხეთის სხვა რომელიმე სახელოსნო ცენტრიდან შეიძლება იყოს შექოტიანი<sup>38</sup>. ვანური და საირხული სამკაულის ტექნიკური და სტილისტური ერთიანობა შესაძლოა ერთი სახელოსნო ცენტრიდან მომდინარეობაზე მიუთითებდეს. რაც შეეხება ვერძის ქანდაკებას საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოსახვის უძველესი ტრადიცია არსებობს, საკუთრივ ყვირილის ხეობის არქეოლოგიურ კომპლექსებშიც გვხვდება ცხვრის სიმბოლური თუ რეალური ქანდაკებები. ასეთია, მაგალითად, მოდინახეს გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსების თანმხლები ბრინჯაოს ხეიბი, ვერძის თავს რომ განასახიერებენ და საბადურის გორაკზე 1964 წ. ანტიკური ხანის ფენებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი ყურებით, რომლებზედაც რქებგადაკაული ვერძის თავებია გამოხატული<sup>39</sup>. მხატვრული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენენ რაჭაში, სოფ. ბრილში ნაპოვნი ცულები, რომლებსაც ვერძის თავის გამოსახულებები ამშვენებენ<sup>40</sup>. მრავლადაა ნაპოვნი აგრეთვე ცალკე დამზადებული ვერ-

ის თავის ქანდაკებები, მოხრილი რქებით. ქართული პლასტიკური ხელოვნების ეს უძველესი ნიმუშები უთუოდ მიუთითებენ საქართველოში მეცხვარეობის უძველეს ტრადიციებზე და ცხვრის კულტის არსებობაზე<sup>11</sup>.

**საკიდები ოქროსი** ორი ცალი. აღმოჩენილია მეორე და პირველი მიცვალებულის მკერდის არეში. წარმოადგენს არწივის თავის გამოსახულებას. ქანდაკება მირჩილულია ძაფზე ასაცმელ დაღარულ მილაკზე. ფრინველის თავი შიშვლიანია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილის შედეგად. ეს მინიატურული საკიდები. არწივს რომ განასახიერებენ ტექნიკურად ისეა დაიწესებული, როგორც ვერძის თავები. ზომები: საკიდის სიმაღლე 11 მმ. სიგანე 7 მმ. (ტაბ. XXV<sub>6</sub>). ტეფრით გამოყვანილი ფრინველის გამოსახულებები, ისევე, როგორც ცხვრისა, ძველ ქართულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული. საირხულ მასალებში არწივის კულტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებები ადრეანტიკური ხანის კოლხური სამკაულის დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. დიდი რაოდენობით გვხვდება ყელსაბამებზე. ზოგჯერ კი ცალკეული ცალების სახითაცაა წარმოდგენილი<sup>12</sup>, მინის ან ოქროს მძივებთან ერთად. საირხის სამარხში სხვა მასალებისაგან ნაკეთები მძივები არ აღმოჩენილა და შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ფრინველები ნაკლებად გამძლე ძვირფასი ხის ან მცენარეული მარცვლებისაგან შედგენილ ყელსაბამს ამშვენებდა, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

**ცხენის სამკაული და აღკაზმულობა** საშუბლე ვერცხლის, აღმოჩნდა ცხენის თავის ქალასთან, წარმოადგენს დაგრძელებულ, რომბისებური ფორმის სადა ფირფიტას, შიგნითა მხრიდან მირჩილული აქვს ყუნწი. ზომები: სიგრძე 64 მმ., სიგანე 24 მმ.

**საშუბლე ვერცხლის**, აღმოჩნდა მეორე ცხენის შუბლის ძვალზე, აღწერილის ანალოგიურია. ზომები: სიგრძე 52 მმ., სიგანე 24 მმ. (ტაბ. XXVI<sub>3</sub>).

**სამკერდული ვერცხლის**, აღმოჩნდა პირველი ცხენის მკერდის არეში, წარმოადგენს რომბისებური ფორმის, ოთხკუთხედს მიახლოებულ სადა ფირფიტას. შიგნითა მხრიდან შუა ადგილზე მირჩილული აქვს ყუნწი. ზომები: სიგრძე 65 მმ., სიგანე 38 მმ. (ტაბ. XXV<sub>5</sub>). ამ ფორმის სამკერდულს, ისევე როგორც საშუბლეებს ვერსად მივაგნებთ, ჩვენთვის მისაწვდომ არქეოლოგიურ კომპლექსებში. ისინი რამდენადმე უახლოვდებიან მეგრულ-იმერულ ცხენის აღკაზმულობის იმ სახის საგნებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებამდე იყო ხმარებაში.

**საყბური ვერცხლის**, აღმოჩნდა პირველი ცხენის ყბის ძვალზე, ლაშის კიდესთან. წარმოადგენს ვერცხლის ფირფიტისაგან დამზადებულ დაფანჯრულ დისკოს, შიგნითა მხრიდან მირჩილული აქვს ოთხკუთხედი ფორმის ყუნწი, თასმის გასაყრელი გამჭოლი ნახვრეტით. ზომები: დმ. 40 მმ (ტაბ. XXV<sub>4</sub>). სამარხში ექვსი ასეთი ნივთი აღმოჩნდა. დაფანჯრული ვერცხლის საყბურის უმრავლესობა

ნაკლულია. მთლიანი სახით ორი ცალია შემორჩენილი. ყველა მათგანი დაფიქსირდა ცხენის ყბასთან ან საფეთქელთან, რაც მიუთითებს, რომ ცხენის მორთულობა-აღკაზმულობაში ეს ნივთები ავშრის დეტალს შეადგენდა და სასაფეთქლისა და საყბურის მოვალეობას ასრულებდა. ისინი შეიძლება დაუკავშიროთ ახალგორის განძის მრგვალ ბალთას, რომელთა არე დაფანჯრულია ოთხქიმიანი ვარსკვლავითა და ვარსკვლავების ქიმებს შორის მოთავსებული ისრისებური შვერილებით. ი. სმირნოვი სრულიად სამართლიანად მიიჩნევს მათ ცხენის აღკაზმულობის ნაწილად<sup>43</sup>.

ეშვისებური ნივთი ოქროსი მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილვის შედეგად. ქვედა ნაწილი ცალ მხარეზე მოკაუქებულია, ზედა ნაწილში ორი გამჟოლი ნახვრეტი აქვს, ქვემოთ კი სამი ირგვლივი ღარია შემოვლებული. ზომები: სიგრძე 90 მმ; ფუძის დმ. 22 მმ. (ტაბ. 11კ).

ასეთი ნივთები სამარხში სულ რვა ცალია მოპოვებული. ორი მესამე, ორი მეოთხე და ოთხი მეხუთე ცხენის თავის ქალასთან. აღმოჩენის მიხედვით დანმდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნივთები ამკობდა ცხენის ავშრის თასმებს, გადაჯვარდინების ადგილზე, სასაფეთქელებთან და ყბასთან. ჩვენში ძელისაგან გაკეთებული ამ ფორმის ნივთი მოპოვებულია ძვ. წ. VI—V სს. დათარიღებულ ეშერისა და ითხვისის მდიდრულ სამარხებში<sup>44</sup>. მას „ნისკარტისებურს“ უწოდებენ, მაგრამ უფრო მართებული იქნებოდა ამიერიდან ეშვისებური დავარქვათ, საქმე ისაა, რომ მესამე და მეოთხე ცხენის თავის ქალასთან, ლაშის კუთხესთან და საფეთქელთან, ოქროს ნივთების საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდა ზუსტად ასეთივე ფორმის და დანიშნულების ტახის ეშვები. ეშვებს ისე როგორც ოქროს ნივთებს ძირში გამჟოლი ნახვრეტი აქვთ გაკეთებული (ტაბ. XXVI, 1). მაშასადამე მდიდრული, მაგიური საკიდები, რომელიც საყბურის მაგიერობასაც წყევდა, გარეული ღორის ეშვს განასახიერებდა. გარეული ღორი, რომლის კულტი შორეული წარსულიდანვეა ცნობილი, წარმოადგენდა ძლიერების, ზოგჯერ ბოროტი ძალის განსახიერებას<sup>45</sup>. სავარაუდოა, რომ ღორის ეშვები და მათი მიბაძვით დამზადებული ოქროს ამულეტები ცხენების მორთულობაში გააზრებული უნდა ყოფილიყო, როგორც სრულიერისა და სისწრაფის სიმბოლოები. ოქროს საკიდების აღმოჩენის ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ არსადაა დადასტურებული, რაც შეეხება ძელისა და ბრინჯაოს ამ სახის ნივთებს, ისინი დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის სკვითურ-სარმარტული არქეოლოგიური კომპლექსებისათვის<sup>46</sup> და წინააზიის ძეგლებზედაც გვხვდება. ი. გაგოშიძის აზრით, სწორედ ასეთი ნივთი უნდა იყოს წარმოდგენილი ძვ. წ. V ს. დათარიღებულ ელექტრუმის სპარსულ რიტონზე, რომელიც აღკაზმული ცხენის თავს გამოხატავს და რომელსაც ავშრის თასმების გადაჯვარდინების ადგილზე ნისკარტისებური ნივთები აქვთ მიმაგრებული<sup>47</sup>. ეშვისებური საკიდები პერსეპოლისის აპადანის რელიეფებზე და სომხეთში ურარტულ ქალაქ ერებუნის აქიმენიდური ხანის ნანგრევებში მოპოვებულ ვერცხლის რიტონზე გამოსახულ ცხენებს აქვთ<sup>48</sup>. საკიდები (შესაძლოა ოქროსი) ცხენს გა-

ზოსახული აქვს საფეთქელთან და ლაშის კუთხეში, ავშრის თასმის გადაჯვარედინების ადგილზე<sup>49</sup>. შეიძლება ითქვას, რომ საკიდები აქაც ტახის ეშვების იმპლაციაა, იმ ტახისა, რომელიც სპარსულ რელიგიაში გამარჯვების ღვთაების ზომომორფულ ხატს განასახიერებს, რომლის მეგრულ-სვანური სახელი კესი ნ. მარის გამოკვლევით ტახსაც აღნიშნავს და ღვთაებასაც.

**არწივები** ოქროსი, ექვსი ცალი; აღმოჩნდა მესუთე ცხენის თავის ქალასთან. ორი მათგანი შუბლის ძვალზე იყო. ფრინველის გამოსახულება ოქროს ფირფიტისაგანაა გამოკვეთილი, მისი ცალკეული ნაკვთები დატვიფრულია, ფრინველი პროფილშია გამოკვეთილი. სამ შემთხვევაში მარჯვნივ იყურება და სამში მარცხნივ. თავი უკან აქვთ შემობრუნებული, ზეაწეული ფრთა ჰაერში ნამგლისებურადაა მორკალული, ხოლო ღონიერი კლანჭები ძირს აქვს ჩამოშვენიული, მარაოსებურად გაშლილი ბოლო ღარებითაა დატვიფრული, ტანზე რკალებით ბუმბულია აღნიშნული. ფირფიტას, კიდების გასწვრივ თავზე, კუდზე, კლანჭებზე და ფრთებზე დასაკერებელი ნახვრეტები აქვთ. ორი ცალი ფირფიტა ნაკლულია. ფრინველების კუდი მოტეხილია. ზომები: სიგრძე 34 მმ., სიგანე 39 მმ. (ტბ. 11). არწივი, როგორც საღვთო ფრინველი ფართოდაა წარმოდგენილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველესი ცივილიზაციის ხელოვნებაში. ამ მხრივ არც ანტიკური ხანის ქართული ხელოვნების ნიმუშებია გამოჩენილი. არწივის გამოსახულებები სხვადასხვა ძეგლებზე და ტანსაცმელზე საკერებელი ფირფიტების სახითაცაა წარმოდგენილი ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში<sup>50</sup>. სამარხში მოპოვებული ფრინველების გამოსახვის მანერა და პოზა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალგეთის ბეჭდის ფარაქზე გამოსახულ თავშემობრუნებულ ფრინველს, რომლის მსგავსი გვხვდება ახალგორის განძში<sup>51</sup>, რამდენადმე უჩვეულოა ჩვენში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივებისათვის და პარალელები უფრო აქიმენიდური ხანის სპარსულ ძეგლებში უჩანთ. პროფილში წარმოდგენილი თავშემობრუნებული ფრინველები ნამგლისებურად მორკალული ფრთებით და მარაოსებური ბოლოთი, დამახასიათებელია აქიმედური ხელოვნებისათვის. ამ მხრივ საინტერესო არწივები შეიძლება შევადაროთ ამურდარიის განძის დიადემების ფირფიტაზე, სიცოცხლის ხის ორივე მხარეზე გამოსახულ თავშემობრუნებული იხვების ფიგურებს, რომლებსაც ჰაერში აწვდილი ნამგლისებური ფრთები აქვთ<sup>52</sup>. მარაოსებურად გაშლილი ბოლო ამშვენებს ამურდარიის განძის ერთ არწივსაც და იმ ფრინველებსაც, რომლებიც ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებულ ოქროს თასზე არიან გამოსახულნი<sup>53</sup>. ასეთივე ბოლოიანი ფრინველი ერებუნის აქიმენიდური ხანის რიტონზეცაა გადმოკეპული<sup>54</sup>. ფრთის ისეთი გააზრება, როგორც საირხის არწივებს აქვთ, სკვითური საიუველირო ხელოვნების ძეგლებშიც შეინიშნება<sup>55</sup> და ტიპურია აქიმენიდურ ხელოვნებაში წარმოდგენილი ფრინველების, სფინქსებისა და ფანტასტიკური არსებობისათვის. გვხვდება აგრეთვე სპარსულ-ბერძნული სტილის იმ საბეჭდავებზე, რომლებიც ძვ. წ. V ს. და IV ს. დასაწყისით თარიღდება. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ აქიმენიანთა



ირანში ეს სტილი ბერძნული ხელოვნების გავლენით ჩამოყალიბდა და ამიტომაცაა, რომ სპარსული ძეგლები განსხვავებულია წინამორბედი ხანის ასირიული, ლურისტანური და მალარიკის ხელოვნებისაგან, სადაც ფრინველთა ფრთები პირდაპირი ან შეტეხილი კუთხითაა გადმოცემული<sup>56</sup>. ამრიგად საირხეში ნაპოვნი არწივის ფიგურების ფრთისა და ზოგიერთი სხვა დეტალის გამოსახვაში ბერძნულ-ირანული ხელოვნების აშკარა გავლენა შეიმჩნევა, ეს მოვლენა უცხო არ არის ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისათვის და იგი ფეხლი ქართული კულტურის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის პროდუქტს წარმოადგენს<sup>57</sup>. ისინი, ისე როგორც საბექდავი ბექდები, რომელთა ფარაკზე თავშემობრუნებული, მორკალულ-ფრთიანი არსებებია გამოსახული, ადგილობრივ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ<sup>58</sup>.

იხვეები ოქროსი, აღმოჩენილია მეხუთე ცხენის თავის ქალასთან, ფრინველის გამოსახულება გამოჭრილია ოქროს ფირფიტისაგან, წარმოდგენილია პროფილში, ხუთ შემთხვევაში მარჯვნივ, სამში კი მარცხნივ. იხვეები წყალში მოცურავე პოზაშია გადმოცემული. ფიგურების ცალკეული დეტალები გამოტვიფრულია, კიდების გასწვრივ ქსოვილზე ან ტყავზე დასამაგრებელი ნანკრეტები აქვთ. ზომები: სიმაღლე 7 მმ., სიგანე 17 მმ. (ტაბ. III<sub>1</sub>). იხვებისა და საერთოდ წყლის ფრინველების გამოსახულებები უძველესი ხანიდან გვხვდება, როგორც ქართულ, ასევე აღმოსავლური ხელოვნების ძეგლებზე. წინარეანტიკური ხანის ქართულ ხელოვნებაში წყლის ფრინველები წარმოდგენილია ბრინჯაოს სარტყლებზე. მკვლევარები მათ, დიდი დედის კულტს უკავშირებენ<sup>59</sup>. საირხული იხვეები თავიანთი პოზით რამდენადმე მოგვაგონებენ ძვ. წ. VII საუკუნით დათარიღებულ თლის სამაროვნის № 350 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გრავირებულ მოცურავე იხვებს<sup>60</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში ფრინველებთან ერთად გამოხატულია ასტრალური ნიშნები, რითაც ისინი მზესთან და მასთან დაკავშირებული მდებრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაებასთან შეიძლება იყოს ასოცირებული. აღმოსავლურ ხელოვნებაში ჯერ კიდევ მესამე და მეორე ათასწლეულში ამკობდნენ სხვადასხვა სახის ნივთებს იხვისა და გედის ფიგურებით<sup>61</sup>. ეს ფრინველები იქაც ასტრალურ ღვთაებასთან იყო დაკავშირებული და ზოგ შემთხვევაში გვიანი ხანის ძეგლებს შემორჩა სიმბოლურ ნიშნებად<sup>62</sup>. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლური უძველესი ხელოვნებისათვის იხვის, გედის და ბატის გამოსახულება უცხო არ არის, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ წყლის ფრინველის იკონოგრაფია იმ სახით, როგორიც ეს მოცემულია ამუდარიის განძის ოქროს ფირფიტაზე, წარმოიშვა არქაული ეპოქის საბერძნეთში და მცირე აზიის ოლქებში. ადრეაქიმენიდურ ხანაში კი იონიის გზით გავრცელდა ირანის ტერიტორიაზე<sup>63</sup>, ბერძნული გავლენა სკვითურ ძეგლებშიც, სადაც ხშირადაა წარმოდგენილი იხვის გამოსახულებები<sup>64</sup>. პოზითა და ფორმით საირხული იხვეები რამდენადმე ჩამოჰგავს ხერსონესის კახოესკის რაიონის სოფ. ლიუბინოვის № 38 ყორანში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ მთვარისებურ ოქროს საყურეებზე გამოსახულ

იხვევს<sup>65</sup>. ჩნდურ ხელოვნებაში იხვი ასოცირებულია ქალღმერთ სარასვატისთან, ხოლო სპარსეთში ანაპიტასთან, რომლის კულტი ირანსა და შუააზიაში ძვ. წ. V საუკუნიდან იყო გავრცელებული<sup>66</sup>. სკვითური ხელოვნების მკვლევარებიც იხვს ქალღვთაების ატრიბუტად მიიჩნევენ. ამ ფრინველების გამოსახულებები უმთავრესად ქალის სამკაულს ამშვენებდნენ, ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ იხვი, რომელიც დაკავშირებული იყო ქალღმერთის კულტთან, ასოცირებულია ნაყოფიერების, ცოლ-ქმრული ერთგულების და სიყვარულის სიმბოლოსთან. საბერძნეთში იხვი ცოლ-ქმრული ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლოდ წარმოიდგინებოდა<sup>67</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ საირხეში აღმოჩენილი მზის ცხოველის, ცხენის სამკაულად გამოყენებული იხვებიც დაკავშირებულია ნაყოფიერების ღვთაებასთან. ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ გავიხსენებთ, რომ სოფელ საირხეში ანტიკურ ხანაში არსებობდა ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ტაძარი<sup>68</sup>. ეს ღვთაება ქართულ წეს-ჩვეულებებში ნაყოფიერების, გაცოცხლებული ბუნებისა და სქესობრივი სიყვარულის, ცოლ-ქმრული სიყვარულის, ქალღმერთი „ღმერთების დიდი დედა ნანა“<sup>69</sup> იყო.

**ბრინჯაოს აღკაშმულობა და სამკაული** ამ სახის ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ლაგამი. უკვე აღვნიშნეთ, რომ ლაგამები, რომლებიც ცხენებს პირში ჰქონდათ შემორჩენილი, ორი ტიპისაა. მეხუთე ცხენის კუთვნილი ლაგამი ორი ნაწილისაგან შედგება, თვითული მათგანი ჩამოსხმულია და რგოლებით მოძრავადა დაკავშირებული ერთმანეთთან. საყბურის ბოლოები გამოხატავენ ცხენის ფლოქებებს და სტილიზებული ცხოველის თავებს. საყბურს მშვილდისებურად მოხრილ ღეროზე სამი რგოლი აქვს, ერთი დიდი — აღვირისათვის და ორი, შედარებით მომცრო რგოლი — ავშრის თასმისათვის. ცხენის პირში ამოსადებ ნაწილზე, ცალ მხარეს ჩამოსხმული ხორკლების მჭიდრო რიგია. ლაგამებს დიდი ხნის ტარების კვალი ეტყობა. მოძრავად დაკავშირებულ პირში ამოსადები რგოლები გატეხილია და ხელმოკრად შედლებულია. ზომები: ლაგამის სიგრძე 18 სმ-ია, საყბურის სიგრძე 22,5 სმ (ტაბ. X).

მეოთხე ცხენის კუთვნილი ლაგამი აღწერილის ანალოგიურია, მცირე განსხვავებაა ზომებში, სტილიზებული ცხოველის თავზე არაა თვლები, ვადაბმის ადგილზე რგოლები ვალეულია დიდი ხნის ტარებისაგან. ზომები: ლაგამის სიგრძე 21,5 სმ, საყბურისა 23,5 სმ. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის ლაგამები აღმოჩენილია, როგორც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მაგრამ ისე სრულყოფილად ნახელავი, როგორც საირხული ცალეებია დღემდე არსადაა დადასტურებული. ამ ტიპის ლაგამებს „წინააზიურს“ ეძახიან, იმის გამო, რომ ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებში მთელ წინააზიაში ყოფილა გავრცელებული<sup>70</sup>. ჩრდილოეთით მისი გავრცელების საზღვრები უკრაინაა. საირხულ ცალეებს ანალოგი ეძებნება პოლტავის ოლქის ქალაქ ლუბინოსთან გათხრილ ყორღანში აღმოჩენილ ლაგამთან<sup>71</sup>. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება კიევის მუზეუმში დაცულ იმ ლაგამთან, რომელსაც

მშვილდისებურად მოხრილ საყბურზე სამი რგოლი აქვს და ბოლოებიც ცხენის ფლოქვებს გამოხატავენ<sup>72</sup>. სულ, უკრაინაში, ამ ტიპის სამი ლაგამია აღმოჩენილი, მკვლევარები მათ საქართველოდან გატანილად მიიჩნევენ და „კავკასიურ ლაგამებს“ უწოდებენ<sup>73</sup>. ასეთი მოსაზრება სამართლიანია, ყოველ შემთხვევაში საქართველოში ადრეანტიკურ ხანაში ლაგამის ეს ტიპი ფართოდ გავრცელებული ჩანს და არა მარტო უკრაინაში, არამედ ბალკანეთშიც კი, იგი კავკასიიდან შეიძლება მოხვედრილიყო. ათენის აგორაზე ე. წ. სპარსულ ნაგავში ნაპოვნ ამ ტიპის ლაგამებს, რომლებიც არქაული ტაძრის ნანგრევებშია აღმოჩენილი და კარგად თარიღდება ძვ. წ. VI—V სს. მიჯნით<sup>74</sup>, საბერძნეთში სპარსეთის მეფის ქსერქსეს ლაშქრობას უკავშირებენ<sup>75</sup>. პროფ. ბ. კუფტინი კი ლაგამებს ე. წ. ვანის ეპოქით წინარეანტიკური ხანით ათარიღებს. მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოპოვებული ამ ტიპის ლაგამები. საირხული ცალები განსაკუთრებულ მსგავსებას ამჟღავნებენ საბერძნეთში, ეგვიპტეში\*, ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირში და ქსნის ხეობაში სოფ. ცხავათში აღმოჩენილ ლაგამებთან<sup>76</sup>, რომელთა მშვილდისებურად მოხრილი საყბურები ცხენის ფლოქვებს გამოხატავენ. საირხულ და ზემოთ ჩამოთვლილ ცალებს შორის ის განსხვავებაა, რომ საირხული საყბურების ერთი მხარე სტილიზებული ცხოველის თავის გამოსახულებით ბოლოვდება. გარდა ამისა ავშრის დასამაგრებელი რგოლები საყბურს გარედან აქვს, მაშინ როცა შესაღარებლად მოტანილ ყველა ლაგამს სათანამე საყბურზე აქვს ჩახვრეტილი. სწორედ ეს დეტალები შეიძლება იყოს დამახასიათებელი ამ სახის გვიანი ხანის ლაგამებისათვის. საირხული ლაგამები, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდიხანის ტარების კვალი ატყვია, უყოყმანოდ უნდა მიეკუთვნოს ძვ. წ. V საუკუნეს.

პირველი, მეორე და მესამე ცხენის ლაგამები ძირითადად ერთი ტიპისაა, მკორე განსხვავებაა ზომებში და ზოგიერთი დეტალის მოყვანილობაში. პირველი ცხენის კუთვნილი ლაგამი სამი ნაწილისაგან შედგება. პირში ამოსადები ღერო, ცივი ჰედვით შესრულებული, თავგახსნილი რგოლებითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მრავალგანიკვეთიანი საყბურების ღეროს, რომელიც თავისაკენ მუნშტუკისებურადაა შემსხვილებული, აქვს სააღვირე რგოლი, შუა ნაწილთან ორივე მხარეს გაკეთებულია ორი გამჭოლი ნახვრეტი ავშრის თასმებისათვის. ლაგამის პირში ამოსადებ ნაწილზე ჩამოსხმული ყოფილა ხორკლების მკიდრო რიგები, რომელიც ალაგ-ალაგ დიდიხანის ტარებისაგან წაშლილია. ზომები: ლაგამის სიგრძე 22 სმ-ია, საყბურისა 16,5 სმ. (ტაბ. XXVI<sub>2</sub>).

მეორე ცხენის კუთვნილი ლაგამი თითქმის აღწერილის ანალოგიურია, ტარების კვალი ნაკლებად ეტყობა, პირში ამოსადები ნაწილი მთლიანად დაფარულია მკვეთრად გამოხატული ჩამოსხმული ხორკლების რიგით. ზომები: ლაგამის სიგრძე 19 სმ-ია საყბურის სიგანე 16 სმ (ტაბ. XXVI<sub>4</sub>).

მესამე ცხენის კუთვნილი ლაგამი ძალზე გაცვეთილია, ერთი საყბურის შუა ნაწილს მკვეთრად ემჩნევა მეორადი შეკეთების კვალი. პირში ამოსადები

ნაწილის შუა რგოლი ხმარებისაგან გალეულია. ზომები: ლაგმის სიგრძე 21 სმ., საყბურისა 19 სმ.

ამ ლაგმების ზუსტ ასლებს ჩვენთვის, ცნობილ არქეოლოგიურ მასალებში ვერ მივაკვლიეთ. ისინი რამდენაღმე ჩამოგვანან პროფ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ სამნაწილიან ლაგმებს. რომელიც ნიმრუდში ყოფილა აღმოჩენილი<sup>77</sup>. ასეთივე სწორსაყბურებიანი უნდა იყოს იმ რიტონზე გამოსახული ცხენის ლაგამი, რომელიც ერებუნის ნანგრევებშია აღმოჩენილი და ძვ. წ. V ს. თარიღდება<sup>78</sup>.

მეოთხე და მეხუთე ცხენებს აღმოაჩნდათ რკინისენიანი ბრინჯაოს ზარები, მეოთხე ცხენისა კისრის არეში დაფიქსირდა. იგი ცხოველს ყელზე ჰქონდა შებმული. ზარი ცილინდრული ფორმისაა, გვერდშეჭრილია. სამკუთხედის ფორმის ყუნწი დიდი ხნის ხმარებისგანაა გალეული. ზარს ირგვლივ ვერტიკალურად დაუყვება ორნამენტი, რომელიც ძირს დახრილ წიწვოვან ხის ტოტს მოგვაგონებს. ზომები: სიმაღლე 12,3 სმ (ტაბ. XXVII, 1).

მეხუთე ცხენის ზარი აღწერილის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ ყუნწზე ეტყობა შეკეთების კვალი და სადა უორნამენტო ზედაპირი აქვს. ზომები: სიმაღლე 11,3 სმ (ტაბ. XXVII, 2).

ბრინჯაოს ზარები ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებისათვის იმდენად დამახასიათებელი ნივთია, რომ ყველა პარალელის მოტანა შორს წაგვიყვანდა. აღსანიშნავია საირხული აღმოჩენის ერთი თავისებურება, ეს ისაა რომ აქ ცხენს ყელზე ჰქონდა ზარი შებმული. ასეთი ფაქტი კი ჩვენში იშვიათადაა დადასტურებული, მაშინ როდესაც წინააზიურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ასირიულ რელიეფებზე წარმოდგენილი საომარი ცხენების უმეტესობას ყელზე, მდიდრულად გაფორმებული, დიდი ზომის ზარები ჰქონდათ<sup>79</sup>. აქიმენიდური ხანის რელიეფებზე კი ცხენებს ზარები ზოგჯერ ბეჭთან აქვთ გამოკვეთილი. პერსეპოლისის აპადანას კიბის რელიეფზე ერთ ცხენს ზარი მარცხენა ბეჭზე ჰქონდა. საირხული ზარი თავისი ფორმით ყველაზე მეტად სწორედ ამ ზარსა ჰგავს<sup>80</sup>. ახლო ანალოგები მათ ეშვრის ნაქალაქარის მახლობლად მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ დიდი ზომის ზართან ექებნებათ<sup>81</sup>. ასევე ბოგვისხევისა და ახალგორის გვერდშეჭრილ ზარებთან, რომლებიც ადრეანტიკური ხანით თარიღდება<sup>82</sup>. ასეთი დიდი ზომის ზარები ბუნიკებზე, შტანდარტებზე ჩამოსაკიდებლადაც გამოიყენებოდა<sup>83</sup>. როგორც ჩანს ისინი ძირითადად დიდებულთა ცხენებისათვის იყო განკუთვნილი. ჩვენში აღმოჩენილ ზოგიერთ ზარზე, რომლებიც ეშვისებურ ნივთებს უკავშირდება<sup>84</sup>, არწივებიცაა გამოსახული. ასეთია მაგალითად სოხუმის წითელ შექუტრასთან გათხრილ სამარხში აღმოჩენილი წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარი, ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებით<sup>85</sup>. სოხუმის მთაზე<sup>86</sup> და რაქაში ბრილის სამაროვანზე გვხვდება ზარები<sup>87</sup> ფრთაგაშლილი არწივების გამოსახულებებით. ზარაკების რელიგიურ-მისტიური დანიშნულება საკმაოდ კარგადაა ცნობილი, როგორც საბერძნეთში ასევე წინააზიაში. ჩვენშიც ზარებზე მზის ფრინველის გამოსახვა რელიგიური

ზენაარსის შემცველი აზრის კარნახით უნდა იყოს გამოწვეული. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს და გარკვეულად ადასტურებს საირხის აღმოჩენა, სადაც რიტუალური წესის მიხედვით დაკრძალულ ცხენებს, რომლებიც დიდებულთა კუთვნილებაა, ზარებთან ერთად ამკობდა არწივის გამოსახულება, არწივისა, რომელიც მზის ფრინველად ითვლებოდა და რომელსაც ზეცაში მიჰქონდა გარდაცვლილ უფლისწულთა სულები.

რგოლები ბრინჯაოსი 5 ცალი, დაფიქსირდა ცხენის ნეკნებთან მუცლის არეში. რგოლები ჩამოსხმულია და ყველა ერთნაირი ფორმისაა, მცირე განსხვავებაა ზომებში. ყველაზე დიდი ზომის დმ. 56 მმ-ია, უმცირესი დმ. კი 32 მმ-ია. ასეთ რგოლებს შეიცავს ითხვისისა<sup>88</sup> და ყანჩათის<sup>89</sup> ადრეანტიკური ხანის სამარხები. საფიქრალია, რომ რგოლები მოსართავის მოსაჭერად ყოფილიყო გამოყენებული, მართალია სამარხში უნაგირის კვალი არ შეინიშნება და შესაძლოა იგი ამ დროს არც არსებობდა, მაგრამ ასურულ და სპარსულ<sup>90</sup> რელიეფებზე გამოსახულ ცხენებს ამკობდა სქელი ქსოვილისა თუ ტყავისაგან გამოქრილი მოხდენილი საჭდომები, რომელიც ცხენებს მკერდზე და მუცელზე თასმებით აქვთ მოჭერილი. ბრინჯაოს რგოლები სწორედ ასეთი თასმების დასამაგრებელი აბზინდის შემცველი უნდა იყოს.

სამარხის მეორე ნაწილში აღმოჩენილი ოქროს სამკაული. საყურეები (საკიდები) დაფიქსირდა დანახიზრებული ძელებიანი მოედნის სამხრეთ ნაწილში, მოხვედრილი არიან ცეცხლში და საგრძნობლად დაზიანებულნი. ერთი მათგანი კარგადაა შემონახული, ჰერითული ბურთულა რგოლზე უძრავადაა დამაგრებული. რგოლი ოვალურია, შემკულია ორნამენტული სარტყლით, რომელსაც ვარდული ჰქონია და გამლღვარა. ბურთულა სფერულია, მისი ჰორიზონტალური სარტყლები ფრინველთა (არწივების?) მინიატურულ ქანდაკებების რიგს წარმოადგენს, რომელთა ქვემოთ რგოლზე შეკიდულია მარცვლისებური, ზოგ შემთხვევაში რკოსებური ფორმის საკიდები. ფრინველის გამოსახულება, რომელიც მკერდსა და თავს გამოხატავს ფუყეა, მიღებულია ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილივით. მასზე გამოკვეთილია ფრინველის ნისკარტი და ყელი, თვლები აღნიშნულია მათულშემოვლებული ცვარათი. ოქროს ძეწკვი, რომელზედაც საკიდებია შემბმული, შედგენილია ორად მოკვეცილი რვიანისებური რგოლებისაგან. საკიდები ფუყეა, შედგენილია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილივით. ზომები: სიმაღლე 104 მმ., ბურთულას დმ. 40 მმ. მეორე საყურე აღწერილის ანალოგიურია და ძალზე დაზიანებულია ცეცხლისაგან, ზოგიერთი დეტალი გამლღვალა და ერთმანეთთანაა შედუღებული. საკიდების უმრავლესობა მომძვარალია და რგოლიც მოტეხილი აქვს. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ფრინველთა თავებისაგან შემდგარი სარტყელი (ტაბ. IV<sub>1</sub>).

ეს სამკაული გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჰერითულბურთულიან საყურებთან. მათზე კვლევ გვხვდება გახსნილი, ბოლოგახვრეტილი რგოლი, შემკული ორნამენტული სარტყლით და ვარდულთ, რაც ერთ-ერთი განმსაზღვრე-

ლი ნიშანი საქართველოს ადრეანტიკური ხანის საყურეებისა<sup>91</sup>! მიუხედავად ამისა სამკაულის ეს ტიპი თავის აგებულებითა და შემადგენელი ელემენტებით მაინც განსხვავებულია სხვა ჰვრიულბურთულიანი საყურეებისაგან, რომლებიც უძრავი ელემენტებისაგანაა შედგენილი. საირხული ცალები, მიუხედავად იმისა, რომ მასზე არაა წარმოდგენილი მრგვალი ქანდაკება, საერთოს პოულობს ვანის ფიგურულსაკიდიან საყურეებთან<sup>92</sup>, ახალგორის საკიდებთან<sup>93</sup>, მათთვის დამახასიათებელია მოძრავი დეტალები და ამ დეტალების ფორმების ერთიანობა. ამას რომ ვამბობთ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ძეწკვზე შებმული საკიდები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში სავსებით ერთნაირია. ამ მხრივ პარალელად გამოდგებოდა ვოლგისპირეთში „საზანკოენ ბუგორის“ სამაროვანზე აღმოჩენილი ფიგურულსაკიდიანი საყურეები, წარჩინებული სავრმარტის სამარხიდან<sup>94</sup>, რომელიც ვანის საკიდიან საყურეებთან მსგავსების გამო, საქართველოდან გატანილად მიაჩნიათ<sup>95</sup>. ეს საყურეები, ისე როგორც ვანური, ფეოდოსიური<sup>96</sup>, ახალგორული და საირხული რთული ელემენტებისგანაა შედგენილი. მართალია ამ უკანასკნელზე წარმოდგენილი არ არის მრგვალი ქანდაკება, მაგრამ მის სარტყელს ამკობს შესანიშნავად ნახელავი ფრინველის სტილიზებული გამოსახულებანი, რაც შესძლოა ამ სამკაულების არქაულობის ნიშანი იყოს. მომდევნო ხანის საკიდიან საყურეებზე ქრება ჰვრიული ბურთულა და მას მინიატურული ქანდაკებები ცვლიან. თუ ეს ასეა, მაშინ მთლად მართებული არ უნდა იყოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ტიპის საყურეებს საფუძველი ეყრება წინარეელისიტურ ხანაში, კლასიკური ხანის დასასრულს<sup>97</sup>. საირხული საყურეები, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, კლასიკური ხანის შუა პერიოდს მიეკუთვნება და ისინი სწორედ ვანის ფიგურულსაკიდიანი საყურეების წინამორბედი უნდა იყოს, რომლებიც გენეტიკურად დაკავშირებული ჩანს წინარეანტიკური ხანის ბრინჯაოს კოლხურ საკიდიან სამკაულებთან. ამდენად საირხული ცალები კოლხური ოქრომჭედლობის საეტაპო ძეგლებად შეიძლება მივიჩნიოთ. ისინი ნამდვილად წარმოადგენენ ადრეანტიკური ხანის ქართული საიუველირო ხელოვნების შედევრებს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლები ცეცხლისაგან საგრძნობლად დაზიანებულია, მაინც წარმოგვიდგება როგორც „სამეფო“ სამკაული და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ ისინი არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ადრეანტიკური ხანის ოქროს ნივთებს შორის ყველაზე მძიმე წონისანი არიან (224 გრ.) ვანის ოქროს სამაჯურების შემდეგ, რაც ერთგვარად მისი მფლობელის სოციალურ-ეკონომიურ სიძლიერეზე მიუთითებს.

**მილაკი** (მძივი) ოქროსი, აღმოჩნდა საყურეებთან ახლოს, კიდებზე დაკეცილი მავთულია შემოვლებული. შუა სარტყელი შემკულია ცვარათი გამოყვანილი რომების რიგებით. ცვარას რიგებს შორის სადა მავთულია დარჩილი. ზომები: სიგრძე 15 მმ., დმ. 6 მმ. (ტაბ. XXVIIკ). მილაკი დამახასიათებელი ნივთია ადრეანტიკურ-ელისიტური<sup>98</sup> ხანის მდიდრული კომპლექსები-

სათვის, გვხვდება სხვადასხვა ზომის და ფორმის მილაკებისაგან შედგენილი ყელსაბამები. ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი დაკეპნილი და სადა მავთულისაგან შედგენილი მილაკი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს საირხულთან, თუშცა ეს უკანასკნელი შედარებით დიდი ზომისაა და შემკულობითაც განსხვავებულია.

**ფირფიტა** ოქროსი აღმოჩენილია საყურეებთან ერთად, ოთხკუთხედი ფორმის, სადა ზედაპირიანი, მომრგვალებული კუთხებისა და კიდეების გასწვრივ ოცდახუთი ნახვრეტია შემორჩენილი. ზომები: სიგრძე 96 მმ; სიგანე 25 მმ. (ტაბ. XXVII<sub>4</sub>). ფირფიტებიც დამახასიათებელი ნივთია ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამარხებისათვის. მათი უმრავლესობა სხვადასხვა სიუყეცების შემცველი სცენებითა და ორნამენტითაა შემკული. საირხული ფირფიტის დანიშნულება გაურკვეველია. შემორჩენილი ნახვრეტები მიუთითებს, რომ იგი რაღაც საგანზე ყოფილა დამაგრებული.

**საკიდი** ოქროსი, აღმოჩნდა დანახშირებული ძელების მოედნის შუაგულში. სამკუთხედი ფორმისაა, მორკალული წვერი ერთი შეხედვით არწივის ნისკარტს მოგვაგონებს. მიღებულია ორი გამოტვიფრული ფირფიტის ერთმანეთზე შირჩილვით. რჩილვის ხაზზე, დიდი გვერდის ზედა ნაწილში დაკეპნილი და სადა მავთულით შედგენილი სარტყელია მირჩილული. საკიდის ზედა ნაწილში ამოტვიფრულია ირიბი ღარების, რკალებისა და ირიბი ჰედებისაგან შედგენილი ორნამენტული სარტყელი. საკიდის ერთ მხარეს ნახევარმთვარისებური ჰრილია, სადაც ჰდეული მავთულით შემოფარგული ვიწრო ფირფიტა ჩასმული: საკიდის ზემოთ სადა მავთულისაგან გაკეთებული ოთხი ყუნწია მირჩილული. ზომები: სიმაღლე 35 მმ; სიგანე 49 მმ. (ტაბ. III<sub>2</sub>).

ოქროს საკიდების მახლობლად, მისგან 60—80 სმ. რადიუსში დაფიქსირდა დიდი და მცირე ზომის ოქროს ნაღვენთები. ზოგ შემთხვევაში აშკარად ეტყობა, რომ ეს არის ცეცხლისაგან გამლვალი ნივთი, სოლო ზოგიერთი სრულიად გამდნარია და ცრემლის ფორმის ორმოცდაათამდე ბურთულის სახითაა წარმოდგენილი. ახლა ძნელია თქმა, თუ რას წარმოადგენდა ეს ბურთულები გაღობამდე, მაგრამ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისინი იყო ყელსაბამის შემადგენელი ელემენტები, რომლის ცენტრალურ საკიდს (ისე როგორც ეს ვანის ამ სახის სამკაულზე გვხვდება)<sup>99</sup>, ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი არწივის ნისკარტისებური ფორმის ოქროს ფირფიტა წარმოადგენდა.

**იმპორტული კერამიკა** როგორც უკვე აღვნიშნეთ სამარხის პირველ და მეორე ნაწილში აღმოჩნდა ბერძნული კერამიკის ნიმუშები: ნატეხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მრავალადა წარმოდგენილი ლეკითოსები. მათ შორის ორი თითქმის მთლიანად აღდგა. ერთი ლეკითოსი: სამარხის პირველ ნაწილში აღმოჩნდა, მეორე მიცვალებულის თავის ქალის სამხრეთით, ცხენის უკანა კიდურების ქვეშ. ესაა ცილინდრულტანიანი, თეთრფონიანი, შავფიგურაანი ლეკითოსი, რომელსაც საშუალო სიმაღლის ვიწრო ყელი, რკალური ყური და დისკოსებური ქუსლი აქვს. იგი ნაძერწია ღია ნარინჯისფერი თიხისაგან, ტანის

ცილინდრული ნაწილი დაფარულია რძისფერი ანგობით, რომელიც ზოგან გადაქერცილია. ისე როგორც მის ფონზე შავი ლაკით შესრულებული ნახატი. ლეკითოსის მხარი შემკულია რადიალურად განლაგებული მოკლე და გრძელი სხივების ორი რიგით. ტანის წინა მხარეზე გამოხატულია ორ ხაზს შორის ჩასმული, ქადრაკულად განლაგებული სამკუთხედების რიგი. შუა ნაწილში გამოხატულია სუროს ტოტი, ოთხ-ოთხი ფოთლითა და სამ-სამი ყვავილით: სიმაღლე 22 სმ; ტანის დმ. 6,7 სმ; ქუსლის დმ. 5 სმ. (ტაბ. III<sub>3</sub>).

მეორე ლეკითოსი აღმოჩნდა ქვაყრილში B<sub>3</sub> კვადრატში ისიც ცილინდრულ-ტანიანია. თეთრფონიანი, შავფიგურიანი ქურჭელია, ზემოთ აღწერილ ნიმუშთან შედარებით უფრო პატარაა. თეთრი ანგობით დაფარულ მის ზედაპირზე შავი ლაკით შესრულებული ნახატია წარმოდგენილი. ტანის ქვედა ნაწილი და ქუსლის ზედა სივრცე შავი ლაკითაა დაფარული. ტანის წინა ნაწილზე შესრულებული ნახატი განლაგებულია ჰორიზონტალურ ხაზებად. ნახატი წარმოადგენს ზუთრიგა უჯრედოვან სარტყელში მოქცეულ პალმეტებს. ზომები: სიმაღლე 13 სმ; ტანის შუა დმ. 5,5 სმ; ქუსლის დმ. 4,6 სმ. (ტაბ. III<sub>2</sub>). ორივე ლეკითოსი ეკუთვნის ძვ. წ. V ს. პირველ ნახევარში გავრცელებულ პატარა ცილინდრულ, ჯამბიერობრივანთა ჯგუფს<sup>100</sup>, მხატვრობის თვალსაზრისით, შავფიგურული გეომეტრიული და მცენარეული მოტივებით შემკულ ლეკითოსებს, რომლებიც საგანგებო სამეცნიერო ლიტერატურაში შაბლონურ ლეკითოსების სახელწოდებითაა ცნობილი ძვ. წ. V ს. შუა ხანებში მოღვაწე „ბელდამის“ მხატვრის სახელოსნოს მიკუთვნება<sup>101</sup>. სახელოსნო შავფიგურიანი კერამიკის უკანასკნელი მნიშვნელოვანი ჯგუფის მწარმოებლად ითვლება. „ბელდამის“ ოსტატის სახელოსნოდან გამოსული შაბლონურ-ორნამენტური ლეკითოსები პოპულარობით სარგებლობდა. ეს ქურჭელი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საბერძნეთში და მის გარეთაც. სიცილიაში, ესპანეთში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ფინიკიაში, ყირიმში, ბულგარეთში. ისინი გამოქვეყნებულია ცალკეულ გამოკვლევებში და საგანგებოდ ბერძნულ კერამიკისადმი მიძღვნილ კორპუსებში<sup>102</sup>. საბჭოთა პუბლიკაციებიდან ცნობილია ხერსონესის, დნეპრისპირეთის გათხრისას აღმოჩენილი ნიმუშები<sup>103</sup>, ოლგიაში აღმოჩენილი რამდენიმე ცალი გამოქვეყნებულია პოლონეთში<sup>104</sup>. საირხის მსგავსი ლეკითოსები საქართველოში აღმოჩენილია ფუკენარის ბერძნულ მონასტრის ძვ. წ. V—IV სს. ნეკროპოლისზე<sup>105</sup>; ფრაკმენტის სახითაა წარმოდგენილი ვანის სამარხებშიც<sup>106</sup>. შედარებითი ანალიზი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საირხის თეთრფონიანი, შავფიგურიანი ლეკითოსები დაშვადებულია „ბელდამის“ მხატვრის სახელოსნოში, რომელიც საბერძნეთში, ათენის ოლქში, ატიკაში არსებობდა ძვ. წ. 470—450 წლებში.

შავლაქიანი ჯამი აღმოჩნდა ქვაყრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კოლხურ ქურჭლებთან ერთად. საინტერესოა, რომ ჯამის პირკედლის ერთი ნაწილი ნისგან სამზრეთით 1 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა. ჯამი აღდგენილია, ნაკლული, სწორპროფილიანი თხელი ოდნავ კალთავადახრილი ქუსლი აქვს. ტანის მომრგვალებული ქვედა ნაწილის გადასვლა ქუსლისაკენ ხაზგასმულია წერილი



ირველივით ღარივით. ქუთისის ქვედა ზედაპირის ცენტრში პატარა ბურცობია. ფაქიზი ნაწებურიანი წრივით. ჭურჭელი მთლიანად დაფარულია შავი. კარგი ხარისხის ლაკით. ფსკერის ზედაპირი შემკულია ფაქიზად დატანილი შტამპით, ხოლო წრეზე მონაცვლეობით პალმეტები და ლოტოსის ყვავილებია დატანილი. ზომები: სიმაღლე 6 სმ; პირის დმ. 11 სმ; ქუთისის დმ. 7,5 სმ. (ტაბ. XXVIIe).

ამგვარი პატარა ზომის ჯამები საზოგადოდ გავრცელებული იყო ძვ. წ. V—IV სს-ში. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. V საუკუნეში ჭურჭლების პროფილი წარმოადგენს ერთიან მრუდს, მისი ქუთისი მსუბუქია, ხოლო ძვ. წ. IV საუკუნის ამ ხანის ნაწარმს ქუთისი უმიძიდება და პირის კიდე ხშირად გარეთაა გადმოხრილი<sup>107</sup>. ეს ფორმა ძვ. წ. V საუკუნეში შეიქმნა და მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად პოპულარული იყო, მაინც ძვ. წ. V საუკუნის ბოლომდე იარსება. ამ სახეობის ჭურჭლის სახელოსნოებშიც ატიკაში იყო. საჩხერის რაიონში ატიკური შტამპიანი ჯამის აღმოჩენის ეს მეორე შემთხვევაა<sup>108</sup>. შტამპი პირველად ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედის ატიკურ უფხუო ჯამებზე გვხვდება. ეს მოკრძალებული სამკაული, რომელიც გამოწვამდეა ჭურჭელზე შესრულებული, თავიდან მარტივი და პატარა იყო, V საუკუნის მესამე მეოთხედში სრულდება ხელით, ჩარხისა და სახაზავის დახმარებით და შედარებით უფრო ფაქიზ ნახატს წარმოადგენდა. მესამე მეოთხედის დასასრულისათვის შტამპის შემადგენელი მოტივები შეიცვალა უფრო მარტივი და მცირერიცხოვანი ელემენტებით<sup>109</sup>. საირხული ჭურჭელი ნატიფი ქუთისით, შტამპირებული ორნამენტის სიფაქიზით, პირის პროფილთა და ბოლოს ლაკის მაღალი ხარისხით ძვ. წ. V ს. მესამე მეოთხედის ბოლო პერიოდით უნდა დათარიღდეს.

ქვაყრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, შავლაკიან ჯამებთან ერთად ჩადებული იყო ადგილობრივი კოლხური კერამიკის ნაწარმი: ორი დოქი, კოკობი, ჯამი და ყურმილიანი ხელადა.

ყურმილიანი ხელადა შავი გაპრიალებული ზედაპირით, მოწითალო-ყავისფერი კეციტ, დაბალი ყელით. მკვეთრად გაფართოვებული პირით, ბიკონუსური ტანით, ბრტყელი ძირით. მილიანი ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. ზომები: სიმაღლე 9,5 სმ, მუცლის დმ. 10,4 სმ; ძირის დმ. 6,2 სმ. (ტაბ. XXIII I). წინარეანტიკურ ხანაში წარმოებული ჭურჭლის ეს ტიპი ძალზე გავრცელებულია და დიდი რაოდენობით გვხვდება ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში და სამარხეულ კომპლექსებში<sup>110</sup>. კოლხური კერამიკის ამ ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ჭურჭლის სახეობის სრულყოფილი და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემუშავებულია ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული კერამიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში<sup>111</sup>. განხილული ყურმილიანი ხელადების უმრავლესობისაგან საირხული ჭურჭელი იპით განსხვავდება, რომ იგი შედარებით დაბალყელიანია და ფართო გაშლილი პირი აქვს. ხელადის სწორ-ნაზოვანპროფილიანი, მრგვალგანიკვეთიანი მილი ჰორიზონტალური ძვიდით უერთდება ყელს. ეს ძვიდე, ყურმილიან ხელადებზე უმეტეს შემთხვევაში ოვალურგანიკვეთიანია და საგრძნობლადაა ძირს დახრილი<sup>112</sup>. ჭურჭლის ტანი,

რომელიც უორნამენტოა, ნაკლებად ბიკონუსურია. ამრიგად საირხული ჭურჭელი თავისი არქიტექტონიკით უფრო არქაულ იერს ატარებს და მეოთხე საუკუნის მკვეთრად ბიკონუსურტანიან, ორნამენტარებულ ყურმილიანი ხელადებისაგან საგრძნობლად განსხვავდება.

**დოქი** თიხის, ვაპრიალებული ზედაპირით, ფართო გადმოშლილი პირით, საშუალო სიმაღლის ყელით, მკვეთრად დაქანებული მხრებით, ფართო მუცლით, ბრტყელი ძირით. ყური მიძერწილი აქვს მხარზე და პირზე. ზომები: სიმაღლე 20 სმ; მუცლის დმ. 16,5 სმ; ძირის დმ. 7,2 სმ. (ტაბ. XXVII<sub>1</sub>₃).

**დოქი** თიხის, შავი ვაპრიალებული ზედაპირით, ვიწრო ყელით, გადმოშლილი პირით, ფართო გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. ყური მიძერწილი აქვს პირზე და მხარზე. ზომები: სიმაღლე 12,6 სმ; პირის დმ. 7 სმ, ძირის დმ. 6,2 სმ. (ტაბ. XXVII<sub>1</sub>₂). სუფრის ჭურჭლის ეს ტიპიც დამახასიათებელია ძვ. წ. VI—IV საუკუნეების სამეთუნეო ნაწარმისათვის და თითქმის იმეორებს მოდინახეს<sup>13</sup> და ითხვისის<sup>14</sup> ძვ. წ. V—IV საუკუნით დათარიღებული სამარხეული კომპლექსების შეპრიალა დოქებს.

**ჯამი** მოწითალო ფერის ქარსმინარევებიანი თიხისა, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი. ზომები: სიმაღლე 2,5 სმ; პირის დმ. 9,8 სმ; (ტაბ. XXVIII<sub>1</sub>₄).

ნამოსახლარი ფენიდან მომდინარე სამეთუნეო ნაწარმის განხილვისას უკვე აღვნიშნეთ, რომ პირმოყრილი, ბრტყელძირიანი ჯამები ადრეანტიკურ ხანაში ფართოდაა გავრცელებული. ამ მხრივ არც სამარხეული მასალა წარმოადგენს გამონაკლისს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ სახის ჯამები ადრეანტიკური ხანის სასუფრე ჭურჭლის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა.

**კოკობი** თიხის, შეპრიალა ზედაპირით, პირგადმოშლილი, ფართო გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით, ყური მიძერწილი აქვს მხარზე და მუცელზე. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 9,5 სმ; უდიდესი დმ. 11,7 სმ; ძირის დმ. 7 სმ; (ტაბ. XXVIII<sub>1</sub>₃).

კოკობები ძირითადად სასმისებად გამოიყენებოდა, მაგრამ ამ სახის მოზრდილ ჭურჭლებს, როგორც ჩანს ქოთნებად ხმარობდნენ, ამიტომ მათ კოკობისებური ქოთანიც შეიძლება ვუწოდოთ. მსგავსი ჭურჭელი დროის დიდ მონაკვეთში ჩანს გავრცელებული. ოდნავ ფორამაშეცვლილი სახით დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც წინარეანტიკურ, ასევე ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაპოვარში<sup>15</sup>.

ქეყარლის ჩრდილო-დასავლეთ ყუთხეში ბერძნულ პალმეტიან ჯამთან და ადგილობრივ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა მინის ალაბასტრონი (სანელსაცხებლე). დამზადებულია მოთეთრო, რძისფერი გაუმჭვრიავლე მინისაგან. ჭურჭელს დისკოსებური ფართო ბრტყელი პირი, დაბალი, მკვეთრად შევიწროებული ყელი და გრძელი ცილინდრული ტანი აქვს. მხრებზე ასიმეტრიულად მიმაგრებულია თეთრი ფერის, დაუღვევრად ნაკეთები მომცრო რგოლები — ცრუ ყურები, რომელთა მიმაგრების დროს სიგრძეზე ჩამოღვენთილი მინა მაღალი წვეტიანი შერჩელებით მთავრდება. ალაბასტრონის ზედაპირი სხვადასხვა მიმართუ-

ლებს, უსისტემოდ განლაგებული წვრილი ამოღარული ხაზებითაა დაფარული. ჭურჭლის ზედაპირი შემკულია მუქი ყავისფერი ზიგზაგური ძაფების რამდენიმე რიგით. ალბასტრონი სქელკედლიანია, კედელი ყველგან თანაბარი სისქი-საა. ზედაპირი გაპირილებულია, მინა მსუბუქად ირიზებულია და ფაიფურივით ბრწყინავს. ჭურჭელს აკლია ქვედა ნაწილი, ზედა აღდგენილია. ზომები: პირის დმ. 34 მმ; შემორჩენილი ტანის სიგრძე 4,2 სმ; (ტაბ. III<sub>4</sub>).

საირხეში აღმოჩენილი ალბასტრონი მიეკუთვნება პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული მთელ ხმელთაშუა-ზღვისპირეთში. იგი ქვიშის გულაზე ჩამოსხმის ტექნიკით დამზადებულ მინის ჭურჭელს წარმოადგენს<sup>116</sup>.

პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლებების ტიპოლოგიური და ქრონოლო-გიური კლასიფიკაცია პ. ფოსინგმა შეიმუშავა. მან საირხის ტიპის ალბასტრონე-ბი, ისევე როგორც ამფორისკები და ოინოხოები, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით დაათარილა<sup>117</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს სანელსაცხებლების კონკრეტული დათარიღება. პ. ფოსინგის ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს და ამიტომ ცალკეული ეგზემპლარების თარიღის განსაზღვრა იმ სა-მარხეული კომპლექსების ძიხედვით ხდება, რომელთაც ერთად სანელსაცხებ-ლეა მოპოვებული. ა. ვოშჩინინამ ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი საირხის ტიპის ალბასტრონი სამარხეულ კომპლექსზე დაყრდნობით დაათარი-ლა ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრითა და IV ს. დასაწყისით<sup>118</sup>. ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიაკუთვნებენ აპოლონიის ნეკროპოლზე<sup>119</sup> და ფიჭვნარ-ში ბერძენი მოახალშენის № 5 სამარხში მოპოვებულ ალბასტრონებს<sup>120</sup>. ეს ალბასტრონები იმდენადაა საირხელის მსგავსი, რომ მათი ერთი და იგივე სა-ხელოსნო ცენტრიდან მომდინარეობაც კია სავარაუდებელი. რაც შეეხება სა-კითხს ალბასტრონების წარმომავლობის შესახებ, დღემდე გაურკვეველია სად მდებარეობდა მათი საწარმოო ცენტრები. ემყარებოდნენ რა პლინიუსის ცნო-ბას, მინის წარმოების ჩასახვას მკვლევარები ფინიკიაში ვარაუდობენ. არქეო-ლოგიური აღმოჩენების მიხედვით, ერთ ხანს მინის სამშობლოდ ეგვიპტე იყო მიჩნეული, მაგრამ უკანასკნელი მონაპოვრებისა და ძველადმოსავლური ტექს-ტების გაშიფვრის შემდეგ დადგინდა, რომ მინის წარმოება აზიაში ჩაისახა ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებში. ეს ვრცელი და საინტერესო ისტორია სცილ-დება ჩვენი კვლევის სავანს<sup>121</sup> და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებში ხმელთაშუა ზღვის აუზში ხდება მინის მრეწველო-ბის ხელახალი აყვავება და საბერძნეთიდან სავაჭრო ურთიერთობის წყალობით სანელსაცხებლები ჩრდილო<sup>122</sup> და დასავლეთ შავიზღვისპირეთის გარდა საქარ-თველოს სანაპირო ზოლშიც ვრცელდება<sup>123</sup> და გზას იკვლევს ქვეყნის სიღრმე-შიც. ამ დროისათვის ვარაუდობენ მინის და კერძოდ სანელსაცხებლებების რამ-დენიმე საწარმოო ცენტრს: კორინთოში, როდოსზე<sup>124</sup> და ატიკაში. საირხეში ატიკურ თიხის ჭურჭლებთან ერთად ალბასტრონის აღმოჩენის ფაქტი გარკვე-ულად ადასტურებს მოსაზრებას, რომლის თანახმად ჩრდილო შავიზღვისპა-

რეთში მოპოვებული ალბასტრონები ატიკური მინის პროდუქციიდანაა მიჩნეული<sup>125</sup>. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნაშრომში ალბასტრონი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ფინიკური ნაწარმად ითვლება<sup>126</sup>.

ძელებთან მოედანზე, სხვადასხვა ადგილზე, დიდი რაოდენობით იყო მიმოფანტული სპილენძის თხელი ფირფიტისაგან გამოკვერილი ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები და რამდენიმე ყური. ფრაგმენტებიდან ჭურჭლის ნაწილობრივი რესტავაციაც კი შეუძლებელია და ამ მიზეზის გამო მის ფორმაზე წარმოდგენის შექმნა არ ხერხდება. მაგრამ ყურების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი წარმოადგენენ კოლხეთში ფართოდ გავრცელებულ ბრინჯაოს სიტულებს.

კამერის იმ ნაწილში, სადაც ცხენები და მიცვალებულები იყო დაკრძალული, შუა ადგილზე, მეოთხე და მეხუთე ცხენებს შორის იდგა დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბი. ჭურჭელი რთული ტექნიკითაა ნაკეთები, აწყობილია წინასწარ გამოკვერილი. თარგზე აქრილი სპილენძის ათი ფურცლისაგან, ფურცლებს გვერდები ერთმანეთზე აქვთ გადადებული და მთელ სიგრძეზე, ყელიდან ძირამდე თანაბარი მანძილით დაშორებული, წინასწარ დამზადებული მანჭვლებითაა ჩაკვერილი. ასეთი ტექნიკით ერთმანეთთან დაკავშირებული ფურცლები ქმნიან ჭურჭლის ყელსა და ტანს. ქვაბის მრგვალი ძირი ცალკეა გამოჭრილი და ფურცლების ბოლოები თანაბარი მანძილით დაშორებული მანჭვლების ორი მწკრივით არის ჩაკვერილ-გადაკვერილი. მხარზე ერთმანეთის საპირისპირო მხარეს მიჭედელი აქვს ბრინჯაოს მრგვალგანიცვეთიანი მასიური ღეროსაგან გაკეთებული ოთხი ყური. ზომები: სიმაღლე 47 სმ; პირყელის სიმაღლე 7,05 სმ; მუცლის დმ. 68 სმ; პირის დმ. 42 სმ. (ტაბ. XXVIIII). როგორც უკვე აღვნიშნეთ ბრინჯაოს ქვაბები ე. წ. კოლხური სიტულები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ქართული კულტურის წრეებში. ცალკეული ცალები აღმოჩენილია ჩრდილო კავკასიაში და უკრაინაშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში ბრინჯაოს ჭურჭლების გენეზისისა და გავრცელების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს<sup>127</sup>. ჩვენში აღმოჩენილი სიტულების უძრავლესობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ელინისტური ხანის უცხოურ ნიმუშებს<sup>128</sup> საერთო ნიშნებით ხასიათდებიან. მოძრავსახელურიანი, ზომომრიფულყურიანი ბრინჯაოს სიტულები აღმოჩენილი, ლეჩხუმში, რაჭაში, აჭარაში, სამეგრელოში, იმერეთში<sup>129</sup>, სამხრეთ ოსეთში<sup>130</sup> დროის დიდ მონაკვეთში ჩანან გავრცელებული. მაგრამ მათ არჩიტაქტონიკაში ერთიანი გენეტიკური კავშირი გამოსჭვივები, რაც არ შეიძლება ითქვას საირხეში ახლად აღმოჩენილი ჭურჭლის მიმართ. მხოლოდ დამზადების ტექნიკა და ფართო შალაი ყელი აკავშირებს მას ბრინჯაოს კოლხურ სიტულებთან. განსხვავება უპირველეს ყოვლისა მისი დანიშნულებით უნდა იყოს განპირობებული. ასეთი დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი (დაახლოებით 80 ლიტრის ტევადობის) უნიკალურია დასავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს იყო საყუდლო-სააღაპო ქვაბი, მსგავსი სვანური და ფშავ-ხევსურულისა, რომელიც ზვარაკი იხარშებოდა.

ამით მთავრდება სამარხში აღმოჩენილი მასალის განხილვა. აქ მოპოვებული პატერნალური და მხატვრული კულტურის ძეგლები ძირითადად ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. ზოგიერთი ნივთის არქაული ფორმა გაცილებით ადრეულ ხანაზე მიუთითებს, მაგრამ იმპორტული მასალა აზუსტებს თარიღს და სამარხის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარის შუა ხანები უფროა სავარაუდებელი.

აკლდამა № 8 მდებარეობდა -საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 4,80 მეტრზე E<sub>2</sub> კვადრატში, ელინისტური ხანის კულტურული ფენის ქვეშ. მშრალად წყობილი კედლის თავზე, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო დამხრობილი თავდაპირველად საშუალო ზომის შესანიშნავად ნაჭედი რკინის ლურსმნები გამოჩნდა. ლურსმნები, რომელიც კედლის თავში და ბოლოში დაფიქსირდა (ოთხ-ოთხი ცალი) ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით იყო დაცლებული და სრულიად აშკარად იკითხებოდა, რომ (შემორჩენილი ჰქონდა ხის კვალი) ერთ დროს ისინი აკლდამის აღმოსავლეთის კედლის ძელებს ამაგრებდნენ (ტაბ. XXI X<sub>1</sub>). მართკუთხა ფორმის სამარხნაგებობის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს წყობა შემორჩენილი ჰქონდათ, ხოლო დასავლეთისა ჩამოშლილი და მთლიანად დანგრეული იყო. ჩანდა, რომ მიწაში ღრმად ჩაჭრილი ორმო ჯერ მშრალად წყობილი ქვის კედლებით ამოაპირკეთეს, მერე ხის ძელებით ამოაშენეს აკლდამა, დაქრძალვის შემდეგ გადახურეს და ქვაყრილის სქელი ფენით დაფარეს. ქვაყრილი, რომელიც ალაგ-ალაგ ორი მეტრის სისქისა იყო და 35 კვ. მ. ფართობი ეკავა, თითქმის ორი თვის მანძილზე იწმინდებოდა. ასეთი ხანგრძლივი და რთული სამუშაოს მიზეზი იყო ის, რომ ქვაყრილის მთელ სიღრმეზე ჩნდებოდა მნიშვნელოვანი და ძალზე მცირე ელემენტებისაგან შედგენილი სამკაულის ნაწილები: ოქროს იოტები, ოქროსაგან გამოტვიფრული ცხენის მცირე ქანდაკება, ყელსაბამის საკიდი და ამ ყელსაბამის შემადგენელი ოქროს მილაკები, აქვე იყო შედარებით მოზრდილი ოქროს მძივები და მთვარისებური ფორმის ოქროს საკიდები მეორე ყელსაბამისათვის. ქვებს შორის ეგდო ცვარათი შემკული ნახევარმთვარისებური ოქროს საყურე და ოქროს ფირფიტა, რომლის ზედაპირი ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგითაა შემკული. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ვერცხლის კოლხური მონეტა და რკინის ჯავშნის ფირფიტები, ბრინჯაოს ისრის პირები და ქვეშეში საგანგებოდ ჩალეწილი ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის უამრავი ფრაგმენტი. ყველაფერი ეს სააღაპო შეწირულობანი უნდა იყოს, რომელიც დაქრძალვის რიტუალის დროს ქვებთან ერთად აკლდამას ზემოდან დააყარეს. იმპროვიზებული სარიტუალო წესების აღდგენა ძნელი საქმეა, მაგრამ ის, რომ რთულ პროცესს მოიცავდა და ყველაფერი დადგენილი რელიგიური რიტუალით ხდებოდა, ამას კარგად ადასტურებს მეხუთე და მერვე სამარხში ფიქსირებული დაქრძალვის თითქმის ერთი და იგივე წესი. ქვაყრილის აღების შემდეგ, ისე როგორც მეხუთე სამარხში, აქაც ორი კამერა გამოიკვეთა. ჩრდილოეთის კამე-

რამი. რომლის ზომა  $3,80 \times 2,80$  მ-ია დამარბული იყო ხუთი ცხენი, ორი ძაღლი და სამი ადამიანი. სამწუხაროდ მიცვალებულის ჩონჩხიდან მკლავის ძვლებისა და თავის ქალის მცირე ფრაგმენტების გარდა, თითქმის აღარაფერი იყო შემორჩენილი, ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ცხოველთა ჩონჩხები უნაკლოდაა შემონახული და მათი დაკრძალვის წესი ზედმიწევნით კარგად დაფიქსირდა. ადამიანის ჩონჩხის დამკრძობის დადგენა სხვა ნიშნებითაც შეუძლებელი გახდა. მკვლელთა სამარხში მიცვალებულები ცხენების უკან იყვნენ დაკრძალული, ხოლო მერვეში თავის ქალების ფრაგმენტები და სამკაული ცხენების თავის ქალების წინ იყო მიმოფანტული. ინვენტარიც მეხუთე სამარხთან შედარებით უფრო ლარიბულია. აღმოჩნდა შესანიშნავი ნაკეთობის ვერცხლის საკისრე რგოლები და პრიმიტიულად ნაკეთები ნახევარმთვარისებური ფორმის საყურეები, მდარე ხარისხის ოქროსი. მეხუთე სამარხისაგან განსხვავებით მერვე სამარხის არც ერთ ცხენს, გარდა ერთისა, ბრინჯაოს ზარაკებისა და რგოლების მეტი არაფერი ახლდა. მხოლოდ მესამე ცხენს აღმოაჩნდა ფრთოსანი სახეებით შემკული და სადაზღაპირიანი ავშრის ოქროს მრგვალი ბალთები. აქვე იყო ავშრის თასმის შესამკობი დიდი და მცირე ზომის ათეულობით ოქროს მილაკი. ისევე, როგორც მეხუთე სამარხში, ცხენის წინ იდგა დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბი, რომელიც შესანიშნავად ნაკეთებ სამფეხზე იყო შემოდგმული.

სამხრეთის კამერა რომლის ზომა  $3,80 \times 2,20$  მ-ია, ჩრდილოეთისაგან გამოყოფილი იყო. მშრალად წყობილი ქვის კედლით და მისგან 80 სმ. დაბლა მდებარეობდა, მიწის სიღრმეში. ორმოს ფსკერზე შემორჩენილი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვის კედლების წყობა, კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ქვების დონეზე იღო ძალზე ცუდად შემონახული ბრინჯაოს სიტულა. მისგან 80 სმ-ით ქვევით, ორმოს ცენტრში, აღმოჩნდა ვერცხლის კოლხური მონეტები, ყელსაბამის საკიდები, ვერცხლის სამაჯური, ოქროს მასიური სამაჯური და ულამაზესად ნახელავი ოქროს საყურე. აქვე დაფიქსირდა მიცვალებულის რამდენიმე კბილი და მკლავის ძვლის ნაწილი. ისე, როგორც მეხუთე სამარხის სამხრეთ კამერაში ე. წ. ძელებიან მოედანზე, აქაც კამერის დასავლეთ ნაწილში ცეცხლის კვალი შეინიშნებოდა, მაგრამ ოქროს არც ერთი ნაღვენთი არ იქნა ფიქსირებული და ნივთებიც უნაკლოდ იყო შემორჩენილი.

საკისრე რგოლი ვერცხლის, აღმოჩნდა ორმოს აღმოსავლეთ კედელთან, ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტებთან ერთად. იგი წარმოადგენს მრგვალგანიკვეთიანი ღეროსაგან დამზადებულ ყელის სამშვენს, რომელიც მოხრილი ბოლოებითაა შეკრული. შუა შემსხვილებულ ნაწილზე ოქროს ორსავე მხარეს ამოტვიფრულია ნატიფი გეომეტრიული ორნამენტი (დმ. 13 სმ).

საკისრე რგოლი ვერცხლის აღმოჩენილია სამხრეთისა და ჩრდილოეთის კამერების გამოყოფ კედელზე, მეოთხე და მესამე ცხენების თავების წინ, ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტებთან ერთად. აღწერილის ანალოგიურია, ზომა: დმ. 12,8 სმ.

საკისრე რგოლი ვერცხლის, აღმოჩენილია სამხრეთისა და ჩრდილოეთის

გამყოფ კედელზე. ნაკლულია, აღწერილის ანალოგიურია. ზომა დმ. 12 სმ. (ტაბ. X X X 2).

სამკაულის ეს ტიპი საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ჩანს გავრცელებული. გენეტიკურად ისინი შეიძლება წინარეანტიკური ხანის ბრინჯაოს საყისრე რგოლებს დაუკავშიროთ, რომლებსაც გუადინუსს სამარხეული კომპლექსები შეიცავენ და რომელთა ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. VI ს. მიჩნეული<sup>131</sup>. რაც შეეხება საირხული ცალეების თანადროულ და უახლოეს პარალელებს ისინი ითხვისის № 2<sup>132</sup> და მოდინახეს № 3 ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი ვერცხლის საყისრე რგოლების იდენტურია და მათი<sup>133</sup> ერთ სახელოსნო ცენტრში დამზადებაც კია სავარაუდებელი.

საყურე ოქროსი, 8 ცალი, აღმოჩნდა პირველი, მეორე და მესამე მიცვალებულის კუთვნილ ვერცხლის საყისრე რგოლებთან ერთად. წარმოადგენს მდარე ხარისხის ოქროსაგან ნახელაუ ნახევარმთვარისებური ფორმის ფირფიტებს, რომლებიც შესაკერელისაქენ ვიწროვდება და რომელთა ბოლოების ერთი მხარე გველის თავს გამოხატავს. ზომები: სიმაღლე 22 მმ; სიგანე 27 მმ; (ტაბ. X X X 1). ბრტყელი ნახევარმთვარისებური ფორმის საყიდები ელინისტური ხანის ოქრომწვედლობისათვისაა უფრო დამახასიათებელი. საირხული ცალეები პრიმიტიულადაა ნაკეთები, მაგრამ ტიპოლოგიურად ახალ სახეობას წარმოადგენს, რომლის მსგავსი ადრეანტიკური ხანის ადრეულ საიუველირო ხელოვნებაში არ გვხვდება. ამ საყურეების რამდენადმე უფრო დახვეწილი ცალეები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, აღმოჩენილია აქვე ელინისტური ხანის № 7 სამარხში.

ყელსაბამი ოქროსი, შედგენილი ნახევარმთვარისებური საყიდებისა და მძივების მონაცვლეობით. საყიდის მთვარისებური ფირფიტა შემოსაზღვრულია დაკეპნილი მავთულით, ქვედა კიდეზე მირჩილულია სადა მავთულით გამოყვანილი სამი ყუნწი, რომელზედაც შეკიდულია დაკეპნილი მავთულით მირჩილული მრგვალი ფირფიტები, ნახევარმთვარისებურ სამ საყიდს ზემოთ მირჩილული აქვს მილაკი, ხოლო ორს — სადა სფეროსებური მძივი. ზომები: საყიდის სიმაღლე 14 მმ—17 მმ; სიგანე 10 მმ; მძივის დმ. 3 მმ (ტაბ. X X X 3). როგორც აღწერილობიდან ჩანს, საყიდები ზოგიერთი დეტალის დამუშავებით და ზომითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა ყელსაბამის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ. ამ ფაქტზე თითქოს აღმოჩენის ვითარებაც მიუთითებს. მათი უმრავლესობა ქვაყრილში დაფიქსირდა, ხოლო სამი ცალი სამხრეთის კამერის ცენტრში, ადამიანის კბილებთან და კოლხურ მონეტებთან ერთად. ამგვარი ფორმის ყელსაბამს შეიცავს ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით დათარიღებული ვანის ნაქალაქარის № 9 სამარხი<sup>134</sup>. მისი განხილვისას ა. ჭყონია აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ძვ. წ. V ს და IV ს პირველი ნახევრის ნიმუშებისაგან გამოირჩევა ახალი ფორმითა და შემკულობის ახალი სახეებით, რომელზედაც არეკლილია ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები<sup>135</sup>. ესენია: საყიდზე შებმული მოძ-

რავი მცირე ზომის სამკუთხედები და მისი ნახევარმთვარისებური ფორმა, რომელიც ელინისტური ხანის ხელოვნებაში აღმოსავლური გავლენითაა წარმოქმნილი<sup>36</sup>.

საკიდი ოქროსი. ცხოველის გამოსახულება მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მიჩაილივით. მოგვაგონებს ცხენის გამოსახულებას, რომელსაც ღამაზად გამოყვანილი ყურები მიჩაილული აქვს რქის მსგავს რკალზე. ცხოველს რომ თავზე გვირგვინით ადგას. ქანდაკებას უკანა მხარეს ძაფზე ასაცემლად მიჩაილული აქვს კასრისებური ფორმის ტანდალარული მძივი. ზომები: გამოსახულების სიგრძე ყუნწიანად 19 მმ; სიმაღლე 16 მმ; (ტაბ. IV<sub>2</sub>).

მილაკები ოქროსი, 5 ცალი. მიღებულია სადა ფირფიტის მილად მოხრის საშუალებით. ჩრჩილვის ხაზი იკითხება, კიდეები მილაკებს დაკეპნილი მავთულით აქვს შემოსასწვრელი. ზომები: სიგრძე 10 მმ; დმ. 3 მმ; (ტაბ. IV<sub>2</sub>).

ცხოველის გამოსახულება და მილაკები გაფანტული იყო ქვაყრილში ერთმანეთის სიახლოვეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი ყელსაბამის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ. მძივებით და მილაკებით გაწყობილი ყელსაბამი. რომელთა საკიდებს ფრინველთა ან ცხოველთა გამოსახულებები წარმოადგენენ, დამახასიათებელია ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის ამ სახის სამკაულისათვის<sup>37</sup>. მაგალითად ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილ ყელსაბამზე წარმოდგენილი ჯიხვები ისეთივე პოზაშია გადმოცემული, როგორც საირხული ცხოველი<sup>38</sup>, იგი სფინქსისებურად წევს გვერდზე, ჩაღარული ხაზებით მოკეცილი ფეხებიც კია აღნიშნული. ერთი შეხედვით გამოსახულება ჯიხვს უფრო მოგვაგონებს. მის თავზე მოხრილი დალარული რკალი რქებად შეიძლება მიეჩინოთ, მაგრამ ცხოველს ზოგიერთი ნაკეთი აშკარად ცხენს მიუგავს, ეს გვირგვინისებური რკალი სამეფო ან დიდებულთა ცხენის გამოსარჩევ ნიშნადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ახალგორის საკიდებზე გამოსახულ ცხენებს უნდა ჰქონდეს რაღაც ამდაგვარი ნიშანი, რომელიც ყურებს შორის სვეტივითაა აღმართული.

საყურე ოქროსი, ნახევარმთვარისებური, აღმოჩნდა ქვაყრილში: რკალი ქვემოთკენ ნახევარმთვარისებურად აქვს შემსხვილებული. მისი საერთო ფორმა ოვალურია, გახსნილია, ბოლოებში გახვრეტილი, შემკულია ორნამენტული სარტყლით და ნატიფად ნახელავი შვიდფურცლიანი ვარდულით. ფურცლები გრძილი მავთულითაა გამოყვანილი, საყურის მთვარისებურად შემსხვილებული დაბოლოება შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით და სამკუთხედებით. ზომები: სიმაღლე 36 მმ; სიგანე 11 მმ; (ტაბ IV<sub>3</sub>).

მესუთე სამარხიდან მოპდინარე ამ ტიპის საყურეები ზემოთ უკვე განვიხილეთ და აღვნიშნეთ, რომ მდარე ოქროსაგან ნაკეთები სამკაულის ეს ტიპი განურთავნ<sup>39</sup> შედარებით გამარტივებულია და მხატვრული თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგას, მერვე სამარხის საყურის მიმართ ასეთი რამის თქმა გაპირებულია. იგი ოქრომკედლობის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. მისი რკალის წინა მხარე, მხოლოდ და მხოლოდ ამ ტიპის კოლხური საყურებისათვის არის



დამახასიათებელი და შემკულია წნული ორნამენტით, რომელიც ფაქიზად ნახე-  
ლავი ვარდულით გვირგვინდება. უნდა ითქვას, რომ საირხეში აღმოჩენილმა  
საყურებმა საგრძნობლად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საქართველოს  
ტირითორიაზე მოპოვებული ნახევარმთვარისებური საყურებებს არც თუ ისე  
მრავალფეროვანი კოლექცია და გარკვეულად შეუწყო ხელი იმ ფაქტის დადას-  
ტურებას, რომ საყურების ეს ტიპი კოლხური ოქრომქედლობის სხვადასხვა  
სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა ძვ. წ. V—IV სს-ში.

საყურე უძრავბურთულიანი ოქროსი, აღმოჩენილია სამბრეთის კამერის  
ციხეტრალურ ნაწილში. საყურე რკალზე უძრავადაა დამაგრებული. ბურ-  
თულა დაბოლოებულია პირამიდით, რგოლი შემკულია ვარდულით და ორნა-  
მენტირებული სარტყლით. ვარდულის ფურცლები დაკეჭილი მავთულითაა  
გამოყვანილი. ორნამენტირებული სარტყლის გაფართოვებულ წინა ნაწილზე  
ცვარათი შედგენილი სამკუთხედების მწკრივებია წარმოდგენილი, ხოლო ბურ-  
თულას ამკობს ცვარათი შედგენილი პირამიდები და სამკუთხედები. საყურე  
ცვარათი შედგენილი დაფანჯრული პირამიდით ბოლოვდება. ზომები: სიმაღლე  
60 მმ; ბურთულის დმ. 11 მმ; ვარდულის დმ. 9 მმ; (ტაბ. IV<sub>4</sub>). ა. ჭყონია ვანში  
აღმოჩენილი ოქროს საყურების კლასიფიკაციისას ბურთულიანი საყურების  
ოთხ ტიპს გამოყოფს. ესენია: ჭკრიულბურთულიანი, დაღარულბურთულიანი,  
დაცვარულბურთულიანი და პირამიდულბურთულიანი საყურებები<sup>140</sup>. საირხული  
ცალკე ცვარულბურთულიანი საყურების ტიპს მიეკუთვნება, მაგრამ ვარდის  
ნიმუშებისაგან საგრძნობლად განსხვავდება, როგორც ფორმით, ასევე ცალკე-  
ული დეტალების დამუშავებით. რგოლის გაფართოვებულ ზედაპირზე, ორივე  
ნაირს ვერტიკალურად ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგია ჩამწკრი-  
ვებული. ზუსტად ასეთი სურათია წარმოდგენილი ახალგორის ცხენბიანი საკი-  
დების რკალის ზედაპირზე<sup>141</sup>. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ეს  
სამკაული, რომელიც ქართული საიუველირო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს  
წარმოადგენს, რამდენადმე გააღმოსავლურებულია. ეს მომენტი საირხეში აღ-  
მოჩენილ სხვა რიგის ძეგლებზედაც შეიმჩნევა.

სამაჯური ოქროსი, გახსნილი, ზურგშეზნექილი, დაბოლოებულია ვერძის  
თავის გამოსახულებით. ღერო სადაა, მრგვალგანივკვეთიანი, ზედაპირი კარგა-  
დაა გაპრიალებული, ვერძის თავთან სამი ტანდალარული მძივისებური შემსხვი-  
ლებია. ზომები: დმ. 73 მმ; ღეროს დმ. 5 მმ; (ტაბ. IV<sub>3</sub>). ზურგშეზნექილი მასი-  
ური ოქროს სამაჯურის აღმოჩენის ეს მეორე შემთხვევაა საქართველოს ტერი-  
ტორიაზე. ამ სახის მძიმე წონის ოქროს სამაჯურები, რომელთა ბოლოები ჯიხ-  
ნის თავის სკულპტურულ გამოსახულებებს წარმოადგენენ, აღმოჩენილია ვანის  
№ 6 სამარხში<sup>142</sup>. ფორმა ამ სამაჯურებისა ერთი და იგივეა, ზურგშეზნექილი,  
მრგვალგანივკვეთიანი ღერო, როგორც ვანურის ასევე საირხულის ერთმანეთზე  
ტუნშიდებული ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდე-  
ბა, მაგრამ არსებობს განსხვავება სკულპტურების მხატვრულ დამუშავებაში  
და მისი ბოლოების გაფორმებაში. ამ მხრივ საირხული სამაჯური უფრო მეტ

მკავსებს პოულობს ახალგორის ოქროს საყისრე რგოლებთან, რომელთა ბოლოები, ისე როგორც საირხული სამაჭურებისა, მძივისებურადაა შემსხვილებული და დაღარული<sup>143</sup>. ეს დეტალი განასხვავებს საირხულ სამაჭურს არა მარტო ვანურისაგან. არამედ აქიმენიდური ირანის საიუველირო ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული ამ სახის სამკაულისგანაც. რომელიც იქ მრავალგვარი ვარიანტთააა წარმოდგენილი და რომელთა ბოლოები შემკულია თხის<sup>144</sup>, ჭიხვის, ლომისა და ფანტასტიკური არსებების თავების სკულპტურული გამოსახულებებით<sup>145</sup>. გვხვდება უფრო გართულებული სიუჟეტებიც. მაგალითად ერთ-ერთი სამაჭურის ბოლოზე გამოხატულია ლომის თავები, რომლებიც ირმებს ყლაპავენ<sup>146</sup>. ამ სამაჭურების სამშობლოდ აქიმენიანთა ირანია მიჩნეული<sup>147</sup>. საქართველოში, ისევე როგორც იმდროინდელი ირანის მთელ იმპერიაში, ისინი ძვ. წ. V ს. უნდა გავრცელებულიყო<sup>148</sup>. ჩვენში ისინი, რამდენადმე სახეცვლილი ღიჯხანს შემორჩა ხმარებაში<sup>149</sup>. ემყარება რა ქსენოფონტეს ცნობას იმის შესახებ, რომ სპარს მეფეებს ჩვევად ჰქონდათ ახლობლების ოქროს სამაჭურით დასაჩუქრება, მკვლევარი ვანის სამაჭურების საქართველოში მოხვედრას ამ ზნით ვარაუდობს<sup>150</sup>. ბერძენი მწერლების თხზულებებიდან ცნობილია, რომ დასავლეთი საქართველო არ შედიოდა ირანის იმპერიის შემადგენლობაში და სპარსი მეფეებისაგან ვასალად სასურველი, ჯერ კიდევ მოუხელთებელი ქვეყნის წარჩინებული პირის საჩუქრებით მოხიბვლა გამორიცხული არ არის. მაგრამ საქართველოში საიუველირო ხელოვნების მაღალი დონე და ახალი, ვანურისაგან და თვით აქიმენიდურისაგან რამდენადმე განსხვავებული ნიმუშების აღმოჩენა უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ეს სამაჭურები ადგილობრივ სახელოსნო ცენტრში უნდა იყოს დამზადებული, მით უმეტეს მათი წარმოშობის ცენტრი ჯერ არ არის განსაზღვრული და ფიქრობენ ისინი აქიმენიდურ სამყაროსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სხვადასხვა სახელოსნოებში მზადდებოდა<sup>151</sup>.

**სამაჭური ვერცხლისა, აღმოჩნდა ოქროს სამაჭურთან ერთად. ღერო სადაა. მრგვალგანვიკვეთიანი, ზურგშეზნეკილი. ბოლოები გახსნილი და გამსხვილებული. ზომები: სიმაღლე 55 მმ; სიგანე 67 მმ; (ტაბ. XXXI).**

**მილაკი ოქროსი. ორი ცალი, ერთი მხარე დაბოლოებულია მძივისებურ შემსხვილებებით. შემკულია ცვარათი გამოყვანილი ტენილი ხაზების ოთხი რიგით. მათი მძივისებური ფორმის ბოლოები შემკულია სიგრძივ მიმართული ცვარის რიგით. ხოლო საპირისპირო კიდეები შემოსაზღვრულია სადა მავთულით, რომლის ვარტე გამოზიდულია ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედები. ზომები: ერთი მილაკის სიგრძე 25 მმ; მეორესი 22 მმ; ღეროს დმ. 6 მმ; (ტაბ. V). მილაკი აღმოჩნდა სამხრეთის კამერის რუაგულში, მათთან ერთად დაფიქსირდა ძვლის მრგვალი, ვამპოლი ნახვრეტის მქონე ორი ფირფიტა, რომლებსაც სოკოს თავისებური მოყვანილობა აქვს. ამ მილაკების დანიშნულების დადგენა ჩვენ ვერ შევძელით. სრულიად აშკარაა, რომ სოკოს თავისებური ფორმის ძვლისაგან გამოკვეთილ ფირფიტასთან ერთად ისინი რაღაც ნივთს თუ სამკაულს შეადგენენ, მაგრამ კონკრეტულად როგორ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ძნე-**

ლი წარმოსადგენია. ანტიკური ხანის ქართულ ოქრომქედლობაში ცნობილია ცვარათი შემკული ოქროს ღერო, რომელსაც ბოლოზე ნახვრეტი აქვს და გავაო სით შემკული სოკოსებური ფორმის თავითაა დაბოლოებული, მაგრამ სამწუხაროდ მკვლევარებს არც ამ ნივთის ქეშმარიტი დანიშნულება აქვთ გარკვეული<sup>152</sup>.

ყელსაბამის საკიდები ოქროს, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის, შედგენილია ერთმანეთზე თანაბრად მირჩილული ნახვრეტიანი ფუყე მძივ-ბურთულეებისაგან. ბურთულეები მიღებულია ორი გამოტიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილის შედგად. თითოეული სამკუთხედის ფუძისეული ძირი შედგენილია ოთხი ბურთულისაგან, მომდევნო რიგი სამისაგან და ა. შ. სულ სამარხში 20 ცალი ასეთი საკიდი აღმოჩნდა. 6 ცალი შედარებით დიდი ზომისაა: სიმაღლე 12 მმ; ფუძისეული გვერდის სიგრძე 12 მმ; დანარჩენი 14 ცალის სიმაღლე 10 მმ; ფუძისეული გვერდის სიგრძე 10 მმ; ამ საგნის დანიშნულება დღემდე გარკვეული არ იყო. მსგავსი საკიდები, რომელიც თითქმის იდენტურია ახალგორის განძში შეპაეალ საკიდებისა, აღმოჩნდა აქვე საირხის № 1 და № 10 სამარხში, მათ შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ფირფიტა ოქროსი, სწორკუთხა ფორმის. კიდებთან სიგრძეზე შემოუყვება ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგი, სიგრძეზე ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ნახვრეტი აქვს. ზომა: 33 X 22 მმ. ოქროს ფირფიტები დამახასიათებელი ნივთია ანტიკურ-ელინისტური ხანის მდიდრული არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. ირნამენით შემკული რამდენიმე ფირფიტა აღმოჩნდა № 1 სამარხში, მათი დანიშნულებისა და რაობის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

მძივები ოქროსი 2 ცალი, კასრისებური ფორმის, სადა დაღარულზედაპირიანი, გამოტიფრულია მთლიანი ფირფიტისაგან, ფართო ნახვრეტის ორივე მხარეს მავთული აქვს შემოვლებული. ზომები: სიმაღლე 7 მმ; დმ. 9 მმ: (ტაბ. XXXI<sub>2</sub>). ამ სახის მძივები აღმოჩნდა ეანის ნაქალაქარის ელინისტური ხანის დასასრულით დათარიღებულ კომპლექსებში<sup>153</sup>.

ფარაკიანი ბეჭედი ბრინჯაოსი, აღმოჩნდა სამხრეთის კაპერის ცენტრალურ ნაწილში, მიცვალბულის ძელების ფრაგმენტებთან ერთად. ბეჭდის რკალი თანაბარი სისქისაა, მხოლოდ ფარაკთანაა ოდნავ შემსხვილებული. შიგნიდან ზრტყელი, გარედან ამობურცული და მთელ სიგრძეზე წახნავით შემკული, იგი უშუალოდ ფარაკში გადადის ისე, რომ ფარაკისა და რკალის შეერთების ადგილას მართი კუთხე იქმნება. ფარაკი ოვალურია, ბოლოებში წაწვეტებული. ზრტყელ ზედაპირზე გამოსახულია გრიფონი (მითიური ფრინველი არწივის თავით, ძლიერი ფრთებით და ლომის ტანით), გამოსახულებას გარემო წერტილებისაგან შედგენილი ჩარჩო შემოუყვება (ტაბ. XXXI<sub>4</sub>). ამ სამკაულს კლასიკურ სამყაროში გავრცელებული ბეჭდის ტიპური ფორმა აქვს. იგი განეკუთვნება ბეჭდების ჯ. ბორდმანიჩეულ კლასიფიკაციის პირველ ტიპს, რომელიც ჩმარებაში იყო ძვ. წ. V ს-ში<sup>154</sup>. მსგავსი ბეჭდები საქართველოში საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი, გვხვდება ფიკენარის<sup>155</sup> და ეანის<sup>156</sup> არქეოლოგიურ კომპლექსებში. საირხის ბეჭდები ფორმის მიხედვით ძალზე ახლოს დგას ბო-

რიდმანის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ბეჭედთან<sup>157</sup>, რაც შეეხება ბეჭედზე ამოტვიფრულ ვაშოსახელებას. უნდა ითქვას, რომ კლასიკური ხანის გლობტიკის ბეჭედზე გრიფონების გამოსახულებები სშირად გვხვდება<sup>158</sup> და არც ქართული ბეჭედებისთვისაა იგი უცხო თემა. ამოტვიფრულია ასალგორის<sup>159</sup>, წალკის<sup>160</sup> ბეჭედების ფარაქებზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იკონოგრაფიულად ეს უკანასკნელი საირხელისაგან რამდენადმე განსხვავებულნი არიან. საირხული გრიფონი ყველაზე მეტად ემსგავსება მარშალის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ოქროს ბეჭედზე გამოსახულ გრიფონს<sup>161</sup>.

**ფარაკიანი ბეჭედი ვერცხლის, აღმოჩნდა სამხრეთის კამერაში.** რკალი თანაბარი სისქისაა, მრგვალგანივკეთიანია და უშუალოდ ფარაქზე გადადის, ფარაკი ოვალურია, ბოლოებისაგან წაწვეტებულ ბრტყელ ზედაპირზე გამოხატულია დიდყურა ცხოველი. რომელიც შეიძლება შველი ან კურდღელი იყოს. გამოსახულებას გარშემო წერტილების ჩარჩო შემოუყვება. ბეჭედი დეფორმირებულია (ტაბ. XXXI<sub>5</sub>).

ბეჭედი ბორძიანის კლასიფიკაციის II ტიპის ბეჭედს განეკუთვნება. ისინი კლასიკურ ხანაში ძვ. წ. V ს. ბოლოზე იყო გავრცელებული<sup>162</sup>. მსგავსი ფორმის ბეჭედებს ფ. მარშალი ძვ. წ. V ს. შუა ხანებით ათარილებს<sup>163</sup>. კლასიკური ხანის ბეჭედებზე ცხოველთა გამოსახვა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ მხრივ საირხული ბეჭედი ახლოს დგას ფ. მარშალის მიერ გამოქვეყნებულ ბეჭედთან<sup>164</sup> და ვანის ბეჭედების ერთ ჯგუფთან<sup>165</sup>.

**ბექთარის ფირფიტები,** დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ქვაყრილის მთელ სიღრმეზე და რამდენიმე ნატეხი სამხრეთის კამერაშიც დაფიქსირდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ათეულობით ასეთი ფრაგმენტი, შედგენილი სხვადასხვა ფორმის ფირფიტებისაგან. აღმოჩნდა საკულტო ორმოში (ტაბ. XXXI<sub>6</sub>). სამხედრო აღმოჩენილობის შესწავლას თვალსაზრისით ეს მონაპოვარი მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ბექთარის ნაწილები ისეთი კარგად შემონახული. როგორც საირხეში აღმოჩნდა, საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არსადაა დადასტურებული. თითოეული ნატეხი ათეულობით და ზოგჯერ ასეულობით რკინის ფირფიტას შეიცავს, ისინი აქ ერთმანეთზეა ჩაყანგული და მათი თავდაპირველი ფანლაგება ნათლად იკითხება. ფირფიტები სხვადასხვა ფორმისაა, მაგრამ ძირითადად კარბობს მომცრო ზომისანი, ოვალური დაბოლოებით, რომლებსაც სწორკუთხა თავზე, ზოგჯერ გვერდებზეც, საგანზე დასამაგრებელი რამდენიმე ნახევრეტი აქვს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნატეხზე შემორჩენილია ოქროს მძივები. ბრინჯაოსა და რკინის საბექთარე ფირფიტები ჩვენში მხოლოდ ვანშია აღმოჩენილი. დიდი რაოდენობით გვხვდება დახურულ კომპლექსებში და რამდენიმე ასეთი ცალი კულტურულ ფენაშიცაა დაფიქსირებული<sup>166</sup>. ძველი სამყაროს მასაველ არქეოლოგიურ მასალებში ასეთი ფირფიტები დიდი რაოდენობით არის დადასტურებული. ისინი ქსოვილის ან ტყავის პერანგზე დასამაგრებელი იმ აბჯრის ფირფიტებს წარმოადგენენ, რომლებიც სამკაც მიერო ლიტერატურაში ქერცლისებური ბექთარის სახელწოდებითაა ცნობი-

ლი<sup>167</sup>. ზოგიერთი ავტორი ფირფიტების მოყვანილობისა და განლაგების გამო მას ბუმბულისებურ ან კრამიტისებურ ბექთარსაც უწოდებს<sup>168</sup>. მაგრამ ყველაზე მართებული სახელწოდება ქერცლისებურია, რადგან ბოლომომრგვალებული ფრთხანეთზე გადაფარებული ფირფიტები ყველაზე მეტად თავზის ტანზე აბჯრადანსმულ ქერცლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამარხში აღმოჩენილი ზოგიერთი ნატეხი, რომელთა მსგავსი სკვირურ ძეგლებშიცაა დადასტურებული<sup>169</sup>. სკვირები აბჯრის ამ სახეობას აღმოსავლეთში ლაშქრობისას გაეცენენ ძვ. წ. VII საუკუნეში<sup>170</sup> და წარჩინებული სკვითი მეომრების ძირითად თავდაცვით საჭურველს წარმოადგენდა ძვ. წ. V—II საუკუნეებში<sup>171</sup>. საირხული ბექთარი ფირფიტების ფორმისა და განლაგების მიხედვით სოფ. ვოლკოვიაყაში მოპოვებული ბრინჯაოს აბჯრის ფრაგმენტებისა და სოლოხას მახლობლად შესწავლილ ყორღანში ნაპოვნი რკინის ბექთართა ანალოგიურია. გამთხრელების აზრით იგი მეფის ახლობლებისა და მისი ღამცველების კუთვნილებას წარმოადგენდა<sup>172</sup>. ქერცლისებური ბექთარი ფართოდ იყო ვაერცელებული აგრეთვე სარმატ, სავრომატ და მეოტ მეომრებს შორის. მოიკვდა ვრცელ ტერიტორიას დნეპრისპირეთიდან ვოლგისპირეთამდე. მაგალითად საირხულის მსგავსი ბექთარის ფირფიტები ნაპოვნი სოფ. კოვოლკოვოში და ასტრახანის ოლქში ე. წ. მეთუთმეტე დასახლებებში გათხრილ მდიდრულ სამარხში, რომელიც თანვხლები ინვენტარის მიხედვით კარგადაა დათარიღებული ძვ. წ. IV საუკუნით<sup>173</sup>.

როგორც უკვე ვთქვით, საირხული ბექთარის ფირფიტებზე შემორჩენილია ოქროს მძივები. ბექთარის ოქროთი შემოება უცხო არ იყო კლასიკური ხანის ისტატებისათვის. მაგალითად ოქროთი გადაკრული რკინის ფირფიტები აღმოჩნდა პერსეპოლის საგანძურში<sup>174</sup>. ხოლო მდიდარი სკვითი მეომრის სამარხში ოქროცურვილი საბექთარე რკინის ფირფიტების აღმოჩენის<sup>175</sup> ხელი შემთხვევითაა დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე საფიქრალია, რომ საირხის ბექთარიც ოქროთი იყო გალამაზებული. ოქროს მძივები სავანებოდ თავდაცვერილი ლურსმნით ფირფიტასთან ერთად ადვილად დამაგრდებოდა ტყავზე, ფოლადისფერ ტექთარს ოქროს წერტილებად ავლარებული მძივები განსაკუთრებულ ელფერს ღისცემდა და ეს გარემოება თავისთავად უსკავს ხაზს მისი მფლობელის სოკილურ მდგომარეობას.

საირხეში მოპოვებული რამდენიმე ასეული ფირფიტისაგან და ცალკეული ფრაგმენტებისაგან შეიძლება მომავალში კიდევ მოსერხდეს საირხული ბექთარის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. მაგრამ ახლა მისი ფორმის წარმოდგენა შეუძლებელია. წინააღიური და სკვითური მასალების მიხედვით ამ ხანაათვის ძირითადად ქერცლისებური ბექთარის ორი ფორმა არსებობდა: მოკლე უსახელო პერანგისებური, რომლის შალოდ წინა მხარე იყო რკინის ფირფიტებით დაჯავშნული<sup>176</sup> და მოკლესახელოებიანი, წელამდე ჩამოშვებული ბექთარი, რომელიც მთლიანად იყო დაჯავშნული და ორი სხვადასხვა ზომის ფირფიტებისაგან შესდგებოდა<sup>177</sup>. სხვადასხვა ზომის ფირფიტები მიუთითებენ, რომ საირ-

ხული ბექთარი მოკლესახელოიანი ბექთარის ტიპს მიეკუთვნებოდა. იგი წინა-აზიაში გავრცელდა და განსაკუთრებით იყო ხმარებაში ძვ. წ. VII საუკუნიდან. ორიოდე სიტყვით ისიც უნდა ითქვას, რომ ფირფიტებიანი ჭავშნის სამშობლოდ ზოგიერთი პეკლევაძე ეგვიპტეს მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთი შუამდინარეთს. ეგვიპტეში ფირფიტებიანი ბექთარი დადასტურებულია არქეოლოგიურ ძეგლებზე და ცნობილია კედლის მხატვრობიდანაც. ბრინჯაოს ფირფიტები აღმოჩენილია ამენხოტებ III სასახლის ნანგრევებში ძვ. წ. XV საუკუნის აკლდამაში კი გამოხატულია ამენხოტებ III კარის დიდებული კერომანი, რომელსაც 450 ცალი ფირფიტისაგან შედგენილი ბექთარი მოსავს. ფირფიტოვანი ბექთარით არიან შემოსილი ამენხოტებ III და თუთმოს IV. ამ მასალებზე დაყრდნობით, იზიარებს რა ბონეს მოსაზრებას, ჩერნენკო უპირატესობას ანიჭებს ეგვიპტელებს, ხაზანოვი კი ნუბიაში ძვ. წ. XVII ს. ფენებში აღმოჩენილი ფირფიტების მიხედვით ბექთარის სამშობლოდ შუამდინარეთს მიიჩნევს<sup>178</sup>. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ წინააზიაში ძვ. წ. პირველ ათასწლეულის პირველ ნახევრამდე საკმაოდ მძიმე და დიდი ფირფიტებიანი ჭავშნის სახეობა იყო გავრცელებული. ის, რაც ასურელთა და ურარტუელთა<sup>179</sup> შეიარაღებაში გაჩნდა ძვ. წ. VIII—VII სს-ში, ყველაზე მეტად ჰგავდა ეგვიპტურ ქერცლისებურ ბექთარს, რომელიც იქ პირველი ათასწლეულის დასაწყისში გავრცელდა და რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ძვ. წ. X საუკუნეში მცხოვრები ფარაონ შეშონიკის საპურკულიდან. ქერცლისებური ბექთარის კარგად შექონახული ფრაგმენტები დიდი აზოდენობითაა აღმოჩენილი კარმირბლურზე<sup>180</sup>, მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ბექთარის ეს სახეობა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ურარტუ-დან გავრცელდა<sup>181</sup>.

ისრისპირები ბრინჯაოსი, მოკლე მასრით, სამწახნაგა პირით (ტაბ. XXXI7). იხულ სამი ცალია. ყველა ნაკლული, ზომებით ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული, ორი შედარებით მოზრდილი, ერთი მომცრო. დიდის სიგრძე 31 მმ-ია, მცირესი კი 19 მმ. მასრიანი ისრისპირი, რომელთაც სპეციალისტები პირის მოყვანილობის გამო პირამიდისებურსაც უწოდებენ, ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე საკმაო რაოდენობითაა დადასტურებული. ვანში აღმოჩენილ ამ ტიპის ისრისპირებს სტრატეგრაფიული მონაცემებითა და ანალოგიებით გ. ლორთქიფანიძე ძვ. წ. V—IV საუკუნეებით ათარიღებს<sup>182</sup>. ქართულ არქეოლოგიურ ლტერატურაში ისინი ზოგჯერ სკვითური ისრისპირების სახელწოდებითაა მოხსენებული, მაგრამ ი. გაგოშიძის აზრით აღმოჩენილი ცალები განსხვავდება სკვითურისაგან, ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე და ამ ტიპის იარაღის ადგილობრივ სახეობას წარმოადგენს<sup>183</sup>. ქსენოფონტი და სხვა ბერძენი მწერლები დასავლეთ საქართველოს ტომების შეიარაღების აღწერასა მშვილდის ისრისპირს არ იხსენიებენ, არც ანტიკური ხანის კოლხური ნივთიერი კულტურისთვისაა იგი დაპაჩასიათებელი<sup>184</sup>, ამის გამო გ. ლორთქიფანიძე მშვილდ-ისარს არ მიიჩნევს კოლხეთის პრივილეგირებული წრეების იარაღად<sup>185</sup>. კოლხეთის ტერიტორიაზე სადღეისოდ არც თუ ისე ბევრი წარჩი-

ნებული პირის სამარხია მიკვლეული და შესწავლილი, ხოლო ვანის, ითხვისისა და ბოლო დროს საირხის მონაპოვარი იმაზე უფრო მეტყველებს, რომ მშვილდნისრის, მისი, როგორც იარაღის სავარხში ჩატანება ანტიკურ ხანაში მხოლოდ წარჩინებულთა პრივილეგია იყო და, მამასადამე, მათ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა.

ლურსმნები რკინის, ოხსწახნავა განიკვეთიანი, უთაო, 7 ცალი. დაფიქსირდა აკლდამის აღმოსავლეთის კედლის თავსა და ბოლოში, ხოლო დანარჩენი—სამხრეთის კამერაში, სხვადასხვა მონაკვეთზე, სულ 14 ცალი. დიდი ზომის ლურსმნების უმცირესი სიგრძეა 32 სმ; უდიდესისა 43 სმ; საშუალო ლურსმნების უმცირესი სიგრძე 16 სმ; უდიდესისა 22 სმ; (ტაბ. XXIX<sub>2</sub>) ასეთი ლურსმნები აღმოჩნდა № 1 სამარხში. მათი დანიშნულების შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ცხენის აღკაზმულობა როგორც უკვე აღვნიშნეთ № 5 სამარხისაგან განსხვავებით № 8 სამარხის ხუთი ცხენიდან, თუ არ ჩავთვლით ბრინჯაოს ზარაკებს, რკინისა და ბრინჯაოს რგოლებს, მხოლოდ ერთ № 3 ცხენს აღმოაჩნდა ოქროს აღკაზმულობა. ესენია ავშრის შემადგენელი დეტალები, რომელთა ულავმოდ წარმოდგენა ძნელია. მაგრამ, სამწუხაროდ, სამარხში ლავამი არ აღმოჩნდა და აქ არც მისი გაქრობის კვალი შეინიშნებოდა.

ავშრის ბალთები ოქროსი, ღილისებური მოყვანილობის, დამზადებულია ოქროს ფირფიტისაგან, ზედაპირი გაპრიალებული აქვს. უკანა მხრიდან ბალთებზე მირჩილულია ოთქუთხედი ფორმის ბრინჯაოს ყუნწი, რომლებსაც თავმების გასაყრელი ორი დამქოლი ნახვრეტი აქვს. აღმოჩნდა ცხენის თავის ქალასთან. ზომ: დმ. 33 მმ. ოქროსა და ვერცხლის სადაზედაპირიანი ავშრის ბალთები საკმაო რაოდენობითაა ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე. გვხვდენა ახალგორის, ითხვისისა და დაბლაგოზის ანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში. ოთხი ასეთი ბალთა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, აღმოჩნდა საირხის № 1 სამარხში. ყველა მათგანს უკანა მხრიდან ბრტყელი ან მრგვალგანიკვეთიანი მავთულს სათაშამე ყუნწები აქვს მირჩილული. № 8 სამარხის ბალთები მათგან უპირატესად ამ ნიშნითაა განსხვავებული. მათი ყუნწები, როგორც ვთქვით, მასიურია, ოთქუთხედი ფორმისაა და მრგვალი ნახვრეტი აქვს.

ავშრის ბალთები ოქროსი, ღილისებური ფორმის, ფუყე, უკანა მხარე სადაა, წინა მხრიდან, როგორც ერთ, ისე მეორე ბალთაზე, ამოტიფრულია ფრთოსანი არსებები, რომლებიც სტილიზებული ადამიანის გამოსახულებას წარმოადგენენ, მარცხნივ განტოტვილი ფრთებით. ზომები: სიმაღლე 9 მმ; დმ. 22 მმ, (ტაბ. V<sub>2</sub>).

საშუბლე ოქროსი, მრგვალი ღილისებური ფორმის, უკანა მხრიდან მირჩილული აქვს ფართე ფირფიტისაგან დამზადებული წრიულად მოხრილი სათასზე ყუნწი, წინა პირზე ამოტიფრულია ადამიანის სქემატური გამოსახულება. იგი მჯდომარე პოზაშია წარმოდგენილი, თავი მარჯვენა პროფილში აქვს გამოსახული და ტანის გარშემო მრავალმხრივ გატოტვილი ფრთები აქვს გაშლილი. ზომები: საშუბლეს დმ. 19 მმ; სიმაღლე 2 მმ; (ტაბ. V<sub>3</sub>).

ავშროს ბალთაზე და ცხენის საშუბლეზე აპურამაზდას ძალზე. სტილიზებული გამოსახულებაა წარმოდგენილი. დიდი ღვთაების აპურამაზდას (ორმუსდის) გამოსახულება ხშირია აქიმენიდური ირანის ხელოვნებაში. იგი წარმოედგინათ ტახტზე მჯდომარე ადამიანისმგავსი ფრთოსანი არსებების სახით. ღვთაების სახელი პირველად დარიოს I წარწერებში იკითხება<sup>186</sup>, ხოლო თვითონ იგი ტახტზე მჯდომარე ღვთაების სახით გამოსახულია პერსეპოლისის დიდი სასახლის კარიბჭის კედელზე<sup>187</sup>. აპურამაზდა ირანის ღვთაებათა პანთეონის უბრძნესი უფალია, სამყაროს მართავს აზრის საშუალებით, თვითონ მხოლოდ სულიერ თაყვანისცემას იღობს. რაც გამოიხატება ლოცვათა წმინდა ცეცხლის წინაშე<sup>188</sup>. უწმინდესი სინათლისაგან წარმოშობილი, წარმომქმნელია ყოველგვარი სიკეთისა, ავესტის მიხედვით აპურამაზდა მეგობარი და მფარველია სიკეთისა, მტერია ბოროტებისა, მატყუარობისა და დამსჯელია მათი. ვინც უწმინდურობას იღობს<sup>189</sup>. ქართული ოქრომჭედლობისათვის უცხო არ არის ბერძნულ და აღმოსავლურ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები. ეს სიუჟეტი, რიგ შემთხვევაში, დაკავშირებულია რელიგიასთან<sup>190</sup>. ვფიქრობთ. ავშროს ბალთაზე ამოტიფრული გამოსახულების სახით ამჯერად ჩვენ ხელთა გვაქვს საქართველოში აპურამაზდას, ამ მომხიბლავი ღვთაების, თაყვანისცემის ამსახველი ნივთიერი საბუთი თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრეანტიკურ-ელენისტური ხანის ქართულ კულტურაში იგრძნობა აღმოსავლური გავლენა, ეს ფაქტი რამდენაღნე მოულოდნელი არ ჩანს. აქიმენიდური ირანის უძლიერესი იმპერიის მეზობელი ქვეყნის რელიგიური ცხოვრების სფეროშიც უნდა შეედწია იმ იმპულსებს, რომლებიც იგრძნობა კულტურის სხვა დარგში. ქართულ საისტორიო წიგნობაში დაცულია აშრს მიმანიშნებელი ფაქტები. მათზე დაყრდნობით ჯერ კიდევ ჩვენს საუკუნის დამდეგს აკად. ნ. მარი ამტკიცებდა, რომ ქართულ პანთეონში ირანულ ღვთაებას საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. „ქართლის მოქცევის“ ანხედვით მათლამი თაყვანისცემას ამტკიცებდნენ ქართველი მეფეები. მაგალითად, ფარნავაზმა მცხეთაში აღმართა დიდი ეკრპი და დარაქვა არმაზი<sup>191</sup>. მეცნიერის აზრით, ქართული — არმაზი. სომხური — არამაზდი და სპარსული — ირმუზდი, უფრო ზუსტად კი აპურამაზდა ერთი და იგივე ღვთაებაა<sup>192</sup>. ნ. მარის ეს მოსაზრება კრიტიკულადაა შეფასებული. ქართული წარმართული რელიგიის მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ჩვენში გავრცელებული იყო ადგილობრივი-ასტრალური ღვთაების თაყვანისცემა ასოცირებული ნაყოფიერების ღვთაების კულტთან. ასეთ მოსაზრებას არქეოლოგიური მონაპოვარიც უჭერს მხარს. მაგრამ იგივე არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დასტურდება, რომ საქართველოში არსებულმა ასტრალურ-სამიწათმომქმედო რელიგიამ არ იკოდა რა იყო ტაძარი და ეს ვითარება არ არის ასახული ქართულ საისტორიო წყაროებში<sup>193</sup>. ი. გაგოშიძის აზრით ქართლში აგებული ყველა ტაძარი, რომელიც ძვ. წ. V—I საუკუნეებს მიეკუთვნება. ცეცხლთაყვანისმცემლობას ტაძრადაა მიჩნეული. ეს ფაქტი უცილობლოვ მეტყველებს აქიმენიდურ ხანაში საქართველოში მაზდიანური რელიგიის გავრცელებაზე. რომელიც შემდ-



ვთმ გაძლიერდა და საჩუფო რელიგიად გადაიქცა<sup>191</sup>. საირხის აღმოჩენა ადასტურებს ამ მოსაზრებას და გარკვეულად მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ფარნაზაზმდე აპურამაზდას თაყვანისცემა ფეხმოკიდებული იყო საქართველოს მმართველი ფენის ნაწილში. სხვანაირად ვერ აიხსნება დიდებულის ცხენის აღკაზმულობასე სპარსული ღვთაების გამოაახვის ფაქტი. საბადურის გორის საკულტო მოედნიდან და საკულტო ორმოდან მომდინარე მასალის მეშვეობით ისიც შეიძლება დადასტურდეს, რომ აპურამაზდას თაყვანისცემა აქ შერწყმული იყო ნაყოფიერების ღვთაების კულტთან. საქართველოში ამ გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო მახდიანობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც თანდათან გადაიქცა საკუთრივ ქართულ რელიგიად და რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მოგვიანო ხანის სპარსულ ორთოდოქსალურ ზოოასტრალიზმისაგან<sup>195</sup>.

**იმპორტული კერამიკა** სამარხის ქვაყრილში, რამდენიმე ადგილზე, დაფიქსირდა ბერძნული კერამიკის ფრაგმენტები. მათი შეკონწიწების შედეგად მოჩვენება არიბალისებური შავლავიანი ლეკითოსის ტანის ზედა ნაწილის აღდგენა. ჭურჭლის ზედაპირი, ზეთისხილის ფერის, რბილად ბზინავი ლაკითაა დაფარული, მხრისა და ყურის ქვემოთ ტანზე შემორჩენილია თიხის ფერში დატოვებული ირგვლივი სარტყელი. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ჭურჭლის სიმაღლე 80 მმ უნდა ყოფილიყო: პარის დმ. 35 მმ, ყელის დმ. 15 მმ; (ტაბ. XXXII, 1).

ლეკითოსი ანტიკური კერამიკის ნიმუშს წარმოადგენს. იგი არიბალისებური ანუ ტანდაბერილი ლეკითოსის იმ კლასში გადის, რომელიც ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრიდან. ამ ფორმის ლეკითოსები თავდაპირველად ზოგადად მესამე ტაძში იყო გავრთიანებული<sup>196</sup>, მაგრამ შემდეგ, უფრო დეტალური კლასიფიკაციისას, გამოყოფილი იქნა ქომრგვალებულ ფორმებიანი. მარტივორნამენტიანი ლეკითოსების ჭგუფი; რომელსაც უნდა მიეკუთვნოს საირხული ლეკითოსი. ათენის აგორის მასალების მიხედვით ამგვარი ჭურჭლის ფართო წარმოების პერიოდად ძვ. წ. V ს. ბოლო ათწლეულია მიჩნეული<sup>197</sup>. ატიკის ფარგლებს გარეთ მსგავსი ლეკითოსების ექსპორტი ძვ. წ. V საუკუნის ბოლო ხანებში და IV საუკუნის პირველ მეოთხედში იღებს ინტენსიურ ბასიათს. საირხულ ცალს მრავალი პარალელი ეძებნება ლეკითოსების იმ ჭგუფიდან, რომლებიც ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი და IV საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება<sup>198</sup>. ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს შავლავიანი ჯამის ფრაგმენტიც (ტაბ. XXXII, 2).

**ადგილობრივი კერამიკა** ქვაყრილის მთელ სიღრმეზე და საშხრეთის კამერაშიც დაფიქსირდა კოლხური კერამიკის ფრაგმენტები. სამწუხაროდ, მათგან არც ერთი მთლიანი ჭურჭლის აღდგენა არ მოხერხდა. შეკონწიწდა ხუთი ერთნაირი ჭურჭლის ტანი, რომლებიც წარმოადგენენ რუხი ან შავზედაპირიანი, მახვილმარცვლოვანი, ქარსმინარევებიანი თიხისაგან გამოძერწილ ვიწროუცელიან დერგებს (ჩაფებს). ჭურჭელი კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი სახეებითაა შემკული: ყელზე ირგვლივი ღარები შემოსდევს, ტანზე წნეხვით

გამოყვანილი პრიალია ხაზები დაყვება, ხოლო ყურები ლურსმნისთავისებური კომპებით აქვს შემკული (ტაბ. XX XII).

საირხული ქურჭელი არქიტექტონიკითა და შემკულობის ხასიათით ყველაზე მეტად უახლოვდება ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებს და დახურული კომპლექსებიდან მომდინარე ვიწროპირიან ქურჭელს, რომლებსაც მკვლევარები მეორე ტიპში აერთიანებენ და ძვ. წ. V—IV საუკუნეებით ათარიღებენ<sup>199</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის მრავალფეროვან სამეთუნეო ნაწარმში ასეთი ქურჭელი იშვიათობას წარმოადგენს და დღემდე ვანის გარდა არსად არ ყოფილა დადასტურებული. მათი ხელალებით დერგებად მიჩნევა მთლად მართებული არ უნდა იყოს. პროდუქტების შესანახად სამეთუნეო ხასიათის დერგებისათვის ფართო ყელი და სფეროსებურად გამოზერბილი მუცლებია დამახასიათებელი. ვიწროყელიანი, ტანდაგრძელებული ქურჭლები კი სითხისათვის განკუთვნილ ორყურა ჩაფებად შეიძლება მივიჩნიოთ.

**მონეტები** სამარხში აღმოჩენილი 34 ცალი მონეტა ერთნაირი ზომისაა. ისინი წარმოადგენენ მცირე ზომის კოლხურ მონეტებს, ეგრეთწოდებულ ნახევარდრაქმებს, რომელთა შუბლზე — პროფილში გამოსახულია ადამიანის (ღვთაების) თავი, ხოლო ზურგზე — ხარის თავი (ტაბ. VI). ასეთი მონეტები ღიდი რაოდენობითაა მოპოვებული საქართველოს ტერიტორიაზე, გვხვდება განძის სახით<sup>200</sup> და სამარხულ კომპლექსებშიც მრავლადაა. საქუთრივ საქმხარის რაიონში ასეთი მონეტები აღმოჩნდა მოდინახეზე, ადრეანტიკური ხანის სამარხში, რომელიც ასევე შეიცავდა მერვე სამარხის ანალოგიურ ვერცხლის საკირე რგოლებს<sup>201</sup>. ამ სახის კოლხური მონეტები ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო ხმარებაში<sup>202</sup> და გავრცელებულია არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ პროვინციებში. მოპოვებულია ხაშურის რაიონის მცხეთიჯვრის ციხის ადრეანტიკური ხანის სამარხში. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტების სამარხში ჩატანების ფაქტი ძვ. წ. IV საუკუნიდან ფიქსირდება.

მერვე სამარხის ინვენტარის განხილვა საშუალებას იძლევა მისი თარიღი ძირითადად ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებით განისაზღვროს.

**სამარხი № 4** გაითხარა საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე, D<sub>4</sub> კვადრატში. მღებარეობდა № 5 სამარხის დასავლეთით, მისგან სამი მეტრის დაცილებით, ნიშნულიდან 5 მეტრის სიღრმეზე. სამარხის ოვალური ორმო შემოსაზღვრული იყო ქვების ცალპირი კედლის წყობით. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთმანეთის მიყოლებით იდგა თიხის ოთხი დოქი. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში თიხის კოჭობი და თიხის ორი მცირე ზომის ჯამი. ორმოს ცენტრში ეყარა გიშრის, მინისა და ოქროს მძივები. აქვე იყო მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან გაკეთებული ოქროს რგოლები. ძვლები ცუდად იყო დაცული. დაქრძალვის წესი არ დაფიქსირდა. სამარხი ბავშვისაა. ზომები: 1,40×1,10 მ.

**მძივები** ოქროსი, სფერული, ბიკონუსური ფორმის, ტანდალარული, შედგენილია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად,

რჩილვის ხაზი, მიუხედავად იმისა, რომ მოსწორებულია, მაინც იკითხება. ზომა: საშ. დმ. 13 მმ. (ტაბ. XX XIII<sub>1</sub>).

ტანდლარული, ბიკონუსური და სფერული მძივები, როგორც თავსამკაულისა და ყელსაბამის შემადგენელი ელემენტები, ფართოდაა გავრცელებული ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნებაში. ჭერჭერობით ეერ ხერხდება მათი ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, თუმცა ზოგიერთი ნიშნისა და აღმოჩენის ვითარების შესაბამისად გამოყოფენ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ოქროს მძივებს<sup>203</sup>. საირხული დატალღული მძივები ფორმით რამდენადმე უახლოვდება ელინისტური ხანის მასალებთან მოკოვებულ ოქროს მძივებს<sup>204</sup>.

საყურე რგოლები დამზადებული მრგვალგანაკვეთიანი ოქროს მავთულის სადა ღეროსაგან. ზომა: დმ. 16 მმ. (ტაბ. XX XIII<sub>2</sub>). რგოლები რიგ შემთხვევაში წახნაგოვანი მავთულისაგანაც არის დამზადებული, გახსნილი ბოლოები გახვრეტილი აქვს<sup>205</sup> და ელინისტურ ხანაში სამკაულის გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. რამდენიმე ეგზემპლარი ნამოსახლარი ფენიდანაცაა ცნობილი<sup>206</sup>, ხოლო უმრავლესობა სამარხულ კომპლექსებს ახლავს თან. აღმოჩენილია სამადლოზე, სამთავროში, მოდინახზე, ვანში. ვანში იგი ერთ შემთხვევაში მამაკაცის რკინის ქანდაკებას ყურზე აქვს ჩამოკიდებული. შედარებით ადრეული მრგვალგანაკვეთიანი ოქროს რგოლი აღმოჩენილია ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ითხვისის № 2 მდიდრულ სამარხში. რგოლი ყურზე ჰქონდათ ჩამოკიდებული და მასზე ყოველთვის შეეძლოთ ნებისმიერი ფორმის საკიდის შებმა<sup>207</sup>, ისე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ვანისა<sup>208</sup> და დაბლაგომის<sup>209</sup> ელინისტური ხანის საყურეებზე, სადაც მრგვალგანაკვეთიან რგოლებზე სადა ან რთულად ნაკეთები სხვადასხვა ფორმის საკიდებია დამაგრებული. საყურე რგოლებთან და ოქროს მძივებთან ერთად ორმოს ცენტრში გაფანტული იყო 24 ცალი პოლიქრომული მინის, ბიკონუსური ფორმის 12 ც. ლურჯი მინის, ბაზალტის ქვისაგან გამოკვეთილი ბრტყელი — 1 ცალი, ცილინდრული ფორმის ფერადი მინის — 3 ცალი, სხვადასხვა ფორმის პასტის 14 ცალი და სარდიონის სხვადასხვა ზომის 12 ცალი მძივი. პოლიქრომული მძივები, რომლებიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში თვალედის სახელწოდებითაა ცნობილი, ადრეანტიკური ხანიდან გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდაა იგი გავრცელებული ელინისტურ ეპოქაში. ადრეული ხანის ამ სახის მძივები, თუ შედარებით მარტივადაა ნამზადი და ფორმის მრავალსახეობითაც არ გამოირჩევა, ძვ. წ. III საუკუნიდან უკვე ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი და საკმაოდ რთული ტექნიკით ნაკეთებ პოლიქრომული მძივების მრავალსახეობას ქმნის<sup>210</sup>. ელინისტური ხანის მძივებისათვის დამახასიათებელია მცირე ფორმები და მეტი ფერადოვნება. ჩვენში ამ სახის მძივების გავრცელების არეალი ძალზე დიდია, მოიცავს შავი ზღვის ჩრდილო<sup>211</sup> და აღმოსავლეთ<sup>212</sup> სანაპიროებს, ჩრდილო კავკასიისა<sup>213</sup> და ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიას. საირხულის მსგავსი აღმოჩენილია ფიჭვნარისა და დაბლაგო-

მსწ<sup>14</sup> ელინისტური ხანის სამარხებში. მოლურჯო თვლებით, ფორმითა და დამზადების ტექნიკით საირობული ცალები თითქმის იმეორებენ ხაშურის რაიონის სოფ. მცხეთიჯვარის ციხის სამაროვნის იმ თვალედ მძივებს, რომლებსაც შეიცავენ ჩვენს მიერ შესწავლილი კარგად დათარიღებული ადრეელინისტური ხანის სამარხები<sup>15</sup>. რაც შეეხება პასტისა და სარდიონის მძივებს, მათ შესახებ გარკვევით რამის თქმა ჰერს, რადგან მრგვალი და ცილინდრული ფორმის სარდიონის მძივები დროის დიდ მონაკვეთშია გავრცელებული. ბიკონუსური ფორმის, ლურჯი მძივები კი უმეტესად ელინისტური ხანის პროლექტუალს წარმოადგენენ. მათი გავრცელების არეალიც, ისევე როგორც თვალუდი მძივებისა, საკმაოდ ვრცელია და საქართველოს გარდა დადასტურებულია ჩრდილოეთ კავკასიაშიც, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი თარიღი იქ ზოგადად ძვ. წ. VI—IV სს. განაზღვრული<sup>16</sup>.

**დოქი** თიხის, რუხეციანი, გაბრიალებული ზედაპირით, მრგვალი თანაბარი მუცლით. ბრტყელი ძირით, თვალურგანიკვეთიანი მორკალული ყური მიწერწილი აქვს მხარზე და პირზე. ზომები: სიმაღლე 16 სმ; პირის დმ. 6 სმ; ძირის დმ. 6.5 სმ; (ტაბ. XXXIII<sub>4</sub>).

**დოქი** თიხის, ვადაშლილი პირით, ზომიერად მომრგვალებული მუცლით. ბრტყელი ძირით, ყური მიწერწილი აქვს მხარზე და პირზე. ზომები: სიმაღლე 15 სმ; პირის დმ. 6.7 სმ; ძირის დმ. 7 სმ; (ტაბ. XXXIII<sub>5</sub>).

**კოკობი** თიხის, ვადაშლილი პირით, დაბალი გამოყვანილი ყულით, სფერული ტანი. ბრტყელი ძირით, ჭურჭლის ტანი შემკულია წრიულად განლაგებული ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული კოპებით. ზომები: სიმაღლე 6.7 სმ; პირის დმ. 9 სმ; ძირის დმ. 6 სმ; (ტაბ. XXXIII<sub>6</sub>).

**ჰამი** მოყავისფერო, ქარსმინარევებიანი თიხის, დაბალი, პირმოყრილი, ბრტყელძირიანი. ზომები: სიმაღლე 2,5 სმ; პირის დმ. 10,5 სმ; ძირის დმ. 7 სმ; (ტაბ. XXXIII<sub>7</sub>).

**ჰამი** მოწითალო-ყავისფერი, ქარსმინარევებიანი თიხის, პირმოყრილი. ბრტყელძირიანი. ზომები: სიმაღლე 3,5 სმ; პირის დმ. 10,5 სმ; ძირის დმ. 3 სმ; (ტაბ. XXXIII<sub>7</sub>).

ადგილობრივი კერამიკის ყველა ეგზემპლარი სასუფრე ჭურჭელს წარმოადგენს. სამივე დოქი ფორმით და მასალით ერთმანეთის მსგავსია.

შედარებითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ № 4 სამარხის მასალები, მძივები და ოქროს ნივთები ელინისტური ხანის კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. ამის თქმა ერთი შეხედვით გაჭირდებოდა სამეთუნო ნაწარმის მიმართ. მით უმეტეს, რომ შევპირალა ზედაპირიანი დოქები თითქმის იმეორებენ № 5 სამარხის ქვაყრილის ჩრდილო-დასავლეთით მოპოვებული იმ სახის ჭურჭელს. რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარს მოეკუთვნება. მეოთხე სამარხის დოქები ასევე ახლო მსგავსებას ამჟღავნებს დოქებთან, რომლებიც უჩუქურთმო პირალა ზედაპირითა და გამოწერილი მუცლებით ხასიათდება. ამ ნიშნების მიხედვით მოდინახეს ადრეან-

ტიკური ხანის სამარხების ზოგიერთი დოქი საიხზულის იდენტურია<sup>217</sup>. ადრეული პარალელების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავს ჭურჭლებს ვხვდებით დაბლაგომის<sup>218</sup>, ითხვისისა და მცხეთიჯვრის ან სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ელინისტური ხანით თარიღდება. ასეთია, მაგალითად, მცხეთიჯვრის № 94 სამარხი, რომელიც დოქთან ერთად შეიცავს თვალედ მიძიებს<sup>219</sup>, ბრინჯაოს მრგვალგანივიკეთიანი მავთულისაგან დამზადებულ საყურე-რგოლებს<sup>220</sup>, მცირე ზომის რკინისენიან ორნაწილედ მშვილდსაკინძს<sup>221</sup>, სწორედ ისეთს, როგორიც მოდინახეს კარგად დათარიღებულ ადრეელ-ინისტურ ხანის სამარხებშია დადასტურებული<sup>222</sup>. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთიჯვრის ამ ხანის სამარხები შეიცავს მონახტულ ჭურჭელს. რომელთა ასა-გი, მრავალი მონაპოვრის საფუძველზე, ძვ. წ. IV—III საუკუნეებთან განსაზღ-ერული<sup>223</sup>. რაც შეეხება კოპებში შემკულ იდეგა ფერის, სფერულმუცლიან კო-ჭობებს, ისინიც ხშირად გვხვდება ელინისტური ხანის მასალებში. განსაკუთრე-ბით დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ძვ. წ. IV—III საუკუნეებით დათარი-ღებულ კამარა ხევის სამაროვანზე<sup>224</sup>. რიგ შემთხვევაში კოჭობები კამარხევიში მონახტულ ჭურჭელთან ერთად არის დადასტურებული<sup>225</sup>. ზემოთ თქმულს თუ დაეკმატებთ, რომ პირმოყრილი ბრტყელძირიანი ჯამების ზედა ქრონოლოგი-ურ ზღვარად ძვ. წ. IV ს. მიწურულია მიჩნეული, მაშინ კომპლექსებში მათა არსებობა ხელს არ შეუშლის სამარხის ინვენტარი ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანის მიჯნას მივაკუთვნოთ და მისი თარიღი ძვ. წ. IV ს. შესამე მეოთხედით შემოვფარგლოთ. ეს ის ხანაა, როდესაც ადრეანტიკური ხანის ტრადიციები ჯერ კიდევ ძლიერია და როდესაც ქართულ კულტურაში იწყება ელინისტური ეპო-ქისათვის დამახასიათებელი კულტურის ელემენტების ჩასახვა-განვითარება.

**სამარხი № 9** აღმოჩნდა საბადურის ვორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, E; კვადრატში, ნიშნულიდან 4,30 მ. სიღრმეზე, ჩაშვებული იყო № 8 სამარ-ხის ქვაყრილში. მისი ოთხკუთხედი ფორმის დასაკრძალავი კამერის მოწყობი-სას დაუნგრევიათ № 8 სამარხის ჩრდილოეთი კედელი. ქვებით შემოფარგლული კამერა დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სიგრძე 2 მ; სიგა-ნე 90 სმ; ჩონჩხი კარგად იყო დაცული. ესვენა მარცხნა გვერდზე. მოკრუნჩ-ხულ პოზაში, თავით აღმოსავლეთისაკენ, მიცვალბულის თავთან, კამერის აღ-მოსავლეთის კედლის გასწვრივ იდგა თიხის დოქი და კოჭობი. კამე-რის ცენტრში დაფიქსირდა მძივებისაგან და საკიდისაგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი. აქვე იყო ოქროს საკიდი, რკინისენიანი ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ილარი, თვალედი მძივები და ნახვრეტებიანი ბრინჯაოს ფირფიტა.

ყელსაბამი ოქროსი, შედგება მცირე ზომის ასზე მეტი მძივისაგან და ნახე-ვარმთვარისებური ფორმის, სადაზედაპირიანი საკიდისაგან, რომელსაც სპირა-ლურად მონხრილი ბოლოები აქვს. ზომები: 11×14 მმ; მძივის დმ. 4 მმ; (ტაბ. VI<sub>2</sub>). ყელსაბამის ამგვარი საკიდები საკმაოდაა გავრცელებული, როგორც საქარ-თველოს ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ. უპირველეს ყოვლისა, შე-იძლება დავასახელოთ დაბლაგომის ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული № 27

სამარბილან მომდინარე სადაზღვაპირიანი ოქროს საკიდი, სპირალურად მოხვეული პოლოვებით, რომელიც თითქმის საირხულის ასლს წარმოადგენს<sup>226</sup>. მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ანტიკურ-ელინისტური ხანის ჩრდილო შავიზღვისპარტის საიუველირო ხელოვნებისათვის. აღმოჩენილია ტანაისის ნაქალაქარის ფენებში. ანტიკური ხანის მასალებთან ერთად<sup>227</sup> და ყორღანებიდან მომდინარე ინვენტარშიცაა დადასტურებული<sup>228</sup>, ახალგორის განძში შემავალი მთვარისებური ფორმის საკიდების განხილვისას (ისინი აქ წარმოდგენილია, როგორც ადამიანის სამკაულში, ასევე ცხენის აღკაშმულობაშიც)<sup>229</sup> აკად. ი. სმირნოვს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მათ ჩახვეულ ბოლოებში შესაძლებელია განსახიერებელი იყოს ტახის ორი ეშვი ან არწივის კლანჭები<sup>230</sup>. მეცნიერის მიერ დიდი ხნის წინათ გამოთქმული ეს მოსაზრება გარკვეულ შენაძრას იქნეს ახლად მოპოვებული საირხული მასალების ფონზე, ადრეული ხანის ძეგლებზე. მაგალითად № 5 სამარხში — ცხენის აღკაშმულობაში წარმოდგენილია ტახის ეშვები, ეშვების მიბაძვით დამზადებული ოქროს სასაფეთქლეები და არწივის ოქროს ფირფიტები. გამორიცხული არ არის, რომ მოგვიანო ხანაში მნათობთან ასოცირებულ ამ სამკაულში მომხდარიყო საღვთო ცხოველების ცალკეული ნაწილების სიმბოლიზაცია. მითუმეტეს, რომ საკიდ-ამულეტებს ფილაქტერიუმის დანიშნულება ჰქონდათ<sup>231</sup>.

**ილარი ბრინჯაოსი.** წარმოადგენს ბრინჯაოს ღეროს, რომლის ბოლო კოვზინებურადაა დაბოლოებული, ხოლო თავი ზურგშებრუნებული, შეტყუებული ფრინველების (თუთიყუშების) გამოსახულებას წარმოადგენს. ძალზე სტილიზებულიად გადმოცემული ფრინველის ტანი ირიბი ღარებთაა შემკული და ექვსი ნახვრეტითაა დაფანჯრული. ზომები: სიგრძე 5,6 სმ; სიგანე 1,3 სმ; (ტაბ. XXXIII). სიტყვა ილარი სამეცნიერო ლიტერატურაში იროდიონ სონდულაშვილმა შემოიტანა. იგი სატუალეტო ნივთის (ყურის საწმენდი) აღმნიშვნელი არაბული სიტყვაა. განსვენებულ მეცნიერს ილარი პირველად სადალაქოში უნახავს, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, შემდეგ. სამუზეუმო ნივთებზე მუშაობისას, მისი ყურადღება მიუქცევია განათხარი მასალებიდან მომდინარე მცირე უბიან ბრინჯაოს კოვზებს. ისინი მეცხრამეტე საუკუნის ამ სახის ნივთებისათვის შეუღარებია. შეუსწავლია და სრულიად სამართლიანად აქვს მიჩნეული ყურის საწმენდ სატუალეტო ნივთად<sup>232</sup>. № 9 სამარხის მსგავსი ილარები დამახასიათებელია ანტიკურ-ელინისტური ხანის სამარხული კომპლექსებისათვის. ორი ცალი მოპოვებულია აქვე საირხეში № 1 სამარხში, აღმოჩენილია, აგრეთვე, მცხეთიჯვარში, სამადლოს ნაქალაქარზე, თრიალეთში და ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებულ ასურეთის პავიგორის № 49 სამარხში, საირხის ანალოგიურ ბრინჯაოს მეტად საინტერესო ფირფიტასთან ერთად.

**ფირფიტა ბრინჯაოსი,** მართკუთხედი ფორმის, გვერდებშეზნეკილი, ზედაპირი სამ რიგად განლაგებული ოცდაათი ნახვრეტით აქვს დაფანჯრული, ტრაპეციის მოყვანილობის საკიდი ყუნწიც გახვრეტილია. ზომები: სიგრძე 3,3 სმ; უმცირესი სიგანე 1,7 სმ; (ტაბ. XXXIII). საეარაუდოა, რომ ფირფიტა რამე

საგანგებო დანიშნულების საგანი იყოს და მასზე მოთავსებული ნახვრეტებარა-  
ლაცას ითვლიდეს და აღრიცხავდეს. ანალოგიური ფორმის ფირფიტა, ოცდა-  
თერთმეტი ნახვრეტით<sup>233</sup>, ბრინჯაოს ილართან და მთვარისებური ფორმის სა-  
კიდთან<sup>234</sup> ერთად ალგეთის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია ასურეთის პაპი-  
გორის № 49 ქვესამარხში, რომლის ინვენტარსაც გამთხრელები (ჯ. ამირანა-  
შვილი და კ. თუშიშვილი) ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებენ. აქვე აღმოჩნდა,  
აგრეთვე, ვერცხლისაგან დამზადებული მთვარის დისკოს გამოსახულება, ფრინ-  
ველის ფიგურა და საკინძი—მზის, ცხოველის — ცხენის სკულპტურული გა-  
მოსახულებებით<sup>235</sup>. სრულიად აშკარაა, რომ საგნები ასტრალურ სიმბოლოებს  
წარმოადგენენ და შესაძლოა, ამ კომპლექსებში შემაჯავლი ფირფიტაც მზესთან  
ან უფრო მეტად მთვარესთან იყოს დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ ფირფი-  
ტაზე მოთავსებული ოცდაათი ნახვრეტი მთვარის კალენდრის ოცდაათ დღიან  
თვეს აღნიშნავდეს<sup>236</sup>. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან ასეული კოლომეტ-  
რით დაცილებულ ორ სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილ ერთნაირი ფორმის სა-  
განზე ნახვრეტების ერთი და იგივე რაოდენობა შემთხვევითობას ვერ მიეწერე-  
ბა. იგი უსათუოდ რალაც სისტემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. დასაშვე-  
ბია ვიფიქროთ, რომ ფირფიტაზე მოთავსებული ათ-ათი ნახვრეტისაგან შედგე-  
ნილი სამი მწყრივი თვის სამი დეკადის აღმნიშვნელი იყოს. ამ ნახვრეტებში  
ჩამაგრებული რაიმე საგნით, ერთიდან მეორეში გადაადგილებით შეიძლებოდა  
მომხდარიყო თვის დღეების აღრიცხვა. მისი ყოველდღიური გადანაცვლებით  
მფლობელს შეეძლო სცოდნოდა ყოველი თვის ყოველი დღე და თვის გასული  
და დარჩენილი დღეების რაოდენობა. ეს მოსაზრება მომავალი აღმოჩენების  
შედევად შეიძლება შემაგრდეს ან შეიძლება მოხდეს პირიქით, მაგრამ სადღეი-  
სოდ გვგონია, რომ საირხეში, ისე როგორც ასურეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს  
ფირფიტები, თავის დღეების საანგარიშო-საკალენდარო ფირფიტა შეიძლება  
იყოს.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ნაკლული. მშვილდი წარმოადგენს შემსხვილე-  
ბულ მრგვალგანიცვეთიან ღეროს, რომლის ერთი ბოლო გაბრტყელებულია და  
გამარყუევებული. მეორე ბოლოზე ენის ყუნწია მიყანგული. მოხრილი ნაწილი  
შემკულია სამი ტანდალარული მძივისებური შესქელებით და ირგვლივ ღარე-  
ბით. ზომები: სიმაღლე 14 მმ; სიგანე 20 მმ; (ტაბ. XXXIII<sub>11</sub>). ამგვარი მცირე  
ზომის რკინისენიანი მშვილდსაკინძები დამახასიათებელია ელინისტური ხა-  
ნის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. უახლოესი პარალელები მათ ეძებნება  
მოდინახესა და მცხეთიჯვრის ციხის არქეოლოგიურ კომპლექსებში<sup>237</sup>.

ხელადა რუხზედაპირიანი, მსხლისებური ფორმის ტანით, ბრტყელი ძირით,  
თანაბრად მორკალული მრგვალგანიცვეთიანი ყური, მიძერწილი აქვს პირზე და  
მუცელზე. ზომები: სიმაღლე 14.5 სმ; პირის დმ. 5,5 სმ; ძირის დმ. 7,5 სმ; მუც-  
ლის დმ. 13 სმ. (ტაბ. XXXIII<sub>6</sub>).

კოჭობი თიხის, გამომწვარი ვარდისფრად, ნაპრიალები ზედაპირით, შემალ-  
ლებული ყელით, თანაბრად გამოძერწილი ზომიერი მუცლით, ბრტყელი ძირით,

მრგვალკვანძოვითიანი ყური მიძერწილი აქვს მუცელზე და პირზე. ზომები: სიმაღლე 8,5 სმ; პირ. ს. დმ. 7,5 სმ; ძირის დმ. 5,5 სმ; მუცლის დმ. 10 სმ. (ტაბ. XXXIII<sub>12</sub>).

მეცხვ და მერვე სამარხებმა მოგვცა ამ სახის საირხული ძეგლების სტრატეგრაფია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, № 9 სამაოსი ჩაშვებული იყო № 8 სამარხის ქვაყრღში და მისი ფსკერი მერვე სამარხის ჩრდილო კამერიდან, იქ. სადაც ცხენები იყო დამარბული, 15 სმ-ით მაღლა მდებარეობდა. ეს გარემოება სრულად გარკვევით გვიდასტურებს, რომ № 9 სამარხი № 8-ზე გვიანდელია, რაც თვალნათლივთაა გამოხატული სამარხულ ინვენტარში, რომლის უმრავლესობა ელენისტური ხანის მატერიალური კულტურის ნიმუშებთან ამკლავდება ახლო მსგავსებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამარხის თარიღი ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით. უფრო კი ამ საუკუნის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

სამარხი № 6 აღმოჩნდა D<sub>3</sub> კვადრატში მეთექვსმეტე უჯრედში, ნიშნულის ჩახდან 7 მ სიმაღლეზე. ქვებით შემოფარგლული ოვალური ფორმის ორმოში ჩონჩხი სრულიად გამქრალიყო, მხოლოდ რამდენიმე კბილი მიუთითებდა, რომ მცირეწლოვან ბავშვს ეკუთვნოდა. ორმოს ცენტრში დაფიქსირდა ოქროს საყურეები. ოქროს საკიდები, კოლხური მონეტა და მძივები. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა თიხის სარძევე ხელადა.

საყურეები ოქროსი წარმოდგენენ მთვარისებური ფორმის. სადაზედაპირიან ოქროს ფირფიტას. რომელთა ბოლოები გაწვირილებულია და გახვრეტილი. ზომები: 19X17 მმ. (ტაბ. XXXI<sub>1</sub>).

№ 8 სამარხიდან მომდინარე საკმაოდ მდარედ ნაკეთები ელექტრუმის ასეთი საყურეები ზემოთ უკვე იყო წარმოდგენილი, № 6 სამარხის ცალები მათთან შედარებით კარგადაა ნახელავი, ფორმის მიხედვით კი მათ შორის დიდი განსხვავება არ შეინიშნება, გარდა იმისა, რომ № 8 სამარხის საყურის გახვრეტილი ბოლო გველს თავს განასახიერებს. ასეთი საყურეების ასლს წარმოადგენს ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ითვიისის მეორე მდიდარული სამარხის ინვენტარში შემავალი ვერცხლის საყურე. რომლის ბოლო გველს თავს გამოხატავს<sup>238</sup>. მსგავსი ფორმები გვხვდება ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ანალოგის განძის საყურეები, მათი შუა მთვარისებური ფორმის ფირფიტები ცვარათი შედგენილი სამკეთხედებითაა შემკული<sup>239</sup>, მთვარისებური ფორმისაა ხელოვნების მუზეუმის ფონდში დაცული ცვარათი შემკული საყურე. რომელიც კახეთიდან მომდინარეობს და სპეციალისტების აზრით ძვ. წ. IV საუკუნის საიუველირო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს<sup>240</sup> უფრო აღმოსავლეთით, მინგჩაურის სამაროვანზე მოპოვებულ, პრიმიტიულად ნაკეთებ მთვარისებური ფორმის ოქროს საყურეებს მკვლევარები გრძელ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ათავსებენ და ძვ. წ. VII—V საუკუნეებით ათარიღებენ<sup>241</sup>. მნათობებთან ასოცირებული ამ ფორმის საკიდები ავიერკავკასიის ტერიტორიაზე უკვე ბრ. ნჯაოს ხანიდანაა დადასტურებული<sup>242</sup>, მაგრამ ოქრომჭედლობაში ნახე-



ვარმთვარისებური ფორმის სამკაულის მომძლავრება უფრო ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის მიჯნაზე შეინიშნება.

საკიდები სამარხში აღმოჩენილი 9 საკიდიდან ყურადღებას იქცევს ოქროს მავთულის ბუდეში ჩასმული სადა მძივები. მისი ბუდის ბოლო ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება, ხოლო თავზე ცილინდრული ფორმის ყუნწი აქვს მირჩილული. ზომები: სიმაღლე 15 მმ; დმ. 7 მმ. ამ სახის საკიდები შედარებით მოგვიანო ხანის არქეოლოგიური კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. იგი შეიძლება შევედაროთ ძვ. წ. III ს. დათარიღებულ ვანის № 4 სამარხის საყურეს, რომელიც წარმოადგენს ცვარათი შედგენილი პირამიდით დაბოლოებულ ოქროს ვარდულებს შორის მოქცეულ ქვის სადა ბურთულას<sup>243</sup>. მსგავსი საკიდები დამახასიათებელია, აგრეთვე, მესამე საუკუნით დათარიღებული სამადლოს არქეოლოგიური კომპლექსებისათვის<sup>244</sup>. ეს გარემოება თითქოს მიუთითებს, რომ № 6 სამარხი რამდენადმე მოგვიანო ხანისა უნდა იქონ. სამარხში აღმოჩენილი დანარჩენი ოქროს საკიდები ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმისა და ზომისაა. სადაზედაპირიანი წაყვეთილი კონუსის ფორმის ბუდეებში დამუშავებული უბრალო ქვებია ჩასმული, ოთხ მათგანს ქვები ამომძვრალი აქვს. ეს საკიდები ფორმითა და დამზადების ტექნიკით თითქმის იმეორებენ ზემოთ წარმოადგენილ № 8 სამარხის საკიდებს.

მონეტა ვერცხლის, კოლხური, შუბლზე გამოსახული აქვს ქალღვთაება, ზურგზე ხარი. ისე, როგორც № 8 სამარხის მონეტები, № 6 სამარხის მონეტაც კოლხურ ნახევარდრამას წარმოადგენს.

ხელადა თიხის, მოთეთრო-ყვითელი ფერის, ცალყურა, ყურის ზედა ზოლი, რომელიც პირის კიდეზეა მიძერწილი, შემკულია მრგვალი ლურსმნისთავისებური კოპით, ძირი ბრტყელი აქვს, მისი მსხლისებური მოყვანილობის ტანი, რამდენადმე ბიკონუსურია. ზომები: სიმაღლე 14,8 სმ; პირის დმ. 7 სმ; ძირის დმ. 5,8 სმ. ამგვარი ხელალები (დოქები) დამახასიათებელია თრიალეთის ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. საირხული ცალი განსაკუთრებით ახლო მსგავსებას პოულობს კარიაკის არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალ დოქებთან, რომლებსაც ი. გაგოშიძე ძვ. წ. IV საუკუნით ათარიღებს<sup>245</sup>.

№ 6 სამარხის თარიღის ზუსტად განსაზღვრა ძნელია, ჩვენს მიერ განხილული რამდენიმე ნივთი მოგვიანო ხანაზე მიუთითებს და საშუალებას გვაძლევს ზოგადად მის ზემო ქრონოლოგიურ ზღვარად ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნა მივიჩნიოთ.

**სამარხი № 1.** ამ სამარხის აღმოჩენით დაიწყო ახალი არქეოლოგიური ეტაპი საირხის ნაქალაქარის ისტორიის შესწავლაში. მან დასაბამი მისცა ანტიკურ-ელინისტური ხანის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების გამოძვეურებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ აღმოჩენის წყალობით საირხის ნაქალაქარი კიდევ ღიღხანს იქნება არქეოლოგთა საასპარეზო ადგილი. მის მიწაზე მიკვლეული კიდევ მრავალი ძეგლი იხილავს მზის სინათლეს და ამასთან დაკავშირებით წარს. წ. ნადირაძე

სულის მომავალი მკვლევარები არაერთხელ დაუბრუნდებიან პირველად მოპოვებულ მასალას. სწორედ ამის გამო, საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდ სიტყვა ვთქვა აწ მნიშვნელოვანი მიწისქვეშა ძეგლის მიკვლევა-აღმოჩენის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1964 წ. იმ ადგილზე, სადაც ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები აღმოჩნდა, სადაზვერვო თხრილი გავავლეთ. კერამიკის უმარავ ნატეხებს შორის ყურადღება მიიქცია თხრისაგან გამოძერწილმა რქებდაკაულმა ვერძის თავის გამოსახულებამ. სხვა იქ მნიშვნელოვანი არაფერი აღმოჩნდა. კულტურული ფენა მიწაში ღრმად ჩადიოდა, მაგრამ ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის ბრწყინვალე ძეგლები იმ თხრის ფსკერიდან, რომელზედაც ჩვენ დავაბიჯებდით, მიწაში 6 მ. სიღრმეში იყო თურმე ჩაძირული. იქამდე ჩაღწევა, როგორც შემდეგ გაირკვა, გრანდიოზული ზღვის სამუშაოების შესრულებას მოითხოვდა. სადაზვერვოდ გამოყოფილი მაშინდელი თანხა უმნიშვნელო იყო და, რა თქმა უნდა, 1964 წელს ამ აღმოჩენას განხორციელება არ ეწერა. დაზვერვითი სამუშაოების შემდეგ, 1965 წლის ექსპედიციამ, სამი მოკლევადიანი სეზონის მანძილზე საირხეში გათხარა სატაძრო ნაგებობის ნაშთები და ლითონის საწარმოო უბანი. მომდევნო წლებში მშენებლობებთან დაკავშირებულ ძეგლებს ვსწავლობდით, მაგრამ საირხე მუდამ იყო ჩვენი ყურადღების ობიექტი. თვალს ვადევნებდით შემთხვევით აღმოჩენებს და სკოლის მოსწავლეების დახმარებით, თითქმის ყოველწლიურად ვაწარმოებდით დაზვერვებს, ვაგროვებდით ანაკრემ მასალას. ვინ იცის, მერამდინეთ ავიყვანეთ დაჩივებულნი, მოხუცი ქალი ნინა ქველაძე საბადურის ფერდობზე. იგი ყოველთვის შეუცდომლად გვიჩვენებდა ერთსა და იმავე ადგილს და გვეუბნებოდა, რომ მან აქ იპოვა ნახევარგირვანქიანი ოქროს ნივთი „ბრასლეტი“, რომელიც ომამდე ტოროქსინში ჩააბარა და სანაცვლოდ ბევრი „ფართალი მიიღო“. ჩამოზვევებულ მიწაში ოქროსთან ერთად იყო სპილენძის ქვაბები, რომლებიც დიდხანს სხვენზე ეყარა. რა საფასური არ შევაძლიეთ, მაგრამ ლითონის ქვაბებს ვერ იქნა და ვერ მივაკვლიეთ. აღწერილობის მიხედვით კოლხური სიტულები უნდა ყოფილიყო, „ლურჯი სახეივანი ცხოველის თავს გავდა“-ო. სრულიად აშკარა იყო, რომ მოხუცი სიმართლეს ამბობდა და ამიტომაც შევიტანე მისი ნაპბობი 1975 წ. გამოცემული ნაშრომის სქოლიოში, მეგონა მომავალ არქეოლოგებს გამოადგებოდა, მაგრამ როდესაც 1982 წელს საშუალება მოგვეცა საირხეში გათხრები გვეწარმოებინა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ისევ საბადურის გორამ და მისმა შემოგარენმა. ისევ შევავგროვეთ მოსწავლეები და ცხენაკის სიმაღლე სიმინდის ყანებიდან მათ გამოიტანეს ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამეფო უნო ნაწარმის უმარავი ნატეხები — უტყუარი მოწმობა იმისა, რომ ეს ვრცელი ტერიტორია შორეულ წარსულში მჭიდროდ იყო დასახლებული. შეკითხვაზე რომ გვპასუხობდნენ, ერთმა მოსწავლემ — გია ენუქიძემ სიტყვა ჩამოაგდო რკინის პალოს შესახებ, რომელიც მან საბადურის ფერდობზე იპოვნა, სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ მოსწავლემ ფერდობზე ჭიათურის რომელიმე სახელოსნოში საქონლის დასაბმელი რკინის პალო იპოვა, მაგრამ მაინც გავგზავ-

ნეთ მის მოსატანად. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ წინ იდგა გაოფლილი ბავშვი, რომელსაც ხელში ეჭირა ოთკუთხივ გაჭედლილი, დაგრძელებული, მახვილწვე-ოიანი, თითქმის ნახევარი მეტრის სიგრძის „პალო“, იგი წარმოადგენდა ლურს-ნის იმ ტიპს, რომელიც ამ ორიათას ხუთასი წლის წინ იყო ხმარებაში და ტაძ-რებისა და აკლამების ხის კონსტრუქციების დასამაგრებლად გამოიყენებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩვენ აღმოჩენის ადგილზე ვიყავით. გორის ძირში, ყა-ნის განაპირას იდგა ფერდობზე აღმართული ქვის უზარმაზარი გორა, ქვებს შორის დამუშავებული გაკუთხული კვადრებიც შეინიშნებოდა. ჩვენთვის ნათე-ლი გახდა, რომ აქ უკვე მოასწრეს რაღაც მნიშვნელოვანი ძეგლის დასაწყობა. მეორე დღესვე, საბადურის დასავლეთ ფერდობზე უკვე მუშაობდა ინჟინერ-გეოდეზისტი, რომელიც შეუდგა ფერდობის ტოპოგრაფიების შედგენას. ზუსტი ხელსაწყოების საშუალებით გასათხრელი მოედანი დაკავივით კვადრატებად  $2 \times 2$  მ. საკორდინაციო ბადე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დავამხრეთ და გათხრებს შევუდექით. № 1 სამარხი, ისევე როგორც № 4—5, ჩამოვხრეთ იყო წინარეანტიკური ხანის ნახშიროვან ფენაში. იგი დაცურებული იყო და მიწის ზედაპირიდან არათანაბარ სიმაღლეზე მდებარეობდა. D<sub>3</sub> კვ-ში თუ სამარ-ხის ღონე ნიშნულიდან 4,60 მეტრს უდრიდა, D<sub>4</sub> კვ-ში იგი 5,3 მეტრს აღ-წევდა. ამის გამო სამარხში დაქრძალვის წესი ძნელი დასაფიქსირებული შეიქმ-ნა და არც ნივთების განლაგებაში შეინიშნებოდა მაინც და მაინც რაიმე წესი-ნივთები, ადამიანისა და ცხოველის ძვლები გაფანტული იყო D<sub>4</sub> კვადრატში. შემორჩენილი ქვაყრილის მცირე გროვა შესაძლოა წარმოადგენდა სამარხის ქვაყრილის ნაშთს, იმ ქვაყრილისა, რომელიც აქ ჩვენს მოსვლამდე უკვე მოხ-სნეს და რომელიც ახლა სიმინდის ყანის განაპირას, ველზე იყო დახვავებული. ქვის ამოღების შემდეგ წარმოქმნილი ორმო ბავშვებს სათამაშო ადგილად გა-დაექციათ, სადაც ათასნაირი ძველი ნივთები მოუზიდიათ. მათ შორის იყო მი-წის სქელი ფენით დაფარული ალუმინის ნავთქურა, მისგან 15 სმ. მიწის სიღრ-მეში ელავა შესანიშნავად ნახელავი ოქროს ნივთები. მუშაობის პროცესში შესამჩნევად ვახდა, რომ სამარხი ნაწილობრივ უკვე გაძარცვული იყო. ჩვენ, რა-იქამა უნდა, დაინტერესდით ბავშვებს ან ქვის მთხრელებს ლურსმნის გარდა კიდევ ზომ არაფერი ჰქონდათ აქ ნაპოვნი. შეკითხვაზე ისინი, ვისაც ამ საქმის შესახებ რამე უნდა სცოდნოდათ, უხალისოდ გვპასუხობდნენ. ვილაცას რაღაცა ახსოვდა და აღარც ახსოვდა ოქროსფერი საყურებისა და ლურჯი ნივთების შესახებ. დიდი შეგონების შემდეგ, მხოლოდ ერთ ნივთს, შესანიშნავად ნახე-ლავ ბრინჯაოს ლაგამს მიაგნეს და მოგვიტანეს. იგი უცილობლივ მოწმობდა, რომ ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის ჩვეულებისამებრ, ადამიანებს სამარხში ცხენები ჰქონდათ ჩატანებული. ეს ფაქტი შემდეგში სხვა მასალებითაც დადას-ტურდა.

პირველი სამარხი, ისე როგორც მეხუთე, კოლექტიური იყო. მდებარეობდა D<sub>4</sub> კვადრატში. მოხერხდა ორი მიცვალებულის ჩონჩხის გამოყვანა და დამხრო-ბის ოახსლოებით განსაზღვრა (ტაბ. XX XIV<sub>1</sub>). ერთი სრულსაკოვანი ადამიანი

ძარცვნა გვერდზე უნდა წოლილიყო, მოკურნჩხულ პოზაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ამ ჩონჩხის ზემოდან ოთხი ცალი პატარა ზომის რკინის ქუდისებურთავიანი ლურსმანი დაფიქსირდა. ჩონჩხის გასწვრივ, თავის მხარეს, რღო მიწითალო ფერის თიხის დოქი: მეორე, შედარებით უფრო ახალგაზრდა ადამიანის ჩონჩხი იმდენად უწყესრიგოდ იყო მიმოფანტული, რომ დაკრძალვის წესზე რამის თქმა ძალზე კირს. ძვლებთან ერთად დაფიქსირდა მოწითალო ფერის თიხის ფრაგმენტები. სამარხში სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდა: ოქროს დილაკები, ოქროს მძივები, ელექტრუმის საყურე, ოქროს საკერებლები, ოქროს ფირფიტები და ცვარათი შემკული ოქროს დიდი მძივი, ოქროს და ვერცხლის ავშრის ბალები, ვერცხლის საშუბლე და ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭდები, რკინის ლურსმნები და მრავალგვარი ფორმის მინის ნივთები.

საკიდეები ოქროსი, ორი ცალი. ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის; შედგენილია ერთმანეთზე თანაბრად მირჩილული ფუყე მძივებისაგან, მძივები, ან უფრო სწორად ბურთულები, მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად, ყველა ბურთულა გახვრეტილია, ნახვრეტები მწკრივებად განლაგებულ ბურთულებში გამჭოლია. თითოეული სამკუთხედის ფუძისეული მწკრივი შედგენილია შვიდი ბურთულისაგან, მომდევნო — მეორე რიგი ექვსისაგან და ა. შ. სამკუთხედი ფორმის საკიდი სულ 28 ბურთულისაგან შედგება. ზომები: სიმაღლე 27 მმ; ფუძისეული გვერდის სიგრძე 26 მმ; ფერდების სიგრძე 27 მმ; მძივის დმ. 4 მმ. (ტაბ. XXXIV<sub>2</sub>). ასეთი ფორმის საკიდები თუ საკერებლები, შედგენილი ერთმანეთზე მირჩილული ნახვრეტიანი მძივ-ბურთულებისაგან, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა № 8 სამარხში. ისინი ზემოთ უკვე აღწერეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს მათი დანიშნულების შესახებ. № 8 სამარხის სამკუთხედისებური საკიდები შედგებოდა 10, ხოლო № 1 სამარხისა — 28 მძივისაგან. ფორმით ისინი თითქმის იმეორებენ ახალგორის განძში შეპავალ საკიდებს<sup>246</sup>. ამ საკიდების პირველ რიგზე, ისევე როგორც ზაირხულზე შვიდ-შვიდი ბურთულაა მიმაგრებული. მეორეზე ექვსი, მესამეზე — ხუთი, მეოთხეზე — ოთხი, მეხუთეზე — სამი, მეექვსეზე — ორი და მეშვიდეზე ერთი, რომელიც კმნის სამკუთხედის წვეროს, ახალგორული საკიდები, ისე როგორც საირხულეში, შედგება 28 მძივბურთულისაგან. ახალგორული საკიდების ბურთულები უფრო წვერილმარცვლოვანია, რაც შესაბამისად მცირე განსხვავებას იძლევა ზომებში. საირხულეების სიმაღლე 27 მმ, ხოლო ახალგორულისა 23 მმ შეადგენს. მიუხედავად ზომების სხვაობისა, ეს ნივთები ერთსა და იმავე სახელოსნო ცენტრებში შეიძლება ყოფილიყო დამზადებული, როგორც გარკვეული ფორმისა და დანიშნულების სამკაულის შემადგენელი სტანდარტული დეტალი. როგორი შეიძლება ყოფილიყო ეს სამკაული? ი. სმირნოვს იგი წარმოდგენილი აქვს თავბოლოშექცევით შვიდ პარალელურ ძაფზე ასხმული სამკუთხედების რიგად, რომელიც ერთმანეთის გასწვრივ ჩამწკრივებული მძივების შვიდ ზოლს შექმნიდა. ძაფზე ასხმული სამკუთხედები ყელსაბამად ვერ

გამოდგებოდა, რადგან მორკალულ მდგომარეობაში კუთხეები დალიავდებოდა, ანტიომ, მეცნიერის აზრით ისინი დამაგრებული უნდა ყოფილიყო ბრტყელ საგანზე ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ მდგომარეობაში<sup>247</sup>. მძივ-ბურთულები-საგან შედგენილი ახალგორის განძის ათი სამკუთხედი თავბოლოშექცევით დაფ-ზე ასხმული 23 სმ. სიგანის და 17 სმ. სიგრძის ოქროს ზოლს ქმნის. შუქჩრდი-ლებით აელვარებული ძვირფასი ლითონის ამ ბაბთას შეეძლო მამაკაცის მოკლე ზედა ტანსაცმლის ბოლო დაემშვენებინა ან შეიძლებოდა მკერდის არეში ყო-ფილიყო ტანსაცმელზე მოთავსებული, როგორც ეს სამხრეთ რუსეთის დაშ-ტამპული ოქროს ფირფიტებისადმი ნავარაუდები<sup>248</sup>. ახალგორის საკიდების ასეთ ფუნქციასაც მეცნიერი ეპვის ქვეშ აყენებს, თვით ამ საგნის კონსტრუქცი-ის გამო<sup>249</sup>, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ საგანზე დასამაგრებელი ნახვრეტები-ასეთ მსჯელობას წერტილი დაუსვა მეათე საშარხის მონაპოვარმა, სადაც ეს ლეტალები ყელსაბამის საკიდებად იყო გამოყენებული.

მძივები ოქროსი — 3 ცალი, შედგება ერთმანეთზე მირჩილული სამი მძივ-ბურთულისაგან, რომელთა მოყვანილობა სფერულია, სადაზედაპირიანი მძი-ვები ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილვის შედეგადაა მი-ღებული. სამი ერთმანეთზე მირჩილული მძივის დაფის გასაყრელი ნახვრეტი პარალელურია. დაფზე ასხმული ასეთი მძივებისაგან შედგენილი მწკრივის სიგა-ნე 9 მმ. იქნებოდა (ტაბ. XXXIV<sub>3</sub>). ეს მძივებიც იმავე სისტემითაა აგებული, როგორც სამკუთხედები. ისინი შეიძლება გამოეყენებინათ ყელსაბამის შემად-გენელ ნაწილად, ისე როგორც, ჩვენ ამას ვხედავთ ახალგორის ყელსაბამზე, სადაც გომბეშოს საკიდებს შორის არე ორი ერთმანეთზე მირჩილული მძივ-ბითაა შევსებული<sup>250</sup>. ახალგორის განძშივე გვხვდება ერთმანეთზე მირჩილული სადა მძივები, რომლებიც ოთხკუთხედს ქმნის და რომლებიც ასევე ყელსაბა-მის შემადგენელ ნაწილებად ან თავსამკაულის მოსართავად შეეძლოთ გამოე-ყენებინათ<sup>251</sup>.

მძივები ოქროსი, კასრისებური ფორმის, გამოტვიფრულია ერთიანი ფირ-ფიტისაგან, ფართო ნახვრეტის ორივე მხარეს მავთული აქვს შემოვლებული. 11 მძივიდან 9 სადაზედაპირიანია, ხოლო 2 ტანდალარული. ზომები: სიგრძე 10—11 მმ; ნახვრეტის დმ. 6 მმ (ტაბ. XXXIV<sub>4,5</sub>). გათხრის პროცესში ვერ მო-ხერხდა იმის დადგენა, თუ რომელი სამკაულის ნაწილს წარმოადგენდა ეს მძი-ვები. ისინი გაფანტული იყო არა მარტო ერთ სიბრტყეზე, არამედ ერთმანეთი-საგან საგრძნობლად განსხვავებულ სიღრმეზე. მიუხედავად ამისა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სახის მასალის მძივებთან ერთად ისინი შე-ადგენენ ყელსაბამს, ახალგორის განძის ყელსაბამის მსგავსად, რომელზედაც მთის ბროლის მძივებთან ერთად წარმოდგენილია საირხულისმსგავსი ტანდალა-რული ოქროს მძივები<sup>252</sup>. რაც შეეხება კასრისებური ფორმის სადა მძივებს, ა. კუონია — რუქსორის ნაშრომზე დაყრდნობით, ვანში აღმოჩენილ ამ ფორ-მის ცალებს, მძივების ახალ სახეობად, ელინისტური ხანის საიუველირო ხე-ლოვნების პროლექტად მიიჩნევს. ასეთ მოსაზრებას რამდენადმე ადასტურებს

კანრისებური ფორმის მძივების არსებობა სამადლოს არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომლის თარიღსაც ი. გავაშმიძე ძვ. წ. III ს. განსაზღვრავს<sup>253</sup>.

მძივი ოქროსი, სფეროსებური ფორმის, მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთზე მირჩილვის შედეგად. ნახვრეტებში გაყრილი აქვს ოქროს შილი, რომლის ბოლოებზე ორივე მხარეს მირჩილულია სადა მავთული. სფეროსებური მძივის პოლუსებთან ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგით გამოხატულია თერაპეუტიკიანი ვარსკვლავი. ქიმები წვეროებით ებჯინება სადა მავთულა, რომლის საშუალებითაც მძივის ძირითადი ნაწილი პოლუსები-საგანა გამოყოფილი. გამყოფ მავთულს შორის დარჩენილი მძივის ზედაპირი გავარსის რომბულურჯრედოვანი ბადითაა დაფარული. გავარსების წყობა სუფთაა, მაგრამ ზოგჯერ თანმიმდევრული არ არის და აქა-იქ მწკრივები გამრუდებულია. ზომები: სიგრძე 11 მმ; ნახვრეტის დმ. 6 მმ; მძივის დმ. 12 მმ (ტაბ. VIg). გავარსით შემკული შესანიშნავად ნახელავი მძივი, რომელიც ზომებით დიდად აღემატება ყველა დანარჩენს და 15 გრ. იწონის, ყელსაბამის მთავარი წილა შექადგენელი საკიდი-მძივი შეიძლება იყოს. მას ანალოგი ელინისტური ხანის ქართულ საიუველირო ხელოვნებაში არ ეძებნება, მაგრამ ფორმითა და დამზადების ტექნიკით მსგავსება შეინიშნება გავარსით, შემკულ არქაულ მძივებთან, რომლებსაც ფარცხანაყანევისა და ცხინვალის განძები შეიცავენ<sup>254</sup>. ამ მძივების სფეროსებური ზედაპირიც შემკულია, მაგრამ გავარსებს შორის მოქცეული არე ყველგან ჩახვრეტილია და ჰვრიულზედაპირიანი მძივები ჰაეროვან შთაბეჭდილებას ქმნიან. საირხულ მძივზე ეს ხერხი არ არის გამოყენებული, იგი ამით განსხვავდება ადრეული ნიმუშებისაგან. განსხვავებაა მილის დიამეტრშიც, მიუხედავად იმისა, რომ ფარცხანაყანევის მძივი ორჯერ მეტია საირხულზე, აქ უკანასკნელის ნახვრეტის დიამეტრი სამჯერ აღემატება ფარცხანაყანევისას. ეს ტექნიკური ნიუანსები მძივის გვიანდლობის ნიშნად შეიძლება მივიჩიოთ. აკად. ბ. კუფტინი ფარცხანაყანევის განძს, რომელიც 1858 წელს აღმოჩნდა და პირველად პ. უვაროვამ აღწერა, წინარეანტიკური ხანით ათარიღებს<sup>255</sup>. მეცნიერის მიერ ნავარაუდები თარიღი რამდენადმე შემაგრდა და დაადასტურა უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, ფარცხანაყანევისა და ცხინვალის განძების ანალოგიურ მძივებს შეიცავს დიდმის № 2 ყორღანის შესანიშნავი კომპლექსი, რომლის თარიღიც რ. აბრამიშვილს განსაზღვრული აქვს ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით<sup>256</sup>. ფარცხანაყანევის განძის თარიღს ი. გავაშმიძე რამდენადმე აზუსტებს და მის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარად ძვ. წ. VI საუკუნეს მიიჩნევს<sup>257</sup>. მიუხედავად დიდი მსგავსებისა, საირხული მძივის აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩასმა თითქმის გამორიცხებულია. გვიანი ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებთან მისი არსებობა უფრო ქართული ოქრომკვედლობის ხანგრძლივი და კონსერვატული ტრადიციების დაჰდასტურებლად უნდა მივიჩნიოთ. ახალი აღმოჩენის ფონზე მთლად მართებულად არ მიგვაჩნია იმ აზრის კატეგორიულობა თითქოს სფეროსებური ფორმის, გავარსით შემკული, ჰვრიულზედაპირიანი მძივებს სრულიად არ იცნობს ადრეანტიკური ხანის ქართული

ოქრომჭედლობა და რომ იგი მხოლოდ წინარეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმის კუთვნილებაა<sup>258</sup>. შესაძლოა ადრეული ცალების განმასხვავებულ ნიშანს მათი ჰვრიული ზედაპირი წარმოადგენს, მაგრამ დამზადების ტექნიკა, ფორმა და სტილი თითქმის ერთხარია. უნდა ვთქვათ, რომ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის ოქრომჭედლობის სკოლის წიაღში შექმნილმა ამ სახის სამკაულმა ადრეანტიკური ხანის საიუველირო ხელოვნების სკოლა გამოიარა და ოდნავ შეცვლილი სახით ელინისტურ ხანამდე მოაღწია. ასეთი ვარაუდი უფრო ლოგიკურია და საირხის ძეგლი გარკვეულად ადასტურებს ამას.

მძივი ოქროსი, 1 ცალი, მილაკისებური, შედგენილია ერთმანეთზე მირჩილული 35 ცვარათი. სიგრძივ განლაგებული ცვარების ჩაოღენობა ხუთს უდრის, ხოლო წრიულად განლაგებულისა — შვიდს. ზომები: სიგრძე 5 მმ; დმ. 6 მმ; ნახვრეტის დმ. 2 მმ (ტაბ. XXXIV<sub>6</sub>).

მძივი ოქროსი მილაკისებური, დამზადებულია დაკეცილი მათულის მკიდრო სპირალად დახვევის და დარჩილვის გზით. ზომები: სიმაღლე 6 მმ; დმ. 4 მმ; ნახვრეტის დმ. 3 მმ (ტაბ. XXXIV<sub>6</sub>).

მილაკები და მილაკისებური მძივები ელინისტური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებისთვისაა უმთავრესად დამახასიათებელი. დიდი ჩაოღენობითაა აღმოჩენილი ვანის მდიდრულ სამარხებში და ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში<sup>259</sup>. ასევე დიდი ჩაოღენობით შეიცავს ოქროს მილაკებს სამადლოს მდიდრული კომპლექსი<sup>260</sup> და ახალგორის განძი. ახალგორის განძის ფართონახვრეტანი ოქროს რამდენიმე მილაკს გარედან ირგვლივ სადა მათულის ხეიბიცი შემოსდევს<sup>261</sup>, მაგრამ ვეარსით შემკული ასეთი სამკაული მხოლოდ ვანშია დადასტურებული. ა. ჭყონია საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამ სახის მილაკები ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის კომპლექსებში დაფიქსირებული არ ყოფილა<sup>262</sup>.

მძივები ოქროსი, 2 ცალი, ოვალური მოყვანილობის, ფუყე, განივად დაღარული წინაპირით, უკანა მხარეს გლუვზედაპირიანია, გვერდებიც ასევე სადაა. მძივებს ძაფზე ასასხმელი ორი პარალელური ნახვრეტი აქვს, მძივის წინაპირი და გვერდები ერთიანი ფირფიტისაგანაა გამოტყვიფრული, უკანა მხარეზე ფაქიზადაა მირჩილული. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში. ზომები: სიგრძე 18 მმ; სიგანე 12 მმ (ტაბ XXXIV<sub>7</sub>).

ოქროს მძივებთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ასეთივე მოყვანილობის გომრის მძივები, რაც მოწმობს, რომ მიცვალბულს ჩატანებული ჰქონდა სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები ერთნაირი ფორმის მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი. შავად მოკრიალე გომრისა და მოვლვარე ოქროს მძივებისაგან შედგენილი ზოლი ეფექტურ გამას შექმნიდა. მაგრამ სამწუხაროდ, მისი აღდგენა აღარ მოხერხდა. დაცურბებული მიწის მონაკვეთში დაფიქსირდა მხოლოდ გვერდიგვერდ მიწყობილი გომრისა და ოქროს რამდენიმე მძივი, რომელიც სამკაულის ფორმაზე და მის შედგენილობაზე იძლეოდა წარმოდგენას.

ლილაკები ოქროსი, 207 ცალი. ყველა ერთნაირი ფორმისაა. ახასიათებთ ნარგავი გამოტვიფრული ფართო შუაგული. კიდეებზე გარს შემოსდევს სადა მავთული, უკანა მხრიდან შუა ადგილზე მირჩილული აქვს ტანსაცმელზე მისაკერებელი ოქროს მავთულის ყუნწი. ზომები: სიმაღლე 2 მმ; და. 9 მმ (ტაბ. IV4).

ლილაკები, ისევე როგორც მძივები, მიმოფანტული იყო სამარხის სხვადასხვა ნაწილში. რამდენიმე ცალი აღმოჩნდა ცხენის ოქროს საყბურთან ერთად. უმრავლესობა ჩინჩხის გასწვრივ იყო გაბნეული, რაც უეჭველად მიუთითებს, რომ ლილაკები ტანსაცმლის ან სუღარის საკერებელ სამკაულს წარმოადგენდნენ ისე, როგორც ეს გათხრების დროს დაფიქსირდა ვანის № 11 სამარხში<sup>263</sup>. ოქროს ლილაკებს დიდი რაოდენობით შეიცავს როგორც ადრეანტიკური, ასევე ელინისტური ხანის მდიდრული კომპლექსები: გვხვდება ვანში<sup>264</sup>, ახალგორის განძში<sup>265</sup>, საირხული ცალები განსხვავდებიან ვანის მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის სამარხებში აღმოჩენილი დაღარული ლილაკებისაგან. საირხულის ზედაპირი სადა, კიდეები სადა მავთულისაგან შედგენილი ქედითაა შემოსაზღვრული. ამ ნიშნით ისინი მოგვიანო ხანის ლილაკებთან პოულობენ საერთოს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მრგვალი ფორმის ამ სახის საკერებლები ნაინც და მაინც დიდ ცვლილებას არ განიცდიან და ძვ. წ. V საუკუნიდან მოყოლებული ფორმაშეუცვლელი სახით გვხვდება ელინისტური ხანის დასასრულამდე<sup>266</sup>.

საყურე ოქროსი, ერთი ცალი, აღმოჩნდა სამარხის ცენტრში, მიცვალებულის გულპეკრდის არეში, წარმოადგენს ნალისებური მოყვანილობის ოთხკუთხაგანიკვეთიან ღეროს, რომელიც მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. საყურის ზედაპირი შემკულია ღარებისა და განივი ქედების რიგებით. ბოლოებზე ორივე მხარეს მირჩილული აქვს წვრილი მავთულის ორმაგი ყუნწები. ზომები: სიმაღლე 26 მმ; სიგანე 30 მმ; ღეროს სისქე 4 მმ (ტაბ. XXXIVგ).

ვანის საიუველირო ნაწარმი არ შეიცავს ამ სახის სამკაულს, მაგრამ საირხულ საყურეს ნაწილობრივ ეძებნება პარალელი ოქრომჭედლობის ისეთ ბრწყინვალე ნიმუშებთან, როგორიცაა ახალგორის განძის რთულად ნაკეთები ბურთულებიანი საყურე. ამ საყურეების შუა ძირითადი ნაწილი, რომელსაც ნალისებური ფორმა აქვს და რომლის ზედაპირი შემკულია ღარისებური და განივი ქედების რიგებით, გავს საირხულს. მის ბოლოებზე, როგორც საირხულზე, სადა მავთულის ორხვია ყუნწებია მირჩილული<sup>267</sup>. ამ ნაწილის მსგავსება იმდენად იდენტურია, რომ მათი ერთ სახელოსნო ცენტრში დამზადებაც კია სავარაუდებელი. ისიც საფიქრალია, რომ საყურე შეიძლება იყოს ფართო მოხმარების ამ სახის სამკაულის ძირითადი ტიპი, რომლის გართულებულ მაღალმხატვრულ ვარიანტს წარმოადგენენ ახალგორული საყურეები. მკვლევარები მათ ადგილობრივ სახელოსნო ცენტრში დამზადებას არ გამორიცხავენ<sup>268</sup>. მაგრამ ოქრომჭედლობის ამ შესანიშნავ ნიმუშებს უყოყმანოდ მიაკუთვნებენ სპარსულ-აქემენდური ხელოვნების წრეს<sup>269</sup>. იგივე შეიძლება ითქვას საირხულ საყურ-



რეგებზე. ის შემკულობით რამდენადმე გავს ამურდარიის განძის ზოგიერთ ნივთს, რომელთა ზედაპირი დაფარულია ბურცობებისა და ლარების მონაცვლე რიგებით და რომლებიც აშკარად განსხვავდებიან გავარსით შემკული ქართული ოქრომკვედლობის ნიმუშებისაგან<sup>270</sup>.

სამკაული ოქროსი, აღმოჩენილია სამარხის შუაგულში, ლავიწის ძვალთან, ნახევარცილინდრული ფორმისაა, დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან. კიდეებზე და შუა ნაწილზე მავთულები აქვს მიჩილული, შუა და განაპირა მავთულებს ებჯინება ცვარათი შედგენილი სამკუთხედები. სამკუთხედებს შორის ცვარათი შედგენილი რომბებია დარჩილული, ქიმებისებურად გამოშვებული სამკუთხედები ორმწკრივია ცვარათია შედგენილი. ხოლო ფუძეები ერთი მწკრივით. ზომები: სიმაღლე 11 მმ; სიგრძე 29 მმ; ფუძის სიგანე 13 მმ (ტაბ. X X X V<sub>4</sub>). მდიდრულად გაფორმებული, მაგრამ რამდენადმე დაუდევრად ნახელავია. ამ ნივთის დანიშნულება გაურკვეველია. ყველაზე მეტად იგი ქამრის ბალთას ჰგავს, მაგრამ ქართულ საიუველირო ნაწარმში მას ანალოგები არ ეძებნება. ამგვარი ფორმის ნივთს შეიცავს ჩრდილო კავკასიის სოფ. კომუნტას სამარხეული კომპლექსები. იქ აღმოჩენილი ოქროს ნივთის ზედაპირი, ისე როგორც საირხული-სა, შუაზე და კიდეებზე მავთულითაა შემორკალული. მავთულებს შორის არც ცვარათი შედგენილი რომბებითაა შემკული. იგი დანის ტარად ან ჯაგრისის სახელურადაა მიჩნეული<sup>271</sup>. თუმცა გამორიცხული არ არის ამულეტისებური ნივთის ბუდეც ყოფილიყო, ისე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ორენბურგის ყორღანიდან მომდინარე ერთ საკიდეზე, რომელიც დათვის ეშვს წარმოდგენს და ცვარათი შემკული ოქროს გარსაქარავშია ჩასმული<sup>272</sup>.

**ფირფიტა** ოქროსი, დაგრძელებული ოთკუთხედი ფორმის, სადა ზედაპირით, კიდეებზე შემოუყვება შიგნითა მხრიდან პუნსონით ამოყვანილი ბურცობების რიგი, კუთხეებში და შუა ადგილზე, საგანზე, მისამავრებელი ნახვრეტები აქვს. ზომები: სიგრძე 9,5 სმ; სიგანე 3,3 სმ. (ტაბ. X X X V<sub>1</sub>).

**ფირფიტის ფრაგმენტი** ოქროსი, გარსემოუყვება პუნსონით ამოყვანილი ბურცობების რიგი. ზედაპირი სადაა. ზომები: სიგანე 3,3 სმ; შემორჩენილი სიგრძე 2,4 სმ; (ტაბ. X X X V<sub>2</sub>).

**ფირფიტა** ოქროსი, სადაზედაპირიანი, კიდეებზე შემოსდევს პუნსონებით ამოყვანილი სამკუთხედებისა და ბურცობების რიგი, რომელიც მოხდენილ გეომეტრიულ ორნამენტს ქმნის. ზომები: სიგრძე 9,4 სმ; სიგანე 4,2 სმ. (ტაბ. X X X V<sub>3</sub>).

მდიდრული ორნამენტითა და სახეებით შემკული ოქროს ფირფიტები დამახასიათებელია ადრეანტიკურ-ელისნისტური ხანის საიუველირო ხელოვნებისათვის. გვხვდება ვანის<sup>273</sup>, ახალგორისა<sup>274</sup> და სამადლოს<sup>275</sup> არქეოლოგიურ მონაპოვარში. ნახვრეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი უმრავლესობა ქსოვილზე ან რალაც ხის ნივთზე მაგრდებოდა და მას ამკობდა. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დამოუკიდებელი სარიტუალო ნივთების სახითაცაა წარმოდგენილი. ასეთებია ამურდარიის განძის მრავალრიცხოვანი ოქროს ფირფიტები, რომელთა

ზედაპირს ამკობს ოსტატურად. ზოგ შემთხვევაში კი პრიმიტიულად შესრულებული მხატვრული სიუჟეტები. ამ განძის ერთ ფირფიტაზე, რომელსაც ბურცობებიანი კონტურები აქვს და ფორმით საირხულისაა გავს, მდიდრულ ტანხაცემელში გამოწყობილი მამაკაცია გამოსახული. ზოგიერთი მკვლევარი მას ქურუმად<sup>276</sup>. ხოლო ზოგიერთი, იმის გამო, რომ თავზე ჩაფხუტი ახურავს და ხელში აჯინაყ უჭირავს, კარის დიდებულად მიიჩნევს<sup>277</sup>. საირხული ნივთებისათვის უცხო არ არის ფირფიტების სახეებით შემკობა. აქ აღმოჩენილია ხბილენის ფირფიტა, რომელზედაც ლომის თავია ამოტვიფრული, მაგრამ საირხული ოქროს ფირფიტები ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმითა და კონტურების შემკულობით უახლოვდება აქიმენიდური ირანის ამ სახის ხელოვნების ნიმუშებს. ფირფიტებთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი უნდა აღინიშნოს: მძარცველების ხელში მოხვედრილი ამურდარის განძის ამ ნივთებს, რომლებიც შუაზიიდან ავღანეთის გზით ჩრდილოეთ ინდოეთში გადაიტანეს და იქ ინგლისელებს მიჰყიდეს, რამდენიმე ადგილზე გადაკეცის კვალი ეტყობოდა. ჩანდა, რომ თავდაპირველმა მფლობელმა, 'კარგ ფასში რომ გაეყიდათ, გაკეცილი ფირფიტები გაასწორეს. განძის მკვლევარების ა. დალტონისა<sup>278</sup> და რ. გირშმანის<sup>279</sup> მიერ ეს ფირფიტები იმთავითვე მიჩნეული იყო, როგორც სატაძრო შეწირულობანი. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს რ. არტამონოვი<sup>280</sup>. რ. ბარნეტი კი ამ ჰიპოთეზის შესამაგრებლად ორიგინალურ საბუთს იშველიებს; მისი აზრით, ფირფიტები იმიტომ იყო დაკეცილი, რომ ისინი მლოცველებს ადვილად მოეთავსებინათ განძის ნიშაში ჩადგმულ შესაწირ ყულაბაში<sup>281</sup>. ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, მაგრამ ფირფიტებზე დაკეცვა რომ რაღაც რიტუალთან დაკავშირებული წესის მიხედვით ხდებოდა. ამას გარკვეულად ადასტურებს საირხის აღმოჩენა, საგნიდან ამძვრალი და მიცვალებულისათვის შეწირული ეს ფირფიტები საგანგებოდ ყველა შუაზე იყო გაკეცილი.

**საბექდავი ბექელი ბრინჯაოსი, წვრილი მრგვალგანიკვეთიანი რკალი აქვს, რომელზედაც შიგნიდანაც და გარედანაც მთელ სიგრძეზე გაუყვება სუსტად შესამჩნევი წახნაგი. რკალი ზემოთ მკვეთრად ფართოვდება და ოვალურ ფარაკში გადადის. ბრტყელ ზედაპირზე ამოკვეთილია დატოტვილრქებიანი ირემი. რომელსაც გრიფონი ესხმის თავს. გამოსახულება ცუდად იკითხება. ზომები: სიმაღლე 25 მმ; რკალის შიდა დმ. 20 მმ; ფარაკი 20×13 მმ; (ტაბ. XXXV).**

**საბექდავი ბექელი ბრინჯაოსი, ბექედს წვრილი რკალი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამობურცული, ზემოთ რკალი ვიწროვდება და ოვალური ფორმის ფარაკში გადადის. ფარაკის ბრტყელ ზედაპირზე გამოსახულია მტაცებელი ფრინველი (არწივი, ორბი), რომელსაც თავი ზურგისაკენ აქვს მიბრუნებული. ფრინველის ზურგს ზემოთ ნახევარმთვარეა გამოსახული. ზომები: სიმაღლე 26 მმ; რკალის შიდა დმ. 21 მმ; ფარაკის 19×14 მმ; (ტაბ. XXXV).**

საირხის საბექდავი ბექედები თავისი ფორმით, ფარაკზე ამოკვეთილი სიუჟეტების შინაარსითა და დამუშავების ტექნიკით, მსგავსებას პოულობს ადრეანტი-

კურ-ელინისტური ხანის ქართულ საბეჭდავ ბეჭდებთან. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ანალოგიური ფორმის ბეჭედი დაბლაგომის ძესამე საუკუნის მდიდრული სამარხიდან<sup>282</sup> და ვანიდან, რომელთაც მ. ლორთქიფანიძე ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრით ათარიღებს. ჩვენი აღწერილობის პირველ ბეჭედზე მოცემული სიუჟეტი, როცა გრიფონი თავს ესხმის ირემს, ცხენს ან ხარს, ძალზე გავრცელებულია კლასიკური ხანის ძეგლებზე, განსაკუთრებით მცირეაზიულ ხელოვნებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული საირხის მსგავსი ბეჭედი, ფარაკზე გამოსახული გრიფონისა და ირმის საბრძოლო სიუჟეტით<sup>283</sup>, და V—IV სს. ერთი სკარაბეოიდი, რომელზედაც იგივე სცენაა წარმოდგენილი<sup>284</sup>. კლასიკური ხანის იმ ძეგლებზე, რომლებიც ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება, არწივისა და ირმის გამოსახულებაც ხშირად გვხვდება<sup>285</sup>. საირხის ბეჭედზე, ფრინველის ზურგის ზემოთ მოცემული მთვარის გამოსახულება გარკვეულად ადასტურებს იმ აზრს, რომ ქართული საბეჭდავი ბეჭდების იკონოგრაფია შემუშავებულია წარმართული რელიგიური სიუჟეტების მიხედვით და ფარაკზე გამოხატული ფრინველი მთვარის ღვთაების ზომორფულ ხატს განასახიერებდა<sup>286</sup> № 1 სამარხის სხვა მასალებთან შედარებით, ბეჭდები რამდენადმე არქაულად გამოიყურება. კერძო საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებული ეს სამკაული, რომელზედაც მესაკუთრე თავის მფარველ ღვთაებას<sup>287</sup> გამოხატავდა, დიდხანს შეიძლება ყოფილიყო ხმარებაში. ამუ-დარია განძის ზოგიერთ საბეჭდავს, რომლებიც ფორმით უახლოვდება საირხულს, ი. ბორდმანი ზოგადად ძვ. წ. V—III სს. ათარიღებს<sup>288</sup>.

სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები, მათგან აღსანიშნავია გიშრის, სარდიონის, ქარვის, მინის და რბილი კრქვისაგან ნაკეთები ნაირგვარი ფორმის მძივები (ტაბ. XX XV). კომპლექსებში ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თვალედი მძივები, ისეთები, როგორსაც შეიცავს № 4 სამარხი და რომელთა თარიღი, შედარებით: ანალიზის საფუძველზე, ელინისტური ხანით განისაზღვრება. სამარხეული კომპლექსის თარიღის დადგენისათვის მნიშვნელოვანია მინისაგან დამზადებული ამფორისებური ფორმის მძივები (ტაბ. XX XV). სამკაულის ეს ტიპი, ისე როგორც თვალედი მძივები, დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული და უმთავრესად ელინისტური ხანის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. აღმოჩენილია ჩრდილო და აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, ჩრდილოეთ კავკასიაში<sup>289</sup>. საირხული ცალკე თითქმის იმეორებენ ხერსონის ოლქის კახოვსკის რაიონის ერთ ყორდანში მოპოვებულ მძივებს, რომელიც აქ შავი ზღვის პირეთის ბერძნული ქალაქებიდან შემოტანილად სიაჩნით და რომლებსაც ზოგადად ძვ. წ. IV ს. ათარიღებენ<sup>290</sup>.

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, დამზადებულია ოვალურგანივკვეთიანი ღეროსაგან, ერთ მხარეს ბოლოვდება ბუდით, ზამბარის მხარე ნაკლულია, მშვილდის ნხოლოდ ორი პატარა ნატეხი იყო შემორჩენილი. ზომები: სიგრძე 35 მმ; სიმაღლე 22 მმ; (ტაბ. XX XV). ასევე მცირე ზომის ორნაწილიანი მშვილდსაკინ-

ებში, ფორმის მხრივ, გენეტიკურად უკავშირდება ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის დიდი ზომის ბრინჯაოს მშვილდასაქინძებს და ელინისტური ხანის სამკაულის ტიპს წარმოადგენს. მსგავს მშვილდასაქინძებს შეიცავს ძვ. წ. III საუკუნით დათარიღებული მოდინახეს № 4 სამარხის არქეოლოგიური კომპლექსი<sup>291</sup> და როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, მცხეთიჯვრის № 94 სამარხშიც არის დადასტურებული, აღმოსავლური ტიპის მოხატულ ქურჯელთან ერთად. ეს ქურჯელი ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარზე ადრეული არ უნდა იყოს.

**ილარი ბრინჯაოსი**, ორი ცალი, ერთი მათგანი ნაკლულია, ხოლო მეორე მთლიანი სახითაა შემორჩენილი. წარმოდგენილია ზურგებით შეტყუპებული თუთიყუშების სტილიზებული გამოსახულებით. ტანდალარული ფრინველის ზურგები ერთმანეთზე მიჩაილულია თავებით და ბოლოებით, ზურგები გაყოფილია ნახვრეტებით, ნახვრეტები გაკეიბებულია ფრინველის თავებთან და ბოლოებთანაც ზომები: სიგრძე 25 მმ; სიგანე 15 მმ; სისქე 5 მმ. (ტაბ. XXXV7). მსგავსი ნივთი გამოქვეყნებული აქვს აკად. ბ. კუტტინს<sup>292</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტში მისი დანიშნულების შესახებ არაფერია ნათქვამი. ზუსტი ანალოგები საირხულ ცალებს ეძებნება მცხეთიჯვრის № 94 და საკუთრივ საირხის № 9 სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.

**კავები (ლუსმნები)** რკინის, 7 ცალი, ოთხწახნაგოვანი, მართი კუთხით მოხრილი ბოლოები გაბრტყელებული და თავმოხვეული აქვთ. ზომები: სიმაღლე 50—59 მმ; საერთო სიგრძე 83—85 მმ. სისქე 10 მმ. (ტაბ. XXXVa) სრულიად ანალოგიური ნივთი აღმოჩნდა ითხვისის<sup>293</sup> და მოდინახეს ადრეანტიკური ხანის სამარხში<sup>294</sup>. თავისი მოყვანილობით ისინი ყველაზე მეტად საკიდ ლურსმნებს გვანანს, მაგრამ რადგან ღღემდე სამარხის გარდა არსადაა დადასტურებული, მათი დანიშნულება გაურკვეველია.

**ლურსმნები** რკინის, ოთხწახნაგოვანი ვაკეებიანი, უთაფო, სულ 3 ცალი. მათგან ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევით ნაპოვნია მოსწავლისაგან, ხოლო ორი გათხრების მსვლელობაში დაფიქსირდა შემორჩენილ ქვაყრილში. ზომები: სიგრძე 45—46 სმ. აღწევდა (ტაბ. XX). ზემოთ უკვე აღვწერეთ № 8 სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის ლურსმნები, ისინი იდენტურია ვანსა და რთხვისში, ადრეანტიკური ხანის სამარხებში, აღმოჩენილი ლურსმნებისა, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული ხანის მდიდრულ სამარხებს ერთნაირად აწყობდნენ: მიწაში ამოთხრილ ორმოში იდებოდა და იკვრებოდა ძელური ნაგებობა, რომლებიც დიდი ზომის რკინის ლურსმნებით მაგრდებოდა<sup>295</sup>.

**ღოქი თიხის**, მუქი მოწითალო ფერის, წაბლისფერი ლაქებით, პირგადმოლილი, ყელგამოყვანილი, ძლიერ დაქანებული მხრებით, დაბალი განიერი მუცლით, ბრტყელი ძირით, მრგვალგანივიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მუცელზე და პირთან. ზედაპირი ნაპრიალები, თიხა საშუალომარცვლოვანი, ქარსმინარევიანი. ზომები: სიმაღლე 108 მმ; პირის დმ. 50 მმ; ძირის დმ. 90 მმ. ტანის უღიდგის დმ. 151 მმ. (ტაბ. XXXVI).

სამარხში ამ ჭურჭლის აღმოჩენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი თარიღის დასადგენად. საქმე ისაა, რომ დოქი მკვეთრად განსხვავდება ადრე-ანტიკური ხანის ამ სახის ჭურჭლებსაგან და ელინისტური ხანის სამეთუნო ნაწარმის სასუფრე ჭურჭლის დამახასიათებელ ტიპს წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოხატულია ჭურჭლის არქიტექტონიკაში და ზედაპირის ფერში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უორნამენტოა და წითლადაა ნაპრიალები. ამ ნიშნების მიხედვით საირხული ჭურჭელი ახლო ანალოგებს პოულობს მოდინახეს ადრეელინისტური ხანის სამარხებიდან მომდინარე წითელ-ზედაპირიან დოქებთან, რომელთაც ფართო კორპუსი, გადმოშლილი პირი და მრგვალგანიკვეთიანი ყური აქვთ<sup>296</sup>. წითლად შეღებილი ფართე კორპუსიანი დოქის ფრაგმენტებს დიდი რაოდენობით შეიცავს სამადლოს ელინისტური ხანის ფენები<sup>297</sup>. მთლიანი სახით წარმოდგენილია მცხეთის ქვევრსამახებში<sup>298</sup>, ურბნისისა და უფლისციხის ყათლანახევის ორმო სამარხებში, რომელთა თარიღი ძვ. წ. III—II საუკუნეებით განისაზღვრება<sup>299</sup>. თრიალეთში ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრითა და III ს. დასაწყისით დათარიღებულ კუშჩის სამარხებიც შეიცავენ საირხის მსგავს ფართო კორპუსიან დოქებს<sup>300</sup>. ამ დოქებთან ერთადაა მოპოვებული დაბალყელიანი სარძევე ტოლჩები, ისეთები, როგორიც მოდინახეს ადრეელინისტური ხანის სამარხულ კომპლექსებშია დადასტურებული<sup>301</sup>. შეიძლება პარალელები გაველოს, აგრეთვე, ვანის № 10 სამარხის ჭურჭელთან<sup>302</sup> დაბლაგომის და დაფნარის<sup>303</sup> ელინისტური ხანის დოქებთან, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ № 1 სამარხში მოპოვებული ეს ჭურჭელი ელინისტური ხანის სამეთუნო ნაწარმს განეკუთვნება.

ზემოთ განხილული მასალების გარდა, კომპლექსი შეიცავს მრავალ წვრილმან ნივთს. ასეთებია ძალზე დაზიანებული რკინის ბეჭდების ფრაგმენტები, გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთის ფრაგმენტები, რკინის რგოლები, ბრინჯაოს მახათი, ბრინჯაოს სამაჯური და მინისებური პასტის საყინძის თავი, რომელსაც გირჩისებური მოყვანილობა აქვს (ტაბ. XXV, 9) და რომლის მსგავსი სამკაული დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში.

**ცხენის აღკაშმულობა:** ავშრის ბალთები 2 ცალი, ღილისებური მოყვანილობის. დამზადებულია ოქროს სქელი ფირფიტისაგან, კონუსისებურადაა ამობურცული, ზედაპირი სადა აქვს, გამოტვიფრულია უკანა მხრიდან, შუა ადგილზე. როგორც ერთ, ისე მეორე ბალთას მორჩილული აქვს მრგვალგანიკვეთიანი ორი ყუნწი. ზომები: ბალთის დმ. 40—41 მმ; ყუნწის შიდა დმ. 8 მმ; (ტაბ. VI, 5).

**ავშრის ბალთები** ვერცხლისა, 2 ცალი, ოქროს ცალების ანალოგიურია, განსხვავებაა ზომებში, ერთი მათგანის დმ. 38 მმ-ია, ხოლო მეორესი 30 მმ (ტაბ. XXXV, 10).

ამგვარ ფირფიტებს, რომლებსაც ი. გაგოშიძე ლამბაქისებურს უწოდებს, შეიცავს ყანჩაეთის არქეოლოგიური კომპლექსი. მკვლევარი სრულიად სამარ-

თლიანად აღნიშნავს. რომ ავშრის თასმების გადაჯვარედინების ადგილზე საფეთქელთან და ყბებთან თვითთვეულ ცხენს ოთხი ასეთი ფირფიტა უნდა ჰქონოდა<sup>304</sup>. საირხის არქეოლოგიურ მონაპოვარში დადასტურდა ეს ფაქტი. № 8 სამარხში ოდნავ განსხვავებული ამგვარი ფირფიტები ცხენის თავის ქალასთან ყვრიმალისა და ყბის გასწვრივ დაფიქსირდა, ისე, როგორც ავშრის ეშვისებური სასაფეთქელები № 5 სამარხში. საირხულ ბალთებთან სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ ახალგორის განძში შემავალი დისკოსებური ფორმის, კონუსურად ამობურცული ფირფიტები, რომლებსაც აკად. ი. სმირნოვი ცხენის აღკაზმულობად მიიჩნევდა და რომლებსაც ბალთებს უწოდებს<sup>305</sup>. საირხული ცალების ასლებს წარმოადგენს ითხვისის № 2 სამარხის სადაზღვდაპირიანი ყუნწებამძვრალი ვერცხლის ბალთები<sup>306</sup> და ბალთები დაბლაგომის მდიდრული სამარხიდან, რომლებიც თანმხლები მასალის მეშვეობით კარგად თარიღდება ძვ. წ. III საუკუნით<sup>307</sup>. ზოგიერთი მეცნიერის აზრით ასეთი ბალთები ჩრდილოეთ კავკასიურ კულტურაში სკვითურ ხანამდე არსებობდა და ხმარებაში შემორჩა ძვ. წ. VI—V საუკუნეებამდე. ქართული ბალთების მსგავსი ცალები, რომელიც ვ. ი. კოზენკოვას მესამე ტიპში აქვს გაერთიანებული, აღმოჩენილია ლუგოვსკოის სამაროვანზე<sup>308</sup>, რელიეფით შემკული ასეთივე ბალთები ცნობილია პიატიგორსკიდანაც<sup>309</sup>. ჩვენში აღმოჩენილი ამ სახის აღკაზმულობის თარიღის დასადგენად მნიშვნელოვანია, რომ ზუსტად ასეთი ბალთები აქვს ავშარზე ძვ. წ. 350 წ. დათარიღებულ ცხენის ქანდაკებას, პალიკარნასის მავზოლეუმიდან<sup>310</sup>.

საშუბლე ვერცხლის, დამზადებულია ერთიანი ფირფიტისაგან, ფოთლისებური ფორმის ბრტყელი წრითაა დაბოლოებული. წრიული ზედაპირი მჭიდროდ მიჯრილი მცენარეული ორნამენტითაა შემკული, ფოთლის ფორმის ზედაპირზე ენისებური სახეებია გრავირებული, მხრების არეში, კიდევებზე ნახვრეტებია ამოჭრილი, ხოლო ნახვრეტების ზემოთ, უკანა მხრიდან თვალისებური სახეებია ამოტიფრული. ავშრის თასმებში გასაყრელი ბრტყელი ყუნწი უკანაა გადაკეცილი და მანქვლებითაა დამაგრებული. ზომები: სიგრძე 75 მმ; უდიდესი სიგანე 30 მმ; (ტაბ. VI₃). საირხული საშუბლე, რომლის ზუსტი ანალოგი დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე არსადაა აღმოჩენილი, რამდენადმე ახლოს დგას დაბლაგომის მდიდრული სამარხის ვერცხლის საშუბლესთან, რომელიც იქ დისკოსებური ფორმის ვერცხლის ბალთებთან ერთად იყოა<sup>11</sup>. ეს სამარხი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ადამიანისა და ცხენის აღკაზმულობის საკმაოდ მდიდრულ ინვენტარს შეიცავს და იმპორტული მასალების მეშვეობით კარგად თარიღდება ძვ. წ. IV ს. დასასრულითა და III ს. საწყისი პერიოდით (320 — 270 წწ<sup>312</sup>).

ლაგამი ბრინჯაოსი, ორნაწილედ, ბრტყელი საყბეურები, რომელზედაც ავშრის თასმების სამარყუეე სამ-სამი რგოლია მიჭვიდილი სამკუთხედი შევრილებით ბოლოვდება, საკუთრივ ლაგამი ორი ნაწილისაგან შედგება; თითოეული წარმოადგენს ორ რგოლს, რომლებიც უძრავადაა დაკავშირებული

ერთმანეთთან მისიური ღეროებით. ღეროზე დაღარულზედაპირიანი ბრინჯაოს მასიური მილაკებია წამოცმული. ზომები: საყბურის სიგრძე 19,2 სმ; (ტაბ. XX XVII1). ბრტყელ საყბურებიანი ლაგმები საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აღმოჩენილია ვანში, ზემო იმერეთში. ამ ტიპის ლაგმების ერთადერთი ცალია დადასტურებული ითხვისის მეორე სამარხში<sup>313</sup>. საირხულისაგან განსხვავებით, იგი სამწილედია. ამ ნიშნის მიხედვით, ი. გაგოშიძე მას ცალკე გამოყოფს და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლაგმების კლასიფიკაციისას მეორე ტიპში აერთიანებს<sup>314</sup>, ხოლო საირხულის მსგავს, რომელიც თითქმის იმეორებს ახალგორის განძის ბრტყელსაყბურებიან, ორნაწილედ ლაგმებს<sup>315</sup>, მეორე ტიპს მიაკუთვნებს და ადგილობრივ ქართულ ვარიანტად მიიჩნევს<sup>316</sup>. ბრტყელ საყბურებიანი ლაგმები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დროის დიდ მონაკვეთში ჩანს გავრცელებული. ამაზე მეტყველებს სომხეთში ლორი-ბერდის მახლობლად აღმოჩენილი წინარეანტიკური ხანით დათარიღებული ბრტყელსაყბურიანი ლაგმები, რომელსაც ველური ცხენების გასახდენი პირში ამოსადები მკაცრი ნაწილები აქვს<sup>317</sup>. სწორედ ამ დეტალებით განსხვავდება საირხული და ახალგორული მოგვიანო ხანის ლაგმები ადრეულისაგან. მათი პირში ამოსადები ნაწილები შედარებით ლმობიერი, რთულად დამუშავებული ელემენტებისაგანაა შედგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ საირხის არქეოლოგიურ მასალებში ძირითადად ლაგმების ყველა ის ტიპია წარმოდგენილი, რომლებიც ძვ. წ. პირველ ათასწლეულში იყო გავრცელებული ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. საირხეში აღმოჩენილი ყველა ლაგამი თანმხლები მასალების მიხედვით კარგად თარიღდება ადრეანტიკურ-ელინისტური ხანით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისათვის საირხეში არსებობს ბრინჯაოს საკმაოდ მძლავრი სამაქროები<sup>318</sup>, მათი აქ სხვა საწარმოო ცენტრიდან შემოტანა ნაკლებადაა სავარაუდებელი და უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არა მარტო ლაგმები, არამედ იმდროინდელი ცხოვრებისათვის დიდად მნიშვნელოვანი, შესანიშნავად ნახელავი ცხენის აღკაზმულობის სხვა ნაწილებიც ადგილობრივ სახელოსნო ცენტრში უნდა იყოს დამზადებული.

სამარხეული კომპლექსის განხილვამ ცხადყო, რომ მისი გარკვეული ნაწილი აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს ადრეანტიკური ხანის მატერიალურ კულტურასთან. ეს ძველი ტრადიციების გავრცელებად უნდა მივიჩნიოთ. ინვენტარის უდიდესი ნაწილის თარიღი კი, როგორც შედარებითაა ანალიზმა და გვარწმუნა, ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნით უნდა განისაზღვროს.

საკულტო მოედანი საბადურის დასავლეთ ფერდობზე B<sub>3</sub> კვადრატში, № 5 სამარხის სამხრეთით 10 მეტრზე, გაიწმინდა დანახშირებული მოედანი, რომელიც სიღანარევ თიხნარ ნიადაგში ლინზის სახით იყო შეჭრილი და ჭრისში კარგად გამოიყოფოდა 15—20 სმ. სისქის ნახშირის ფენით. დანახშირებულ მოედანზე, რომელსაც ოთხი კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა, მიმო-

ფანტული იყო ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივის გამოსახულებები — 33 ცალი და წრიული ფირფიტისაგან შედგენილი ოქროს სამყურა საკერებლები — 14 ცალი. დასავლეთ ნაწილში ეყარა მინის თასის ნაწილები და ადგლობრივი კერამიკის ფრაგმენტები. მოედნის მთელ ფართობზე გაფანტული იყო კარგად შემონახული წაბლის დანახშირებული ნაყოფი, რაც ნათლად მიუთითებს, რომ საგანგებოდ მოსწორებულ გრუნტზე წაბლის ფიჩხის კოცონი ენთო. მოედანზე მოპოვებული მასალის განხილვას ოქროს ნივთებით დავიწყებთ.

არწივების გამოსახულებები, ოქროსი, ძირს დაშვებული ფრთებით, მარცხნივ შემობრუნებული თავით, თვალი ამოტიფრულია და ნახევარსფეროს სახითაა გამოხატული, ყელი და ფრთები დატიფრული ღარებითაა აღნიშნული, ასევე დაღარული აქვს ჩამოშვებული მარაოსებური ბოლო. ფრინველს კლანკები ფრთაზე აქვს მიბჯენილი. ფირფიტა დაშტამპული არ არის, იგი ხელითაა ნაკეთები, რაზედაც მიუთითებს ყელზე და ფრთაზე არსებული ღარების განსხვავებული რიცხვი. 13 ცალს უქანა მხარეს ძაფზე ასასხმელი მილაკი აქვს, ყველა მათგანის ფრთაზე და კულზე საგანზე მისამაგრებელი ნახვრეტებია ჩაჭრილი. ზომები: 22 X 20 მმ. (ტაბ. XX XVII). საირხული არწივები ფორმითა და დამზადების ტექნიკით უახლოეს მსგავსებას ამჟღავნებენ ვანის მდიდრული სამარხიდან მომდინარე ოქროს ფირფიტებისაგან გამოჭრილ არწივების ფიგურებთან<sup>319</sup>. ორი მათგანი აღმოჩენილია ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 11 სამარხში<sup>320</sup>, ხოლო ორი ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ № 6 სამარხში<sup>321</sup>, აღმოჩენის პირობების მიხედვით № 11 სამარხის არწივები სარტყელის სამკაულადაა მიჩნეული, ხოლო № 6-სა გულმკერდის სამკაულად<sup>322</sup>. საირხული ფრინველები ადასტურებენ, რომ არწივის 13 ფიგურა, რომლებზედაც ძაფზე ასასხმელი მილაკებია შემორჩენილი, გულ-მკერდის სამკაულია და 20 ფიგურა, რომლებსაც არა აქვთ ძაფზე ასასხმელი მილაკები, ტყავზე ან ტანსაცმელზე იყო მიმაგრებული და სამოსის მოსართავ სამკაულს წარმოადგენდა. მსგავსი ფირფიტები ფრთაზე, თავზე და კულზე მოთავსებული ფართე ნახვრეტებით, სკვითურ კომპლექსებშიც ვგვხვდებით<sup>323</sup>. როგორც ვანში, საირხეშიც არწივის ოქროს გამოსახულებები დაკავშირებულია მდიდრულ სამარხებთან, რაც უფლებას იძლევა ვთქვათ, რომ „ღვთიური ფრინველი“ მარტო ვანის არისტოკრატიის ძალაუფლების, სიძლიერის გამომსახველი კი არ იყო, არამედ საერთოდ კოლხეთის წარჩინებული საზოგადოების ძალაუფლების გამომხატველ ღვთიურ სიმბოლოს წარმოადგენდა.

საკერებელი ოქროსი, 14 ცალი, წარმოადგენს სამფურცლოვან ფირფიტას. თითოეულ ფირფიტას წრიული ფორმა აქვს, წრეს გარს შემოუყვება შიგნითა მხრიდან პუნსონებით ამოყვანილი ბურცოები. ფირფიტაზე არსებული ნახვრეტები მიუთითებს, რომ ეს ნივთიც სამოსის სამკაულს წარმოადგენდა. ზომები: 22 X 19 მმ (ტაბ. XX XVI I). ოქროს ღილაკები და ღილაკისებური



საკერებლები ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის მდიდრული სამარხეული კომპლექსების დამახასიათებელი სამკაულია<sup>324</sup>. საირხული ცალები ფორმით აზლოსაა ვანის № 6 სამარხის რთულად ნაკეთებ სამი კონუსისაგან შედგენილ საკერებლებთან<sup>325</sup>.

მინის თასი როგორც აღნიშნეთ, მოედნის დასავლეთ ნაწილში, დანახშირებულ ფენაში ეყარა მინის თასის ფრაგმენტები, კურტკელი ნაწილობრივ აღდგა, ასე, რომ, მის მთლიან ფორმაზე სრული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელი გახდა. დამზადებულია მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისაგან, რომელიც გამჭოლ შუქზე უფერულია. ღრმა, პირგაშლილი ფიალის ტანი ლოტოსის გაშლილ ყვავილს წარმოადგენს, გარედან ძირზე ოდნავ ამობურცული, გლუვი წრიდან სხივებად გადმოდის გრძელი დაბალქედიანი ფურცლები, რომლებიც პირისაკენ თანდათან ფართოვდება და მომრგვალებული ბოლოებით მთავრდება. ფურცლები ერთნაირი ზომისა და ფორმის არ არის. მხრებზე ფურცლებს ზემოთ ოთხი რელიეფური ზოლი შემოსდევს. მათგან ორი შედარებით მკვეთრია, შიდაპირი გლუვია და არ იმეორებს გარეპირის რელიეფს. ფიალა სქელკედლიანია. კედელი ყველგან თანაბარი სისქის არ არის, რაც მისი ცეცხლში მეორადი მოხვედრის შედეგად უნდა იყოს გამოწვეული. კურტკლის ზედაპირი მსუბუქად ირიზებულია, დიდი რაოდენობით შეიცავს სფერულ ბუშტებს, რომლებიც მინის სისქეში არათანაბრად არის განლაგებული. ფიალა ყალიბში მინის მასის ჩაწნეხვითაა დამზადებული, გარე პირზე გამოხატულია ყალიბის რელიეფის მკვეთრი კვალი. ზომები: სიმაღლე 5 სმ; პირის საშ. დმ. 23 სმ; (ტაბ. XXXVIII<sub>1</sub>). ანტიკური ხანის ეს ძვირად ღირებული და იშვიათი კურტკელი დღემდე ერთადერთი იყო აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იგი შემთხვევით ნაპოვნი, ალგეთის მდიდრული სამარხის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთია, რომელიც აკად. ბ. კუფტინმა გამოაქვეყნა და რომლის მსგავსი, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე აღარ აღმოჩენილა<sup>326</sup>. არა მარტო საქართველოში, მინის ფიალები იშვიათობას წარმოადგენს როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ანტიკური ხანის ცივილიზაციების ამსახველ არქეოლოგიურ მასალებშიც. ალგეთის მინის ფიალისადმი საგანგებოდ მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ამ ეპოქის მინის ფიალები სულ რამდენიმეა ცნობილი, მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები, ვიდრე ოქროსი<sup>327</sup>. თუ თავის დროზე ალგეთის ფიალა უნიკალური იყო აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ასევეა სადღეისოდ საირხული ფიალა, დასავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის.

„ძველ სამყაროში იგი იმდენად ძვირფას ნივთს წარმოადგენდა, რომ როდესაც დიდმა ბერძენმა კომედიოგრაფმა არისტოფანემ ისურვა სპარსეთის კარზე გამეფებული ფუფუნებისა და სიმდიდრის აღწერა, სპარსეთის სამეფო კარიდან დაბრუნებულ ელჩს ათქმევინა: დიდი მეფის კარზე გვიძულებენ მასპინძლები, რომ დაგველია მინის და ოქროს სასმისებით შეურავენ. გ. ნადირაძე

ლი დამტკბარი ღვინო“ (აქარნელები 73 — 75). ლექსი<sup>328</sup> და ეს ვრცელი ამონაწერი რომ მოგვაქვს, მ. საგინაშვილისა და ი. გაგოშიძის ნაშრომიდან, ამით ხაზს ვუსვამთ იმ ვარემოებას, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა აქიმენიდების იმპერიაში დამზადებული ამ მინის თასის საქართველოში შემოტანა და მიანც ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საირხის არისტოკრატის შესწევდა უნარი არამარტო საბერძნეთის, არამედ ირანის იმპერიის შორეულ ქვეყანაში დამზადებული ძვირფასი ნაწარმის შესყიდვისა. ასეთი ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო აქიმენიდური ირანის იმპერიაში შემავალი ასურეთი. მეცნიერები პირველი ათასწლეულის დასაწყისში ვარაუდობენ იქ უფერული მინის წარმოების აღორძინებას<sup>329</sup>. ჰერ კიდევ მაშინ, როცა თვით ეს ქვეყანა აერთიანებდა მთელ წინააზიას. მინის წარმოების ეს უძველესი ტრადიცია აქიმენიანთა ირანის დროსაც ისევე შუამდინარეთშია საგულელებელი. სწორედ აქაური მინის საწარმოების რომელიმე ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს ალგეთის ფიალა<sup>30</sup>, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მეცნიერს აქიმენიდურ ხანაში მინის წარმოების ცენტრად სპარსეთი მიაჩნია<sup>31</sup>. ასეა თუ ისე, საირხის მინის ფიალა, რომელიც მინის ფერითა და დამზადების ტექნიკით ალგეთისას უახლოვდება, აღმოსავლური ნაწარმია და იგი ამდიდრებს სადღეისოდ მსოფლიოში არსებულ მინის თასების მცირერიცხოვან კოლექციას, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. მინის ფიალებს თავიანთ ნაშრომებში დიდი ადგილი დაუთმეს როგორც საბჭოთა<sup>32</sup>, ასევე უცხოელმა მეცნიერებმა<sup>33</sup>. გამოყოფენ ფიალების რამდენიმე ჯგუფს. ყველაზე ადრეულად მიაჩნიათ გორდიონში პ. იუნგის მიერ, ბავშვის სამარხში აღმოჩენილი ფიალა, დათარიღებული ძვ. წ. VIII საუკუნის მიწურულით<sup>34</sup>, ბაბილონში ბავშვის სამარხში აღმოჩენილი, დათარიღებული ძვ. წ. VI ს-ით<sup>35</sup>, ეფოსის ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილ-დათარიღებული ძვ. წ. VI—IV სს-ით<sup>36</sup> და პერსეპოლისის ნანგრევებში აღმოჩენილი — დათარიღებული ძვ. წ. VI—IV საუკუნეებით. შემდეგ, შოდის ელინისტური ხანის მინის ფიალები, აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიაში, ე. წ. „კურჯიპის ყორღანიში“<sup>37</sup> და უკრაინაში „ტოლსტაია მოგილას“ ინვენტარში შემავალი ორი ფიალა, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულისაა<sup>38</sup>. ამით მთავრდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული, ჩვენთვის საინტერესო მინის ფიალების სია. არაფერს ვამბობთ ფიალებზე, რომელთა წარმომავლობა უცნობია და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული. მ. საგინაშვილისა და ი. გაგოშიძეს ეს ფიალებიც დაწვრილებით აქვთ განხილული და მინის ხარისხის, ორნამენტისა და ფორმის მიხედვით გაერთიანებული აქვთ ორ ჯგუფად. ალგეთისა და ეფოსის ჯგუფებად<sup>39</sup>. საირხის ფიალა უნდა განვიხილოთ ფიალების იმ ჯგუფთან, რომლებიც შემკულია ლოტოსის ყვავილით. დეკორის მიხედვით გამოიყოფა ფიალების ჯგუფი, რომლებსაც მხოლოდ ლოტოსის ვარდული აქვთ და არ გააჩნია ნუშისებური ბურცობები. საირხის ფიალა ფორმითა და დეკორით ეფოსის ჯგუფში გაერთიანებულ ფიალებთან პოუ-

ლობს საერთოს<sup>340</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მინის ფიალები ამ სახის ლითონის ქურჭლების მიბაძვით მზადდებოდა<sup>341</sup> და ამიტომ ფორმით, ზომითა და დეკორით არც ერთი მათგანი ერთმანეთის ასლს არ წარმოადგენს. ამ მიზეზის გამო, მინის ფიალებში არ ჩანს ფორმისა და დეკორის განვითარების ერთიანი ხაზი. მ. საგინაშვილი და ი. ვაგოშიძე ალგეთის ფიალის შესახებ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მისი ყალიბი პირდაპირ რომელიღაცა ლითონის ფიალიდან უნდა იყოს აღებული. ამიტომ თარიღის დადგენაში მინის ფიალასთან ერთად ღიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლითონის ფიალების შესწავლას და უამრავ პარალელურ მასალასთან შეჭერების საფუძველზე ალგეთის ფიალის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისს ვარაუდობენ.

საირხის აღმოჩენა საშუალებას იძლევა შემოწმდეს და რამდენადმე დაზუსტდეს კიდევაც ალგეთისა და საერთოდ ადრეანტიკური ხანის მინის ფიალებისადმი მიღებული თარიღები. ამ თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათთან ერთად აღმოჩენილ ოქროს ფირფიტებისაგან გამოკვეთილი არწივების გამოსახულებებს, რომლებიც, თუ ზომებს არ მივიღებთ მხედველობაში, ფორმით თითქმის იდენტურია ვანის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ცალებისა. ისინი შედარებით ზუსტად დათარიღებულ ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრისა და ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისის მდიდრულ არქეოლოგიურ კომპლექსებს ახლავს თან. საგულისხმოა ისიც, რომ ნახშირიან მოედანზე ფიალის ფრაგმენტებთან ერთად ეყარა ადრეანტიკური ხანის სამეთუნო ნაწარმისათვის დამახასიათებელი ტიპური ადგილობრივი კერამიკის ნატეხები. ასეთია მაგალითად ცუდად განლექილი ქარსმინარევიანი თიხისაგან გამოძერწილი დიდი ზომის დოქის ყელბირის ნატეხები, მხარზე და ყელზე მიძერწილი ოვალურგანივკვეთიანი ყურით და ყელზე ერთმანეთზე მიჭრილი ირგვლივი ღარების ფართე რიგით. ჭურჭლის ამ ფრაგმენტებს პარალელები ეძებნება საირხის, მოდინახეს, ითხვისისა და საერთოდ ადრეანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ნაპოსახლარი ფენებიდან მომდინარე სამეთუნო ნაწარმთან. ესეც ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ფიალა ადრეანტიკური ხანისაა. მაგრამ მის რომელ მონაკვეთს ეკუთვნის იგი — დასაწიის, შუას თუ ბოლოს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რამდენადმე ანგარიშგასაწევია C<sub>14</sub>-ის მეთოდით მიღებული თარიღი. უნდა აღინიშნოს, რომ არსად დღემდე არქეოლოგებს საშუალება არ ჰქონდათ მინის ფიალები აღმოეჩინათ ნახშირთან ერთად და მისი თარიღი შეემოწმებინათ C<sub>14</sub>-ის მეთოდით. საირხეში, მოედანზე, სადაც თასი დაფიქსირდა, ორ ადგილზე ავიღეთ საკმაოდ სუფთად, მიწის შეურეველად, შენახული ნახშირის შრეები. თბილისის უნივერსიტეტის ბირთვული სპექტროსკოპიისა და ლენინგრადის ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვულ ასტროფიზიკურ ლაბორატორიაში C<sub>14</sub>-ის მეთოდით შესრულებული ნახშირის ანალიზები, მოედნის თარიღად იძლევა  $2450 \pm 30$  წელს. თუ ამ რიცხვს მინუსით ვიანგარიშებთ და მხედველობაში მივიღებთ ჭურჭლის ხმარების ხანასაც, მაშინ

ფილის ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ V საუკუნის შუა ან უფრო ცოტა მოგვიანო ხანით უნდა განისაზღვროს. თუ პლუსით ვიანგარიშებთ, თარიღი საგრძობად დაძველება, მაგრამ შედარებითი ანალიზი უფრო პირველი თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს და ვფიქრობთ ფილა ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანას, ზოგადად კი მის მეორე ნახევარს შეიძლება მივაკუთვნოთ.

რას წარმოადგენს მოედანი, სადაც ეს მნიშვნელოვანი, საკმაოდ მდიდრული ნივთებია აღმოჩენილი? თავიდან ჩვენ მას სილნარ ნიადაგში შეჭრილ ნახშირის ლინზასაც ვუწოდებდით და ნახშირიან მოედანსაც. სავლელ დავთრებში და დღიურებში ასეა შესული, მაგრამ მასალებზე მუშაობამ და შემდგომმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი შენობის დაწვის შედეგად წარმოქმნილ კულტურულ შრეს კი არ წარმოადგენს, არამედ საკულტო მოედანს, სადაც ცეცხლთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალია შესრულებული. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რიტუალი შესრულდა შემოდგომაზე, საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე, შესაძლოა რამდენიმე დღის მანძილზე გიზგიზებდა ნაყოფით დახუნძლული წაბლის ხის ტოტებისაგან ანთებული კოცონი. ამაზე მიუთითებს დღემდე შემორჩენილი ნახშირის საკმაოდ სქელი ფენა, რომელიც უხვად შეიცავს ერთმანეთზე მიმწვარ წაბლის გროვებს, სადაც ფორბა-შეუცვლელ ნახშირად ქცეული რამდენიმე ათეული წაბლის ნაყოფი დაფიქსირდა. სრულიად აშკარაა, რომ რიტუალის შესრულების დროს ცეცხლში ყრიდნენ ვიდაცის კუთვნილ ძვირფას ნივთებს. ახლა ძნელი წარმოსადგენია, რატომ და ვისთვის კეთდებოდა ეს ყველაფერი. ასეთი ჩვეულება, რომ დასაყრძალავ რიტულას უკავშირდებოდა, ეს სხვაგანაცაა დადასტურებული. სამარხთან საკულტო მოედნების მოწყობა გავრცელებული იყო ბერძნულ სამყაროში და ეს წესი ჩვენშიაცაა დადასტურებული. ფიკენარის სამაროვანზე შემჩნეულია, აგრეთვე, სააღაბო მოედნები<sup>32</sup>. აღაპის თავისებურ შეწირულობად, მის ნარჩენებად უნდა მივიჩნიოთ საკულტო მოედნის ქვაყრილში დაფიქსირებული, საგანგებოდ დამტკრებული ბერძნული და ადგილობრივი კერამიკის, ბრინჯაოს ჭურჭლისა და მინის საწვანო საგნების ფრაგმენტები. ქვემოთ საუბარი გვექნება საკულტო ორმოზე, რაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს, რომ საბადურის გორა არის ტოკრატა ოჯახების საგვარეულო სამარხები იყო, სადაც დაკრძალვისთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა, რამდენიმე საუკუნის მანძილზე თუ არა, 150 წლის განმავლობაში მაინც. ნიშანდობლივი შეიძლება იყოს ისიც, რომ ყველაფერი ეს ხდება ბორცვის დასავლეთ ნაწილში, იმ მხარეს, სადაც დასალიერზე დაკრძებული მკვდარი მზე დღიური ნათების შემდეგ ეშვება ქვენა-სოფლებში სამოგზაუროდ. იქ, სადაც გარდაცვლილთა სულები საშუადაზოდ განისვენებენ.

**საკულტო ორმო** გაიწმინდა კლდესთან ახლოს. თავდაპირველად გაიწმინდა ქვაყრილი. ქვაყრილის გაწმინდისას აღმოჩნდა ლურსმნის რამდენიმე ნატეხი, ფირფიტოვანი აბჯრის მცირე ნაწილი და შავლაკიანი ბერძნული ჭურჭლის ორი ფრაგმენტი (ლეკითოსი). ქვაყრილის აღების შემდეგ C<sub>3</sub> კვადრატში მო-

მოიხაზა თირში ამოჭრილი ორმო, რომლის დმ. იყო 2 მ; ხოლო სიღრმე 11 მ; (ტაბ. XII).

ორმოში დამოწმებულია ადგილობრივი და იმპორტული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის ლურსმნები, აბჯრის ნაწილები, თოხი, გაურკვეველი დანიშნულების ვერცხლის ნივთის ფრაგმენტები, ოქროს მძივები, საკიდები, ბეჭედი, საკისრე რგოლი. ორმოს მთელ სიღრმეში ჩნდებოდა დიდი ზომის ქვები. ცალკეულ მონაკვეთში, უპირატესად სამხრეთ ნაწილში, შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი. უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლს, ნეკროპოლზე გამართულ რიტუალში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ეკრამიკული მასალა ფრაგმენტულია. გვხვდება, როგორც ადრეანტიკური, ისე ელინისტური ხანის ნიმუშები, ეს უკანასკნელი უპირატესად ზედა ნაწილში იყო — 3 მ-მდე). 4,60 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ბაცი ვარდისფერ-ზედაპირიანი, კარგად განლექილი თიხის სარქველის (საბეჭდავი?) ფრაგმენტი. მისი ნაწილი დამოწმებულია № 5 სამარხის სამხრეთის კამერის გაწმენდისას პირველი ცხენის დასაუღეთით, უკანა კიდურის არეში. ზედაპირზე ამოკაწრულია ნიშნები, იკითხება ჯვრის გამოსახულება და სწორკუთხედები, რომელიც დაყოფილია ცხრა არასწორი ფორმის უჯრედად (ტაბ. XXXVIII), ანალოგი სპეციალურ ლიტერატურაში არ ეძებნება. რამდენადმე ემსგავსება ვანში აღმოჩენილ დისკოსებურ ხუფს, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება<sup>313</sup>.

ამფორები აღმოჩნდა ორმოში ცალკეული ფრაგმენტების სახით. ასეთივე ფრაგმენტები დაფიქსირდა № 5 სამარხის ქვაყრილშიც, რომელთაგანაც ორი ამფორის აღდგენა მოხერხდა. ისინი წარმოადგენენ მცირე ზომის ჭურჭლებს, თვითველ მათგანში 800 გრ. სითხე ჩადის (ტაბ. XXXI X). ამფორების ბერძნული წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც საბჭოთა და ვერც საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმა, მათ ვინც საგანგებოდ შეისწავლის ბერძნული ტარის საკითხებს, საირხეში აღმოჩენილი ამფორების საწარმოო ცენტრი ვერ განსაზღვრეს.

საკისრე რგოლი ბრინჯაოსი, წარმოადგენს მრგვალგანივიკეთიან სპილენძის გრებილ ღეროს, რომელიც გარედან მოოქროვილი იყო. მოოქროვილობის კვალი შემორჩენილია საკისრე რგოლის ერთ ბოლოზე (ტაბ. XXXI X). ამ ტიპის საკისრე რგოლები ფართოდაა გავრცელებული ეტრუსკულ ხელოვნებაში. საირხული ნიმუში თითქმის იმეორებს ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით დათარიღებული სარკოფაგის სახურავზე აღმართული ქანდაკების, სპილენძის საკისრე რგოლს<sup>314</sup>.

აბჯრის ფრაგმენტები რკინის, ქერცლისებური ფორმის, ანალოგიურია ზემოთ განხილული № 8 სამარხის აბჯრის ფირფიტებისა.

თოხი რკინის, წარმოადგენს ფართეპირიან თოხს მკვეთრად დაქანებული მხრებით (ტაბ. XV). რკინის ასეთი თოხები ფართოდ ვრცელდება ანტიკურ-ელინისტური ხანის საქართველოში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლ-

თში, და საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს თავის ფორმას. ამ ტიპის თოხებს დღესაც იყენებენ სამარგლავად. საირხულ ცალებს უახლოესი ანალოგები ეძებნება ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, სოფ. კალვათასა და ზემო საზანოში აღმოჩენილ ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ რკინის თოხებთან<sup>345</sup>.

საკიდი ოქროსი, დოლისებური ფორმის, ზედაპირზე, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ამოტვიფრულია ვარდულები. შუაში გამკოლი ნახვრეტი აქვს, რაც მიუთითებს, რომ იგი ყელსაბამის შუა საკიდი უნდა იყოს. ზომები: სრმაღლე 10 მმ; დმ. 25 მმ. შეიძლება ანალოგები გაივლოს ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ ვანის № 11 სამარხის ყელსაბამის დოლისებურ საკიდებსაან. დოლისებურ საკიდთან ერთად აღმოჩნდა დაგრძელებული ფორმის ოქროს მძივები, ასევე მსგავსი ვანის № 11 სამარხის საკიდებისა<sup>346</sup>. ორმოში აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმის ეს საკიდები ერთი ყელსაბამის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს (ტაბ. XX XI X<sub>2</sub>).

ზემით ჩამოთვლილი ნივთების გარდა ორმოში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცხოველის ძელები, სპილენძის, ვერცხლისა და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, რაც სრულად აშკარად მიუთითებს, რომ ეს ორმო ქვესკნელის ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო დანიშნულების ძეგლია.

სამარხი № 10 აღმოჩნდა E<sub>2</sub> კვ-ში მიწის ზედაპირიდან 6 მეტრზე. ფართული იყო 40 — 90 სმ. სისქის ქვაყრილით, რომელიც 5 კვ. მ. ფართობზე ვრცელდებოდა. ქვაყრილის გაწმენდის შემდეგ, მიწაში გამოჩნდა დიდი ზომის რკინის ლურსმნები, სამი ცალი ჩრდილოეთის, ხოლო სამი — სამხრეთის მხარეს. ლურსმნები სიგანეში თანაბარი მანძილით იყო ერთმანეთისაგან დაცილებული (1,20 სმ.) და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი ძელების შუაში, თავსა და ბოლოში იყო ჩაჭედილი. პრეპარაციის შემდეგ გამოიკვეთა დანახშირებული ძელების კვალი და ნათელი შეიქმნა, რომ აკლდამა ხისგან იყო ნაგები. ერთმანეთზე გადაჭდობილ კარგად შეკრულ ძელებს, რომელიც მართკუთხედი ფორმის დასაქრძალავ კამერას ქმნიდა, გარს შემოვლებული ჰქონდა 30 სმ. სიგანისა და 40 სმ. სიმაღლის მშრალად წყობილი ქვის კედელი. კედლების სიგრძე 2,80 მ; ხოლო სიგანე 1,20 მეტრიდა. მართკუთხედი ფორმის კამერაში, რომელიც დამხრობილი აღმოჩნდა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. იწვნენ მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. აკლდამის შიდა კედლის გასწვრივ დაკრძალულ მიცვალებულს ამკობდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარი (ტაბ. XI<sub>1</sub>). ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მიცვალებულის თავთან, ელაგა ვერცხლის სურა, კოვზი და ბრინჯაოს სარკე. ორმოს ცენტრში იდგა ვერცხლის თასი. თავის ქალაზე შემორჩენილი ჰქონდა ასზე მეტი ოქროს ფირფიტა, ყბასთან დაფიქსირდა ოქროს ორი საყურე, ხოლო ყელთან ახლოს ასეულობით სხვადასხვა ფორმის ნივთისაგან შედგენილი ოქროს ყელსაბამი. მკერდის არეში მინის მძივებთან ერთად აღმოჩნდა ოქროს მედალიონი და მცირე ზომის ოქროს საწური. მარჯვენა ხელის თითებ-

ზე ეკეთა ოქროს ორი ბეჭედი, მკლავზე ორი ოქროს სამაჯური. წელის არე-ში ელაგა ოქროს ბალთა და ქამრის შესამკობი მილაკები.

მეორე მიცვალებულს, რომელიც აკლდამის სამხრეთი კედლის გას-წვრივ იყო დაკრძალული, პირველთან შედარებით ღარიბული ინვენტარი აღმოაჩნდა. თავის ქალისა და მენჯის არეში დაფიქსირდა მდარე ხარისხის ოქროსაგან ნაკეთები რკალბურთულიანი ორი საყურე, ხელის მტევანთან ვე-რცხლის ორი სამაჯური და რკინის ბეჭედი. ორმოს დასავლეთ კუთხეში, მი-ცვალებულის ფეხებთან ელაგა სამი თიხის დოქი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური განყოფილება (განყ. გამგე პროფ. მ. აბდუშელიშვილი; ანთროპოლოგი დ. ლოსაბერიძე) მეათე სამარხის ნაშთების შესწავლის შემ-დეგ, იძლევა დასკვნას, რომ სამარხში დაკრძალული ორივე მიცვალებულის ძვლები ეკუთვნის (პირველი მიცვალებული 20 — 25 და მეორე მიცვალებუ-ლი 25 — 30 წლის ასაკისა) ქალებს, რომლებიც ხასიათდებიან დოლიქოკრანუ-ლი (გრძელთავიანი) თავის ქალებით და ლეტობროზოზული (ვიწროსახიანი) სა-ხეებით. ეს ტიპიური იყო საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობისათვის აღრეანტიკურ ხანაში.

ვიდრე ინვენტარის განხილვას შეეუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ № 10 სამარხის აღმოჩენის დროისთვის ნაშრომი უკვე გადაცემული იყო წარ-მოებაში. ამ მიზეზის გამო ვეღარ მოხერხდა სხვა სამარხების გვერდით მისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილვა.

№ 10 სამარხმა ჩვენამდე ხელუხლებლად მოაღწია, რითაც საშუალება მოგვცა ზედმიწევნით ზუსტად დაგვეფიქსირებინა აკლდამების მშენებლობა და მათში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. ამ აღმოჩენის შედეგად გაჩნ-და ეჭვი, რომ № 5 და № 8 სამარხები გაძარცვულია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაძარცვულია მთავარი მიცვალებულისათვის განკუთვნილი სამ-ხრეთის კამერები. ასეთ ვარაუდს გარკვეულად ადასტურებს კამერის ფსკერზე აღამიანის ძვლები და უწესრიგოდ დაყრილი ყელსაბამის ფრაგ-მენტები. ჩრდილოეთის კამერაში, იქ, სადაც მძარცველებს ნაკლები სიმი-დრე ეგულებოდათ, ყველაფერი, როგორც აღამიანის, ასევე ცხოველის ძვლე-ბი და მათი კუთვნილი ინვენტარი თავთავის ადგილზე იყო. აღვნიშნეთ, რომ სამხრეთის კამერები ჩრდილოეთის კამერებისაგან 80 სმ-ით დაბლა მდებარეობდა მიწის სიღრმეში. ისინი კედლით უნდა ყოფილიყო გადატიხრული და მძარცველებს სახურავიდან შეეძლოთ სამხრეთის კამერაში შეღწევა. სა-ფაქრებელია, რომ ჩვენს მიერ ნაპოვნი ნივთები აჩქარებულ ქურდებს დაებ-ნათ და ჰრაქის შუქზე ყველაფერს ვერ მიაგნეს. ამ შემთხვევის წყალობით მოაღწია ჩვენამდე ოქროს ცალმა სამაჯურმა და ცალ-ცალმა საყურეებმა. მსგავსი ტიპის სამკაულები ხელუხლებელ სამარხებში თითქმის ყველგან წყვი-ლადაა წარმოდგენილი. ისიც ნიშანდობლივია, რომ № 10 სამარხის მთავარი მიცვალებულის სამკაული რაოდენობრივად ბევრად აღემატება № 5 და № 8

სამარხის მთავარ-წარჩინებული მიცვალებულის ინვენტარს. ეს მაშინ, როცა ზეხუთე და მერვე სამარხები შეათესთან შედარებით გრანდიოზულია. № 5 სამარხის დასაქრძალავი კაპერის საერთო ფართობი 20 კვ. მ. მოიცავს, მეათესი კი 3,50 კვ. მ. № 8 სამარხის შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2 მეტრს აღწევს, ზეათეი კი 40 სმ. მეხუთე სამარხის მთავარი მიცვალებულის სამ მხეველს ათეულობით ოქროსა და ვერცხლის ნიეთი აღმოაჩნდა, მეათე სამარხის მთავარი მიცვალებულის მხეველს მდარე ხარისხის ოქროსაგან ნაკეთები საყურეების გარდა, ვერცხლის სამაჭურები და რკინის ბეჭედი ამკობდა მხოლოდ. № 8 სამარხში, ისე, როგორც № 5, მდიდრულად აღკაზმული ხუთი ცხენი და ორი ძალი ესენა, № 10 სამარხში საერთოდ არ შეინიშნება ცხოველის ჩატანების კვალი. ამ მასშტაბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პირველი, მეხუთე და მერვე აკლამების მთავარი მიცვალებულები, ისინი ვისთვისაც რთულად ნაგები განსასვენებლები შენდებოდა, ძალზე მდიდრულად და, რა თქმა უნდა, აუცილებლად გარკვეული წესის მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული, მაგრამ მათმა ნეშტებმა და სიმდიდრემ ჩვენამდე ფრავმენტულად მოაღწია. ეს ძარცვის შედეგად უნდა მომხდარიყო. ასეთ ვარაუდს გარკვეულად ადასტურებს მეათე სამარხი, რომლის კამერაში მიცვალებულები წესისამებრ იყვნენ დაკრძალული და მათი კუთვნილი ყველა ნიეთი დანიშნულებისამებრ იყო განლაგებული.

მეათე სამარხი, ოქროს სამკაულებთან ერთად, შეიცავს ვერცხლის ჭურჭელს, რომელთა მსგავსი მანამდე აღმოჩენილი არ ყოფილა და ამდენად საირხული კომპლექსებისათვის ჭერჯერობით უნიკალურ ნიეთს წარმოადგენს. სურა ვერცხლის, მომცრო სფერული ტანით, მაღალი ფართო ყელით, მხრისა და ყელის გადასვლის ადგილზე შემოსდევს ორნამენტული სარტყელი, შედგენილი წნულით, რომელიც ოთხ მონაკეთადაა დაყოფილი. მოკლე მონაკეთებში ოთხ-ოთხი კვანძისაგან შედგენილი წნულებია გრავირებული, ხოლო დიდები თოთხმეტი და თხუთმეტი კვანძისაგან შედგება. გრძელი მონაკეთების ბლოთებიდან ჭურჭლის ტანზე ეშევა ასეთივე წნულებისაგან შედგენილი რკალები. რკალების და ზედა სარტყელების კუთხეებში პალმეტებია გრავირებული. ზომები: სიმაღლე 16 მმ; პირის დმ. 61 მმ; მუცლის უდიდესი დმ. 105 მმ; პირყელის სიმაღლე 75 მმ; (ტაბ. XL<sub>4</sub>). საირხული სურა არქიტექტონიკით რამდენადმე ჩამოკავს ახალგორის განძში შემავალ ერთ სურას<sup>47</sup>, რომელსაც მაღალი, განიერი ყელი აქვს, მაგრამ ფრავმენტულობის გამო მის მთლიან აღნაგობაზე წარმოდგენა ჭირს და სრული ანალოგიის გავლებას ორნამენტის განსხვავებაც უშლის ხელს. საირხული ჭურჭლის ორნამენტის სტილი იდენტურობას აწეღვენებს ტორევეტიკის წინააზიურ ნიმუშებთან, რომლებიც შემკულნი არიან კვანძებისა და მათ შორის ჩასმული მცირე წრეებისაგან შედგენილი წნული ორნამენტებით. ასეთი სტილის ორნამენტითაა შემკული ადრეული ხანის ხელოვნების ზოგიერთი ძეგლი<sup>48</sup>. აქიშენიღური ხანის ტორევეტიკის ნიმუშებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ერმიტაჟში დაცული ვერცხლის რი-



ტონი, ვერძის თავის გამოსახულებით, რომელსაც ყელზე შემოსდევს საირხულსის წსგავსი წწული ორნამენტი და ორი სახის პალმეტი. ერთი მათგანი, რომელიც ყურძნის მტევნის ფორმისაა<sup>349</sup>, რამდენადმე ჩამოკავს საირხული სურის პალმეტებს. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ამ სახის ორნამენტით შემკული ძეგლებიდან აღსანიშნავია მთისძირის ყანწ-რიტონი, რომელსაც პირზე გრავირებულ ფრიზს ქვემოთ, ირგვლივ შემოუყვება წწული ორნამენტი<sup>350</sup>. მკვლევარის აზრით, ეს რიტონი განიცდის აქიმენდური ხანის ხელოვნების სტილისტურ გავლენას, მაგრამ მისი დაბოლოება, რომელიც კაც-ვაცის სახეს გამოხატავს, ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, ამდენად, ნივთიც ადგილობრივი სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული<sup>351</sup>. ჩვენი ჭურჭლის შესახებაც შეიძლება იგივე ითქვას. ოქრომჭედლობის ისეთი დახელოვნებული ოსტატებისათვის, როგორებსაც ანტიკური ხანის საირხის სახელოსნოებში უნდა ემუშავათ, ალბათ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მარტივი ფორმის ვერცხლის ჭურჭლის დამზადება. რაც შეეხება მასზე გამოხატულ რამდენიმე უცხოურ სტილისათვის დამახასიათებელ ორნამენტს, იგი დროის დიდ მონაკვეთში არსებობდა და გავრცელებული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე, წინააზიის ქვეყნებიდან მოყოლებული, სამხრეთ რუსეთის ველამდე. ამას ადასტურებს ყუბანში კელერჰისის ყორღანში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი და განსაკუთრებით აკინაკის ქარქაშზე გამოსახული ფრიზი, შემოფარგლული საირხული ჭურჭლისათვის დამახასიათებელი წწული ორნამენტით, რომელსაც მკვლევარები აღმოსავლური სტილის გავლენად მიიჩნევენ<sup>352</sup>.

ჰიპიანი ფიალა ვერცხლის, სადა ნახევარმთვარისებური ტანით, მაღალი გადმოშლილი პირით, ფიალის დაბალი მხარი პირისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. პირის გარეთა ნაწილში ნახტომის პოზაში კურდღელია გრავირებული. ცხოველის კულზე, მხარზე და წელზე ირიბი ნაჭდევებით შემკული სარტყლები შემოსდევს. ცხოველისათვის დამახასიათებელია წინა მოკლე და უკანა გრძელი ფეხები, მომრგვალებული დრუწი და მოკლე კელი. ფიალის ჰიპის (ომფალოსის) სიღრმეში გარედან ამოკაწრულია ბერძნული ასოებისაგან შედგენილი ლიგატურა. კურდღელი გრავირებულია მხატვარ-ხელოვანის მიერ, ხოლო ლიგატურა მფლობელის მიერაა ამოკაწრული. ზომები: სიმაღლე 36 მმ; პირის დმ. დაახლოებით 117 მმ; ომფალოსის დმ. 21 მმ; (ტაბ. XLg).

საირხულის მსგავსი ვერცხლის ფიალები რამდენიმე უჩვეულო ნივთს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მოპოვებული ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებისათვის. მას სრული ანალოგები არსად მოეპოვება, მაგრამ პარალელის გავლება მაინც შეიძლება ვანურ ვერცხლის ფიალასთან<sup>353</sup>, რომელიც ძვ. წ IV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ ქალის მდიდრულ სამარხშია მოპოვებული<sup>354</sup>. ვანურ ფიალას საირხულთან შედარებით ნაკლებად გადმონრილი პირი და სფერული მუცელი აქვს. შეიძლება ითქვას, რომ საირხული ჭურჭელი გაცილებით ღზაზიანადაა ნახელავი და გა-

მოიჩინება იმითაც, რომ კურდღლის გამოსახულება ამკობს. ანტიკურ სამყაროში კურდღელი განუყრელადაა დაკავშირებული ნაყოფიერების იდეასთან, რაც დაკავშირებული იყო თვით ამ ცხოველის ნაყოფიერებასთან. ანალოგიური სემანტიკა ჰქონდა მას მინიჭებული ირანშიც, რასაც ამტკიცებს ამ ცხოველის გამოსახვა მინიატურებზე. ქალ-ვაჟის სამიჯნურო სცენებთან ჯრთავს. კურდღელი სკვითური ცხოველური სტილის ხელოვნების პოპულარულ თემას წარმოადგენს. საკმაოდ ბევრგანაა გადმოცემული მისი დევნისა და დაჭერის სიუჟეტები. ზოგიერთი მკვლევარი ამ სიუჟეტებს სკვითთა ყოველდღიურ ყოფას უკავშირებს (მ. როსტოცევი; ა. პერვდოლსკაია), ზოგიერთი ებოსთან ურთიერთობაში განიხილავს და ცხოველის სემანტიკურ ხასიათს უსვამს ხაზს<sup>355</sup>. ამავე მიზნითაა ალბათ ამოკვეთილი კურდღლის გამოსახულებები ვანისა<sup>356</sup> და ფიკვენარის საბეჭდავებზე<sup>357</sup>. საირხულ თასზე კურდღლის ცალკე გამოხატვა თითქოს იმას უფრო უნდა მოასწავებდეს, რომ იგი აქ წარმოდგენილია, როგორც ნაყოფიერების ღვთაების წრის ცხოველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თასის ჰიპის (ომფალოსის) გარეთა ჩაღრმავებულ ოვალზე ამოკაწრულია ლიგატურა (ტაბ. XXXVIIIg). ბერძნული ენის სპეციალისტის, ჰროფ. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, აქ მოთავსებული ასო Δ და Μ-ს მოხაზულობა ძვ. წ. IV საუკუნეზე მიუთითებს და შესაძლოა, რომ ეს იყოს ქალღმერთ დემეტრას სახელის შემოკლება. ასეთ ვარაუდს რამდენადმე გამორიცხავს ის გარემოება, რომ თასის ჩაღრმავება თითქმის მთლიანად უჭირავს ასო Μ-ს და Δ-ს და მცირე მონახაზითაა მის თავზე ამოკაწრული. რადგან წარწერაში ასო Μ-ში დომინირებს და ნივთი ქალის სამარხიდან მომდინარეობს, მეცნიერის აზრით უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქალის რომელიმე სახელია დაწერილი. სხვა მრავალ სახელთა შორის, ამ ასოთა შემცველი სახელია მედეა. ასეთი მოსაზრება, გარდა იმისა, რომ მომხიბლავია, ახლოა ქვემარტებასთან. მითი არგონავტების შესახებ, რომლის მთავარი გმირი კოლხი მედეაა, ძველ საბერძნეთში ყველაზე სახელგანთქმული ამბავი იყო ტროას ომის შემდეგ<sup>358</sup>. განსაკუთრებით პოპულარული გახდა იგი კლასიკური ხანის საბერძნეთში, როდესაც კაცობრიობის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის ხელოვნების თითქმის ყველა დარგმა მითი საკუთარ შემოქმედებად აქცია. ანტიკური პოეზიის, თეატრისა და მხატვრობის წყალობით სახელი წედა; არამარტო საბერძნეთისათვის, არამედ მაშინდელი ცივილიზებული სამყაროსათვის გახდა ცნობილი. ამ სამყაროს ერთ ნაწილს კოლხეთი შეადგენდა. შორს რომ არ წავიდეთ, თვითონ საირხეში მოპოვებული მასალები შესანიშნავად მეტყველებენ იმ დაცხოველებულ სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებზე, რომელიც ძვ. წ. V—IV საუკუნეებში არსებობდა კოლხეთსა და ატიკას შორის. აღნიშნული ხანისათვის კოლხეთში მკვეთრად იგრძნობა ბერძნული სამყაროს კულტურულ-რელიგიური ნაკადების გაძლიერება, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა ბერძნული სახელების გავრცელება. გათხრების შედეგად მოპოვებულ ნივთიერ კულტურაში, ასევე აშკარად იგრძნობა კოლხეთის ზედაფენების

ლტოლვა ბერძნული ცივილიზაციისაკენ. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა საირხელ დიდებულებს თავიანთი ასული, უძველესი ბერძნული მითისა და კლასიკური ხანის ხელოვნების პოპულარული გმირის, კოლხი ასულის მედეას სახელით მოენათლად. აღნიშნული ვითარება ქმნის იმის ილუზიას, რომ № 10 სამარხი მედეას სახელს დაეუკავშიროთ და იქ მოპოვებული ინვენტარი და ძვირფასი სამკაული ამ ქალის კუთვნილებად მივიჩნიოთ.

**ჩამჩა** ვერცხლის, დაბალი ნახევარსფეროსებრი პირით, გრძელი ვერტიკალური ტარით, რომელიც რგოლით მთავრდება. ტარი ისეა ნახელავი, რომ ბიკონუსური მძივების ასხმას გაეს. ზომები: საერთო სიგრძე 207 მმ; ტარის სიგრძე 204 მმ; პირის დმ. 53 მმ; მარყუჟის დმ. 30 მმ. (ტაბ. X L<sub>3</sub>). უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღინიშნოს, რომ სუფრის სერვიზისათვის განკუთვნილი ეს ნივთი გარკვეულად მიუთითებს მისი მფლობელის სიფაქიზეზე და დახვეწილ გემოვნებაზე. რამდენადმე განსხვავებული ფორმის, ასეთი დანიშნულების სასუფრე ნივთი აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ვანის № 6 სამარხში<sup>359</sup>. გვხვდება უცხოურ მასალებშიც<sup>360</sup>, მაგრამ ფორმის მხრივ საირხული ნივთი განსაკუთრებულ მსგავსებას აქვდავებს ალგეთის მდიდრული სამარხის ჩამჩასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, უმართებულოდაა მიჩნეული კოვზად<sup>361</sup>. ამ სახის ჭურჭელი უძველესი ხანიდან დღემდე შემორჩა ხმარებაში. მის პირზე ვერტიკალურად მიმაგრებული მეოთხედი მეტრის სიგრძის ტარი ნათლად მეტყველებს, რომ იგი წვნიანის ამოსაღები ნივთია, რომელიც ქართული ჯამ-ჭურჭლის რიგში ჩამჩად იწოდებოდა. ასეთი ტიპის ჩამჩები სკვითურ სერვიზში ამფორებიდან ლენის ამოსაღებად იხმარებოდა<sup>362</sup>.

**ციცხვი** ოქროსი, მცირე კოვზისებური ფორმის. პირი დახვრეტილი აქვს, ტარი შემკულია წრეებით და მათი შემაერთებელი ირიბი ხაზებისაგან შედგენილი ორნამენტით. ზომები: ციცხვის სიგრძე 67 მმ. (ტაბ. VII I). ეს ნივთიც გარკვეულად მეტყველებს მისი მფლობელის ნაზ ბუნებაზე და დახვეწილ გემოვნებაზე. სრულიად აშკარაა, რომ ოქროს ამ მცირე ცაცხვს საწურად ხმარობდნენ. შესაძლოა, იგი სატუალეტო ან ფარმაკოლოგიური დანიშნულებისა იყო და ბალახეული წამლების გასაწურად გამოიყენებოდა. მსგავსი ციცხვი სატუალეტო დანიშნულების სხვა საგნებთან ერთად ცნობილია სოფ. ქვემო რუხტიდან<sup>363</sup>, რაც შეეხება ორნამენტს, იგი გენეტიკურად უკავშირდება სპირალურ ორნამენტს, რომელიც ხშირადაა წარმოდგენილი კოლხური წრის გრაფიკულ ხელოვნებაში<sup>364</sup> და განსაკუთრებით ამიერკავკასიის ბრინჯაოს სარტყლების დეკორში<sup>365</sup>, ცაცხვის ტარზე გრავირებულ ორნამენტს საქართველოს ფარგლებს გარეთ ზუსტი ანალოგი ეძებნება კუმბულთის სამაროვანის ერთი ქინძისთვის გაბრტყელებულ დაბოლოებაზე გრავირებულ ორნამენტებთან, რომელიც წრეებითა და მათი შემაერთებელი ირიბი ხაზებისაგანაა შედგენილი<sup>366</sup>. საკუთრივ საირხეში ასეთი ორნამენტითაა შემკული № 5 სამარხის ვერცხლის დიადემები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

იგი საირხული ადგილობრივი და ამდენად კოლხური კერამიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ დეკორს წარმოადგენს.

**საყურეები** ოქროსი, ორი ცალი აღმოჩნდა პირველი მიცვალებულის ყბასთან. ისინი ერთმანეთის ანალოგიურია. საყურის საერთო მოყვანილობა რამდენადმე ოვალურია, მისი მთვარისებური ფორმის შემსხვილებული დაბოლოება შემკულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებითა და პირამიდებით, რკალი ვაბრტყელებულია. თავზე გამოხატულია თორმეტფურცლიანი ვარდული, ვარდულის ქვემოთ რკალის მთელ სიგრძეზე ორმწკრივად დაუყვება დაკენჭილი მავთულით შემოფარგლული ბურცობები. ზომები: სიმაღლე 60 მმ; სიგანე 11 მმ; ვარდულის დმ. 10,5 მმ; სარტყლის სიგანე 7 მმ. (ტაბ. VII<sub>2</sub>). ზემოთ უკვე განვიხილეთ № 5 და № 8 აკლდამებიდან მომდინარე ამ ფორმის საყურეები. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთი დიდი ზომისა და ასე ლამაზად ნახელავი არც ერთი მათგანი არ არის. მეათე სამარხის საყურეები იმეორებენ აგრეთვე ვანისა<sup>367</sup> და ფიჭვნარის<sup>368</sup> საყურეებს, განსხვავება რკალის მხატვრულ გაფორმებაშია გამოვლენილი. დაკეცილი მავთულისაგან შედგენილი ორნამენტული სარტყლის ნაცვლად საირხულ საყურეებს რკალი ორმწკრივად ჩალაგებული ბურცობებით აქვს შემკული. ამ ნიუანსით ისინი უკავშირდებიან ვანის სხივანა საყურეების რკალების გაფორმების მხატვრულ სტილს<sup>369</sup> და მთვარისებური საყურეების რამდენადმე განსხვავებულ ტიპს ქმნიან.

**საკერებელი ოქროსი**, 101 ცალი, ჯვრის ფორმის, ყოველი მათგანის ზედაპირზე ხუთი ვარდულია გამოყვანილი, ერთი შუაში, ხოლო დანარჩენი ოთხი — მკლავზე. ვარდული რელიეფურადაა მოცემული და შედგება ცენტრალური (დიდი) და მის გარშემო ამოტიფრული (მცირე) ბურცობებისაგან. ზომები: დაახლოებით 13+15 მმ; (ტაბ. VII<sub>3</sub>). მცირე ზომის საკერებელი ფირფიტები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული, მაგრამ ფორმის მხრივ საირხულ ცალებს ზუსტი ანალოგები არ ეძებნება, იგი რამდენადმე მსგავსია ვანში მოპოვებული ჯვრის ფორმის ფირფიტისა, რომელიც საირხულისაგან განსხვავებული ტექნიკითაა შესრულებული<sup>370</sup>. ადრეანტიკურ-ელენისტური ხანის მდიდრულ არქეოლოგიურ კომპლექსებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ამ სახის საგნები რომ ტანსაცმლის საკერებელ ფირფიტებს წარმოადგენენ, ამის შესახებ მრავალგზის იყო გამოთქმული ვარაუდი. სადღეისოდ ასეთი მოსაზრება ზედმიწევნით დააზუსტა საირხის აღმოჩენამ. დიდი ხნის ფრთხილი და ფაქიზი პრეპარაციის შემდეგ დადგინდა, რომ ფირფიტები თავსაბურავს ამკობდა. შუბლიდან თხემისაკენ მერიდიანულად განლაგებული ფირფიტების მწკრივი ილუზიას ქმნიდა, რომ ქული ოვალური ფორმისა იყო და რამდენადმე ცილდებოდა თხემს. ამაზე მიუთითებდა თავის ქალის ზემოთ დაფიქსირებული შედარებით დამოკლებული ფირფიტების რამდენიმე მწკრივი. თავსამკაულის ლითონის ფირფიტებითა და საკიდებით შემკობის არა ერთი შემთხვევაა ცნობილი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო მიჩნეული ყუბანის სამარხში მოპოვებული ფირფიტები, ღილაკები და სპირალური ფორმის ნივთები, თავსაბურავ-

ვის სამკაულად<sup>371</sup>. კეთილშობილი ლითონის ფირფიტებით თავსაბურავის შემკობის უძველესი ტრადიცია არსებობდა წინააზიის ქვეყნებში და ბერძნულ სამყაროშიც. საირხული ქუდი, რამდენადაც ამის შესახებ ფირფიტების განლაგებით შეიძლება ვიმსჯელოთ, შესაძლოა ჰგავდეს ოქრომკერდით ან ფერადი ქსოვილებით მოჩითულ ოვალური ფორმის ქალის ქუდებს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული კლასიკური ხანის საბერძნეთში<sup>372</sup>.

საბეჭდავი ბეჭედი ოქროსი, ბეჭედს მრავალგანივკვეთიანი რკალი აქვს, თანაბარი სისქისაა, მსრებთან ოდნავ დაქანებულია და ოვალურ ფარაკში გადადის. ფარაკი ბოლოებში წაწვეტებულია, პირზე გამოხატულია ხარი, ბეჭედი თავისი ფორმითა და გამოსახულებით ბერძნული კლასიკური ხანის კლიპტიკის ნიმუშს წარმოადგენს. ფორმით ბეჭედი ჯ. ბორდმანის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მეორე ტიპს უნდა მიეკუთვნოს<sup>373</sup>, რომელშიც ძვ. წ. V ს. შუა და ბოლო წლებით დათარიღებული ბეჭდები შედის. ფარაკის ფორმით საირხული ბეჭედი კონკრეტულად წააგავს ერთ ბეჭედს, რომელიც ძვ. წ. V ს. მესამე მეოთხედით თარიღდება<sup>374</sup>. გამოსახულება თავისი სტილით კლასიკური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ხარის გამოსახულება ლითონის ბეჭედზე ჩვენ ჭერჭერობით ვერ მოეძებნეთ, მაგრამ სკარაბეოიდებზე მრავლად გვხვდება. საირხის ბეჭდის ხარის გამოსახულება ძალიან გავს ამ ნიმუშებს. მსგავსი ტიპის ბეჭდები აღმოჩენილია ვანშიც<sup>375</sup>. მათი ფარაკები უფრო ვიწრო წარმოდგენილი ფორმისაა და ქრონოლოგიურად რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს საირხულ ბეჭედებს. ზომები: რკალის დმ. 21 მმ; ფარაკის ზომები 12×17 მმ. (ტაბ. VIII.)

ქამრის ბალთა ოქროსი, დამზადებულია მართკუთხა ფორმის ორად მოკეცილი ფირფიტისაგან. ფირფიტა მთლიანადაა მოჩარჩობებული ცრუ გავარსით, წინა მხარე შემკულია ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ცვარათი შედგენილი სამკუთხედების რიგით. ბალთას შუაში ზონრის ამოსაყრელი ჰრილი აქვს. ზომები: 28×42 მმ (ტაბ. VII.)

მასრა ოქროსი, სამი ცალი. მიღებულია მართკუთხედი ფორმის ოქროს ფირფიტის წრიულად მოხრის შედეგად. ყველა მათგანის ზედაპირი შემკულია ცვარათი შედგენილი სამკუთხედებით. ზომები: სიგრძე 22 მმ; დმ. 8—10 მმ. (ტაბ. VII.)

ბალთა, ისე როგორც მასრები დაფიქსირდა მიცვალებულის წელის არეში და აშკარად დადგინდა, რომ ლამაზად ნახელავი ოქროს ეს ნივთები ტყავის თასშიანი ან ნაჭრის ქამრის სამკაულს წარმოადგენენ. № 1 სამარხში მოპოვებული, ნახევრად ცილინდრული ფორმის ნივთი, რომელიც რამდენადმე ანალოგიურია № 10 სამარხის მასრებისა, ზემოთ უკვე იყო განხილული და იგი ტანსაცმელს დაუყავშირეთ. ასეთი ვარაუდი დააზუსტა № 10 სამარხის აღმოჩენამ. როგორც ჩანს, გაძარცვული სამარხიდან მომდინარე ეს ნივთიც ქამრის სამკაულს წარმოადგენს, რომლის დანარჩენმა ნაწილებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცვალებულის მკერდის არეში, ყელთან ახლოს

დაფიქსირდა ყელსაბამის შემადგენელი სხვადასხვა ფორმისა და ზომის საკმაოდ ლამაზად ნახელავი ასეულობით ოქროს ნივთი. ამ ადგილის პრეპარაცია რამდენიმე კვირას გაგრძელდა. უდიდეს სიფრთხილეს ვიჩენდით და ვცდილობდით დაგვედგინა რომელი დეტალი რომელ ყელსაბამის ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე გაკეთება მიინც არ მოხერხდა. ერთ დროს ძაფზე ასხმული ყელსაბამის ასეულობით დეტალი ისე იყო შეზღვეული ერთმანეთთან, რომ ყველა ყელსაბამის აღნაგობის დადგენა შეუძლებელი შეიქნა. მიცვალებულს ყელზე ოთხი ყელსაბამი ეკეთა, მათგან ერთი, ჩვენს მიერ, სავარაუდოდაა ასხმული.

ყელსაბამი ოქროსი, შედგება მძივებისა და საკიდებისაგან. ნახევარმთვარისებური ფორმის საკიდებზე მირჩილულია ძაფზე ასასხმელი ერთი მძივი, ქვეშოთ კიდებზე და შუაში ფირფიტაზე მირჩილულ რგოლზე, მავთულებით წრიული რგოლებია შეკიდული. საკიდის ცენტრალური მთვარისებური ფორმის ნაწილი ცრუ გავარსითაა მოჩარჩოებული. ზომები: სიმაღლე 17 მმ; (ტაბ. IX, 1). ამ სახის ყელსაბამის მთვარისებური ფორმის საკიდები აღმოჩენილია ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ საირხის № 8 სამარხში და ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ვანის № 9 სამარხში<sup>376</sup>.

ყელსაბამი ოქროსი, შედგენილია მთვარისებური საკიდისა და ოქროს სადა სფერული მძივებისაგან. ზომები: 16×16,5 მმ; ყუნწის სიგრძე 4 მმ; (ტაბ. VIII, 3). ამ ფორმის საკიდის გეოგრაფიული და ქრონოლოგიური საზღვრები ძალზე ვრცელია. უპირატესად გვხვდება ელინისტურ ხანაში. მთვარისებური ფორმის საკიდი აღმოჩენილია № 9 სამარხშიც. მისგან განსხვავებით, № 10 სამარხში მიკვლეული ეგზემლარი დიდი ზომისაა, მოკაუჭებული ბოლოები უფრო დიდ რკალს ქმნიან და თითქმის ავსებენ საკიდის შიდა ცარიელ სივრცეს. მარყუქი მიღებულია დაღარული, სწორკუთხა ფირფიტის წრიულად მოკვეცის საშუალებით.

ამ ყელსაბამთან პირობითად გაერთიანებულია ორი საკიდი, წარმოადგენს მილაკს, რომელთა ბოლოები შემოსაზღვრულია სადა მავთულით, ხოლო ზედ ერთმანეთის პირდაპირ მირჩილულია სპირალურად ბოლოებჩახვეული ორი მრგვალგანივკვეთიანი მავთული. ამ სამკაულს ზუსტი ანალოგი ადრეანტიკური ხანის საიუველირო ნაწარმში არ ეძებნება. შედარებით ახლო მსგავსებას იჩენს ძვ. წ. V ს. შუა წლებით დათარიღებული ვანის № 11 სამარხის ბეჭდებთან<sup>377</sup>. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სპირალური ხეივები უძველესი მოტივია არამარტო საქართველოსათვის, არამედ კავკასიისათვისაც<sup>378</sup>.

ყელსაბამი ოქროსი (პირობითად ასხმული), შედგება სადა მძივებისა და სხვადასხვა ფორმის საკიდებისაგან. ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული საკიდები, რომელთა ერთი ბოლო წრიულად არის მოკეცილი და ღეროზე მოხვეული, ხოლო მეორე გამონასკეულია. საკიდი შეკიდულია მილაკზე მირჩილულ ყუნწზე. ზომები: სიმაღლე 13 მმ (ტაბ. VIII, 2).

ახალგორის განძის მოძრავსაკიდიან მძივებთან<sup>379</sup> ანალოგიით შეიძლება დაეუშვათ, რომ საირხეში აღმოჩენილი საკიდები ნაკლულია, თავდაპირველად ლეროზე აცმული იყო მცენარეული წარმოშობის მძივები. უნდა აღინიშნოს, რომ საკიდების ასეთი ფორმა გვიანი ხანის საიუველირო ხელოვნებაშიც გვხვდება. საირხელი საკიდი ანალოგიურია კლდეეთის სამაროვნის საკიდებისა<sup>380</sup>. უმეტესად კი ამ ფორმის საკიდები ადრეანტიკური ხანის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. გვხვდება ახალგორისა და ყაზბეგის განძებში და ჩრდილოეთ ოსეთის არქეოლოგიურ კომპლექსშიც<sup>381</sup>, (ყუბანი, კომენტა და სხვა). ამავე ყელსაბამში გაერთიანებულია ორი საკიდი — ავგაროზი. მავთულშემოვლებულ მილაკზე მიჩნეულია მასრა, შიგ ჩასმული ზვიგენის (?) კბილით, მეორე საკიდი ნაკლულია. ზომები: სიმაღლე 15 მმ; სიგანე 5 მმ; ნაკლული სიმაღლე 7 მმ; სიგანე 5 მმ. აღნიშნული ტიპის სამკაულები, განსხვავებული ფორმის ოქროს მასრებით აღმოჩენილია საირხეში ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ № 6 და № 8 სამარხებში<sup>382</sup>. მსგავსი ფორმის ვერცხლის ბუდეში ჩასმული ზვიგენის კბილი აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზეც<sup>383</sup>.

ერმიტაჟში ინახება ჩრ. კავკასიაში ზელინსკის ყორღანში დამოწმებული ოქროს ბუდეებში ჩასმული ზვიგენის ორი კბილი<sup>384</sup>, დათარიღებული ძვ. წ. III საუკუნით.

საირხის ძვ. წ. IV და წვ. წ. III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ოქროს მძივებისაგან შედგენილი სამკუთხედი ფორმის საკიდები. ზომები: სიგანე 10 მმ; სიმაღლე 11 მმ. № 1, 8, 10 სამარხებში ამ სახის სამკაულის ზუსტი ანალოგი დღეისათვის დამოწმებულია მხოლოდ ახალგორის განძში<sup>385</sup>. რაც შეეხება თვით დეკორატიულ მოტივს — ცვარათი შედგენილი სამკუთხედების კომპოზიციას, წამყვანი ადგილი უკავია ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომკვედლობაში. მსგავს კომპოზიციურ გადაწყვეტას ვხვდებით ცალკეულ საყურეებშიც. ასეთი მოტივებია გალის რაიონში სოფ. ჭუბერისხინჯთან აღმოჩენილ ოქროს საყურეზე. განძი პირველმა შეისწავლა ა. იესენმა და მიაკუთვნა იგი კავკასიის ბრინჯაოს მესამე ეტაპს<sup>386</sup>. მსგავსი ოქროს საყურეები ცნობილია ძვ. წ. V—IV საუკუნეებით დათარიღებული ვარსიმეანთკარის სამაროვანიდან<sup>387</sup>. № 10 სამარხში აღმოჩენილი სამკუთხა ფორმის საკიდების მდებარეობის მიხედვით მოხერხდა მათი ურთიერთგანლაგების დადგენა, რითაც დადასტურდა მოსაზრება<sup>388</sup>, რომ საკიდები თავშესაქციევით იყო ასხმული და ქმნიდა მოქნილი სწორკუთხედა ფორმის სარტყელს, რომელიც ყელის სამკაულს წარმოადგენდა.

მედალიონი ოქროსი აღმოჩნდა მიცვალებულის მკერდის არეში. დისკონეზური ფორმის ოქროს ფირფიტაზე ამოტიფურულია მრავალფიგურაიანი კომპოზიცია, რომელიც მთლიანად ავსებს კადრს; ზომა დმ 47 მმ (ტაბ. I X<sub>2</sub>) ცენტრში გამოსახულია ხარის თავი, რომლის რქებს შორის მოთავსებულია პატარა ცხოველი, კომპოზიციას კრავს პროფილში მოცემული ფრინველის ორი ფიგურა. რელიეფი დაბალია, ნახატი თავისუფალი, ოდნავ დაუდევარი, ზედაპირზე შეიმჩნევა

პირველი მონახაზის კვალი. გამოსახულების კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ხარის თავი, ნახევარმთვარისებური ფორმის რქებით, ფოთლისებური ყურებით, ამობურცული თვალებით. შუბლზე გამოსახულია წვეროთი ქვემოთ მიმართული სამკუთხედი. სახის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულ ფრინველების ფიგურებში არ არის დაცული სიზუსტი. ფრინველს მოკაუჭებულნი დიდი ნისკარტი აქვს. ორივე ფეხი, კლანჭებით ხარისკენ არის მიმართული. ერთი ფრინველის ზურგის ნაწილი ჩამოჭრილია. რქებს შორის მოთავსებული ცხოველი კვიცს მოგვაგონებს, სრულიად აშკარაა, რომ კომპოზიცია საკრალურ-რელიგიური ხასიათისაა. მასზე გამოსახული ცხოველები და ფრინველები ასტრალურ ღვთაებებს უკავშირდება და ქართული წარმართული რელიგიის საკვლევად გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

**სამაჯურები** ოქროსი, წარმოადგენს ბოლოებისაკენ ოდნავ შემსხვილებულ, მრგვალგანივიკვეთიან ოქროს სადა ღეროს. ამ ფორმის სამაჯურები რამდენადმე უჩვეულოა ადრეანტიკური ხანის კომპლექსებისათვის (ტაბ. XLI<sub>2</sub>).

**სამხრეთით** დასვენებული მიცვალებულის ინვენტარს შეადგენს ვერცხლის ზურგშეზნეილი სამაჯური და დაბალი ხარისხის ოქროსაგან დამზადებული წყვილი საყურე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საიხის სამაროვანში №№ 5, 9, 10 სამარებში, მთავარი მიცვალებულების საყურეებისაგან განსხვავებით, დანაჩენი დამზადებულია შედარებით დაბალი სინჯის ოქროსაგან<sup>369</sup>.

**საყურე** წარმოადგენს ოვალურ, სადა მრგვალგანივიკვეთიან გახსნილ რგოლზე უძრავად დამაგრებულ დაღარულ ბურთულას, რომელიც ცვარათი შედგენილი მტევნით ბოლოვდება. ბურთულა სფერულია, შემკული ვერტიკალური ღარებით და შუა წელზე შემოვლებული სარტყელით, რომელიც მიღებულია ვიწრო ფირფიტისაგან. სარტყელზე დამაგრებულია ცვარათი შედგენილი პირამიდები. ბურთულა ცილინდრებით უკავშირდება რგოლს და ცვარათი შედგენილ მტევანს. ზომები: სიმაღლე 4,8 სმ. (ტაბ. XLI<sub>1</sub>).

ანალოგიური საყურეები ვანსა და ფიჭვნარში ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ კომპლექსებისთვისაა დამახასიათებელი<sup>370</sup>.

გვხვდება აგრეთვე დაბლაგომის ერთ-ერთ ქვევრსამარხში (სამარხი № 25)<sup>371</sup>.

**ღოქი** მოჩალისფროდ გამოშწვარი, კეცი თხელი, ღოქს დაბალი ვიწრო ყელი, გარედ გადახრილი პირი, მომრგვალებული მუცელი, ბრტყელი ძირი და მრგვალგანივიკვეთიანი ყური აქვს. ყური მიძერწილია უშუალოდ პირზე და მუცელზე. ზედაპირი ნაპრიალებია. ყელზე მუცლის შუა ნაწილზე შეიმჩნევა მუქი მერიდიანული ზოლები. ზომები: სიმაღლე 27 სმ; პირის დმ. 20,7 სმ; ძირის დმ. 13,9 სმ. მუცლის უდიდესი დმ. 24 სმ; (ტაბ. XLI<sub>1</sub>). მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ადრეანტიკური ხანით დათარიღებულ მოდინახის № 2 სამარხში<sup>372</sup>.

**ღოქი** ლეგა ფერის, თიხა მსხვილმარცვლოვანი, ქარსმინარევიანი, პირგავაშლილი, ყელგამოყვანილი, მკვეთრად ბიკონუსური კორპუსით და ვიწრო ბრტყელი ძირით. ოვალურგანივიკვეთიანი ყური მიძერწილია ყელზე და მხრის



ზედა ნაწილზე. დოქს დადარული ყელი აქვს. ყელისა და მხარის შეერთების ადგილზე ბრტყელი იარაღით დატანილი ნაკდევები შემოუყვება. ჭურჭლის კორპუსი ნაპრიალებია და შემკულია პარალელური ნაპრიალები ზოლებით. ზომები: სიმაღლე 28,6 სმ; პირის დმ. 22 სმ; ძირის დმ. 10 სმ; მუცლის დმ. 28,5 სმ; (ტაბ. XLI<sub>4</sub>). დოქი იღო მეორე მიცვალებულის ფეხებთან.

დოქი ნაცრისფერკეციანი, მოყავისფრო ლაქებით, ნაპრიალები, პირი მომრგვალებული აქვს, როგორც ჩანს პირგაშლილი იყო, ყელი შეზნექილპროფილიანი, დადარული, კორპუსი ბიკონუსური. მხრისა და ყელის ადგილას ნაკდევების ირიბი რიგები შემოუყვება. ოვალურგანიფიკაციის ყური მიძერწილია პირზე და მხრის ზედა ნაწილში მუცლის უდიდესი დიამეტრის ზემოთ კონცენტრული წრეების სარტყელი შემოუყვება. ზომები: სიმაღლე 25 სმ; პირის დმ. 8 სმ; ძირის დმ. 9,5 სმ; მუცლის უდ. დმ. 23 სმ; (ტაბ. XLI<sub>2</sub>).

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სამარხის ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით დაეთარიღოთ.

საირხე, ძველი კოლხეთის დასახლებათა უმრავლესობის მსგავსად ხითა და ბათქაშით იყო ნაგები, მაგრამ მათგან განსხვავებით იგი ორდერული ხუროთმოძღვრების ქალაქი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ლამბაშიძემ საირხეში, ლომინაურში გათხრები აწარმოვა და ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სარიტუალო საგნები და ნაგებობათა ნაშთები განოკვლინა მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა და აღმოჩენილი მასალების შესახებ არაერთი დოკუმენტაცია არ დაუტოვებია<sup>1</sup>. ლომინაური მდებარეობს საბადურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით. იგი წარმოადგენს ტერასისებურად გამოყოფილ გვაკებულ ადგილს, რომელიც ყვირილის ხეობის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ ქ. სახხერეს გადაჰყურებს. წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ 1966 წელს ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო ლომინაურში. თავდაპირველად გამოჩნდა და გაიწმინდა მცირე მოცულობის ნაგებობა, რომლის გვერდითაც დაფიქსირდა შედარებით დიდი შენობის საძირკვლის ნაშთები. იგი პირველი ნაგებობიდან 1 მეტრით არის დაშორებული და მის სამხრეთით მდებარეობს. შენობა მტკიცეა და ნაშენი; საგანგებოდ შერჩეული საშუალო ზომის ქვით. კედლების სიმაღლე ალაგ-ალაგ 120 სმ. აღწევს. ყველაზე მაღალ ადგილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, შემორჩენილია კარგად გათლილი ქვის კვადრი. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მეორე ნაგებობის ნაწილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს საძირკველთან, რომელზედაც თლილი ქვით ამოყვანილი კედლები იდგა. საძირკველის სისქე საშუალოდ 130 სმ-ია. სპეციალისტების აზრით, ასეთი სისქის საძირკველს 8—10 მ. სიმაღლის კედლები შეეძლო დაეჭირა. ჩრდილოეთის კედლის სიგრძე 11 მეტრია, აღმოსავლეთისა 10 მ; დასავლეთისა — 8 მ; დასავლეთის კედელი ნაკლებია, სამხრეთის კედლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. ნაგებობას მიწის სამუშაოების დროს წაწყდომიან და კედლები მოურღვევიათ (ტაბ. XLIII).

შენობის ტერიტორია დიდი სიფრთხილით იქნა გაწმენდილი, მაგრამ იატაკის ან საკურთხევლის კვალს ვერ წაეაწყდით.

მეორე ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან, მიწის ზედაპირიდან 60 სმ-ზე აღმოჩნდა ქვისაგან გამოკვეთილი ცხოველის ქანდაკების თავის ფრაგმენტი (ნივთის ზომები: სიგრძე 80 მმ; სიგანე 55 მმ. ტაბ. XLV<sub>1</sub>). ამ ფრაგმენტზე შემორჩენილია ყბის, ფაფრისა და ლაშის ნაწილი. ყბა რელიეფურადაა გადმოკე-მული და საერთო ფორმებისაგან მკვეთრადან გამოყოფილი. ფაფარი შესრუ-ლებულია წვრილი ერთნაირი რელიეფური ხაზებით. ეს დეტალი საერთო ფონისაგან სწორი ხაზითაა გამოყოფილი. თავდაპირველად ვვარაუდობდით, რომ ვიპოვეთ 1951 წ. აკად. ბ. კუფტინის მიერ საირხიდან ჩამოტანილი ქანდაკების ნაწილი (ტაბ. XLIV<sup>1</sup>). ამ ქანდაკებას მარცხენა ნაწილი ჩამომტკრეული აქვს და თითქმის არც ერთი დეტალი არ იკითხება. შემოწმების შემდეგ გაირკვა,

რომ იგი წარმოადგენს სხვა ქანდაკების ფრაგმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ მრგვალი ქანდაკების ეს უძველესი ნიმუშები ერთმანეთის ზუსტ ასლებს წარმოადგენენ. მცირე განსხვავებაა ზომებში. ეს აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს, ვენდოთ საირხის საშუალო სკოლის მასწავლებლის, გელბახიანის ცნობას და დავსკვნათ, რომ 1950 წელს მის მიერ ნაპოვნი ცხოველის ქანდაკება ლომინაურიდან მომდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ აღმოჩენილი დეტალი 1950 წელს ნაპოვნი ლომის ყბის ზუსტი ასლია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანადროულნი არიან, ერთ სახელოსნოშია დამზადებული და შესაძლოა ერთი ოსტატის ნახელავიც იყოს. გარდა ამისა, ნ. ლამბაშიძის მიერ საირხეში აღმოჩენილი მასალების კოლექციაში მოიპოვება ქვისაგან გამოკვეთილი ხუთი ფრაგმენტი. ერთი მათგანი შემკულია თანაბარი მსხვილი რელიეფური ხაზებით. იგი თავისი ფორმით, ხაზების განლაგებით და კვეთის მანერით სრულიად ემთხვევა საირხეში ნაპოვნი ცხოველის თავის ქანდაკებას (ტაბ. XLV<sub>2</sub>).

მეორე დეტალი წარმოადგენს მცირე ფრაგმენტს, იგი შუაზეა გაყოფილი პორიზონტალური მრგვალი ლილვით. ცალი მხარე სადაა, მეორე კი შემკულია მსხვილი ერთნაირი ზომის რელიეფური ხაზებით. ეს ფრაგმენტიც ცხოველის ქანდაკების ნაწილს წარმოადგენს. იგი კარგად ემთხვევა საირხეში აღმოჩენილ ლომის თავის ქანდაკებაზე თვალის არეში ამოკვეთილი ყბისა და ფაფრის აღმნიშვნელ დეტალებს. ზომებით იგი შედარებით მცირეა, რაც იმას მიუთითებს, რომ ფრაგმენტი სხვა ქანდაკების ნაწილია.

დანარჩენი სამი დეტალის გარკვევა შედარებით ძნელია. ისინი თავისი ფორმით არ შეესატყვისებიან ლომინაურში აღმოჩენილი ქანდაკებების ფრაგმენტებს, თუმცა ორნამენტის კვეთის მანერა და ქვის დამუშავების სტილი აქაც ისეთივეა. მკვეთრი რელიეფური ხაზები, რომლითაც დეტალებია შემკული, შუაზე წრიული მკრთალი ხაზით არის გამოკვეთილი. ქვედა ნაწილი ამობურცულია და ცხოველის დინგს მოგვაგონებს. თითქოს ამაზევე უნდა მიუთითებდეს ნახვრეტი, რომლითაც შესაძლოა ნესტო იყოს აღნიშნული (ტაბ. XLV<sub>6</sub> და XLVI<sub>1, 2, 3</sub>).

ზემოთ მოტანილი მასალა იმაზე მეტყველებს, რომ ლომინაურში ქვისაგან გამოკვეთილი ცხოველის ქანდაკებები მრავლად ყოფილა, ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს.

მეორე ნაგებობაში, დასავლეთის კედლის შიგნით, მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ზე აღმოჩნდა ქვისაგან გამოკვეთილი მეტად საინტერესო საგანი. იგი წარმოადგენს ქვის მრგვალ ღეროს, რომელსაც სოკოსებრი ოვალური თავი აქვს. მის ორმხრივ დაფერდებულ ზედაპირზე ორი ნუშისებური რელიეფური დეტალია გამოხატული. დეტალები ერთმანეთისაგან ჩადარული ხაზით არის გამოყოფილი. ეს ნივთი ფალოსის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. XLV<sub>3, 4</sub>).

დაახლოებით ამავე ფუნქციის მატარებელი ჩანს ნ. ლამბაშიძის მიერ ლო-

მინაურში აღმოჩენილი ხუთი საგანი. ისინი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება. როგორც ფორმით, ისევე შემკულობის შინაარსითაც. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქვისაგან გამოკვეთილი, ფაქიზად დამუშავებული ნივთი, რომელიც ერთი შეხედვით ყველაზე მეტად ცხოველის ყურს მოგვაგონებს. მისი გარეთა მხარე სადაა და კარგად არის გასუფთავებული. შიგნითა მხარეზე ძოთავსებულობა საერთო ფონისაგან მკვეთრად გამოყოფილი რელიეფური სახეები. შუა. გამყოფი ხაზი სწორხაზოვნად ვრცელდება საგნის მთელ სიგრძეზე. ამ ხაზის ორთავ მხარეზე ამოკვეთილია გაურკვეველი შინაარსის შემცველი დეტალები. იმ ადგილზე, რომელიც ცხოველის ყურის დასაწყისს მოგვაგონებს, მოთავსებულია ორი რელიეფური ხაზი, ისინი მხოლოდ თავით ეხებიან შიდა ჩაღრმავებულ ნაწილში ამოკვეთილ დეტალებს, რომელთა ზემოთ სხვადასხვა ფორმის ხაზებია მოთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ საგანი ძალზე ფაქიზად არის დამუშავებული და ჩამოსხმულის შთაბეჭდილებას ტოვებს (ტაბ. XLIV<sub>4</sub>). ამავე შინაარსის შემცველი ჩანს დანარჩენი სამი დეტალიც, რომლებიც ნაკლებობა და ჩვენამდე მცირე ფრაგმენტების სახითაა მიღწეული. ორი მათგანი შიდა ზედაპირზე ამოკვეთილი დეტალების შინაარსია და ზომების მიხედვით ძალზე ახლოს დგას ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ნივთთან (ტაბ. XLV<sub>5</sub>). მესამე, შედარებით მცირე ზომისაა და მასზე ვერტიკალური გამყოფი ხაზის ორსავე მხარეს მცენარეული ორნამენტის მოტივები უნდა იყოს წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ამ საგნების სახით საქმე გვაქვს ჩასახვა-განსყოფიერების აქტის პირობით აღნიშვნასთან და ისინი მდებარეობითი სასქესო ორგანოს სტილიზებული გამოსახულებანია. აქ აღმოჩენილი ერთი ფრაგმენტი თავისი შინაარსით თითქმის იმეორებს ზემოთ აღწერილ საგნებს, იმ განსხვავებით, რომ მასზე წარმოდგენილია როგორც კტეისი, ასევე ფალოსი (ტაბ. XLIV<sub>3</sub>).

ლომინაურში აღმოჩენილი საკულტო ფალიური საგნების ფუნქციის განსაზღვრა, მათი მიკუთვნება რომელიმე ღვთაებისადმი და ამ ღვთაების სახელის გამოცნობა საძნელო საქმეა. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოში ფალიური კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და იგი უკავშირდება ქართულ წარმართულ პანთეონში შემავალ არა ერთ, არამედ რამდენიმე ღვთაებას. ვიდრე შეუდგებოდეთ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალებისა და ქართული წარმართული მითოლოგიის წიაღიდან გამოსულ რელიგიურ დღესასწაულებში დაშრეკებული ფალიური კულტურის ზოგად განხილვას, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ამ კულტის წარმოშობაზე და მის გავრცელებაზე საერთოდ.

განვითარების ადრეულ საფეხურზე ფალიური კულტი გამოიხატება გამანყოფიერებელ ორგანოთა გაღმერთებით. მათ თავყვანს სცემენ, როგორც დამოუკიდებელ ღვთიურ არსებებს და გამოსახვენ სიმბოლური სახით<sup>2</sup>. აკრძალვის მიუხედავად ფალიური კულტი უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი იყო იაპონიაში. შინტოპური კოსმოგონიის მიხედვით თვით კუნძულებიც კი, ფალოსის სახითაა წარმოდგენილი<sup>3</sup>.

ძველ სამყაროში ფალიური კულტის კლასიკურ ქვეყანას საბერძნეთი წარმოადგენდა. ფალოსი თავდაპირველად ფეტიში იყო და შემდეგში თანდათან გადაიქცა იმ ღვთაებათა ატრიბუტად, რომლებიც ბუნების წარმომშობ ძალებს განასახიერებენ.

კლასიკური ხანის საბერძნეთში ფალოსი გამოხატავდა ღმერთების დიონისეს, ჰერმესის, პრიამოსისა და აფროდიტეს სიმბოლოს.

კტიისს, ისე როგორც ფალოსს, თავყანს სცემდნენ და მას დიდი ადგილი ეკირა როგორც ადრეულ ხანაში, ასევე ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებული სამყაროს აგრარულ რელიგიურ მისტერიებში. არ შეუღლებით დაბალ საფეხურებზე მდგომ ხალხებთან ამ კულტის არსებობის მაგალითების მოყვანას. მაგალითები ძალზე ბევრია და კტიისის კულტი სხვადასხვა სახით გავრცელებული იყო რასობრივად განსხვავებულ და ტერიტორიულად დაშორებულ ხალხებს შორის<sup>4</sup>. აღნიშნული კულტის თავყანისცემა შედარებით კარგად იყო ჩამოყალიბებული ძველ საბერძნეთში. პლინიუსის რწმუნებით, მწერებისაგან ნათესების გადასარჩენად საჭირო იყო მენსტრუაციის დროს ქალებს თმებგაშლილებს, მუხლებზემოდთ კაბაკაპიწებულებს და ფეხშიშველებს ევლოთ ნათესებში. ამავე აზრისა იყო დემოკრიტე, რომელიც ამბობდა, რომ ფეხშიშველმა ქალებმა სამჯერ უნდა შემოუარონ ყანებსო<sup>5</sup>. როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებით სურდათ ნათესებისათვის გადაეცად კტიისის ღვთაებრივი ძალა ნაყოფიერებისა, რომელსაც მენსტრუაციის დროს გაჟღენთილი ქალის სხეული შეიცავდა<sup>6</sup>. საბერძნეთში დემეტრას კულტთან იყო დაკავშირებული ისეთი ჩვეულება, როდესაც ქალები კაბებს იწვედნენ და სასქესო ორგანოებს იშიშვლებდნენ. მსგავსი აქტები დამახასიათებელი იყო ბევრი სხვა ბერძნული კულტისათვის<sup>7</sup>.

ფალოსის მისტერიები უმთავრესად გაზაფხულზე იმართებოდა, როდესაც დედაბუნება იღვიძებდა და ნაყოფიერდებოდა. მას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული წარმართული მითოლოგიის წიაღიდან მომდინარე ბერიკაობა-ყენობის დღესასწაულში, რომელიც აგრეთვე ადრიან გაზაფხულზე, ყველიერის კვირაში იმართებოდა. ამ დღესასწაულის მთავარი მოქმედი პირის ბერიკას ერთ-ერთ რიტუალურ საგანს წარმოადგენდა წითლად შეღებილი ფალოსი „კონკილა“, რომელიც მას წელზე ჰქონდა შემბული. მასპინძლის ეზოში შესული ბერიკა ოჯახის პატრონს დღესასწაულს მიულოცავდა. კარგ მოსავალს უსურვებდა, თავის საბრძანებელზე დაჯდებოდა და ფალოსით მიწას შეეხებოდა. ასეთი მოქმედებით მიანიშნებდა, რომ ფალოსი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა, რომელიც ოჯახის დოვლათიანობას მფარველობდა.

ფალოსის კულტს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სვანურ საღმრთო დღესასწაულებში, რომლებიც ქვემო სვანეთში „ადრეკილასი“ და „მელია ტელიფიას“, ხოლო ზემო სვანეთში „საქმისასისა“ სახელით იყო ცნობილი. აღნიშნული დღესასწაულებიც ადრიან გაზაფხულზე იმართებოდა. ს. მაკალათიას გადმოცემით ყველიერის კვირაში, ხუთშაბათ დღეს, სოფ. ებეშში თოვლისაგან „მურყვამს“ (კოშკს) აკეთებდნენ. კოშკის შუაგულში აღმართულ ხეზე

ჰკიდებდნენ კალათას ან საცერს, ხის ხმალსა და ხისაგან გამოთლილ ფალოსს<sup>9</sup>. კალათის ან საცრის ძირი, სვანთა რწმენით, ნაყოფიერების სიმბოლო იყო<sup>10</sup> სვანური საღმრთო დღესასწაულების მთავარი მოქმედი პირები იყვნენ: ყეენი ან კეისარი და „საქმისაი“. ისინი მორთული იყვნენ სხვადასხვანაირად და წელზე შემობმული ჰქონდათ ხისაგან გამოთლილი ფალიური საგნები. სვანური „საქმისაი“ და „მელია ტელეფია“ და საქართველოს ბარში გავრცელებული „ბერიკაობა-ყეენობა“ წლების განმავლობაში წარმოადგენდა მეცნიერთა კვლევის საგანს. დადგენილია, რომ ეს დღესასწაულები შეიცავენ სხვადასხვა ღვთაებებისადმი განკუთვნილ კულტმსახურების ელემენტებს, რომლებსაც ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული და წარმართული ხანიდან მომდინარეობენ. ეთნოგრაფიულ კვლევასთან ერთად ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონის დადგენის საქმეში და, საერთოდ წინაქრისტიანული ხანის რელიგიის სურათის წარმოსადგენად, დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ ძველი ბერძენი და რომელი მწერლების ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ბარი წარმოადგენდა განვითარებული რელიგიის ქვეყანას, სადაც სხვადასხვა ღვთაებათა სახელზე აგებული იყო ტაძრები. უნდა ვითქვათ, რომ ანტიკური ხანის საქართველოში ზოგიერთ კულტს და მათ შორის ფალოსისას, კლასიკური სახე ჰქონდა. იგი უკავშირდებოდა რამდენიმე ღვთაებას, რომელთა სახელზე აგებული ტაძრები თუ სალოცავეები დიდხანს არსებობდა, როგორც წარმართული კულტმსახურების წმინდა ადგილები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ ქრისტიანული ძეგლები დგას.

თრიალეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ, სოფ. სანთას მახლობლად აღმოჩენილი იქნა კტეისის სახის მქონე საყურადღებო ძეგლი, რომელიც თანამედროვე მოსახლეობაში მიჩნეული იყო ნაყოფიერების მომცემ წმინდა ადგილად. აქ ხდებოდა გასათხოვარი ქალების გამოლოცვა გარკვეული წესისა და შესაწირის შესრულებით. ფალოსის ფორმის საკულტო ქვები დაცულია სოფ. არახლოს წმ. გიორგის ეკლესიაში, სოფ. დილომში, მთიულეთში და ზომლეთის წმ. გიორგის სალოცავეში. ცალკე უნდა აღინიშნოს უზარმაზარი ქვისაგან გამოკვეთილი ფალიური ძეგლი წითელ ხიდთან<sup>11</sup>. ფალოსის კულტის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული იმერეთში, სოფ. ზეკარში აღმოჩენილი მამაკაცის შუშვლი ქანდაკება, მკაფიოდ გამოხატული სქესობრივი ნიშნებით და სტენფანშმინდის განმედი შემავალი ითიფალური ქანდაკებები, რომელსაც აკად. შ. ამირანაშვილი მამრობითი სქესის ძალის განსახიერებად მიიჩნევს<sup>12</sup>. როგორც ვხედავთ ფალოსთან დაკავშირებული ძეგლები ყველგან და ყოველთვის მიჩნეულია ნაყოფიერების მომცემ ღვთაებრც საგნებად და, ამდენად, ღვთაებებსაც განსახიერებენ. რომელია ეს ღვთაებები? ამის შესახებ ვერცერთი დაბეჯითებით რამის თქმა ძნელია. პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, ბერიკა-ყეენობის დღესასწაულში ბერიკა ფუნქციონალურ მსგავსებას ამჟღავნებს ზოგად ქართულ ღვთაება ბოსელ-ბოსლასთან და ქრისტიანულ წმ. ბასილთან, რომელ-

ბიც სქესობრივი განაყოფიერების, საქონლისა და ადამიანების გამრავლების, ჩოსავლანობისა და დოვლათიანობის უზენაეს მფარველებად ითვლებიან<sup>13</sup>. აკად. ივ. ჭავჭავიძე ილი „მურყუანობას“ სქესობრივი სიყვარულისა და შეილა-ნობის მფარველი ღვთაების, კვირიას დღესასწაულის ნაშთად მიიჩნევს<sup>14</sup>. მკვლევართა მოსაზრებანი ამ შემთხვევაში ძირითადად ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ეს წარმართული საღმრთო დღესასწაულები ჩვენამდე შერყვნილი სახითაა მოღწეული. ამის გამო მათი თავდაპირველი სურათის აღდგენა და ფალო-სის კულტთან დაკავშირებულ ღვთაებათა გამოცნობა არ ხერხდება. გარდა ამისა, საქართველოს მთიანეთში, კერძოდ სვანეთში, არსებული ფალიური კულტი აქ არსებული გვაროვნული წყობილების გამო ვერ მიიღებდა კლასიკურ სახეს, ისეთს როგორც მას შეეძლო საქართველოს ბარში მიეღო, ანტიკური ხანის სახელმწიფოებრიობის არსებობისას. აკად. ივ. ჭავჭავიძე ილი წერს, რომ საქმისას დღესასწაული სვანეთში ველური პირველყოფილებით იყო დაცული<sup>15</sup>. ამის საწინააღმდეგოდ საქართველოს ბარში, კერძოდ, საირხეში აღმოჩენილი ფალიური საგნების მიხედვით ჩვენ ამ კულტის კლასიკურ ნიმუშთან გვაქვს საქმე. აღნიშნული საკულტო საგნები სტილიზებული სახით არის გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ საირხეში მოპოვებული თითქმის ყველა საგანი ჩვენამდე ნაკლები სახითაა მოღწეული, აშკარად ჩანს, მათი გამოკვეთა ტრადიციულად შემუშავებულ გარკვეულ მხატვრულ სტილს ემორჩილება, რაც ერთგვარად გულისხმობს მაღალგანვითარებული რელიგიისათვის წინასწარ შემუშავებული კულტმსახურების დოგმასაც.

ქართულ პანთეონში შემავალ რომელ ღვთაებას უნდა მიეკუთვნოს საირხეში აღმოჩენილი ფალიური საგნები? შესაძლებელია თუ არა კვირიასა და ბოსელ-ბოსლას გარდა ფალოსის კულტის დაკავშირება სხვა ღვთაებასთან? სავარაუდოდ გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საირხეში აღმოჩენილი კტეისის გამოსახულებანი წარმოადგენენ „წმინდა საშოს“ და ისინი ამ შემთხვევაში შესაძლებელია მდღერობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდებოდნენ. როგორც აღწერიდან ვიცით, საირხეში იმ ადგილას, სადაც ეს საგნებია აღმოჩენილი, ნაპოვნია ლომის თავის ქვის ქანდაკება და ასეთი ქანდაკების ხუთი სხვა ფრაგმენტი. ეს გარემოება გვაგულისხმებინებს, რომ საირხეში არსებული კულტის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენდა ლომის გამოსახულება. ლომი, როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო, ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ სამყაროში უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღვთაებას. ქართულ სინამდვილეში ეს ფაქტი, არქეოლოგიური მასალის გარდა, წერილობითი წყაროებითაც არის დადასტურებული. ახ. წ. II საუკუნის ავტორი ფლავიუს არიანე, რომელსაც მოვლილი ჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, თავის „პერიპლუსის“ პირველ ნაწილში<sup>16</sup> მოგვითხრობს: „ფაზისში, რომ შედიხარ, მარჯვნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთი ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილი უჭირავს. აგრეთვე მისი სავარძლის

წინ წვანან ლომები, თვითონ კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროპოლიში<sup>17</sup> (ღმერთის დედის ტაძარი). არიანეს ეს ცნობა მეტად სანდო საბუთს წარმოადგენს იმის გამო, რომ მოგზაურობის დროს ფაზისში იგი დიდხანს შეჩერდა და იქ სამუშაოებიც კი აწარმოვა „გადაღწევიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლების გარეთ აშენებულ სახლებს“<sup>18</sup>. არიანეს თხზულების ქართულად მთარგმნელი ნ. კეკელიძე წიგნის შესავალში წერს: „საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არიანე, რომელიც კარგად იცნობდა ბერძნულ ლეთაებათა პანთეონს, მიუხედავად ფაზისში დიდხანს ყოფნისა, იგი ფაზისის მარცხნივ მდგარ ქანდაკებაში ვერ ცნობს ბერძნულ ლეთაებას“<sup>19</sup>. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ არიანე შავი ზღვის სანაპიროზე მოგზაურობის დროს მისიონერის როლშიც გამოდის და იმპერატორს სწერს: ტრაპეზუნტის ბერძნული სალოცავისათვის „თუ გსურს გამოიმგზავნე პერმესის სრული ხუთ ფუტიანი ქანდაკება. ასეთი სიდიდის ვგონებ, ტაძრის თანაზომიერი იქნება“<sup>20</sup>. მოყვანილი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ არიანე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული რელიგიის დამკვიდრებისათვის მებრძოლი პიროვნებაა და მაშასადამე, მისი კარგი მცოდნეც. ეს გარემოება აშკარას ხდის, რომ მის მიერ ნანახი ფასიანეს ქანდაკება ადგილობრივი, ქართული წარმართული პანთეონის ლეთაებაა. ეს კი, თავისთავად მიუთითებს გვიანელინისტური ხანის ფაზისში ადგილობრივი რელიგიის გაბატონებულ მდგომარეობაზე, რაც ადგილობრივი ეთნიკური ერთეულის პრივილეგირებულ მდგომარეობას და მის წამყვან როლს გულისხმობს ფაზისის საქალაქო ცხოვრებაში<sup>21</sup>. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ქალღმერთ ფასიანეს თაყვანს სცემენ არა მარტო ფაზისში, არამედ მთელ კოლხეთში. არიანეს ცნობა იმის შესახებ, ეს რეა უნდა იყოსო, გვარწმუნებს, რომ იგი ძეგდრობითი სქესის ლეთაებაა. ქალღმერთი რეას კულტი საბერძნეთში გავრცელდა მცირე აზიიდან. აქ იგი ცნობილი იყო კიბელას სახელით და თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთების დედას.

ანტიკურ ხელოვნებაში კიბელა წარმოდგენილია როგორც ლამაზი, მდიდრულად შემოსილი მატრონა, მას თავზე გვირგვინი ადგას, ცალ ხელში წინწილი უჭირავს, მეორეში კვერთხი. ზის ლომებით გარშემორტყმულ ტახტზე ან ეტლზე, რომელშიც ლომებია შებმული, ზოგჯერ თვითონ არის ლომებზე ამხედრებული<sup>22</sup>. არიანეს აღწერიდან ჩანს, რომ ქართული ლეთაება ზოგიერთი რამით ემსგავსება რეა-კიბელას (ხელში მას წინწილი უჭირავს, მის ფეხებთან ლომები წვანან და თვითონაც ისე ზის, როგორც ათენი მეტროპოლიში ფიდიასის ლეთაება). მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბერძნულ-მცირეაზიულ რეა-კიბელას და ქართულ ფასიანეს შორის სრული მსგავსება იყოს. აღსანიშნავია, რომ თვით რეასა და კიბელას შორის არსებობს თვალსაჩინო განსხვავება, როგორც საკულტო წესებში, ასევე ქალღმერთთა ფუნქციებშიც. ღმერთების დედის სალოცავის არსებობა დადასტურებულია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნე-



ბისა და ხალხების რელიგიაშიც და გაცილებით უფრო ადრე ვიდრე მცირე-  
აზიულ და ბერძნულ სამყაროში<sup>23</sup>. ასეთ ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ საქარ-  
თველო, სადაც „ღმერთების დედის“ ანუ „დიდი დედის“ კულტი ფართოდ ყო-  
ფილა გავრცელებული. პროფ. ვ. ბარდაველიძის აზრით, „ღმერთების დედის“  
თაყვანისცემა ქართულ ტომებში ჭერ კიდევ გვაროვნული წყობილების რღვე-  
ვის ხანიდან მოდის<sup>24</sup>.

„ღმერთების დედი დედა“, რომელიც ქართულ წეს-ჩვეულებაში ნანად ისე-  
ნიება, წარმოადგენს ნაყოფიერების, გაცოცხლებული ბუნებისა და სქესობრი-  
ვი სიყვარულის ღვთაებას. ეთნოგრაფიული მასალების გარდა, საქართველოში  
ღმერთების დედის კულტის პოპულარობებზე მიუთითებს არქეოლოგიური  
გათხრების შედეგად მოპოვებული ქალის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები.  
ერთი ასეთი ქანდაკების განხილვისას, რომელსაც ბომბორის განძი შეიცავდა,  
აკად. ბ. კუფტინი წერდა, რომ იგი წარმოადგენს მცირეაზიული ღმერთების  
დედის ადგილობრივ რეპლიკას<sup>25</sup>. აღნიშნული კულტის პოპულარობაზე უნდა  
მეტყველებდეს აგრეთვე კოლხური თეთრის ავერსზე მოთავსებული ქალის  
გამოსახულება<sup>26</sup>. ღმერთების დედის თაყვანისცემა საქართველოში, ისევე რო-  
გორც საერთოდ კავკასიაში, გავრცელებული იყო ბერძნულ კოლონიზაციამდე  
დიდი ხნით ადრე. ეს ღვთაება აქაურია და დაკავშირებულია ადგილობრივი  
რელიგიის ტრადიციებთან<sup>27</sup>. ამრიგად, სრულიად მართებული ჩანს ვ. ბარდავე-  
ლიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არიანეს მიერ ნანახი ქანდაკება, რომე-  
ლიც ფაზისში იყო აღმართული, ქართულ ღვთაებათა პანთეონის წარმომადგე-  
ნელია და ღმერთების დედას — ნანას განასახიერებს! საირხეში აღმოჩენილი  
კტეისი, როგორც მდებდრობითი სქესის საწყისი და ნაყოფიერების სიმბოლო,  
ლოში, როგორც ძალისა და ძლიერების სიმბოლო და აგრეთვე ფალოსიც შე-  
იძლება მდებდრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდებოდეს. ასეთ  
მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს საირხის ანტიკური ხანის ნამოსახლარ  
ფეხებში აღმოჩენილი ქალის გამოსახულება. იგი თიხისაგან არის გამოძერწი-  
ლი. თავი და მარცხენა ხელი მოტეხილი აქვს. ქანდაკება სქემატურია: მკლავები  
პორიზონტალურად აქვს გაშლილი, ქვედა ტანი ცილინდრული ფორმისაა. გან-  
საკუთრებითაა ხაზგასმული მკერდის არე. ძუძუები ორი ბირთვის სახითაა გად-  
მოკუმული. ძუძუს თავები გამოძერწილია მოშაო ფერის თიხისაგან. ქანდაკება  
ჯვრის ფორმისაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი ქვედა ტანი ცილინდრულია,  
რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი საოჯახო საკურთხეველზე დასადგმელ კერპს  
წარმოადგენდა. ზემოთ აღნიშნული გვეჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორია-  
ზე მოპოვებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში საკმაო რაოდენობით გვხვდება  
ქალის ქანდაკებები. საინტერესოა გვიანბრინჯაოს ხანის ერთი ეგზემპლარი,  
რომელიც კოდორის ციხის მახლობლად აღმოჩენილი. იგი ბრინჯაოსაგანაა ჩა-  
მოსხმული, აქვს წაგრძელებული კისერი. სახის ნაკეთები სქემატურადაა აღნიშ-  
ნული, სამაგიეროდ გულ-მკერდია მკვეთრად გამოხატული. ზეცისაკენ აღმარ-  
თული ხელები იმაზე უნდა მიუთითებდეს<sup>28</sup>, რომ ლოცვად ხელაპყრობილ ქალ-

ღმერთის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი ნაცარგორის მეორე ფენაში აღმოჩენილ ერთ პრიმიტიულ ქანდაკებას, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ნაყოფიერების ღვთაებად მიიჩნევს<sup>29</sup>.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურებში, ისე როგორც ეგეოსის სამყაროში. ფართოდ იყო გავრცელებული ქალის ქანდაკებები. განსაკუთრებით საინტერესოა ტრაში აღმოჩენილი კერპები, რომლებიც ქალღმერთის სქემატურ გამოსახულებებს წარმოადგენენ. ერთ ქანდაკებას, რომელსაც სუსტად გამოსახული ნაკვთები, წაგრძელებული ყელი და მკერდზე დაქდობილი ხელები აქვს, სასქესო ორგანოსთან გამოსახული ჰქონდა ჯვარი. მისი ქვედატანი, ისე როგორც საირხეში აღმოჩენილი ფიგურისა, ცილინდრული ფორმისაა. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი საკურთხეველზე დასადგმელ კერპს წარმოადგენს. პროფ. ლისტენბურგის აზრით, სასქესო ორგანოსთან ჯვრის გამოსახვა იმის ნიშანია, რომ საქმე გვაქვს მშობელ ქალღმერთთან, რომლის მუცელში ბავშვია ჩასახული. ჯვრის გამოსახულება ადრეულ ხანაში ადამიანის აღმნიშვნელი სიმბოლოა და როცა იგი ქალის სასქესო ორგანოსთანაა გამოხატული, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ღვთაებასთან. ღვთაებათა სხვადასხვაგვარად გამოხატვა ამა თუ იმ ხალხში გავრცელებულ რელიგიურ აზრსა და მხატვრულ ფორმებს ეყრდნობა. გვიან ხანაში ქალღმერთის გამოსახულებები მრავლდებიან და იცვლებიან. ამიტომ მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნით ხდება. საირხეში აღმოჩენილი ქანდაკების ასეთ ნიშნად მკვეთრად გამოხატული მკერდი უნდა მივიჩნიოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მღელრობითი სქესის ნაყოფიერების კერპს წარმოადგენს.

საირხეში, ადგილ ლომინაურში, იქ სადაც ფალიური საგნები და ლომის თავის ქანდაკება იყო აღმოჩენილი, ნ. ლამბაშიძეს უპოვნია გაურკვეველი დანიშნულების ორი ნივთი. ისინი წარმოადგენენ კირქვისაგან გამოკვეთილ მრგვალ მასიურ ღეროს, რომლის საგულდაგულოდ დამუშავებული ზედაპირი შემკულია საერთო ფონისაგან გამოყოფილი ლილვებით. ისინი ზიგზაგისებურად ვრცელდებიან ღეროს ზედაპირზე, ტანის გასწვრივ და ტალღისებურ ორნამენტს ქმნიან. აღნიშნული საგნები ჩვენამდე ნაკლები სახით არის მოღწეული. ერთი მთვანე, რომელიც შუაზეა გადატეხილი, ბოლოში ვიწროვდება და კონუსის ფორმასღებულობს. გატეხილი ბოლოსა თუ წეროს ნაწილიდან ჩანს, რომ იგი გამოყოფილია საერთო ფონისაგან და პროფილირებულია. ამ დეტალის ტანზე 67 ლილეა ამოკვეთილი. მეორე დეტალი პირველის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ მასზე კონუსისებური ბოლო არ არის შემორჩენილი (ტაბ. XLIV<sub>2</sub>). თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საგნები როგორც ფორმით, ასევე მხატვრული სტილით სრულიად უცხო საგნებს წარმოადგენენ და ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ ლიტერატურაში პარალელები არ ეძებნება. მიუხედავად ამისა, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ეს დეტალები ნაყოფიერების ხის იმიტაცია იყოს და მათი სახით ქვისაგან გამოკვეთილი წმინდა ხის სტილი-

ზაციის ცდასთან გვერდეს საქმე. ამის საბაზს, უპირველეს ყოვლისა, თვით დეტალები იძლევიან, რადგან ისინი ბოძებს და ამდენად ხის ტანს მოგვაგონებენ. ტანის უამრავი ძარღვისებური ლილეებით შემკობა შესაძლოა ნაყოფიერებისა და სიმრავლის აღმნიშვნელი იყოს და შესაძლოა წიწვოვანი ხის სტილიზაციას წარმოადგენდეს. ხის კულტი კაცობრიობის ისტორიაში უძველესია და ზოგჯერ ღვთაებების წარმოშობაც კი ამ კულტთან არის დაკავშირებული<sup>30</sup>. როგორც ქართულ, ასევე ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ რელიგიებში ეს კულტი უმთავრესად თან ახლავს ნაყოფიერების ღვთაებისათვის განკუთვნილ რიტუალს. საქართველოს სინამდვილეში ხის კულტი უკავშირდება ზემო სვანეთში შემორჩენილ და წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებულ აგრარულ დღესასწაულს „მურყვამობა-კვირიკაობას“. „მურყვამობა-კვირიკაობაში“ საკულტო ხეებად ითვლება ნაძვი, ფიჭვი, დგნალი და არყი<sup>31</sup>.

სვანეთში ყველა მოსახლეს ჰქონდა არყის ხის უზარმაზარი კეტი, რომელიც სიუხვისა და ბარაქის მომტანად ითვლებოდა<sup>32</sup>. კვირიას საგალობლის შესრულების დროს თოვლის კოშკებს აგებდნენ, მის შუაგულში ნაძვის ან ფიჭვის ბოძს დგამდნენ, რომელსაც მამაკაცის ტანსაცმლით მოსავდნენ. თუ თოვლი არ იყო, კოშკის მაგიერად ხეს აღმართავდნენ ხოლმე. რიტუალის მონაწილე ორად გაყოფილი ჯგუფი საითაც ამ ხეს წააქცევდა იმ მხარეს მეტი ნალექი და უხვი მოსავალი იქნებოდა<sup>33</sup>.

კვირია ღვთაებაა ბუნების აღორძინებისა, სიცოცხლის, ნაყოფიერებისა და უხვი მოსავლისა. იგი სქესობრივი სიყვარულისა და შვილიერების მფარველიცაა<sup>34</sup>. ამ ღვთაებასთან ხის კულტის დაკავშირება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რადგან ხის ტანში ცხოვრობს თვით ღვთაების სული და ადამიანიც კი მისი ტანიდან იზადება. უამრავი მაგალითი მიუთითებს, რომ ხის კულტი საქართველოს ბარის კუთხეებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ბერძნულ და ძველ აღმოსავლურ რელიგიებში ხის კულტს ცენტრალური ადგილი ეჭირა ნაყოფიერების მომცემ ღვთაებათა რიტუალებში. ეგვიპტური ღვთაების ოსირისის საღმრთო ცერემონიალთან განუყრელად იყო დაკავშირებული ხის კულტი. ამ ღვთაებისათვის განკუთვნილ რელიგიურ დღესასწაულზე მორწმუნენი ნაძვის ხეს კრიდნენ, აცილიდნენ გულს, მისგან ღვთაება ოსირისის ქანდაკებას აკეთებდნენ, ისევე ხეში ჩასვამდნენ და მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ ნაძვის ხეზე მიბმულს<sup>35</sup>.

დენდორის ტაძრის დარბაზში გამოხატულია კუბო, რომელშიც ჩასვენებულია ღვთაება ოსირისის მუმია. იგი დამწყვედეულია წიწვოვან ხეში, რომლის ფოთლები და ტანი გარშემოხვეულია კუბოზე.

ინგლისელი მკვლევარის ჯ. ფრეიზერის აზრით, რიტუალიც და გამოსახულებაც გადმოცემა უნდა იყოს ოსირისის მითისა, რომლის მიხედვით მისი სხეული ხის ტანშია-დამწყვედეული. თვით ღვთაების თავდაპირველი წარმოშობაც კი, ხის კულტს უკავშირდება<sup>36</sup>. ოსირისის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია განაყოფიერებაა. ღვთაებისადმი მიძღვნილ ჰიმნში იგი „ღედა და მამა ადამიანთა

მოდგმისა“<sup>37</sup>. ევგენტიში მორთული ბოძების აღმართვა ხდებოდა ღვთაება მინასა და ამონის სახელზეც. ეს ბოძები ზოგჯერ გაახრებული იყო როგორც ფალოსები.

ხის კულტს დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე დიონისეს დღესასწაულებში, ჭველი ბერძნები თაყვანს სცემდნენ დიონისეს ხეს. ხის კულტი მცირე აზიაში, პალესტინაში, უკავშირდება ატისისა და აშერის ღვთაებებს. ქართულ არქეოლოგიურ მასალებში იგი დამოწმებულია თრიალეთის თასზე, სადაც რელიგიური რიტუალური სცენაა გამოსახული. აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, მთავარი პერსონაჟის, ე. ი. ღვთაების, უკან გამოსახული ხე არის ხე ცხოვრებისა<sup>38</sup>. თასის ზედა ნაწილში მოთავსებული სცენა, სადაც 22 ნიღბოსანი ადამიანია გამხატული, ხელში თასებით. აკად. შ. ამირანაშვილი ამ სცენას მიიჩნევს რელიგიურ მისტერიად, რომელიც ნაყოფიერების ღვთაების კულტთანაა დაკავშირებული<sup>39</sup>. განხილული მასალები გვარწმუნებენ, რომ ხის კულტი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წარმართულ რელიგიებში ორგანულად არის დაკავშირებული ნაყოფიერების ღვთაებასთან. ამრიგად, ლომინაურში მათი არსებობა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ სხვა საგნებთან ერთად სრულიად კანონზომიერ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

საირხეში აღმოჩენილი მასალების მნიშვნელობა დიდია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა ამგვარი შინაარსის შემცველ არქეოლოგიურ ძეგლებთან შედარებით, იმის გამო, რომ აქ ღვთაებისადმი კულტმსახურება დაკავშირებულია სატაძრო რიტუალთან. ლომინაურში შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სოფ. საირხეში, ანტიკურ ხანაში არსებობდა ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ტაძარი.

ტაძრის სვეტების კაპიტელები თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვებისაგანაა გამოკვეთილი. ერთი მათგანი წარმოადგენს მთლიან კაპიტელს (ტაბ. XLVI<sub>4</sub>). ხოლო მეორე ნახევარბოძისას (ტაბ. XLVI<sub>5</sub>), მათ ნატიფი ორნამენტით მოჩუქურთმებული ექინი აქვთ. ის ადგილი, ექინის ყელისა, სადაც ჩვეულებრივ „ღვედები“ შემოსდევს ხოლმე მოჩუქურთმებულია. აბაკისა და ექინს შორის ჩაჭრილია სამი ენერგიული ღარი<sup>40</sup>. ექინის ჩუქურთმა მთლიანობაში გაშლილ ყვავილს წარმოადგენს. ჩუქურთმების დამუშავების ტექნიკა სკულპტურულია. მკვლევარის აზრით, იგი გაშლილი პაპირუსის ფურცლებია და თანმიმდევრული პლანეტით არის განლაგებული ექინის ორმაგ მრუდზე შედარებულ<sup>41</sup>. 1961 წელს საირხეში მცხოვრებმა რ. ნადირაძემ გადმოგვცა ქვის ნატეხი, რომელიც მისი თქმით, ლომინაურში იყო ნაპოვნი. ჩუქურთმის სტილითა და ქარგით იგი სრულიად ემთხვევა დიდი ზომის არქიტექტურულ დეტალს. რესტავრაციის შედეგად დადგინდა, რომ ეს ფრანგმენტი ჩამოტეხილია აღნიშნული კაპიტელიდან. ნ. ლამბაშიძის მიერ ლომინაურში მოპოვებული ნივთების კოლექციაში, ყურადღება მიიქცია ორნამენტით შემკულმა ქვის ერთმა ფრაგმენტმა. მასზე შემორჩენილია ორი სადა ლილევი და სტილიზებული ფოთლის ნაწილი (ტაბ. XLV<sub>7</sub>). ეს ნატეხი ჩუქურთმის ქარგით საირხეში აღმოჩენილი

პილასტრის კაპიტელის ზუსტ ასლს წარმოადგენს. გ. ლეჟავას მიხედვით, მისი სახით ჩვენ ხელთა გვაქვს კაპიტელის ექინისა და აბაკოს ნაწილი<sup>42</sup>. რესტავრაციის შედეგად დადგინდა, რომ ზომებითაც იგი სრულიად ემთხვევა მცირე ბოძის კვარცხლბეკს. ფრაგმენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ საირხეში ლომის თავის ქანდაკების მსგავსად, კაპიტელებიც მრავლად ყოფილა. ყოველ შემთხვევაში სამი მათგანი ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუროთმოძღვარაა გ. ლეჟავამ საირხეში აღრე აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები სვეტისთავეებად მიიჩნია. ასეთ მოსაზრებას მეცნიერთა ერთი ჯგუფი იმთავითვე არ იზიარებდა. პროფ. ი. ციციშვილი და ლ. სუმბაძე მხარს უჭერდნენ აკად. შ. ამირანაშვილის მტკიცებას იმიტომ, რომ წინაქრისტიანულ ქართულ არქიტექტურაში მსგავსი დეტალები შესაძლებელია ბოძის კვარცხლბეკებად ყოფილიყო გამოყენებული.

გ. ლეჟავას აღნიშნული ფრაგმენტები დორიული ორდერის ტაძრის სვეტისთავეებად მიიჩნია<sup>43</sup>. ასეთი მოსაზრება კვლევის ამ ეტაპზე მართებულად მეჩვენება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დორიულ ორდერში სვეტისთავეები თითქმის არ გვხვდება მოჩუქურთმებული ექინით. ამ გარემოებას მკვლევარიც აღნიშნავს და საირხულ კაპიტელზე ამოკვეთილ ჩუქურთმებს, პარალელებს ეგვიპტურ სვეტისთავეებზე და სვეტის კვარცხლბეკებზე უძებნის<sup>44</sup>. მოჩუქურთმებული ექინით გაწობილი ტაძრის ფასადი. დორიული ორდერისაგან განსხვავებულ მხატვრულ სტილს მოგვცემდა, რაც თავისთავად გულისხმობს არქიტექტურის, ჩვენთვის ჯერ კიდევ სუსტად ცნობილ ახალ სინთეზს და არა დორიული ტაძრის სრულ ასლს.

არქეოლოგიური მასალები მეტყველებენ, რომ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს, სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ უძველეს ცივილიზაციებთან, რომლებსაც შორეულ წარსულში ქმნიდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები სხვადასხვა ხალხი. ისტორიის ამ გრძელ მანძილზე, თითქმის უკლებლივ ყველა ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კულტურა წარმოადგენილია როგორც თვითმყოფადი ფენომენი.

ადგილობრივი და უცხოური კულტურის ელემენტების შერწყმა და ამ გზით ახლის წარმოქმნა ჩვენთვის ცნობილი, თითქმის არც ერთი ცივილიზაციისათვის უცხო არ არის. რა თქმა უნდა, ამ მოვლენას საქართველოს სინამდვილეშიც ჰქონდა ადგილი. არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით შესამჩნევია ხდება იგი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის ხანაში — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. გაცხოველებული ურთიერთობის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორად გვეჩვენება გ. ლეჟავას ცდა საირხეში სავარაუდო ტაძრის ზოგიერთი ტექნიკური მომენტით არქაულ დორიკასთან დაკავშირებისა<sup>45</sup>. ორდერული არქიტექტურა წინასწარ შემუშავებულ წესებს ეყრდნობა, რაც არქიტექტურაში მოდულური სისტემის სახელითაა ცნო-

ბილი. ამ სისტემის მიხედვით, ელინურ სამყაროში და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში წინასწარ მზადდებოდა შენობის ნაწილები, სვეტები, სვეტისთავეები, სვეტის კვარცხლბეკები, სტილობატის ქვები, არქიტრავი და ა. შ. ნაგებობისათვის განკუთვნილ ასეთ ნაწილს წარმოადგენს საირხეში აღმოჩენილი არქიტექტურული ფრაგმენტები. მისი არსებობა ანტიკური ხანის საქართველოში ორდერული ხუროთმოძღვრების მაღალ საფეხურს გულისხმობს და, როგორც მხატვრული კულტურის ნაწილი, გარკვეულად ადასტურებს სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიის ქალაქებსა და დაბებში არის სახლები არქიტექტურის წესებით მოწყობილი<sup>46</sup>. ამ შენობათა გაწყობა, როგორც ჩანს, არ ემორჩილება ერთ რომელიმე ქვეყანაში არსებულ ორდერული არქიტექტურის სტანდარტს. ასეთ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს უკანასკნელ წლებში ვანში გათხრილი საკულტო დანიშნულების მონუმენტური ნაგებობანი<sup>47</sup>, რომლებიც ძველ სამყაროში არსებული სამშენებლო ტექნიკის მიხედვითაა აგებული, მაგრამ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ საკულტო ნაგებობათა ზუსტ ასლს არ წარმოადგენს.

ფალიურ საგნებთან, არქიტექტურისა და ქანდაკების ფრაგმენტებთან ერთად მოპოვებული მასალის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებული იყო ნაგებობის ტერიტორიაზე, ძეგლი ზოგადად ძვ. წ. V—IV საუკუნეებით დავათარიღეთ<sup>48</sup> და მის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ჩვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი მივიჩნევთ. ამ მოსაზრების საწინააღმდეგო შეხედულებებია გამოთქმული უკანასკნელი ხანის ნაშრომებში. მკვლევარები არქეოლოგიური მასალების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ მხატვრული ანალიზის საფუძველზე იძლევიან საირხეში არსებული ტაძრის სრულიად განსხვავებულ თარიღს. სპეციალისტები დღემდე ვერ შეთანხმდნენ დეტალების დანიშნულებაზე, ზოგი მათ კაპიტელებად, ზოგი ბაზისებად მიიჩნევს. პროფ. ი. ციციშვილმა, როგორც ჩანს უარყო თავისი ადრეული შეხედულება და ქართული არქიტექტურისადმი მიძღვნილ ნაშრომში ლოტოსის ყვავილით შემკული დიდი ზომის არქიტექტურული დეტალის ფოტო კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა და კაპიტელად მოიხსენია<sup>49</sup>. პროფ. გ. ლორთქიფანიძემ გაიზიარა ჩვენს მიერ შემოთავაზებული თარიღი, ხოლო ი. პიჩიკიანმა დეტალები ბაზისებად მიიჩნია და ძვ. წ. VII—VI საუკუნეებით დაათარიღა<sup>50</sup>. საირხეში აღმოჩენილ ქანდაკებებსა და არქიტექტურული ფრაგმენტების მიმართ სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი შეიქმნა მკვლევარმა არქიტექტორმა გ. ყიფიანმა, მან დეტალები ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დორიული სტილის კაპიტელებად მიიჩნია და ამის დასამტკიცებლად არქაული დორიკის პარალელებიც მოიშველია, ისე, როგორც გ. ლეჟავამ<sup>51</sup>, მანაც აღნიშნა, რომ დორიული კაპიტელებისაგან განსხვავებით საირხული კაპიტელების ექინი გამოხატავს ლოტოსის ყვავილის გაშლილ ფოთლებს და მისი მხატვრული დამუშავება ძალზე უახლოვდება ეგვიპტური ორნამენტის დამახასიათებელ ფორმას<sup>52</sup>. გ. ლეჟავასგან განსხვავებით ამ ნიშნის მიხედვით იგი საირხულ კაპიტელებს უკავშირებს პტოლემიოსების ხანის ეგვიპტურ არქიტექ-

ტურას, რომელიც შეითვისა მცირეაზიის ელინისტური ხანის ხუროთმოძღვრებაში<sup>53</sup> და რომლის ძირითადი ნიშანი სწორედ ეგვიპტურისა და ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრული სახეების ურთიერთშერწყმა იყო. აქედან გამომდინარე, მკვლევარი იძლევა დასკვნას, რომ საირხული კაპიტელები შექმნილია მცირეაზიის ხუროთმოძღვრული სტილის მიხედვით ძვ. წ. II—I საუკუნეებში<sup>54</sup>. გ. ყიფიანის ეს მოსაზრება მთლად მართებული არა ჩანს. მის ნაშრომებში მოტანილი პარალელების მიხედვით, უფრო მეტი წარმატებით შეიძლება ვაპტიკოთ საირხული კაპიტელების მსგავსება კლასიკური ხანის დორიულ ძეგლებთან, ვიდრე პტოლემეოსების ხანაში წარმოქმნილ ე. წ. „ნეოდორიული“ სტილის ხუროთმოძღვრებასთან. გ. ყიფიანის მიერ შემოთავაზებული თარიღი სწორად არ გვეჩვენება, თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნულ ეპოქაში იბერიის ტერიტორიაზე „საირხის ქვეყნის“ მოსაზღვრე რეგიონში, დედოფლის ზინდორზე შენდება გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი, რომლის არქიტექტურა არავითარ მსგავსებას არ ამქადაგებს საირხის არქიტექტურასთან<sup>55</sup>. ერთსა და იგივე დროს, ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორი ესოდენ განსხვავებული სტილის სატაძრო ნაგებობის შექმნა, რამდენადმე ალოგაკური ჩანს. მით უმეტეს, რომ საირხის საბადურის გორის გვიანელინისტური ხანის მასალები, განსაკუთრებით კერამიკა, იდენტურია დედოფლის მინდვრის სამეთუნო ნაწარმისა. გარდა ამისა, მკვლევარი ანგარიშს არ უწევს, რომ კაპიტელის ფრაგმენტები, ცხოველის ქანდაკების ცალკეული ნატეხები და ფალიური საგნები, საირხეში, ადგილ ლომინაურში, ექსპედიციის მიერ ფიქსირებულია ადრეანტიკური ხანის ფენაში. ეს ფენა ადგილობრივ მასალებთან ერთად შეიცავს, აღმოსავლურ წითლად მოხატული კერამიკისა და ატიკური შავლაკიანი ღია კურკლის ფრაგმენტებს, რომლებიც სპეციალისტების აზრით არ შეიძლება ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარზე გვიანდელი იყოს.

მკვლევარმა მახვილგონივრულად აღადგინა ლომინაურში ნაპოვნი ქანდაკების ფრაგმენტი ხარის ორმაგპროტომიან კაპიტელად<sup>56</sup>, ასეთ აღდგენას ერთა შეუსაბამობა ახლავს თან: აქიმენიდური ტიპის ორმაგპროტომიანი კაპიტელები უცნობია ძვ. წ. II—I საუკუნეების მცირეაზიული, ბერძნულ-ელინისტური სტილის ხუროთმოძღვრებისათვის, რომლის მიხედვითაც, გ. ყიფიანის აზრით, უნდა შექმნილიყო საირხული ხუროთმოძღვრების ნიმუშები. თუ კაპიტელი აქიმენიდურია, გამოდის, რომ საირხულ ორდერზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა აქიმენიდურ ხუროთმოძღვრებასაც, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო ძვ. წ. II—I საუკუნეებში, სპარსეთის იმპერიის დამხობიდან ორი საუკუნის შემდეგ? ამ კითხვაზე ავტორი თვითონვე პასუხობს და წერს, რომ აქიმენიდური სტილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს აქიმენიდურ პერიოდს. ამ არქიტექტურის მიერ შექმნილი ცალკეული ფორმები კვლავ განაგრძნობენ არსებობას.<sup>57</sup> მაგრამ სად? ელინისტური ხანის მცირეაზიულ ხუროთმოძღვრებაში ამის ანალოგები არ არსებობს და ამიტომ ისევ სიდონის ორმაგპროტომიან კაპიტელებზე მიუთითებს, რადგან ისინიც წინ უსწრებენ ძვ. წ. II—I საუკუნე-

ნებს. ავტორი საირხულ დორიულ კაპიტელებს და მის მიერ აღდგენილ ორმაგპროტომიან კაპიტელებს სხვადასხვა ხანას აკუთვნებს<sup>58</sup>. ამის საპასუხოდ კიდევ ერთხელ შეენიშნავ, რომ გ. ყიფიანის მიერ ორმაგპროტომიან და ნეოდორიულ კაპიტელებად მიჩნეული არქიტექტურული ფრაგმენტები ექსპედიციის მიერ ფალიურ საგნებთან ერთად ლომინაურში ფიქსირებულა ძვ. წ. IV საუკუნისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის შემცველ ფენაში, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კაპიტელები და ცხოველის ქანდაკებები ერთი ეპოქის კუთვნილებაა. ამ შემთხვევაში მკვლევარის ცდა ქანდაკებები აქიმენიდური ხანის არქიტექტურას დაუკავშიროს რამდენადმე ანგარიშგასაწევი ჩანს, იმის გამო, რომ ლომინაურში მოპოვებული არქიტექტურისა და ქანდაკების ზოგიერთი დეტალი ბოლომდე არ არის დამუშავებული, ისინი წარმოების წუნად მივიჩნევთ და ეპკვი გამოვთქვით, რომ შეიძლება ლომინაურში იყო სახელოსნო, სადაც ნაგებობისათვის კონსტრუქციულ დეტალებს და შენობის შესამკობ ქანდაკებებს აკეთებდნენ. იქვე გარკვევით აღენიშნე, რომ კირქვის კარიერები, სადაც მოპოვებოდა ქვა ამ დეტალების დასამზადებლად, საირხიდან 20 კმ-ით დაშორებულ სოფ. ბერეთისაში მდებარეობს<sup>59</sup>. მიუხედავად ამისა გ. ყიფიანს ქვის კარიერებიც საირხეში ეგულება და წერს, რომ „არქიტექტურული დეტალები მზადდებოდა უშუალოდ კარიერზე, იქვე სადაც კლდის მასივიდან ლოდების განცალკევება ხდებოდა და ასეთი „ქვის სამტეხლოები“ საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდნენ. ისე რომ საირხის მიდამოებში შეიძლება შეგვხვდეს არქიტექტურული დეტალები, რომლებიც სრულიად სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნიან. ამავე დროს მოსალოდნელია დეტალები, რომელთა დამზადება ბოლომდე დასრულებული და ისეთებიც, რომლებიც დამუშავების შუალედურ ეტაპზე არიან“<sup>60</sup>. მკვლევარი ამ მოსაზრებას იმისათვის იყენებს, რომ შესაძლებლად მიიჩნის ქრონოლოგიური სხვაობა დორიულ და ორმაგპროტომიან კაპიტელებს შორის. რაც არ უნდა ავტორიტეტული ნაშრომი დავიმოწმოთ, ქვის სამტეხლოში დეტალების დეტალურად დამუშავებისა და მოჩუქურთმების შესახებ, ჩვენს სინამდვილეში ასე არ ხდებოდა. ორიათას-ხუთასწლიანი ტრადიცია კვლავაც გრძელდება და ბერეთისელი ოსტატები დღესაც ამზადებენ ქისთავებს, ბუხრებსა და წყაროს მოსაპირკეთებელ ფილებს. ისინი კარიერზე სავარაუდო ზომის ლოდებს ჭრიან და მათ მხოლოდ და მხოლოდ შეკვეთის ადგილზე თლიან, აჩუქურთმებენ და ერთმანეთს უსადაგებენ. ისე, რომ საირხეში სავარაუდო ტაძრის კონსტრუქციული დეტალები და ქანდაკებები საბოლოოდ ადგილზეა დამუშავებულ-მოჩუქურთმებული და იმ ეპოქის ძეგლის მშენებლობისთვისაა გამიზნული. ვფიქრობ, ტაძრის ნაშთი აქვე ლომინაურის ტერიტორიაზეა საძებნელი, მაგრამ გათხრების გაფართოვება დღემდე ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ეს ადგილები კოლმეურნეობის უხმოსავლიან ვენახებს უჭირავს. მხოლოდ მისი მიკვლევის შემდეგ გახდება შესაძლებელი სრული წარმოდგენა შევიქმნათ ამ უძველესი ნაგებობის არქიტექტონიკაზე და ქრონოლოგიაზე. ის კი რაც სადღეისოდ საირხეშია მოპოვებული,





0. 8. 1. 1




2

1

3

4





1




2

3



4





III ११००



3



4





1



4




2



3



5




1



2







1

111 2 3 4 5 6 7 8 9 10



2



3



4



1

2



3





უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ წინაფეოდალურ ხანაში ან სოფელში არსებობდა ორდერული არქიტექტურის მისეღვით აგებული ტაძარი, რომელიც ქართული წარმართული პანთეონის მთავარ ღვთაებას — ნაყოფიერების ღვთაებას ეძღვნებოდა.

ქართულ წარმართულ რელიგიაში საუკუნეების მანძილზე შეინიშნება განვითარების ერთი უწყვეტი ხაზი, რომლის ბაზაზე ანტიკურ ხანაში წარმოქმნილი ჩანს სატაძრო რელიგია. საირხეში ტაძრის ნაშტებთან ერთად მოპოვებული საკულტო ნივთები და მდიდრულ სამარხებში მოპოვებული საკულტო დანიშნულების სამკაული ფუნქციონალურად ერთმანეთთანა დაკავშირებული. ამ ტრადიციან ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული. ამასთან დაკავშირებით ზედმეტად არ გვეჩვენება დაწვრილებით განვიხილოთ ჩვენი ექსპედიციის მიერ ხაშურის რაიონში სოფ. მცხეთიჯვარში საისტორიო წყაროების ალის ციხის სამხრეთ ფერდობზე გათხრილი ძვ. წ. VII საუკუნის მიწურულით დათარიღებული სამარხეული კომპლექსი, რომელიც სასულიერო პირის ქურუმის კუთვნილებად მივიჩნით და რომლის ინვენტარი შინაარსობრივად დაკავშირებულია საირხის საკულტო ძეგლებთან. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საირხის საკულტო საგნები სიმბოლიზებულია. ზოგიერთ ნივთზე ვხედავთ სხვადასხვა საკულტო საგნების სინკრეტიზაციას. მიუხედავად ამისა საირხისა და მცხეთიჯვრის კომპლექსები შინაარსობრივად ერთიანია და მათმა ურთიერთკავშირში განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს წინაქრისტიანული ხანის ქართული რელიგიის განვითარების სურათის დადგენას. სამარხი № 82, რომელიც საკულტო საგნებს შეიცავდა აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 3 მეტრის სიღრმეზე. ოვალური ფორმის ორმოში, იქ სადაც ადამიანის ჩონჩხი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, დაფიქსირდა ათეულობით ბრინჯაოს ნივთი, ოქროს რგოლი, ადამიანისა და ცხოველის ქანდაკებები. ყურადღებას იქცევს ხარის ქანდაკება, იგი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. კომპოზიცია სადაა: ოთხ ფეხზე მდგომ ხარის ოდნავ ძირს დახრილი თავი, ჰაერში აწეული მორაკალული რქები აქვს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ჩამოქნილი, ძლიერი მკერდი. უკანა ფეხებს შორის ჩასხეპილი კულა და საგანგებოდ აღნიშნული განიერი გავა. ცხოველი მოძრაობის საწყის ფორმაშია წარმოდგენილი. ძერწვის რეალისტური მანერა, მონუმენტური ქანდაკების ნიშნებს ანიჭებს და მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს (ტაბ. XL VII<sub>4</sub>). ასევე რეალისტური მანერითაა შესრულებული შედარებით მცირე ზომის მასიური ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძაღლის ქანდაკება. ცხოველი სფინქსის პოზიშია წარმოდგენილი: გავის ქვეშ ამოკეცილ უკანა ფეხებზე წევს, წინა ფეხები გამოწვდილი აქვს, ხარის ქანდაკების სქემატური სახისაგან განსხვავებით ძაღლის თავის ყველა დეტალი კარგად არის დამუშავებული. იგი შებეპულია ბრინჯაოს ჯაჭვზე, რომელიც მის მფლობელს მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული (ტაბ. XL VII<sub>4</sub>). ამავე ჯაჭვებზეა ასხმული ზანზალაკები და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ირმის ორთავიანი ქანდაკება, რომელიც ზედმეტადაა აბსტრაგირებული და შედარებით სიმბოლური ხასიათის მცირე პლასტიკის ნიმუშს წარმოადგენს

(ტაბ. XL VII<sub>4</sub>). ამ ნივთების გვერდით ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მამაკაცის თითფალური ქანდაკება, რომელსაც გრძელი ტორსი, ზეცისაკენ აპყრობილი უნაკვთო სახე, განზე გაშლილი ხელები და მკვეთრად გამოსახული ფალოსი უნდა ჰქონოდა (ტაბ. XL VII<sub>3</sub>). აღსანიშნავია აგრეთვე, ქალის გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს ჯვრის ფორმის ბრინჯაოს ფირფიტას (ტაბ. XL VII<sub>2</sub>). ფანტასტიური ცხოველის ქანდაკება, რომელსაც ფრინველისებური მკერდი, დაგრძელებული კისერი და სქემატურად დამუშავებული ცხენისებური სახე აქვს.

კომპლექსი დიდი რაოდენობით შეიცავს ბრინჯაოს სამაჯურებს. ზოგიერთი მათგანის ბოლო, გველისთავის გამოსახულებას წარმოადგენს. აქვე არის ბრინჯაოს ჯაჭვი, ტყავზე დასამაგრებელი ბრინჯაოს კილიტები, ზარაკები, ბრინჯაოსაგან დამზადებული ურმის თვლის მოდელი და ოქროს სასაფეთქლე რგოლი, საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ცული, მკერდზე ჩამოსაკიდებელი ქვის თილისმა, რომელსაც ქედზე რვა რელიეფური ხაზი აქვს ამოკვეთილი და საკულტო დანიშნულების ხელადა, რომლის ყურზე ასევე რვა კოპისებური შვერილია დაძვრწილი. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ბრინჯაოსაგან დამზადებული მეტად საინტერესო შინაარსის მქონე საგანი, რომელიც წარმოადგენს სხივებიან მზის დისკოს, ნახვრეტიანი ყუნწი შუაზე ყოფს დისკოს შიდა წრეს და ნახევარმთვარისებური გამოსახულებით ბოლოვდება (ტაბ. XL VII<sub>4</sub>).

სამარხის თითქმის ყველა ნივთი სარიტუალო დანიშნულებისაა. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ამ კომპლექსში ისე როგორც საირხულ მასალებში ხარს როგორც საკულტო ცხოველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ხარს საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ძველი ხალხების რელიგიაში. უცხოური პარალელების მოტანა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც აღვნიშნავთ, რომ ხარის კულტის შესანიშნავ დამადასტურებელ მასალას შეიცავს ანტოლიაში ჩათალუიუსის ნეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილის სამლოცველოები, რომელთა კედლების იკონოგრაფიები ხარის მრავალმნიშვნელოვანდა წარმოდგენილი. აქ სამლოცველოში, ნაყოფიერების ღვთაების გვერდით, თითქმის ყველგანაა მისი ფერწერული „ხატი“, ხარის აქ მამაკაცური ბუნების მეორე რიგის ღვთაებას განასახიერებს, რომელიც შობილია ყველა ღვთაების დედის მიერ<sup>61</sup>. ეს პირველყოფილი „ტაძრები“ ძვ. წ. VI ათასწლეულს ეკუთვნის და იმ ხანიდან მოყოლებული ხარს, როგორც ღვთაებას საპატიო ადგილი ეკავა მიწათმოქმედი ხალხის რელიგიურ პანთეონში. მოგვიანებით, როდესაც შუამდინარეთში და ეგვიპტეში დიდი ცივილიზაციები წარმოიქმნა, ტიგროსის, ეფრატის და ნილოსის სანაპიროებზე, აგრეთვე წინაზიამში აგებულ გრანდიოზული ტაძრების კარიბჭეში ხარმა ტრიუმფით შეაბიჯა. ეგვიპტეში ე. წ. ზომნა ხარის „აპისი“ ღვთაება ოსირისის მიწიერი განასახიერება იყო, ისე როგორც ოსირისი, ხარკი ნილოსს განასახიერებდა და ამიტომაც ერქვა მდინარის ძველეგვიპტური სახელი (Hapi). შუამდინარეთში ხარის მთავარი ღვთაების, სინის სიმბოლო იყო. ბერძნულ მითების მოიტაცები, მინოსის ხარის, რომელიც დედადოსის მიერ აგებულ კნოსის ლაბირინთებში ბინადრობდა და უმარავ მსხვერპლს იწირავდა, თეზევესმა მოკლა, არიადნეს დახმარებით<sup>62</sup>. აქედან სრულად აშკარად ჩანს, რომ არქულ პერიოდში, ხარის კულტი აქაც ძლიერი იყო და მისი მოკვლა ხარის კულტის დაკნინებას მოასწავებდა. ფინიკელმა ქურუმებმა, რომლებმაც კაცობრობას უბოძეს ძველი ცივილიზაციის დამაგვირგვინებელი აღფაბეტური დამწერლობა, მას აიკრებდნენ ასო ნიშნად მთვარის ღვთაებას მწვერი სიმბოლო — ხარის ნიშანი წაუმძვინვარეს. ხარის

კულტი, როგორც ამას არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, შორეულ წარსულში ჩანს ჩინახული სომხეთის ტერიტორიაზე. ამ ცხოველს, როგორც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მფარველ ღვთაებას, თყუანს სცემდნენ გასული საუკუნის მიწურულამდე. ისე როგორც სხვა უძველესი ხალხების რელიგიაში, ქართულ წარმართულ პანთეონშიც ხარს საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამის შესახებ მოგვითხრობს შესანიშნავი სვანური ლეგენდა, რომელიც პროფ. ვ. ბარდაველიძეს აქვს ჩაწერილი: „ერთხელ ჭგრაგმა (მთვარის ღვთაება) ფუსდის (მესაქონლეობისდროინდელ ხარების ბატონ-პატრონს) უთხრა ხარს აპეურს შევაბამ, თუ გაწყვიტა შენი იყოს, თუ ვერ გაწყვიტა მე დამრჩესო. ჭგრაგმა ხარს აპეური შევაბა, ხარმა ვერ გაწყვიტა. განრისხებულმა ფუსდმა მას თავისი მუჯირი დაარტყა, ჩლიქი ორად გაუპო და იმ დღიდან გაჩნდა ჩლიქიანი ხარი, რომელიც ჭგრაგმა უღელში შეაბა“<sup>63</sup>. ეს ლეგენდა მიწათმოქმედების განვითარების პროცესს ასახავს და ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ გახდა ხარი მთვარის ღვთაების კუთვნილება და მისი მიწიერი სიმბოლო. არქეოლოგიური მასალებიც მეტყუელებენ, რომ ხარის კულტი ჩვენში შორეულ წარსულში ჩაისახა. ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ხანის ერთ ნამოსახლარზე, რომელიც ძვ. წ. VI—IV ათასწლეულებით თარიღდება, აღმოჩნდა ხარის რქები. მკვლევარები ფიქრობენ, რომ რქები აქ, ისე როგორც ჩათალ-ჰუიუტში, ალიზისაგან აგებულ სამლოცველოს კედლებში უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული და ნეოლითურ ხანაში ამ ცხოველის კულტის არსებობის დამადასტურებელია.

განვითარების შემდგომ საფეხურზე ხარის კულტი არქეოლოგიურ მასალებში შედარებით გამოკვეთილადაა წარმოდგენილი. ძვ. წ. III ათასწლეულის ნამოსახლარ ფენებში ხშირად პოულობდნენ სოხანეზე ამოღესილ საკულტო კერებს, რომლებსაც თან ახლავს რქებისებური სადგარები<sup>64</sup>. ხარის სიმბოლურ გამოსახულებად მიჩნეული ეს სადგარები დაკავშირებულია კერიის კულტთან, სადაც განვითარების ადრეულ საფეხურზე წარმოდგენილია რთული ასტრალური სიმბოლიკა<sup>65</sup>.

ქართულ ასტრალურ კულტში უმთავრესი ღვთაებებია მზე და მთვარე. ჩვენში განსაკუთრებით ძლიერი იყო მთვარის კულტი, რომლის ზოომორფულ სახესა და ამქვეყნიურ სიმბოლოს ხარი განასახიერებდა.

ამ მხრივ ქართულ ღვთაებათა პანთეონი შუამდინარეთის რელიგიის იდეის მატარებელია, სადაც ხარი მთვარის ღმერთის შვილად იყო მიჩნეული. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ხარი (Har) შუმერული სიტყვაა და ისე, როგორც აქადურში, ქართულშიც იგივეს ნიშნავს. ასეთი დამთხვევა გასაკვირი არც არის. შუმერთა წარმოდგენით მათი ქვეყნის ოთხი მხრის ქარი, რომლის მეშვეობით მსოფლიოში უნდა გავრცელებულიყო კაცობრიული კულტურა და წესრიგი<sup>66</sup>, კავკასიის სამხრეთ კალთებამდეც აღწევდა. უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან, არქეოლოგიური მასალების საფუძველზე თვალსაჩინოდაა დადასტურებული<sup>67</sup> საქართველოსა და შუამდინარეთის კულტურული კავშირებითობანი. მომდევნო ეპოქის საქართველოში ხარის კულტის სიძლიერის დამა-

დასტურებულ ფაქტად შეიძლება არგონავტიკაში არაერთგზის ხსენებული სპი-  
ლენანს ფაქტიანი ხარები მივიჩნიოთ, რომლებიც სპალენძისავე ხახებიდან სა-  
ზარელ ცაცხლს აფრქვევდნენ და არგონავტებთან საბრძოლველად, კოლხეთის  
მეფე აიეტისათვის ზებუნებრივი ძალების მქონე არსებებს წარმოადგენდნენ<sup>68</sup>.  
მითოსში აღნიშნულ ფაქტს, ხარის კულტის შესახებ, გარკვეულად ადასტუ-  
რებს ძვ. წ. II—I ათასწლეულების ნამოსახლარზე მოპოვებული ბრინჯაოსაგან  
ჩამოსხმული და თიხისაგან გამოქვრილი ხარის ქანდაკებები. ამ სახის საინ-  
ტერესო მასალებია მოპოვებული ჩვენი ექსპედიციის მიერ ყვირილის ხეობაში,  
ე. წ. ჯიეთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სადაც ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით  
დათარიღებულ საკულტო ნაგებობის იატაკზე ბოჩქალთან და კერის ფრაგ-  
მენტებთან ერთად დაფიქსირდა თიხისაგან გამოქვრილი ხარის ქანდაკებები  
და ხარის თავის გამოსახულება, რომელიც საკურთხეველზე უნდა ყოფილიყო  
მიძვრილი. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს კოლხური ნახევარდრავშიანი მონე-  
ტა, რომლის ერთ მხარეზე ქალღვთაებაა, ხოლო მეორეზე მამაკაცური ბუნების  
ღვთაების ზომორფული სიმბოლო — ხარია გამოსახული.

ამ ქანდაკების გარდა კომპლექსი შეიცავს ხარის სიმბოლოებით შემკულ  
საგნებს. ერთი მათგანი წარმოადგენს ნახვრეტთან დისკოს, რომლის გარე რკალ-  
ზე გამოსახულია ზედმიწევნით აბსტრაგირებული ხარის თავი, შედარებით კარ-  
გად გასარჩევი ფრინველის ფიგურა და რკალზე მირჩილული შვერილი, რომ-  
ლის ბოლო დისკოსებურადაა დაბრტყელებული. სრულიად აშკარაა, რომ ამ  
წრიული ფომის სარიტუალო ნივთზე მნათობთა ემბლემებია წარმოდგენილი.  
ხარი, როგორც მთვარის სიმბოლო, ხოლო ფრინველი—მზისა, იგივე შინაარსის  
შემცველია საირხის ოქროს მედალიონზე მოცემული კომპოზიცია, იმ განსხვავ-  
ებით, რომ აქ მზისა და მთვარის ზომორფული ხატები — ფრინველები და  
ხარი—სინკრეტიზირებულია ხარის რქებს ზემოთ ამოტვიფრულ მზის ცხოველ-  
თან — ცხენთან (ყვიცთან?). უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს დისკოზე ამ კომპო-  
ზიციის გამოსახვა, ისე როგორც ხარის სიმბოლოსი მრგვალ მბრუნავ დისკოზე,  
მნათობების მოძრაობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სხვადასხვა დროის  
არქეოლოგიური მასალა გარკვეულად ადასტურებს პროფ. ვ. ბარდაველიძის  
მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წარმართული ღვთაებებისადმი მიძღვნილი რი-  
ტუალი მდგომარეობს წრიულ მოძრაობაში, მარცხნიდან მარჯვნივ. წრიული  
მოძრაობა კი საერთო ფორმაა ასტრალური ღმერთების მსახურებისა, რაც ცი-  
ურ მნათობების თავყვანისცემასთანაა გენეტიკურად დაკავშირებული.

საირხეში, № 8 სამარხში, ჩრდილოეთის კამერაში ცხენებთან ერთად აღ-  
მოჩნდა ძაღლის ორი ჩონჩხი. ამავე სამარხის ქვაყრილში დაფიქსირდა ირმის  
რქები. უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვნის ტერიტორიაზე, საკულტო მოედანზე  
და საკულტო ორმოშიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ირმის რქები. ეს მასა-  
ლები მიუთითებენ, რომ ძაღლისა და ირმის კულტსაც დიდი ადგილი ეჭირა სა-  
ირხელთა რელიგიაში და იგი ამ მხრივ მკვიდროდა დაკავშირებული მცხეთი-  
ჯვრის სამარხეულ არქეოლოგიურ ნივთებთან, კერძოდ ძაღლისა და ირმის გა-

მოსახლეებთან, რომლებიც ბრინჯაოს ჯაჭვზეა შებმული და მკერდზე ჩამოსაკიდებელ საგნებს წარმოადგენენ.

ირემს, როგორც ეს ახლა არქეოლოგიური მასალებით არის დადასტურებული, უხსოვარი დროიდან დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების რწმენა-წარმოდგენებში. ირემი, ზოგჯერ ჯიხვი, არჩვი და შველი ნადირთა მფარველი ღვთაების ზოომორფული სახეა და ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციასაც ასრულებს. კავკასიის მთიელთა მითოლოგიაში ამ ფაქტის ასახენელი საინტერესო ლეგენდებია შემონახული.

ნადირთმფარველი ღვთაება ულამაზეს ქალადაა წარმოდგენილი, რომელიც მონადირეს ირმის ან ჯიხვის სახით ევლინება, ტყეში შეიტიყუებს და მასთან სატრფიალო ურთიერთობას ამყარებს. ამ სიყვარულს მკაცრი ტაბუ აქვს დადებული, თუ მონადირე საიდუმლოს გასცემს, სევანური მითოსის ქალღვთაება დალი მას უსათუოდ დაღუპავს. ამ ეროტულ სიუჟეტში გამქდავენებულია ღვთაების ნაყოფიერების ფუნქცია. მსგავსი ლეგენდები, რომელსაც უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უდევს საფუძვლად, დამახასიათებელია მეგრული, ჩერქეზული, ადიღეური და საქართველოს მთიელთა ეპოსებისათვის. დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ირემს ძველი ცივილიზაციების რელიგიაში და მითოლოგიაში. შუამდინარეთის რელიგიაში ირემი იშტარის ერთ-ერთი ზოომორფული სახე იყო. იშტარი მრავალმხრივი ფუნქციის მატარებელი ღვთაებაა. სიკვარულის ქალღმერთი იყო და აღამიანთა, ნადირთა და ყვეილთა განაყოფიერებასაც განაგებდა.

ბერძნული ირემი არტემიდას სიმბოლოა. არტემიდა იმ ქალღმერთების ღვდაა, რომლებიც ცხოველებს, მცენარეებსა და მონადირეებს მფარველობენ. არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ ირემი სკვითურ რელიგიაშიც ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენს<sup>69</sup>.

ძალდი, ისე როგორც ირემი, სამონადირეო კულტთან დაკავშირებული ცხოველია. მისი გამოსახულება ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ჯერ კიდევ 1922 წელს ა. მილერმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა კავკასიაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებზე გამოხატულ ძალდის გამოსახულებას და ეს სიუჟეტები სამონადირეო იდეას დაუკავშირა<sup>70</sup>.

ძალდის კულტთან დაკავშირებული წარმოდგენები ტოტემისტური სამყაროდან მომდინარეობს. რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ქართული ასტრალური პანთეონის ღვთაებებს დამხმარეები ჰყავდათ. ძალდი ნადირღვთაების დამხმარე იყო<sup>71</sup>. ამ სიუჟეტს გარკვეულად ადასტურებს ჩვენ კომპლექსში არსებული ძალდის ქანდაკება, რომელიც ნადირთმფარველი ღვთაების ზოომორფულ ხატთან ერთად არის წარმოდგენილი და მამასადამე, შინაარსობრივად მასთან დაკავშირებული. აკად. ბ. კუფტინი აფხაზეთში აღმოჩენილ ძალდისა და ცხვრების გამოსახულებებს მეცხვარეობას, ე. ი. სამეურნეო კულტს უკავშირებდა, რომელიც დღესაც არის შემორჩენილი აფხაზეთ ეპოსში, სადაც ძალღვთაება აღშაკი დაკავშირებულია წვრილფეხა რქოსანი ცხოველების ქალღვთაება დადრანთან<sup>72</sup>.

ქართული და ინდოევროპული ენების მკვლევარი ვ. ივანოვი ტიპოლოგი-

ურ დამთხვევებს უძებნის კავკასიისა და ინდოევროპული ხალხების რელიგიური აზრებულ ძაღლისა და მგლის კულტს, რომელიც უმთავრესად დაკავშირებული იყო საომარ მოქმედებასთან და ომის ღმერთთან. ასეთი მოსაზრების დამადასტურებლად მას მოჰყავს საქართველოს მთიანეთში არსებული ადამიანისადმი შერქმეული მგლისა და ძაღლის სახელები და აგრეთვე ვახტანგ გორგასალის სახელი და მისი მგლის მუზარადი, როგორც ომის ღვთაების ზომორფული სიმბოლო<sup>73</sup>. რომელიც ომის ღმერთის მარსის რელიგიურ რიტუალში მგლისა და ძაღლის კულტი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ადრეულ ხანაში კი, როგორც ამას არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, ძაღლის კულტი, ისე როგორც ირმისა, უმთავრესად ნადირღვთაებისა და სამონადირეო რიტუალთანა დაკავშირებული, რაც ერთგვარად იმავე ომისა და ბრძოლის, გამოხატულებაა ადამიანისა და ნადირს შორის.

საირხულ მასალებთან მიმართებაში განსაკუთრებით საინტერესო საკულტო ნივთებს წარმოადგენს მამაკაცის ითიფალური ქანდაკება და ქალის გამოსახულება, რომლის წელს ქვემოთ, ნახვრეტის სახით კტეისია აღნიშნული. ეს ნდერობითი და მამრობითი სქესის ღვთაებები, რომლებიც ძვ. წ. I ათასწლეულს საკულტო ნივთების აუცილებელი ატრიბუტებია, შინაარსობრივად უკავშირდება საირხეში ტაძრის ნაშთებთან ერთად მოპოვებულ კტეისისა და ფალოსის გამოსახულებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ნივთების სახით განაყოფიერების აქთან გვაქვს საქმე. აქ ეს ორი ღვთაება სინკრეტიზირებულია. განაყოფიერების პროცესი შედარებით დახვეწილი სახით, სიმბოლურადაა გადმოცემული. ადრეული ხანის ძეგლებზე, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ წინასტაძრო ხანის არქეოლოგიურ მასალებში, ისე როგორც მთაში შემორჩენილ საწესო რიტუალში, ეს პროცესი პირველყოფილი სახითაა შემონახული. მაგალითად ყაზბეგის ერთ ნივთზე, გენერალ კომაროვის კოლექციიდან, მცირე ქანდაკებებისაგან შედგენილ კომპოზიციაში სქესობრივი აქტია გადმოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ რკალისებურად მოხრილი ნივთი, რომლებზედაც ქანდაკებებია აღმართული და საირხის მსგავსი ბრინჯაოს ზარი აქვს შეკიდული, ზოგიერთი მკვლევარის მიერ ყანწის<sup>74</sup>, ხოლო ზოგიერთისა ტახის ეშვის იმიტაციად იყო მიჩნეული<sup>75</sup>. ირკვევა, რომ ის და მისი მსგავსი საგნები რომლებიც დაწვრილებით აქვს განხილული ლ. წითლანაძეს<sup>76</sup>, ცხენის აღკაზმულობის ნაწილებია. განასახიერებს ეშვს და შინაარსობრივად ანალოგიურია საირხის № 5 სამარხის ოქროს ეშვებისა. ამრიგად, ყაზბეგის ნივთებზე გამოსახული განაყოფიერების აქტი უკავშირდება მზის ცხოველს, ცხენს და ამდენად მდედრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაებას. მამაკაცის ითიფალური ქანდაკებები კი მეტწილად ხართან ან ჯიხვთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ჩვენი კომპლექსის მამაკაცის ფიგურა, გარკვეულად ეხმიანება საირხის ფალიურ საგნებს და ყაზბეგის განძის შტანდარტებს, სადაც სართულზე აღმართულ ცხოველის რქებს სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი მამაკაცის ითიფალური ქანდაკებები აგვირგვინებს. ამგვარი ქანდაკებები მრავლად გვხვდება კოლხური კულ-

ტურის ძეგლებზე, რაც ქართული ტომების რწმენა-წარმოდგენების ერთიანობის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

მცხეთიჯვრის ნივთები, რომელიც საირხულ მასალას შეუფერეთ და მხატვრული თვალსაზრისით არის საინტერესო, უკლებლივ ყველა საკულტო დანიშნულებისაა. ასეთივე საკულტო დანიშნულებისაა კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს კოლხური ცული. ცული, რომელიც ფორმით საირხეში აღმოჩენილის ანალოგიურია. შემკული არ არის მხატვრული სახეებით, რასაც ხშირად ვხვდებით საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს კოლხურ ცულებზე. მაგრამ მისი მინიატურული ზომა სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ ცული სამეურნეო საქმიანობისათვის გამოუსადეგარია და საკულტო საგანს წარმოადგენს. მსგავსი ცულები, რომლებსაც ზოგჯერ ჩაქუჩისებური ყუა აქვთ და სატარე ნახვრეტის გასწვრივ ნაწიბურები დაუყვება, უმთავრესად კოლხური კულტურის ბოლო პერიოდისათვის არის დამახასიათებელი<sup>77</sup>. ამ ტიპის ცულებს მკვლევარები ძვ. წ. VIII—VI სს. ათარიღებენ. საბადურის სამაროვანის ტერიტორიაზე მოპოვებული ასეთი ცული საკულტო დანიშნულების ნივთად მივიჩნიეთ იმის გამო, რომ ამ ხანისათვის რკინის სამეურნეო იარაღებია გავრცელებული. მკვლევარების უმრავლესობა ბრინჯაოს ამ იარაღებს საკულტო დანიშნულების ნივთებად წარმოგვიდგენს<sup>78</sup>. მცხეთიჯვრის კომპლექსში შემავალი სამაჯურებიც გარკვეულად ეხმაურება საირხულ მასალებს. ამ სამაჯურების ბოლოები, ისე როგორც № 8 სამარხის ოქროს საყურეებისა, გველის თავებს გამოხატავენ და ქვესკნელის სინკრეტული ღვთაების ზომორფულ ხატს განასახიერებენ. ამ ღვთაების კულტს კი, როგორც ჩვენს მიერ საბადურის გორაზე გათხრილი ორმოს მასალები მოწმობენ, დიდი ადგილი ეკავა საირხულთა რელიგიაში.

კომპლექსში შემავალი, შესანიშნავად ნახელავი სარდიონის მძივებიც კი საკულტო დანიშნულების საგნებად შეიძლება მივიჩნიოთ. მათ უმრავლესობას სფერული ან ბიკონუსური და ნახევარმთვარისებური ფორმები აქვთ. მოთეთრო ნარინჯისფერი და მოყვითალო ფერის სარდიონის მძივებს პარალელები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიურ კომპლექსებში ეძებნება. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება ნოსირის სფერულ და ლორი-ბერდის ბიკონუსური ფორმის მძივებთან, რომლებსაც მკვლევარები ძვ. წ. VII—VI სს. ათარიღებენ. რაც შეეხება მათ საკულტო დანიშნულებას, ვფიქრობთ, ნახევარმთვარისებური მძივები ამ მნათობთან უნდა იყოს ასოცირებული. შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსში მძივებიც კი ასტრალური შინაარსის შემცველი ჩანს. ასეთივე ასტრალური შინაარსის მატარებელია ნახვრეტიანი ბრინჯაოს დისკო, რომელიც მზეს განასახიერებს. თიხისაგან გამოქერწილი ბორბლისებური დისკოები მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა დროის ძეგლებზე, წინარეანტიკური ხანის მასალებში. ასეთი დისკოები დადასტურებულია საირხის ფენებში და ჯიეთის ნაქალაქარის საკულტო ნაგებობებში, ხარის ქანდაკებებთან და თიხისაგან გამოქერწილ ბორჯღალთან ერთად. ბორბალი, რომელიც კვირისტავადაა წარმოდგენილი და საფუძვლად დაედო ეტლი<sup>79</sup>

ბოძრობის იდეას. უპირველეს ყოვლისა მზეა, როგორც ფრერი ხატოვნად ამბობს — ბორბალი ვახვრეტელი და ღერძზე წამოცმული მზის დისკოა. დისკო უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა მზესთან ასოცირებულ საკულტო დანიშნულების საგანს და ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც შემორჩა ბორჯღალის სახით, როგორც მბრუნავი მზის განსახიერება<sup>79</sup>.

მცხეთიჯვრის და საირხის მასალების ურთიერთშეჯერება ქართული წარმართული რელიგიის თვითმყოფადობასა და მისი განვითარების თანმიმდევრობას ადასტურებს. უფელესი ხანის საკულტო ნივთებთან და ეთნოგრაფიულ მასალებთან მიმართებაში ამ არქეოლოგიური ძეგლების განხილვა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადგენოთ ასტრალური კულტის შერწყმა-ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ხანგრძლივი მიმდინარე პროცესი იყო და რომლის ბაზაზეც აღრეანტიკურ ხანაში შეიქმნა სატაძრო ორგანიზაცია. საკუთრივ საირხეში რელიგიის უფელეს ტრადიციაზე, მის განვითარებაზე და იდეოლოგიურ ერთიანობაზე მეტყველებს წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარ ფენებში მოპოვებული საკულტო საგნები, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თიხისაგან გამოძერწილი ქალის გამოსახულებები, აღმოჩენილი ადგილ კოდისწყალზე (ტაბ. XLVIII<sub>1</sub>), საბადურის გორაზე (ტაბ. XLVIII<sub>2</sub>) და რკინის ქანდაკება აღმოჩენილი საბადურის ბორცვის დასავლეთ ფერდობზე (ტაბ. XLVIII<sub>3</sub>). თიხის ქანდაკებები, რომლებსაც საგანგებოდ ხაზგასმული მკერდი, განზე გაშლილი ან იდაყვი მოხრილი, ზეცისაკენ აპყრობილი ხელები აქვთ, საკურთხეველზე დასადგმელ კერპებს წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ისინი ფიქსირებულია მცირე ზომის სათავსოთა (საკურთხეველის?) ნანგრევებს შორის ზომორფულ ყურიან კერამიკის ნაშხვრევებთან ერთად, სადაც უმეტეს წილად ცეცხლის კვალიცაა დადასტურებული. ეს კი იმის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მივიჩინოთ, რომ სააღაპო შეწირულობას და ცეცხლს ნაყოფიერების ქალღვთაებისადმი მიძღვნილ რიტუალებში იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი, რაც საირხის აღრეანტიკური ხანის ნეკროპოლზე კარგადაა გამოხატული, საკულტო მოედნებსა და მცირე საკურთხეველების აღმართვით, სადაც ცეცხლის კვალი, ძვირფასი ნივთები და სხვა სააღაპო შეწირულობანია ფიქსირებული. კოლხური რელიგიის ერთიანობისა და მისი ხანგრძლივი ტრადიციების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ვანის ნაქალაქარზე ელნისტური ხანის ფენების ქვეშ აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების ნაგებობის ნაშთები<sup>80</sup> და მასთან ერთად ცხოველთა თიხის მრავალრიცხოვანი სტილიზებული გამოსახულებანი, რომლებიც ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდებიან. ფიქრობენ, რომ ეს გამოსახულებანი გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ ნაყოფიერების ქალღვთაების — იმავე ღმერთების დიდი დედისადმი მიძღვნილ საკულტო რიტუალში, რომელიც ამ ადგილზე სრულდებოდა ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში<sup>81</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქალღვთაებას უზენაესის ადგილი ეპყრო, როგორც საირხელთა, ასევე მთლიანად ქვეყნის რელიგიაში. როგორც ჩანს, აღრეანტიკურ ხანაში ამ ღვთა-



ებისადმი მიძღვნილი რელიგიური წესები საკმაოდ დაიხვეწა და ტაძრის აგებით დაგვირგვინდა.

საირხის მდიდრული სამარხები და ტაძრის ნაშთებთან ერთად მოპოვებული საკულტო საგნები, რომლებიც უკავშირდება ნაყოფიერების ღვთაებას, ერთიანი იდეოლოგიის გამომხატველია. ეს ფაქტიც თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ტაძარი ნეკროპოლის თანადროულია. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საირხეში აღმოჩენილი ტაძრის ფრაგმენტები წარმოადგენენ ორდერული არქიტექტურის ყველაზე ადრეულ ნიმუშებს, რომლებიც კი სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული.

## საირხის ნაქალაქარის სინჰრონული ძეგლები ყვირილის ხეობაში

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე დღევანდელი საჩხერისა და ჭიათურის რაიონების ტერიტორიაზე ათეულობით არქეოლოგიურ ძეგლს მიაკვლია. საირხის ნაქალაქარის გარდა სტაციონალური გათხრები წარმოებდა მოდინახესა და წინსოფლის ციხეების ტერიტორიაზე. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ ციხე-სიმაგრეთა ტერიტორია წინარეანტიკურ ხანაში სამოსახლოებად ყოფილა ათვისებული, კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ. მოსახლეობა განსაკუთრებით გაზრდილი და გაფართოებულია ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში. დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ანალოგიური ვითარებაა სვერის, ნიგოზეთისა და თოდაძის ციხეებზე. ამ სიმაგრეების ტერიტორიაზე ანაკრეფი მასალები და სადაზვერვო თხრილებში მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები, ვრცელ დასახლებაზე მიუთითებენ. ეს ძეგლები და იქ აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქების კუთვნილი მასალები, რომლებიც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემებს უკავშირდება, საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენენ. ამჟერად, ისინი საირხესთან მიმართებაში გვიანტერესებს, ამიტომ ნაქალაქარის სინქრონული მასალების ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლებით და ამით შევეცდებით წარმოდგენა შევიქმნათ ძვ. წ. I ათასწლეულში ყვირილის ხეობის დემოგრაფიულ სურათზე და მის კულტურულ-სამეურნეო განვითარებაზე.

მოდინახეს ციხე განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. იგი საირხის ჩრდილოეთით 3 კმ-ზე მდებარეობს. აღმართულია დიდი კავკასიონის სამხრეთით მდებარე რაჭა-იმერეთის ქედის უკანასკნელ განშტოებაზე. ცაში ამოზიდულ კირქვის მასივზე დაფუძნებული მისი კოშკებიდან მოჩანს ტყიანი მთაგორებით შემოფარგლული, ბალ-ვენახებით დამშვენებული ზემო იმერეთი. ციხის სამხრეთით, მდ. ყვირილის ნაპირისაკენ დამრეცად დაქანებული მისი ფერდობები, როგორც ეს არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, დასახლებული ყოფილა ადრებრინჯაოს ეპოქაში, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ<sup>1</sup>. მეორე ათასწლეულის დასაწყისისათვის აქ აღარ შეინიშნება მოსახლეობის კვალი, კოლხური კულტურის მატარებელ ტომებს, ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში ზელმეორედ ათვისებიათ სამოსახლოდ. მოდინახეზე ამ კულტურის ორი ფენა სტრატოციკრებული: მეორე — წინარეანტიკური და მესამე — ადრეანტიკური.

მეორე ფენა, რომლის სისქე ორ მეტრამდე აღწევდა, სტერილური შრით გამოიყოფოდა პირველი ადრებრინჯაოს ხანის ფენისაგან. ხასიათდებოდა ნაც-რისა და ნაჭშირის შრეებით. ალაგ-ალაგ დაფიქსირდა ბათქაშით შეღესილი ნა-

გეზობათა ნაშთები და ამ ნაგებობათა იატაკები, რომლებიც ჭრილში გამოიყოფოდა თიხატექანილების სახით<sup>2</sup>. ეს ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა ზომორფულ კერამიკას, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, იდენტურია საირხის ნაქალაქარის პირველი ფენის კერამიკისა. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ისრისპირები, ბრტყელი ყუნწითა და ძირს ჩამოშვებული ოდნავ შორკალული ფრთებით. მსგავსი ისრისპირები დამახასიათებელია წინარეანტიკური ხანის კოლხური ნამოსახლარებისათვის<sup>3</sup> და აღმოსავლეთ საქართველოს ადრეკინისა და გვიანბრინჯაოს ხანის კომპლექსებშიცაა დადასტურებული. მოდინახური ცალები რამდენადმე იდენტურია სამთავროს სამაროვანის ბრინჯაოს ისრის პირისა<sup>4</sup>. ამ ფენის თარიღის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა აქვს მასში ზომორფულ კერამიკასთან ერთად ფიქსირებულ ბრინჯაოს თავხვია საკინძებს, რომლებიც დიდი რაოდენობითაა დადასტურებული გვიანი ბრინჯაოს არქეოლოგიურ კომპლექსებში, საკინძეები მრავალ მეცნიერს აქვს განხილული თავიანთ ნაშრომებში. მცხეთის უძველეს სამარხებში მოპოვებულ თავხვია საკინძებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ნ. ოქროპირიძემ და ისინი გვიანბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა. არქ. პანჩარი მათ ძვ. წ. XIV—XII ს. ათარიღებს. სხვადასხვა დროს თავიანთ ნაშრომებში თავხვია საკინძეებს შეეხნენ ს. შაკალათია, გ. ნიორაძე, გ. ლომთათიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ე. კრუპნოვი და სხვ. მკვლევართა უმრავლესობა ამ სახის ნივთებს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებს. როგორც უკვე ითქვა რკინისაგან ნაკეთები თავხვია საკინძეები აღმოჩენილია საირხეში. ეს ფაქტი იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ტანსაცმელთან დაკავშირებული ამ ფორმის ქინძისთავები დროის დიდ მანძილზე იყო ხმაირებაში და როგორც ჩანს, ოდნავ სახეშეცვლილი რკინის ხანაშიც განავრცობდა არსებობას. მოდინახეზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ქინძისთავები მასიურია და არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც თითქოს საბაბს იძლევა, რომ ამ ფენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნამდე გადავწიოთ.

მოდინახეს ნამოსახლარის მესამე ფენა მოშაო-ნაცრისფერი იყო, მისი სისქე 110—150 სმ. ფარგლებში მერყეობდა. მეორე ფენისაგან განსხვავებით ბათქაშებით შეღესილი ნაგებობები ქვის წყობით ამოყვანილ ტერასაზე იყო განლაგებული. სათავსოთა იატაკები, რომლებიც ჭრილში 20—25 სმ. სისქის თიხატექანილებით გამოიყოფოდა, დიდი რაოდენობით შეიცავდა თუნის ნაწარმის ნაშთებს, ხელსაფქვავის ქვებს, ოსტეოლოგიურ მასალასა და ბრინჯაოს ნივთებს. ისე, როგორც საირხის ნაქალაქარის მეორე ფენაში აქაც ჩნდება კურკლის ისეთი ფორმები, როგორიცაა პირმოყრილი და პირგადმოშლილი ბრტყელძირიანი ჯამები, ბიკონუსურტანიანი ყურმილიანი დოქები, ცილინდრული ფორმის კოლხური სასმისები, ღარისებური ორნამენტით შემკული ფართოყელიანი დოქები, სამკუთხა განივკვეთის მქონე დერგის პირები და ნაირგვარი ფორმის დიდი ზომის ქვევრები. ამავე ფენაში დაფიქსირდა შავლაკიანი ატიკური და აღმოსავლური, წითლად მოხატული კერამიკის რამდენიმე

ფრაგმენტი. მეორე ფენის კერამიკასთან შედარებით, განსხვავება შეინიშნება ქურჭლის ორნამენტაციაშიც. დამახასიათებელია ჩაღრმავებული ხაზებით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტი, გვხვდება რელიეფური სახეები და წნევით გამოყვანილი პრიალა ზოლები, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი მეორე ფენის სამეთუნო ნაწარმისათვის და მიუხედავად ამისა, სრულიად აშკარაა, რომ იგი ამ უკანასკნელის გავრცელებას წარმოადგენს. ახალი ფორმების გაჩენა და ქურჭლის ნაირსახეობათა წარმოქმნა კი, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ქვეყანაში მომხდარ კულტურულ-ეკონომიურ ძვრებთანაა დაკავშირებული. ამრიგად მესამე ფენის კერამიკა ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა წეისაბამება ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს, ე. ი. შუა კოლხეთის პირველი ეტაპის სამეთუნო ნაწარმს<sup>5</sup>, რომელიც დამახასიათებელია რიონ-ყვირილის აუზისა და ნაწილობრივ შიდაქართლის ნამოსახლარებისა და სამარხეულ კომპლექსებისათვის<sup>6</sup>.

მოდინახეზე გაითხარა მესამე ფენის სინქრონული სამარხები. ისე, როგორც საირხეში, სამარხები აქაც წინარეანტიკური ხანის ფენაში იყო ჩაშვებული და ოვალური ფორმის ქვაყრილიან ორმოებს წარმოადგენდა. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მოკრუნჩხულ პოზაში, მარცხენა გვერდზე. ზოგიერთი მათგანი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ხოლო ზოგიერთი — აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოდინახეს მესამე ფენისათვის დამახასიათებელი სამეთუნო ნაწარმი, რამაც თავის დროზე ხელი შეუწყო წარმოდგენა შეგვექმნა ფენიდან მომდინარე ფრაგმენტული ქურჭლების მთლიან აღნაგობასა და მათი შემკულობის ხასიათზე. სამარხებში მოპოვებული თუნის ნაწარმი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები თითქმის იდენტურია საირხის ნაქალაქარის მეორე ფენიდან და მდიდრული სამარხებიდან მომდინარე კერამიკისა, რაც არ შეიძლება ითქვას საიუველირო ნაწარმზე. მოდინახეზე აღმოჩენილი ოქროს სადა რგოლები, მძივები და ოქროს სხივანა საყურეები მხატვრული თვალსაზრისით დიდად ჩამორჩება საირხული ოქრომჭედლობის ნიმუშებს<sup>7</sup>. მოდინახური სხივანა საყურეები, რომელთაც ანალოგები ეძებნება ვანის<sup>8</sup>, ფიჭვნარის<sup>9</sup>, რაჭის, ბებთაშენის<sup>10</sup>, იკოთის სამარხეულ კომპლექსებში და ყაზბეგისა და ქობულეთის განძებში შემავალ სხივანა საყურეებთან, რამდენადმე ავსებს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ოქრომჭედლობის ნიმუშებს, რადგან სამკაულის ეს ტიპი დღემდე აქ სხვაგან არსად ყოფილა მოპოვებული. მოდინახეს სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის საკისრე რგოლები ანალოგიურია საირხის № 8 სამარხისა. იგივე შეიძლება ითქვას თავჩახვეულ, მოხრილ რკინის ლურსმენებზე და კოლხურ მონეტაზე. ერთი სიტყვით, მოდინახეზე მოპოვებული ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარისა და სამარხეული კომპლექსების არქეოლოგიური მასალები, მცირე გამოჩაყლისის გარდა, იდენტურობას ამჟღავნებს საირხულ მასალასთან. იგივე შეიძლება ითქვას ელინისტური ხანის მატერიალურ კულტურაზე, რომელიც მოდინახეზე მხოლოდ სამარხეული კომპლექსების სახითაა წარმოდგენილი. აქ

ღნიშნული ხანის მხოლოდ ორი სამარხი გაითხარა. ისინი ჩაშვებული იყო ადრეანტიკური ხანის ფენაში, მიწის ზედაპირიდან 1,5 მეტრის სიღრმეზე. ოვალური ფორმის ორმოები დაფარული იყო ქვაყარისის სქელი ფენით. მიცვალებულები ესვენენ გრუნტზე მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში. ინვენტარი შედგებოდა ბრინჯაოს ღეროსაგან დამზადებული ზურგშენიჭილი სამაჯურებისაგან, მცირე ზომის ბრინჯაოს მშვილდსაყინძისაგან, ოქროს რგოლებისა და ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდისაგან, რომელსაც თან ახლდა ფრაგმენტულად შემორჩენილი რკინის სამაჯურები და მცირე ზომის კიპიანი ვერცხლის ფილა<sup>11</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა ამ კომპლექსის თანმხლები კერამიკა, რომელიც სრულიად განსხვავებულია ადრეანტიკური ხანის თიხის ჭურჭლისაგან, რაც გამოხატულია არქიტექტონიკაში და დამზადების ტექნიკაში. კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი სრულიად უცხოა ელინისტური ხანის სამეთუნო ნაწარმისათვის. მსხლისეპური ფორმის ან ფართოკორპუსიანი დოქები სადა ზედაპირიანია, ზოგიერთი მათგანი წითლადაა შეღებილი და ნაპრიალებია. სამეთუნო ნაწარმი და მასთან ერთად მოპოვებული სხვა მასალა ანალოგიურია სამადლოს<sup>12</sup>, უფლისციხის<sup>13</sup>, მცხეთის<sup>14</sup>, თეთრიწყაროსა და სხვა ელინისტური ხანის იმ არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალებსა, რომლებსაც მკვლევარები ძვ. წ. III—II სს. ათარიღებენ. მოდინახეზე მოპოვებული სამეთუნო ნაწარმი, განსაკუთრებით კი წითლად შეღებილი ფართოკორპუსიანი ხელაღები ანალოგიურია საირხის № 1 სამარხის ჭურჭლისა. ამ სამარხის თარიღის განსაზღვრა ელინისტური ხანით, კერძოდ კი ძვ. წ. III საუკუნის საწყისი პერიოდით, ძირითადად მოდინახეზე მოპოვებულ ჭურჭლებზეა დამყარებული. მსგავსი კერამიკა ფიქსირებულია საირხის ელინისტური ხანის ნამოსახლარ ფენაშიც. მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე არსებული სამოსახლო, იქ მოპოვებული მატერიალური კულტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ამ ხანაში სწყვეტს არსებობას. გვიანანტიკურ ხანაში ფერდობი სამაროვნად გამოუყენებიათ იმ დროის „საჩხერის ქვეყნის“ გამგებელ-აზნაურთ. მოდინახეზე აღნიშნული ხანის ათეულობით სამარხი გაითხარა, რომელშიაც რკინის, ბრინჯაოს იარაღ-საჭურველთან ერთად ტორეტიკისა და სიუველირო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები იქნა მოპოვებული. ეს მასალები ძვირფას საბუთს წარმოადგენს გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფოს კულტურისა და ისტორიის შესასწავლად<sup>15</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ციხე მოდინახეს სამხრეთი ფერდობი სამოსახლოდ ათვისებულია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. მოსახლეობა ისე, როგორც საირხეში, განსაკუთრებით გაზრდილი და გაფართოვებული ჩანს ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში. ქვის საძირკველზე დაფუძნებული, ბათქაშით შეღესილი ხის ნაგებობები ტერასებად მოწყობილ ეზოებშია განლაგებული. დასახლება, რომელიც დაახლოებით ოთხ ჰექტარს მოიცავს, შემოზღუდული ყოფილა მშრალად ნაშენი ქვის ფართო კედლებით. საკუთრივ ფეოდალური ხანის ციხის შიდა ტერიტორიაზე გაჭრილ სადაზვერეო თხრი-

ლებში აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის სამეთუნო ნაწარმისათვის დამახასიათებელი პირმოყრილი ჯამები და კოლხური სასმისების ფრაგმენტები, რომლებიც იქ კარგად გათლილ ქვის კვადრებთან ერთად ეყარა, 3 მ სიღრმეში. ეს მასალები მიუთითებს, რომ შთის თხემზე ამოზიდულ კირქვის მასივზე ანტიკურ ხანაში აღმართული იყო თლილი ქვით ნაშენი რაღაც ნაგებობა. სავარაუდოა, რომ ეს ქვები იმ საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთი იყოს, რომელიც ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში არსებობდა. თუ ეს ასეა, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მოდინახეს სამხრეთი ფერდობი. რომელიც სოციალური შინაარსით გორანამოსახლარს წარმოადგენს. ადრეანტიკურ ხანაში ციხე-ქალაქად გაფორმებულა<sup>16</sup>. ასეთი ვარაუდი დასაშვებია, მითუმეტეს, რომ ჩვენი უძველესი ისტორიის მკვლევართ, დიდი დაბური ტიპის დასახლებების და თვით დედაქალაქის წარმოქმნაც კი ნამოსახლარი გორების განვითარების შედეგად აქვთ წარმოდგენილი<sup>17</sup>. ჩანს, სამოსახლო გორები, რომლებსაც გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული და განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ადრეანტიკური ხანიდან ციხე-ქალაქებად ან ციხე-დაბებად ყალიბდებიან და ქვეყნის თავდაცვაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

**წინსოფლის ციხე.** მეორე ასეთი ტიპის ძეგლი, რომელიც ექსპედიციამ ყვირილის ხეობაში შეისწავლა წინსოფლის ციხეა. იგი მდებარეობს საირხის დასავლეთით 20 კმ. დაშორებით. სოფ. წინსოფელში, მდინარე ყვირილის მარცხენა ნაპირზე, შთის თხემზე ამოზიდულ კირქვის მასივზე დაფუძნებულ ციხეს გაბატონებული მდგომარეობა უკავია. აქედან შორ მანძილზე მოჩანს ყვირილის ხეობის კლდოვანი კალაპოტი და ზემო იმერეთის მთაგორიანი მიდამო. კარგ ამინდში აღმოსავლეთით მოჩანს ციხე მოდინახეს კოშკები და რაჭის მთების ჩრდილოეთით აღმართული დიდი კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები. ძეგლი მდებარეობს იმ უძველესი საქარავნო გზის გასწვრივ, რომელიც ყვირილის ხეობაში გადიოდა და ადრეანტიკური ხანიდანვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა. ეს გზა სადღესოდ საშენიერო ლიტერატურაში ტრანსკავკასიის გზის სახელწოდებითაა ცნობილი<sup>18</sup>.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ისე როგორც მოდინახეს, წინსოფლის ციხესაც მეტად მოხერხებული ადგილი ეჭირა, რაც ერთ-ერთი პირობა უნდა ყოფილიყო, თავისებური თავდაცვითი ნაგებობებისა და დასახლების წარმოსაქმნელად. ციხის სამხრეთი ფერდობი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჯიეთის ნაქალაქარს უწოდებს, მრავალფენიან არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს. აქ ოთხი კულტურული ფენაა სტრატეგიცურებული. განსხვავებით ციხის სამხრეთით მდებარე ფერდობისა, სადაც მხოლოდ წინარეანტიკური და ანტიკური ხანის ფენებია დადასტურებული. პირველი ქვედა ფენა ადრებრინჯაოს ხანის სამეთუნო ნაწარმით ხასიათდება: მეორე — შუაბრინჯაოს ხანის კერამიკითაა წარმოდგენილი; ხოლო მესამე და მეოთხე — წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურით. გათხრების დროს, რაც ადგილებში ფენის სიღრმემ 3 მ მიაღწია. მესამე

და მეოთხე ფენის გამიჯვნა, ძირითადად ნაგებობათა იატაკების დონეების საშუალებით მოხერხდა. თუმცა ზოგან მესამე და მეოთხე ფენების შორის მცირე სტერილური შრეებიც შეინიშნებოდა. მოდინახესაგან განსხვავებით წინსოფელში, ჭიეთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაიწმინდა შედარებით კარგად შემორჩენილი სათავსოთა ნაშთები<sup>19</sup>.

ერთ-ერთი ასეთი ნაგებობის იატაკზე გაიწმინდა ხის დანახშირებული ძელები, რამაც შესაძლებელი გახადა მისი გეგმის წაკითხვა. სწორკუთხა ნაგებობის იატაკი, რომლის ფართობი 20 კვ. მ. უდრიდა მოლესილი იყო 10 სმ. სისქის თიხის ფენით. ნაგებობის ცენტრში დაფიქსირდა ფენაში ჩაჭრილი ფოსო, რომელშიც ხის (დედაბოძის?) ნაშთი აღმოჩნდა. სათავსოს კედლების გასწვრივ დახვავებული ბათქაშები მიუთითებენ, რომ იგი შელესილი იყო თიხის სქელი ფენით. ჩრდილოეთ კედელთან გამოვლინდა ორნამენტით შემკული ბორჯღალის ფორმის მასიური არქიტექტურული დეტალი, იატაკზე აღმოჩნდა კერძის ბორდიური, თიხისაგან გამოძერწილი ქანდაკებები და ხარის თავის სქემატური გამოსახულება, რომელიც კეფით საკურთხეველზე უნდა ყოფილიყო მიძერწილი. განსაკუთრებით საინტერესოა ცხოველის (ხარის?) ქანდაკებები და თიხისაგან გამოძერწილი ურმის ბორბლის მოდელები. სათავსოს იატაკზე ფიქსირებული ეს ნივთები სრულიად აშკარად მიუთითებენ, რომ ნაგებობა საკულტოა. ჭიეთის ნამოსახლარზე მოპოვებული სამეთუნო ნაწარმი, მოდინახეს მეორე ფენიდან მომდინარე კერამიკისაგან განსხვავებით, შედარებით კარგად შეკონსერვდა და შესაძლებელი გახდა მის მთლიან ფორმაზე წარმოდგენის შექმნა. ეს ქურჭილი ძირითადად სათავსოების იატაკზე და ნანგრევების ბათქაშოვან ფენაშია ფიქსირებული. კერამიკული მასალის დიდ უმრავლესობას გეომეტრიული ორნამენტით შემკული ქილები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დერაგები შეადგენენ. კერამიკის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ზომიორფული ყურები. ამ ნიშნით და შემკულობის ხასიათითაც ჭიეთის მასალა ანალოგებს პოულობს დაბლაგომის<sup>20</sup>, ნასაყდრის<sup>21</sup>, ნოხვამოს<sup>22</sup>, ვანის და კოლხეთის სხვა ნამოსახლარებიდან მომდინარე იმ სამეთუნო ნაწარმთან, რომელიც შედარებით კარგადაა შესწავლილი და რომლებსაც მკვლევარები ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ. ჭიეთის კერამიკა იდენტურია მოდინახეს მეორე ფენის და საირხის ქვედა პირველი ფენის კერამიკისა<sup>23</sup>, რაც ქურქლების ერთნაირი თიხის სტრუქტურითაც კია დადასტურებული. საინტერესო პრობლემებს უკავშირდება და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კოლხური, ამ შემთხვევაში ჭიეთის კერამიკა ფორმებით და შემკულობის ხასიათითაც ახლოს დგას მცხეთიჯვრის<sup>24</sup>, ხოვლეგორისა<sup>25</sup> და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ იმ სამეთუნო ნაწარმთან, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ჭიეთში მოპოვებულ კერამიკასთან ერთად ფიქსირებული ნახშირისა და ხის ძელების ანალიზის საფუძველზე ამ ძეგლის თარიღი, თბილისის უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბო-

რატორიაში. ძვ. წ. 750 ± 50 წლითაა განსაზღვრული, რაც სავსებით შეესაბამება მასალის ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებულ თარიღს.

იმის გამო, რომ ჭიეთის ნაქალაქარის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე იზენებოდა და სვენახედაც გამოიყენებოდა, ადრეანტიკური ხანის მასალების შემცველი ფენა რამდენადმე განადგურებულია და საკმაოდ მწირია. სამაგიეროდ წინსოფლის ციხის სამხრეთ ფერდობზე აღნიშნული ხანის ფენები რიგ ადგილებში ხელუხლებლად იყო შემონახული და როგორც ეს მოდინახეს მესამე და სარხის მეორე ფენისათვის არის დამახასიათებელი, გაცილებით ფართო ასორტიმენტის ჭურჭელს შეიცავდა. ძელებით ნაგებ სათავსოთა იატაკზე დიდი რაოდენობით დაფიქსირდა პირმოყრილი, ბრტყელძირიანი ჯამები, კოლხური სასპისების, კოკობების, სამარილეების, დოქების, ღერგებისა და ქვევერების ფრაგმენტები. ამ ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე ბერძნული (ატიკური) შავლაკიანი დახურული ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი. მსგავს სამეთუნეო ნაწარმს დიდი რაოდენობით შეიცავს, როგორც კოლხეთის, ასევე საკუთრივ ზემო იმერეთის ძეგლებზე — მოდინახეზე, სარხეში და ითხვისში გამოვლენილი ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებული არქეოლოგიური კომპლექსები. კერამიკასთან ერთად აღებული ნახშირის ანალიზის საფუძველზე თბილისის უნივერსიტეტის ნახშირბადის ლაბორატორიაში ფენის თარიღი ძვ. წ. 450 ± 30 წლით განსაზღვრეს, რაც ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებულ თარიღს შეესაბამება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნულ ფენაში აღმოჩენილი ლითონის ნაწარმოო უბანი. აქ დაახლოებით 500 კვ. მ-ზე დიდი რაოდენობით გვხვდებოდა საბერველის საქშენი მილები, თიხის ტიველების ფრაგმენტები, რკინის წიდეები და მადნის ნარჩენები. რაც მთავარია, აქ აღმოჩნდა საკმაოდ კარგად შემონახული რკინის სადნობი ქურა. მისგან ასიოდ მეტრის დაცილებით, მწიხის ზედაპირიდან 80 სმ. სიღრმეზე გაიწმინდა გაურკვეველი დანიშნულების თიხის ღუმელი. წრიული ფორმის, 1,5 მ. რადუსის ღუმელს ერთი მეტრი სიმაღლისა და ოცი სანტიმეტრის სისქის თიხის კედლები ჰქონდა. იგი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა, ქვედა, რომელშიც ანთებდნენ ცეცხლს (ამაზე მეტყველებს ქურის ამ განყოფილებისათვის მიერთებული თიხის საქშენი მილები) და ზედა განყოფილება, რომელშიც შესაძლოა მადანს ყრიდნენ და გახურების შედეგად ფუჭ ქანს აცლიდნენ. ასეთ ვარაუდს, ერთგვარად მხარს უჭერს ღუმელის გარშემო აღმოჩენილი დიდი ზომის ქვის სანაყები, რომლებიც სალითონო საქმეში მადნის გასაფხვიერებლად გამოიყენებოდა. მელითონობასთან დაკავშირებული საგნები მოპოვებულია პირველ ფენაშიც, რაც ლითონის დნობისა და ქედვის ხელოვნების ძველ ტრადიციას გულისხმობს. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სასიმაგრო ნაგებობებში მოპოვებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მძლავრი საწარმოო ცენტრებიც ყოფილან. ჭიეთისა და წინსოფლის ციხის ნასახლარები, ერთი ძეგლის ორ უბანს წარმოადგენენ. ისინი, ისე როგორც მოდინახე, შემოხლულული ყოფილა მშრალად წყობილი ქვის ფარ-



თო კედლებით. ზღუდეების კვალი მიწის ქვეშ ჩვენს მიერ ფიქსირებულია ციხის სამხრეთ ფერდობზე, ხოლო ჩიეთის ტერიტორიაზე ალაგ-ალაგ დღესაცაა შემორჩენილი ორი მეტრის სიფართოვის გალავნის ნაშთები. გარედან ნაგებია მშრალად წყობილი კედლებით, მათ შორის არე კი ღორღითაა ამოვსებული. მშენებლობის ეს ხერხი უძველესია და სავარაუდოა, რომ იგი ადრეანტიკური ხანის დასახლების დროინდელი იყოს. ასეთ ვარაუდს რამდენადმე მხარს უჭერს ღორღში ფიქსირებული კერამიკის ფრაგმენტების თარიღი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის არქეომაგნიტურ ლაბორატორიაში ძვ. წ. 500—600 წლით განსაზღვრეს.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ ჩიეთის ნაქალაქარისა და წინსოფლის ციხის დასახლება, ისე როგორც მოდინახე, გვიანანტიკურ ხანაში (ახ. წ. II—IV სს). სამაროვნადაა გამოყენებული. სამაროვნებზე ექსპედიციის მიერ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა მოპოვებული.

**სვერის ციხე.** წინსოფლის ციხე საისტორიო წყაროებში არსადაა მოხსენიებული, მოდინახეს მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის თხზულებები იცნობენ. მათგან განსხვავებით სვერის ციხის შესახებ ცნობა XI საუკუნიდანაა შემორჩენილი: 1068 წელს თურქ-სელჩუკებმა არგვეთს მოადწიეს და დაარბიეს იგი „ვიღრე სუერის ციხემღ“<sup>26</sup>. მკვლევარები მას ადრეფეოდალურ ციხე-სიმაგრედ მიიჩნევენ და ამდენად, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობა წყაროებისა და სამშენებლო ფენების მიხედვითაც<sup>27</sup> უძველესი ჩანს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე.

სვერის ციხე საირხის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. (ძველ წყაროებში სუერი) მისგან 18 კილომეტრითაა დაშორებული. მდ. სვერის ხევის მარცხენა ნაპირზე, ოთხკუთხედი კირქვის მასივზე, რომელიც ცაში პოსტამენტივითაა აზიდული, შედარებით კარგადაა შემორჩენილი დღეობით ნაგები ციხის ნანგრევები. ისე, როგორც წინსოფლისა და მოდინახეს ციხეებს, სვერის ციხესაც ირგვლივ მდებარე გარემოზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია. იგი მდებარეობდა ქვეყნის შიდა გზაზე, რომელიც ფეოდალურ ხანაში შორაპან-წიფლაავის და გეზრულ-სვერის გავლით საჩხერე-საირხისკენ მიემართებოდა<sup>28</sup>.

ციხის ტერიტორიაზე ექსპედიციის სტაციონალური გათხრები არ უწარმოებია, მხოლოდ საღაზვერკო თხრილები იქნა გაკერილი. აქ მოპოვებული მასალის მიხედვით, წინასწარულად შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ციხის სამხრეთით მდებარე ტერიტორია სამოსახლოდ აუთვისებიათ კოლხური კულტურის მატარებელ ტომებს. ამ ფაქტს ექვმიუტანლად ადასტურებს სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები, რომლისთვისაც დამახასიათებელია გეომეტრიული ორნამენტი და ზომორფული ყურები. სვერის ეს კერამიკა იდენტურია წინსოფლისა და მოდინახეს მეორე და საირხის ნამოსახლარის პირველი ფენის სამეთუნეო ნაწარმისა. ბიკონუსური ქურჭლის ფრაგმენტები, ყურმოლიანი ხელაღები და ბრტყელძირიანი პირმოყრილი ჯამები კი აქ ადრეან-

ტიკური ხანის ნამოსახლარი ფენების არსებობაზე მიუთითებს. ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე გზის გაყვანის დროს დაუნგრევით სამარხი. ჩვენამდე მხოლოდ კერამიკამ მოაღწია. მოყვითალო ფერის, მსხლისებური ფორმის დოქის ფრაგმენტები სრულიად ემთხვევა მოდინახეს და წინსოფლის ციხის გვიანანტიკური ხანის სამარხების კერამიკას, მაშასადამე სვერიც გვიანანტიკურ ხანაში სამაროვნადაა გამოყენებული, რაც დამამტიციებელი საბუთია იმისა, რომ ამ ციხეების გარშემო ერთნაირი პროცესი მიმდინარეობდა, რომელიც ცხოვრების წესის შეცვლასთან, ახალი ტიპის დასახლების გაჩენასთან და ამდენად სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული.

**ნიგოზეთის ციხე.** ნიგოზეთის ციხე მდებარეობს საიარხის ჩრდილოეთით 20—22 კმ. დაშორებულ სოფ. ნიგოზეთში. მდ. საძალიხევის მარჯვენა ნაპირზე, 50 მ. სიმაღლეზე აღმართულ ფრიალო კლდის თავზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელიც ორი მხრიდან უფსკრულს გადაჰყურებს. აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოზღუდული ყოფილა დუღაბით ნაშენი სქელი კედლებით. მათი ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი და ადგილობრივი მოსახლეობა გალავანს უწოდებს. ციხის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დამხრობილ ტერასებზე ექსპედიციამ მხოლოდ ზედაპირული ხასიათის დაზვერვები აწარმოვა. ანაკრეფი მასალის მიხედვით უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლის ზედა ფეხა ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის წმინდაა. აქედან გამოირჩევა მოდინახეს მესამე და საიარხის მეორე ფენისათვის დამახასიათებელი რომბისებური ბადით დაფარული დერგის პირგვერდის ნატეხები, პირმოყრილი ბრტყელძირიანი ჯამებისა და კოლხური სასმისების ფრაგმენტები. ნიგოზეთის ციხის დასახლება აღნიშნულ ხანაში ლითონის საწარმოო კერა ჩანს, რაზედაც საყანე ადგილის გაწმენდის შემდეგ დახვეკვებულ ქვის გროვებში ამოკრეფილი ტიგელის ფრაგმენტები, ქვის დიდი სანაყი, რკინის ნაღვენთები და თიხის საქშენი მილის ნარჩენები მიუთითებს.

წინარეანტიკური ხანის ფენების არსებობას კი რკინის ცულჩაქუჩები და განსაკუთრებით ბრინჯაოს კოლხური ცულის ფრაგმენტი ადასტურებს. ნივთები იკლავის ტერიტორიაზე უპოვნია ალექო ლაბაძეს და ისინი ამჟამად საქ. ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში ინახება. ბრინჯაოს ცული ნაკლულია. მას პირი მოტეხილი აქვს, მხოლოდ ყუთისა და სატარე ზვრელის ნაწილია შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, მასში ამოცნობა კოლხური ცულის კარგად ცნობილი ტიპი, სოლისებური ყუთით და ნახევრად ოვალური მომრგვალებული პირით, კოლხური ცულების თავისებურ სიმბოლოსაც რომ უწოდებენ<sup>29</sup>. იარაღის ტიპი დასავლეთ საქართველოს გარდა დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული, შიდა ქართლის, დასავლეთ პროვინციებიდან ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიამდე<sup>30</sup>. მხატვრულად გრავირებული ძვ. წ. IX—VII სს. დათარიღებული ამ ფორმის ცულები უკანასკნელად აღმოჩნდა აფხაზეთში, ახალი ათონის მახლობლად მდებარე სოფ. ანუხვაში<sup>31</sup>. სოლისებურ ყუთიან ცულებს დ. ქო-

რიძე მესამე სახეობაში აერთიანებს და ზოგადად ძვ. წ. IX—VIII სს. ათარი-  
ლებს<sup>32</sup>. ადრეანტიკურ ხანას უნდა მიეკუთვნოს ნიგოზეთის ციხის ტერი-  
ტორიაზე მოპოვებული რკინის ცულჩაქუჩი. ამ ნივთების აქ აღმოჩენა იმაზე  
უნდა მეტყველებდეს, რომ ნიგოზეთის ციხეც, ისე როგორც სვერის, წინ-  
სოფლის და მოდინახეს ტერიტორია საცხოვრისად ჩანს ათვისებული ძვ. წ. I  
ათასწლეულის პირველ ნახევარში.

თოდაძის ციხე. თოდაძის ციხე მდებარეობს საირხის ჩრდილო-აღმოსავლე-  
თით, ოთხიოდე კილომეტრზე, მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე. ცაში ამოზი-  
ღულ კირქვის მასივზე შემორჩენილია დღეობით ნაშენი კოშკისა და კედლების  
ნანგრევები. ციხის სამხრეთ ფერდობზე სადაზვერგო თხრილებში მრავლად  
მოპოვებული საირხის პირველი, მეორე და მოდინახეს მეორე და მესამე ფენე-  
ბისათვის დამახასიათებელი სამეთუნეო ნაწარმი. თოდაძის ციხის ტერიტორია  
სამაროვნად ყოფილა გამოყენებული, ამის შესახებ ჯერ კიდევ 1875 წელს მო-  
უთხრობდა გაზეთ „დროების“ მკითხველს სხვიტარელის ფსევდონიმით ხელმო-  
წერილი კორესპონდენცია, რომელიც დიდი მეოსნის ა. წერეთლის ძმას დავით  
წერეთელს ეკუთვნოდა. იგი აღწერს ვინმე ზამბახიძის მიერ თოდაძის ციხის ფერ-  
დობზე სახლის საძირკვლის ამოთხრისას ნაპოვნ ოქროს ნივთებს, რომელიც  
გლუხს საკმაოდ „დიდ თანხად გაუყიდა სომხებში და ურიებში“. სამარხში აღ-  
მოჩენილ ნივთებს შორის ასახელებს წინწილებს, რომლის მსგავს საკრავებს  
აქლა „როტის ორკესტრებში ტარელკებს ეძახიან“-ო. სხვადასხვა ზომის ბრინ-  
ჯაოს ასეთი წინწილები, ოქროს ნივთებთან ერთად ჩვენს მიერ აღმოჩენილია  
ახ. წ. IV ს.-ით დათარიღებულ მოდინახეს მდიდრულ სამარხებში, რაც უფლუ-  
ბას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 120 წლის წინათ თოდაძის ციხეზე აღმოჩენილი  
მასალა გვიანანტიკური ხანისა იყო. მაშასადამე ამ ციხის ტერიტორია  
აღნიშნულ ეპოქაში სამაროვნად გამოუყენებიათ.

ზოგადად დავახასიათეთ, მხარეებისა და მანძილების ჩვენებით წარმოვად-  
გინეთ საირხის გარშემო, ორმოცი კილომეტრის რადიუსში განლაგებული ფე-  
ოდალური ხანის ციხეები. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაადგინა, რომ წი-  
ნაფეოდალურ ხანაში ციხეების გარშემო წარმოქმნილია განსახლების ერთნაი-  
რი ტიპი, გამაგრებული ქვის ზღუდეებით, რომელთა შიდა ციხე, ციტადელი,  
ისე როგორც დღევანდელი ციხის ნანგრევები, დაფუძნებული იყო ცაში ამო-  
ზიღულ შეუვალ კლდეებზე. ამ დასახლებებს, რომლებიც მძლავრი საწარმოო  
კერებიც ჩანან, ქვეყნის თავდაცვაში მთავარი როლი უნდა შეესრულებინათ.  
ადრეულ ნაშრომში მოდინახეს მაგალითზე მათ ციხე-ქალაქები ვუწოდებ<sup>33</sup>,  
მაგრამ ეს ტერმინი ახლანდელი ვითარების შესაბამისად რამდენადმე დასაზუს-  
ტებელი შეიქმნა. საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ ამ ციხეების გარშემო უძველესი  
დასახლებების მიკვლევა, რამდენადმე ემყარებოდა ბერძენი მწერლის ქსენო-  
ფონტის თხზულებას „ანაბასისს“, რომელშიც აღწერილია სამხრეთ საქართვე-  
ლოს დასახლების რამდენიმე ტიპი. ქსენოფონტი, რომელიც ძვ. წ. V ს. დამ-  
ლევს სარდლობდა ბერძენ მოქარავენთა არმიას და ბრძოლით მიიკვლევდა გზას

სპარსეთიდან შავი ზღვისპირეთისაკენ, იძულებული იყო სტრატეგიულად შეესწავლა დასახლებები, რომელთა ალება მას ბრძოლით უხდებოდა. ამდენად მისი აღწერლობა შედარებით ზუსტია და ბევრ შემთხვევაში „ანაბასისში“ გადმოცემული სურათი კარგად ემთხვევა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულს. მაგალითად ქსენოფონტი კოლხების მოსახლურ ქვეყანაში არსებულ დრღების ქალაქს აღწერს და ამბობს, რომ: ერთი სიმაგრე ამითი დედაქალაქი იყო და იქ მოიყარეს თავი. რომელსაც გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა. სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო, რადგან განიერი მიწაყრილი ჰქონდა შემოვლებული, რაზედაც მესერი და მრგვალი ხის კოშკი იყო აღმართული... შიკრიკმა ქსენოფონტს მოახსენა, რომ სიმაგრე საესეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი ალება შეუძლებელია და უკან დაბრუნება კი სათუოო. ბერძენმა მოქარავენებმა უკან დაბრუნებას შეტევა ამჯობინეს და აიღეს კიდევ ქალაქის გამაგრებული ნაწილი, მაგრამ „მცირე ხნის შემდეგ შიგნით ყვირილი ატყდა, მეორეები გამოიქცნენ, ზოგიერთ მათგანს ნაძარკვი მოჰქონდა და მალე გამოჩინდნენ დაქრილებიც. კარებთან კედვა შეიქმნა, ლტოვილები შეკითხვაზე პასუხობდნენ, რომ ქალაქის შიგნით მთის მწვერვალზე არის სიმაგრე, სადაც ჩასაფრებული ყოფილა მრავალრიცხოვანი მტერი, რომლებიც გამოვარდნენ და დაუწყეს რბევა ქალაქში შემოსულ მეომრებს“<sup>34</sup>. ქსენოფონტის აღწერილობით მთის ფერდზე შეფენილი ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: თხრილით, მესერითა და კოშკებით გამაგრებული საცხოვრისისაგან და მის შიგნით მთის მწვერვალზე აღმართული ციტადელისაგან. ამ აღწერილობის მიხედვით დასახლების ტიპი ანალოგიურია ჩვენს მიერ შესწავლილი ციხეებისა, მაგრამ ვინაიდან ქსენოფონტი მას ქალაქს უწოდებს, შედარებით მცირე მოცულობის დასახლებების ქალაქთან გაიგივება რამდენადმე მართებული არ ჩანს. ქსენოფონტეს აღწერილი აქვს დასახლების მეორე ტიპი ტაოხებისა და ხალიბების საცხოვრისები, რომლებიც მთის მწვერვალზე აგებულ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ „უშამაეცისი ხალიბები ცხოვრობდნენ ამ სიმაგრეებში, ელინებმა იქიდან ვერაფერი წაიღეს“<sup>35</sup>, — წერს ქსენოფონტი და ხალიბების ამ საცხოვრისებს პოლისმებს უწოდებს. პროფ. თ. მიქელაძეს მიაჩნია, რომ რამდენადაც სოფლის აღსანიშნავად ქსენოფონტი ხსნავ ტერმინს ხმარობს, პოლისმა ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო და ამ უკანასკნელს დაბად თარგმნის<sup>36</sup>. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ფეოდალური ხანის ციხეებთან არსებული ადრეანტიკური ხანის სამოსახლოები, გამაგრებული ქვის კედლებით და შეუვალ კლდეზე აღმართული ციტადელებით, ბერძნული პოლისმების შესატყვისი საცხოვრისებია და უფრო მართებული იქნებოდა მათთვის ციხე-ქალაქების ნაცვლად ციხე-დაბეები გვეწოდებინა.

ამ ტიპის ძეგლების გარდა ექსპედიციამ ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის ათეულობით ნამოსახლარს მიაკვლია, მაგრამ ისინი ჯერჯერობით გათხრილი არ არის და ბუნებრივია მათ შესახებ მსჯელობა და გარკვეულად რამის თქმა კირს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ითხვისი, რო-

მელსაც 60-იან წლებში სწავლობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მე-  
ზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია. ითხვისი საირხის სამხრეთ-დასავლეთით  
მდებარეობს, 8 კმ. დაშორებით. ამ სოფელში ადგილ ჩილათაზე რ. აბრამიშვი-  
ლის ხელმძღვანელობით ექსპედიციამ გათხარა ძვ. წ. I ათასწლეულის ნამოსახ-  
ლარი და ადრეანტიკური ხანის სამარხები<sup>37</sup>, სადაც იმ დროისათვის უნიკალუ-  
რი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალები აღმოჩნდა<sup>38</sup>. ამჟერად მხო-  
ლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ითხვისში გამოვლენილი მდიდრული სამარხები, ისე  
როგორც საირხის აკლდამები, ერთნაირი წესითაა ნაგები. დიდი ზომის რკინის  
ლურსმნებით გამაგრებული ძელური ნაგებობა ქვის კედლებით ყოფილა შემო-  
ზღუდული. კამერა აქაც ორად იყოფოდა, ერთ მათგანში ცხენი, ხოლო მეორე-  
ში მდიდრულად გაპატონებული ცხედარი ესვენა. ხაზი უნდა გაესვას იმ გა-  
რემოებას, რომ ითხვისის სამარხი საირხის აკლდამებთან შედარებით მცირე  
მოცულობის ნაგებობას წარმოადგენს. ინვენტარიც ნაკლებად მდიდრულია და  
მიუხედავად ამისა პირველი სამარხის მაგალითზე დაბეჭითებით შეიძლება ით-  
ქვას, რომ მისი მფლობელი საირხელ დიდებულებთან შედარებით სოციალუ-  
რად დაბალ საფეხურზე მდგომი პირია, მაგრამ ისიც აღნიშნული ქვეყნის და-  
წინაურებული მმართველი მოხელეა, რასაც ზედმიწევნით ადასტურებს სამარხ-  
ში მოპოვებული ვერცხლის დიდებმა, ვერცხლის სასმისი, ვერცხლის ფიალა,  
სარიტუალო დანიშნულების ცული და ბრინჯაოს ისრები, ატიკური მოხატული  
კილიკი და ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული შავლაკიანი  
ჯამი. ამ ქურქლის მხარზე ამოკაწრული, ბერძნული ასოებისაგან შედგენილი  
გრიფიტო გვამცნობს სამარხში დაკრძალული პირის ვინაობას, რომელსაც  
რქმევიანა მეტოს<sup>39</sup>. ჩილათას ბორცვის მიმდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი  
არქეოლოგების მოსვლამდე უკვე განადგურებული იყო. მარჯანეცის ღია კარი-  
ერის სამუშაოთა წარმოების გამო დასახლების ფართობი დადგენა ვერ მო-  
ხერხდა. შემორჩენილის მიხედვით კი ჩანდა, რომ იგი მოიცავდა ჩილათის ბორ-  
ცესა და მის გარშემო არსებულ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. ამ დასახლე-  
ბასაც უნდა ჰქონოდა ქვის ზღუდით გამაგრებული ნაწილი<sup>40</sup>, მაგრამ არსებითად  
იგი ციხე-დაბებისაგან განსხვავებულ საცხოვრისის ტიპს წარმოადგენდა, რო-  
მელსაც სტრატეგიული თვალსაზრისით ნაკლებად მოხერხებული ადგილი ეჭი-  
რა. ირგვლივ განლაგებული შედარებით ვრცელი დასახლება საკმაოდ უხვმო-  
სავლიანი სასოფლო სავარგულებით მეტალურგიის მძლავრი კერაც ჩანს. სოფ-  
ლის მეურნეობის გარდა მის მცხოვრებთა საქმიანობას, როგორც ამის შესახებ  
ნამოსახლარ ფენებში მოპოვებული ცულის ყალიბები, ტიგელები და წარ-  
მოების სხვა ნარჩენები მოწმობენ, ლითონის ქედვა-გამოდნობა შეად-  
გენდა.

მოდინახესა და ითხვისის ადრეანტიკური ხანის სამარხი ნაგებობისა და  
მათში მოპოვებული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ითხვისის მესვე-  
ურები, ქონებრივად და მამსასადამე სოციალურად, გაცილებით მაღალ საფე-  
ხურზე დგანან. ეს ფაქტი მეტყველებს, რომ ისინი შედარებით მრავალრიცხო-

ვანი და ძლიერი საწარმოო ცენტრის ხელისუფალნი ყოფილან. შესაძლებელია დაბური ტიპის ეს საცხოვრისი შეესიტყვებოდეს ქსენოფონტეს „ანაბასის“ ზორიონს, რომელიც ქალაქური ტიპის დასახლებაა და სასიმაგრო ნაგებობებიც გააჩნია, მაგრამ განსხვავებულია პოლისმისაგან. პოლისმას პროფ. თ. მიქელაძე, სრულიად სამართლიანად უწოდებს ნახევრად სამხედრო დასახლებას<sup>41</sup>. ჩვენს მიერ შესწავლილი რევიონის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, მის მთავარ ფუნქციას ქვეყნის დაცვა წარმოადგენდა.

ითხვისის მსგავსი ვრცელი დასახლება ჩანს გორაძირიც, რომელიც მდებარეობს საირხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 20 კმ. დაშორებით, სოფ. კორბოულსა და გორაძირს შორის. თბილისისაკენ მომავალ გზის მარცხენა მხარეს აღმართულია ორი გორა, აქ დ. თუშბარამიშვილის ხელმძღვანელობით, მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ყვირილის აუზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. გამოხრელებმა ე. გოვაძემ და ც. დავლიანიძემ გორაძირის ძეგლები ორ ძირითად, ჭკუფად გაჰყვეს: ორმოსამარხებად და ყორღანული ტიპის სამარხებად. ამ ძეგლებიდან მომდინარე კომპლექსების მთავარი დამახასიათებელი მასალა კოლხური ტიპის ზომორფულუყურებიანი კერამიკა<sup>42</sup>, რომელიც იდენტურია მოდინახეს, წინსოფლის, ითხვისის, საირხისა და სვერის წინარეანტიკური ხანის კერამიკისა და ნათლად დასტურდება, რომ ის, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები. სამოსახლოდ ათვისებულია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. ნამოსახლარს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს, იგი ვრცელდება მთავარი გორის სამხრეთით აღმართულ მცირე გორის ფერდობზეც. აქ ჭერ კიდევ 1969 წელს დენსადენის ანძისთვის ამოთხრილ ორმოში, ჩვენს მიერ შემჩნეული იყო საკმაოდ სქელი და ინტენსიური კულტურული ფენა. ნახშიროვან-ნაცროვანი ფენა, რომელიც შეიცავდა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ ადგილობრივი სამეთუნო ნაწარმის ნაშთებს და ბერძნული ატიკური სახელოსნოების შავლაკიანი კერამიკის მცირე ფრაგმენტებს<sup>43</sup>. ანაკრეფი მასალების თანმხლები რკინის ნალვენები და შემთხვევით აღმოჩენილი მძიმე წონის ბრინჯაოს ზოდები<sup>44</sup> იმაზე მეტყველებენ, რომ გორაძირის მოსახლეობის საქმიანობაში გარკვეული ადგილი ეჭირა შავი და ფერადი ლითონის წარმოებას.

ზემოთ წარმოდგენილი დასახლებების გარდა, ჩვენ მიერ საჩხერისა და ჭიათურის რაიონების ტერიტორიაზე მიკვლეულია და ზემო იმერეთის არქეოლოგიურ რუკაზეა დატანილი ძვ. წ. I ათასწლეულის შემდეგი არქეოლოგიური ძეგლები: 1. რგანი — ნამოსახლარი მდებარეობს საირხის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 25 კმ. დაცილებულ სოფ. ქვედა რგანში, ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. ტერასად გამოყოფილ გავაყებულ ადგილზე, რომელიც დაახლოებით ნახევარ ჰექტარს მოიცავს, აიკრიფა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი სამეთუნო ნაწარმის ფრაგმენტები, ხოლო დენსადენის ანძის ორმოში დაფიქსირდა 1 მ სისქის კულტურული ფენა, რო-

ველიც თიხის ჭურჭლის ზომომორფულ ყურებს და არქაული ფორმის ორნამენტით შემკულ დერგის პირკედლის ნატეხებს შეიცავდა.

2. კაცხი — ნამოსახლარი მდებარეობს საირხის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 30 კმ. დაშორებულ სოფ. კაცხში. კაცხის სვეტის სამხრეთით, კლდის გასწვრივ, ტერასად გამოყოფილ ვაკეზე, რომელიც ალაგ-ალაგ შემოზღუდულია მშრალად წყობილი ქვის კედლებით, აიკრფა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები. ამავე ადგილზე გზის გაყვანის დროს დაუნგრევიათ სამარხი, რომელიც გადმოცემის მიხედვით ოქროს სამაჯურებს შეიცავდა. სამუშაოს მწარმოებლებმა კატეგორიულად უარყვეს ოქროს აღმოჩენის ფაქტი, სამწუხაროდ ჩვენ ვერც იმ რკინის ნივთებს და თიხის ჭურჭლების კვალს მივაკვლიეთ, რომლებიც მიწის მოთხრის დროს ადამიანის ძვლებთან ერთად მათ კაცხის ნამოსახლარზე უპოვნიათ.

3. ღურღუმელა — ნამოსახლარი მდებარეობს საირხის სამხრეთ-დასავლეთით 25 კმ. დაშორებულ ღურღუმელას წყალსაცავის ჩრდილოეთით მდებარე ფერდობზე. მშრალად წყობილი ქვის კედლებით შემოზღუდულ ტერიტორიაზე, რომელიც ორ სექტორადაა გამოყოფილი, ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები იკრებება. ჩამონგრეული კედლების ქრილში შეინიშნება კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავენ ღურღუმელადან ხუთიოდე კილომეტრით დაცილებულ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ძეგლის, წინსოფლის ნამოსახლარის კერამიკის სინქრონულ მასალებს. აქ შემთხვევით იპოვნეს და ამჟამად ჰიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება სამარხებიდან მომდინარე ზომომორფული ყურებიანი ქილები, დერგი და ღოჭი, რომლებიც იდენტურია ჯიეთის ნამოსახლარის მესამე ფენის სამეთუნეო ნაწარმისა.

4. უდერძის ნამოსახლარი მდებარეობს საირხის დასავლეთით. 3 კმ-ზე ნამოსახლარის თავზე, რომელსაც შემადლებული ბორცვის ფორმა აქვს, დგას უდერძის ეკლესია. ბორცვის ჩამონგრეულ ფერდობზე აკრეფილია და სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმშია დაცული საირხის ნამოსახლარი ფენებისათვის დამახასიათებელი სამეთუნეო ნაწარმი.

5. ქორეთის ნამოსახლარი მდებარეობს საირხის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 2 კილომეტრით დაშორებულ ჰიკინაძეების გორაზე. აქ გაქრილ სადაზვერვო თხრილში დაფიქსირდა ინტენსიური კულტურული ფენა, რომელიც ადრეანტიკური ხანის მატერიალური კულტურის ნაშთებს, საირხის ანალოგიურ რკინის ლურსმნებს, ხელსაფქვავის ქვებს და კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა.

6. ჩიხის ნამოსახლარი მდებარეობს საირხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 7 კმ. დაცილებულ სოფ. ჩიხაში. სოფლის ეკლესიის სამხრეთით, ადგილგობინარში გაქრილ სადაზვერვო თხრილში ადრეანტიკური ნამოსახლარი ფენის გარდა გამოიყო ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის შემცველი ფენა, რომელიც ხასიათდება წითლად მოხატული ნაპრიალები და წითლად შეღე-

ბილი კერამიკის ფრაგმენტებით. მსგავსი მასალა ჩვენს მიერ დაზვერილ ძეგლებზე არ შეგვხვედრია, რაც თითქოს იმას უნდა უსვამდეს ხაზს, რომ აღნიშნული ძეგლები ელინისტური ხანაში აღარ წარმოადგენდნენ დასახლებულ პუნქტებს. ჩიხისა და განსაკუთრებით კი საირხის ნამოსახლარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ეს მოვლენა სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას. ჩვენს მიერ მიკვლეული ნამოსახლარები საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა საყანე და სავენანხე სავარგულებად და იქ ელინისტური ხანის ფენები, მიწის მრავალჯერადი დამუშავების შედეგად ჩანს განადგურებული. ეს ფაქტი გარკვეულადაა დადასტურებული საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. აქ ელინისტური ხანის ნამოსახლარი ფენები მხოლოდ გორების ციცაბო ფერდობებზე, იმ ადგილებშია შემორჩენილი, რომლებიც არ მუშავდებოდა. გორებს შორის გაშლილ ვაკეებზე, სადაც სიმინდის ყანები და ბალ-ვენახებია გაშენებული, ელინისტური ხანის ფენები მთლიანადაა განადგურებული. აქ თითქმის აღარ შეინიშნება აღნიშნული ხანის ნაგებობათა კვალი, ნამოსახლარების არსებობას დაქუცმაცებული ადრეანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმისაგან განსხვავებული, ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ფერადი კერამიკის ფრაგმენტები ამჟღავნებენ მხოლოდ.

ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლების გარდა, ორ ათეულს აქარბებს ყვირილის ზემო დინებაზე განლაგებული იმ არქეოლოგიური პუნქტების სია, სადაც აღმოჩენილია ელინისტური, ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური განძები, სამარხები და საკულტო დანიშნულების ნივთები.

ისიც უნდა ითქვას, რომ მხარის ტოპონიმია სოფნას ინახავს იმ უძველესი მელითონე ტომების შესახებ, რომლებიც არაერთხელაა ნახსენები ბერძნულ წყაროებში. აქ არის სოფელი ხალიბაური, რაც ხალიბების სატომო სახელიდან მომდინარეობს. ნიშანდობლივია, რომ ხალიბაურის მოსაზღვრე სოფლების ბუნიკაურისა და ზოდის სახელებიც მელითონეობასთან დაკავშირებულ ტერმინებზე აღმოცენებული ტოპონიმებია, რაც ქვეყნის მეტალურგიის უძველესი ტრადიციების მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

წარმოდგენილი არქეოლოგიური სურათი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ისტორიული არგვეთის საფეოდალოს დიდი ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულში მკიდროდ ყოფილა დასახლებული. ეს დასახლებები თავდაპირველად სოციალური შინაარსით გორა-ნამოსახლარებია, მაგრამ ძვ. წ. IV საუკუნიდან სხვადასხვა ტიპის საცხოვრისებად ფორმდებიან და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ.

ზემო იმერეთის გარდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადღეისოდ შესწავლილია ასეულობით სხვადასხვა ტიპის ნამოსახლარი, რომლებიც საირხისა და ვანის სინქრონულ ძეგლებს წარმოადგენენ და ხასიათდებიან ერთი ეთნოსის მიერ შექმნილი ერთნაირი კულტურით. მკიდროდ დასახლებულ ამ ვრცელ ქვეყანას, როგორც ეს ვანისა და საირხის მაგალითზე შეიძლება ვამტკი-



ცოთ, აქვთ ცალკეული ადმინისტრაციული ოლქების (ისტორიული საერისთაოების) საგამგეო ქალაქები. ადრეანტიკურ ხანაში წარმოქმნილი ეს ქალაქები ელინისტურ ეპოქაშიც განაგრძობენ არსებობას და წარმოადგენენ სამეფო ხელისუფლებას დაქვემდებარებული მმართველი წრეების რეზიდენციებს ისტორიული არგვეთის ტერიტორიაზე. ასეთ რეზიდენციას, როგორც ამის წარმოჩენას ქვემოთ შევეცდებით, საირხე წარმოადგენდა.

საირხე — უპირილის ხეობის კოლიტიკური და  
სამეურნეო-საგვარო ცენტრი

საირხეში მოპოვებული მასალის განხილვის შემდეგ, ვფიქრობ ინტერეს-  
მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სოფელში არსებობს ლეგენდა-გად-  
ზოცემა შორეულ წარსულში აქ არსებული დიდი დასახლების შესახებ. იგი  
რომ ქალაქის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა, ამაზე შეიძლება საბადურის  
გორის სამხრეთით მდებარე ტბების სახელწოდება მეტყველებდეს, მათ ადგი-  
ლობრივი მკვიდრნი „ნაქალაქარის ტბებს“ უწოდებენ<sup>1</sup>.

გეოგრაფიული გარემოს შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლე-  
ბისა და ქალაქების წარმოქმნის ისტორიის შესასწავლად<sup>2</sup>. ამ თვალსაზრისით  
თუ ვიმსჯელებთ, საირხის ტერიტორიაზე იმთავითვე შესანიშნავი გეოგრაფიული  
პირობები არსებობდა დიდი დასახლების აღმოსაგენებლად. ნაქალაქარის ტერი-  
ტორიაზე სამი ლეღე მოედინება. ერთი მათგანი საკმაოდ წყალუხვია, დანარ-  
ჩენი ორი შემოდგომაზე შრება. მაგრამ მათი პატარა ხეობები წყაროების სიმ-  
რავლით გამოირჩევა, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრების დასამკვიდრებ-  
ლად. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ლეღეების აუზშია აღმართული ის თხუთ-  
მეტი გორა, რომელიც აუცილებელი პირობა იყო მაშინდელი სამოსახლოების  
წარმოსაქმნელად. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდან ე. წ.  
მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მიწათმოქმედი — მეღვინე ტომე-  
ბის ძირითად საცხოვრისს, როგორც ამიერკავკასიაში ისე მის საზღვრებს გა-  
რეთ გორები წარმოადგენდა. საცხოვრებლად ბორცვის ამორჩევა, ერთი მხრივ  
გამოწვეული იყო თავდაცვის მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ მეურნე-  
ობრივი ფაქტორით<sup>3</sup>. სწორედ ამ მიზეზის გამო ჩანს საირხის გორები სამო-  
სახლოდ ათვისებული ადრეულ პერიოდში.

1955 წ. პროფ. ოთ. ჯაფარიძემ საირხეში, სკომიეთის გორის ჩრდილოე-  
თით, ადგილ კარახტინში გაჭრილ სადაზვერვო თხრილში, აღმოაჩინა ადრე-  
ბრინჯაოს პერიოდისათვის დამახასიათებელი სამეთუნეო ნაწარმის ნაშთები.  
კარახტინში შემთხვევით მოპოვებული ამ ხანის კერამიკა ინახება აგრეთვე,  
სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმში. ამჟამად სკომიეთის გორის ზედაპირი გა-  
დარეცხილია და აღარ შეიცავს კულტურულ ფენებს, მაგრამ მის მახლობლად  
დადასტურებული ადრებრინჯაოს კულტურის ნაშთები იმაზე უნდა მიუთითებ-  
დეს, რომ ბორცვის ნაწილი ძირს არის ჩამოქცეული და უეჭველია ჯერ კიდევ  
ძვ. წ. III ათასწლეულში იყო დასახლებული<sup>4</sup>. აქედან გამომდინარე შეიძლება  
ითქვას, რომ საირხის ნაქალაქარის ტერიტორიის ნაწილი საცხოვრებლად შო-  
რეულ წარსულში ყოფილა ათვისებული. ნამოსახლარის ტერიტორიაზე, ჯერ-  
ჯერობით დამოწმებული არაა შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ადრეული სა-  
ფეხურის მატერიალური კულტურის ნაშთები. სადღეისოდ ისე ჩანს, რომ სა-  
ირხის გორების სამოსახლოდ ხელმეორედ ათვისება ძვ. წ. I ათასწლეულის სა-

წყის საუკუნეში ხდება, კოლხური კულტურის მატარებელი ტომების მიერ. ამ დროისათვის მოსახლეობა უმთავრესად მშრალად წყობილი ქვის კედლებით შემოსაზღვრულ ბორცვზე ცხოვრობს, ხოლო მოგვიანებით მოსახლეობის გამრავლებამ, დაახლოებით პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან გორებს შორის მოქცეული ვაკეების მთლიანად სამოსახლოდ ათვისება გამოიწვია. ეს პროცესი საერთოა და მოცემული პერიოდისათვის მოსახლეობის გამრავლება-გაფართოება რამდენადმე დამახასიათებელია, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს გორა ნამოსახლარებისათვის<sup>5</sup>. ანაკრეფი მასალებისა და წინასწარული სადაზვერვო თხრილების მიხედვით შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე 70 ჰექტარს აღემატება საირხის ნაქალაქარის ტერიტორია და ყველაზე დიდია დასავლეთ საქართველოში დღემდე მიკვლეულ ძველ დასახლებათა შორის. ეს კი უფლებას გვაძლევს საირხე წარმოვიდგინოთ როგორც ქალაქური ტიპის სამოსახლო, რომელიც საქალაქო ცხოვრების რამდენიმე ნიშნით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა იგი დიფერენცირებული მეტალურგიის მძლავრი საწარმოო კერაა. აქ აღმოჩენილი ფერადი და შავი ლითონის ცალკეული საწარმოო უბნები და სახელოსნოების ნაშთები იმაზე მეტყველებენ, რომ ადრეანტიკური ხანის საირხის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა მეღიფთონეობა ყოფილა. აღმოჩენილი მასალები უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქის საწარმოებში ხორციელდებოდა მეტალურგიული პროცესიის მთლიანი ციკლი. ფერადი მეტალურგიისათვის საჭირო მადნები, რომელთა რესურსებზეც უნდა ყოფილიყო დაფუძნებული საერთოდ ამ კუთხის უძველესი მეტალურგია, ცნობილი არ არის. ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მიუკვლეველია სპილენძის გამონამუშევრები და აქ არც კალის არსებობას ვარაუდობენ<sup>6</sup>. თუმცა უკანასკნელი ხანის გეოლოგიურმა აღმოჩენებმა ძირულას მასივებში კალის საბადოების არსებობა დაადასტურა<sup>7</sup>. სპილენძის საბადოები, საიდანაც შეიძლება ესარგებლათ ზემო იმერეთის მეღიფთონეებს, აღმოჩენილია რაჭაში<sup>8</sup>, მაგრამ ასე დაშორებული პუნქტიდან მადნის გადმოტანა მაინც საუკეთესოა და ვფიქრობთ. სპილენძის გამოსავლები საძებნია რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ჩიხურის, ლებერისა და ყვირილას სათავეებში, საიდანაც ზოდების სახით წინარეანტიკური ხანის მძიმე წონის ბრინჯაოს განძებია აღმოჩენილი. ეს აღმოჩენები მეტყველებენ, რომ ყვირილის ზემოწელზე უძველესი დროიდანვე არსებობდა ცალკეული მეტალურგიული კერები<sup>9</sup>. რომელთა კონცენტრაციას მკვლევარები უკვე ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში ვარაუდობენ დაბური ტიპის დასახლებებში<sup>10</sup>. ასეთი მოსაზრება მთელი სიცხადით დაადასტურა ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები თითქმის ყველა არქეოლოგიური პუნქტი ლითონის საწარმოო კერას წარმოადგენს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მეტალურგიაა. ეს ვითარება მთელი სიცხადითაა ასახული საირხის არქეოლოგიურ მასალებში. აქ ფერადი ლითონის წარმოებასთან ერთად დიდი და განსა-

კუთრებული ადგილი უკავია შავი ლითონის ინდუსტრიას. საირხეში აღმოჩენილი მასალებს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მელითონობის ეს დარგიც დიფერენცირებულია, რაც ლითონის გამოდნობას, ჩამოსხმას და ჰედვას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, ჭერჯერობით არაა დადასტურებული რკინის ისეთი ადრეული საწარმოო კერები, როგორც მკვლევარებს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის მიმდებარე რეგიონში ეგულებათ<sup>11</sup>. ყვირლას ზემოდინების რეგიონში რკინა, არამც თუ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის, არამედ მეორე ნახევრის არქეოლოგიური ძეგლებისთვისაც უცნობია ჭერჯერობით. მოდინახეს სამხრეთ (ფერდობზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებული სამაროვანი, ბრინჯაოს აუარებელ იარაღ-საჭურველს შეიცავს და რკინა იქ არანაირი სახით არაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან შავი ლითონის წარმოება უმადლეს საფეხურზეა ასული. ნავარძეთში მოპოვებული რკინის გამონამუშევრები მაღაროთა არსებობაზეც მიუთითებს. განსაკუთრებით მაღალი ხარისხის რკინის მადნის გამოსავლებია სოფ. პერევეში. საირხული რკინა-ფოლადის საწარმოები სწორედ მის მადანზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. საირხეში და მის მიმდებარე არქეოლოგიურ პუნქტებში არსებული ფერადი და შავი ლითონის საწარმოო უბნების სიმრავლე სრულიად აშკარად მეტყველებს, რომ ეს საწარმოები ქვეყანას ამარაგებდა ლითონის ნაწარმით. ზოგიერთი მეცნიერი დაბეჯითებით მიუთითებს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ხალიბური რკინის ექსპორტირებას ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში<sup>12</sup>, ასევე I ათასწლეულის შუა ხანებიდანაც, როდესაც ფართო სავაჭრო ურთიერთობა მყარდება იმდროინდელ ცივილიზებულ ქვეყნებთან. აქაური ლითონის პროდუქციის წილი დიდად უნდა გაზრდილიყო საგარეო სააღებშიცემო საქმიანობაში. ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის შედეგად შეიძლებოდა მოხვედრილიყო რკინისა და ბრინჯაოს წარმოებით განთქმულ ქალაქში ის ძვირადღირებული ნივთები, რომლებიც საირხეშია მოპოვებული და დამზადებულია საბერძნეთში (ატიკაში), ფინიკიაში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე და აქემენიანთა ირანის იმპერიის შორეულ კუთხეებში. საირხის აღმოჩენები რამდენადმე ადასტურებს ძველი ბერძენი მწერლების ცნობებს რკინა-ბრინჯაოს წარმოებით განთქმული ქართველი ტომების შესახებ. ამ ცნობებზე დაყრდნობით მეტალურგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარები ქართული მოდამის ტომებს ხალიბებს, თუბალებს, მოსხებს და მოსინიკებს მეტალურგიის შემომკმედებად მიიჩნევენ. ასეთი მიმართულების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რ. ფორბს, და ლ. ეიჩისონს. მაგალითად, რ. ფორბის, მიაჩნია, რომ პონტოს მხარეში, ამ ტომების პირველ საცხოვრისში, გადაწყდა მეტალურგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები<sup>13</sup>. ლ. ეიჩისონი მოსინიკებს თვლის ისეთი რთულად მისაღები ლითონის შემომკმედებად, როგორიც თუთიაა<sup>14</sup>. სამწუხაროდ მეცნიერებს ყოველთვის სწორი წარმოდგენა არა აქვთ ამ ტომების ვინაობისა და მათი საცხოვრისის ადგილ-სამყოფელის შე-

სახენ. ისინიც კი ვინც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო რეგიონებში მცხოვრებ ტომებს უძველეს მეტალურგებად მიიჩნევენ, თითქმის არაფერს ამბობენ მათ ქართველურ წარმომავლობაზე. ზოგიერთ მათგანს ხალიბები სკვითურ ტომად ჰყავს წარმოდგენილი და მათ საცხოვრისად პონტოს მხარეს ასახელებენ, იქ სადაც დღეს თითქოს ოსები ცხოვრობენ<sup>15</sup>. არასოდეს ოსებს პონტოს მხარეში არ უცხოვრიათ, ისე კი, ქართლში და ზემო იმერეთში, მართლაც ჩანს ხალიბების მოღვაწეობისა და ცხოვრების ნაკვალევი. ამ საკითხის შესასწავლად ნეტალურგიული კერების აღმოჩენასთან ერთად მნიშვნელობა აქვს ტომონიშურ მონაცემებს. ქართლში და ზემო იმერეთში შემორჩენილია სოფლები ხალიბაურის სახელწოდებით. ისე როგორც საზანო — ზანთა საცხოვრისს, ხალიბაურიც — ხალიბთა საცხოვრისს გულისხმობს და მიუთითებს, რომ ქართველი მოდგმის ეს ტომები საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ იყვნენ განსახლებულნი. აქ, იქნება უადგილო არ იყოს იმის თქმაც, რომ თვითონ საირხეში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ მესხები, რომელთა გვარი ბიბლიაში მოხსენებული მელითონე ხალხის მოშენს<sup>16</sup>—მესხების სატომო სახელიდან მომდინარეობს და რომელთა მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დროდადრო მეორდებოდა და საუკუნეებრივ ტრადიციებს ემყარებოდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საირხის „ქვეყანაში“ და თვითონ საირხეში მეტალურგიულ საქმიანობას ქართველი მოდგმის ტომები წარმართავდნენ. ამ დარგის განვითარებამ, გარკვეულად შეუწყო ხელი ქართული სახელმწიფოსა და ამ სახელმწიფოს ცალკეული საქალაქო ცენტრების წარმოქმნას. ერთი ასეთი ცენტრი საირხეა, სადაც მოქმედებს ფერადი და შავი ლითონის მძლავრი კერები. ამ საწარმოების წარმოქმნა, რა თქმა უნდა, განპირობებული იქნებოდა რამდენიმე ასეული, მუშა-მელითონის დასაქმებით<sup>17</sup>, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქალაქის მცხოვრებთა დიდ ნაწილს და მის ერთ-ერთ წარმართავ ძალას მელითონობაში დასაქმებული მოქალაქენი წარმოადგენდნენ.

კოლხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ვანში და საირხეში მოპოვებული ადრეანტიკური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ძეგლები გვიდასტურებენ, რომ ქვეყანაში არსებობდა არა მარტო ერთიანი მხატვრული სტილი, არამედ ერთიანი სახელმწიფო რელიგია, რომელიც რამდენადმე განაპირობებდა ამ სტილის შექმნას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გარკვევას იყო თუ არა ეს რელიგია სატაძრო რელიგია და არსებობდა თუ არა ადრეანტიკური ხანის კოლხეთში სატაძრო ორგანიზაციები და ორდერული არქიტექტურა.

არსებული წერილობითი წყაროებისა და დღემდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არაა დადგენილი კოლხეთში ორდერული არქიტექტურის გავრცელებისა და ტაძრების აღმოშენებლობის ქრონოლოგიური ჩარჩოები. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, საირხეში მოპოვებული კაპიტელებისა და ნეკროპოლის მასალების შესაძლო სინქრონულობის შესახებ, მაგრამ ითქვა ისიც,

რომ მეცნიერების ერთი ჯგუფი არ იზიარებს ასეთ მოსაზრებას და კოლხეთში ორდერული არქიტექტურის გავრცელება მხოლოდ ელინისტური ხანიდან აქვთ ნაგარაუდები<sup>18</sup>. ვანის არქეოლოგიური ძეგლების მაგალითზე ეს მოსაზრება სრულიად მართებული ჩანს, რადგან იქ გამოვლენილი სატაძრო ნაგებობანი ელინიზირებული აღმოსავლეთის გავლენას განიცდის და სტილისტური ანალიზისა და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ძირითადად ძვ. წ. III—I სს. დათარიღებული<sup>19</sup>. ამავე ხანითაა დათარიღებული აღმოსავლეთ საქართველოში მიკვლეული ძეგლები, მათი სამშენებლო ტექნიკა და სტილი<sup>20</sup> რამდენადმე უახლოვდება ვანის ხუროთმოძღვრებას და ეს გარემოება გარკვეულად უწყობს ხელს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ორდერული არქიტექტურა შავი ზღვისპირა ოლქებიდან კი არ გავრცელებულა საქართველოში, არამედ აღმოსავლეთის ელინიზირებული ქვეყნებიდან. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით ეს სიახლე აქ ელინისტური ხანის დასაწყისში მესხებს უნდა მოეტანათ. იმ მესხებს რომლებიც ძველთაგანვე მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ და უშუალო კონტაქტები ჰქონდათ ერთის მხრივ ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, ხოლო მეორეს მხრივ ბერძნულ-ელინისტურ სამყაროსთან<sup>21</sup>. ადრეანტიკური ხანის ერთიანი სტილის კოლხური კულტურა ელინისტური ხანის დასაწყისში მართლაც განიცდის რადიკალურ ცვლილებებს და ეს მომენტი შესანიშნავადაა ასახული საირხის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მასალებში, მაგრამ სწორედ საირხული მასალების და, კერძოდ, კაპიტელების შესწავლის საფუძველზე. მეცნიერები კოლხეთში ორდერული არქიტექტურის არსებობას ადრეანტიკურ ხანაშიც ვარაუდობენ. ამ აზრის იყო საირხის კაპიტელების პირველი მკვლევარი, განსვენებული ხუროთმოძღვარი გ. ლეჟავა, რომელიც ორივე სვეტისთავის დეტალურმა შესწავლამ და შედარებითმა ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ისინი არქაული ეპოქის დორიული ორდერის შენობის ფრაგმენტად მიიჩნია და მათ მიხედვით საირხეში არსებული ტაძრის რეკონსტრუქციაც კი მოგვცა<sup>22</sup>. ადრეანტიკური ხანის კოლხეთის სახელმწიფოში ტაძრებისა და სატაძრო ორგანიზაციების არსებობაში ეკვი არ ეპარება პროფ. გ. ლორთქიფანიძეს<sup>23</sup>. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს, ლომინაურში ატიკური კერამიკის შემცველ ფენაში ფიქსირებული ცხოველის ქანდაკების კაპიტელისა და ფალოური საგნების ნაშთები, რაც თითქოს იძლევა იმის ვარაუდს, ვიფიქროთ, რომ ორდერული არქიტექტურა საირხელი საზოგადოებისათვისაც ცნობილი იყო. ადრეანტიკურ ხანაში ეს საზოგადოება, რომ კარგად იცნობდა კლასიკური ხანის ბერძნულ სამყაროს. ამაში დაგვარწმუნა წყნით განხილულმა ატიკური იმპორტის სიუხვემ. უკანასკნელი ხანის აღმოჩენებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გარდა იმისა, რომ მდიდრულ აკლდამაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ვერცხლის ფილები და ვერცხლის კილიკები, წყაროსთავის გორის ნაგებობის ნანგრევებში, რომელიც თლილი ქვებით ყოფილა ნაგები, მრავალჯერ იფორმისა და სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა მდიდრულად მოხატული კრატერი. ბერძენი არისტოკრატის ეს სასუფ-

რე-სანადიმო ჭურჭელი, რომელიც წყალთან ღვინის შესახვევლად იხმარებოდა, მიუთითებს საირხელი საზოგადოების ბერძნულ წესებთან თანაზიარობაზე. გავლენები იდეოლოგიურ სფეროშიც შეიმჩნევა. ბერძნული რელიგიის იმპულსები იგრძნობა წარმართული ხანის კოლხურ საწესო რიტუალებშიც<sup>24</sup>. ამ ფონზე შეუძლებლად არ გვეჩვენება, რომ კოლხეთის, ამ შემთხვევაში საირხის საზოგადოებისათვის ცნობილი ყოფილიყო ბერძნული ორდერული არქიტექტურის მიღწევები და რომ მათ ეს მიღწევები თავიანთ აღმშენებლობით საქმიანობაში გამოეყენებინათ. ასეთ მოსაზრებას რამდენადმე მხარს უჭერს სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთიას სამლოცველო ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო“, სადაც ვერძს არ წირვენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ჩვენ დროს ფარნაკეს, ხოლო ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვულ“<sup>25</sup>. ბერძენ გეოგრაფს ლაპარაკი აქვს აგრეთვე მთვარის ტაძარზე, რომელიც იბერია-ალბანეთის საზღვარზე იდგა. ცნობა მოსხების ქვეყანაში არსებული ტაძრის შესახებ, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ სტრაბონის მიხედვით იგი აგებულია ფრიქსეს მიერ. ფრიქსე პირველი კოლონიისტი, რომელიც კოლხეთში მოვიდა. მაშასადამე, სამლოცველო დაარსებული ყოფილა ადრეულ ხანაში. ეს ვითარება სტრაბონის ცნობაში საგანგებოდაა აღნიშნული და საშუალებას იძლევა, ვიფიქროთ, რომ უკვე ადრეანტიკურ ხანიდან მაინც, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ხუროთმოძღვრების წესებით აგებული საკულტო ნაგებობანი<sup>26</sup>, რომელთა მშენებლობა უნდა განეხორციელებინა სატაძრო ორგანიზაციას. ლომინაურისა და საბადურის ბორცვის ნეკროპოლის არქეოლოგიური მასალები შესაძლებლობას გვაძლევს, აღნიშნულ ხანაში საირხეში საკმაოდ ძლიერი სატაძრო ორგანიზაცია ვივარაუდოთ. იგი განაგებდა ქალაქ საირხისა და საირხის „ქვეყნის“ სულიერ სფეროს. საკუთრივ საბერძნეთის გარდა, ასეთი ორგანიზაციები არსებობდა მცირე აზიაში და მოგვიანო ხანის სომხეთში. ცნობილი იყო ტაძრის სამი ტიპი: თეოკრატიული, საქალაქო და სახელმწიფო ანუ სამეფო ტაძარი<sup>27</sup>. ეს სატაძრო ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სოციალურ-ეკონომიური წყობით და პოლიტიკური სტრუქტურით<sup>28</sup>. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან თეოკრატიული ტაძარი იყო, რომელიც უძველეს სასოფლო თემში ჩაისახა და რომლისგანაც შემდეგში განვითარდა რთული სატაძრო ორგანიზაციები.

თეოკრატიული ტაძარი ყველაზე კარგად საქართველოს ეთნოგრაფიამ შენოინახა ხევსურული თემების სახით<sup>29</sup>. სათემო ტაძარმა არ იცოდა მიწის კერძო საკუთრება, ისე როგორც ბერძნული თემები არ იცნობდა ორდერულ არქიტექტურას, ღმერთების ადგილ-სამყოფელად მიჩნეული იყო ხეობები და ბორცვები<sup>30</sup>, სადაც იმართებოდა რელიგიური რიტუალები და ღვთაებებისადმი მსხვერპლის შეწირვა. მთიანეთისაგან განსხვავებით, ჩანს, საქართველოს ბარში უკვე ადრეანტიკური ხანიდან ყალიბდება სატაძრო ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ამა თუ იმ ღვთაების სახელზე აეგო საკულტო

ნაგებობა და დეკანონებინა კულტმსახურების წესები. საირხეში ასეთი წესების არსებობაზე მიუთითებს საბადურის ნეკროპოლზე ფიქსირებული დაკრძალვის შკაცრად დაცული ერთნაირი ცერემონიალი, რაც გამოიხატება აკლდენების მოწყობაში, მიცვალებულთა და მათთვის ჩატანებული ცხოველების ერთნაირი ზოზით დაკრძალვაში, საკულტო ნიშნების, ორმოების და სააღაპო-საკულტო მოედნების მოწყობაში. დასაყრძალავ რიტუალში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცეცხლს. სიმბოლებითა და რთული სიუჟეტებით შემკული ნივთების უმრავლესობა, რომლებიც საირხეშია მოპოვებული, რელიგიური შინაარსის შემცველია და მიუთითებს, რომ მხატვარ-ხელოსანთა ნოღაწეობა იღოლოგოიურად მიზანდასახულია და ნაწილობრივ მათ საქმიანობასაც სატაძრო ორგანიზაცია წარმართავს.

ამრიგად, საირხეში მოპოვებული მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ტაძრის მსახურთა საქმიანობაზე, მათ უფლება-მოვალეობაზე და სახელმწიფოებრივი რელიგიის ერთიანობაზე, რომელსაც განაგებს ქვეყანაში არსებული თეოკრატიული საზოგადოების ფენა. სატაძრო ორგანიზაციისა და მისი წარმმართავი საზოგადოების წარმოქმნა-ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა განვითარების რთული პროცესი. ზემოთ უკვე განვიხილეთ მასალები და შევეცადეთ, ორი სხვადასხვა ძეგლის ურთიერთ შედარების საფუძველზე წარმოგვეჩინა წინაქრისტიანული ხანის ქართული რელიგიის განვითარების პროცესი. უკანასკნელი აღმოჩენების მიხედვით ეს პროცესი საირხის მაგალითზე რამდენადმე თვალსაჩინო ვახდა. წინარეანტიკური ხანის ფენაში ფიქსირებული თიხისაგან გამოქრწილი ქალის ქანდაკებები მიუთითებენ, რომ ქალღვთაების კულტი აქ საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. მისადმი კულტმსახურებას თაობები აწესრიგებენ. ეს ხანგრძლივი პროცესი აღრეანტიკურ ხანაში ტაძრის აგებითა და სატაძრო ორგანიზაციის წარმოქმნით გვირგვინდება.

აღრეანტიკური ხანის კოლხეთის სოციალ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად საირხის სამარხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ ხანს საირხეში, ადგილ კოდისწყალზე გათხრილი უბრალოდ მოწყობილი მიცვალებული სამარხები, რომლებიც მელითონე ხელოსანებისა უნდა იყოს, რამოდენიმე ნივთისაგან შედგება. მათი ინვენტარის შედარება საბადურის აკლდენების ინვენტართან მკვეთრად წარმოაჩენს ერთი ქალაქის ორი სხვადასხვა ფენის ქონებრივი დიფერენციაციის დონეს. რაც შეეხება საკუთრივ საბადურის გორის სამარხებს, ისინი კოლხეთის წარჩინებულთა კუთვნილებაა, მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია ამ წრის წევრებს შორისაც საგრძნობლად შესამჩნევია. მეხუთე და მერვე აკლდამების ინვენტარი, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოავარი მიცვალებულების კამერები გაძარცვულია, დიდად აღემატება მეათე სამარხის ინვენტარს და სრულიად აშკარად იგრძნობა, რომ მეათე სამარხთან შედარებით რთულად მოწყობილ ამ ორკამერიან აკლდამებში ერთი ისტორიული-გეოგრაფიული ოლქის მმართველები განისვენებენ, ხოლო მეათე სამარხში დაკრძალულს იერარქიული კიბის შედარებით დაბალი საფეხური უნდა ჰქონო-



და. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთი წრის წარმომადგენლები არიან და საბადურის ბორცვი მათი საგვარეულო ნეკროპოლია. ამ მხრივ საირხეში ვანისაგან განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ვანის მდიდრული სამარხები ახვლედიანების ბორცვის სხვადასხვა ნაწილებშია გაფანტული, საირხეში კი, საბადურის ბორცვი საგანგებოდაა შერჩეული ნეკროპოლად. იგი საკულტო ადგილიცაა, სადაც დაკრძალვის ცერემონიალთან დაკავშირებული რიტუალები იმართებოდა. აქ ასორმოცდაათი წლის მანძილზე იმარხებიან ერთი გვარის მაღალი წრის წარმომადგენლები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძვ. წ. V საუკუნისა და IV საუკუნის პირველი ნახევრის აკლამები შეიცავენ ერთნაირ მასალას ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის და III საუკუნის საწყისი წლების სამარხებიდან მომდინარე მატერიალური კულტურა საგრძნობლად განსხვავებულია წინამორბედისაგან, მაგრამ დაკრძალვის ადგილი, წესი და რიტუალი უცვლელია, ეს კი ძალზე საყურადღებო ფაქტია და საქართველოს უძველესი ისტორიის საპრობლემო საკითხების კვლევას შეიძლება დაუტყვევროთ. მაგრამ ამჯერად ფართო ისტორიული ექსკურსებისაგან თავს ვიკავებთ თუნდაც იმის გამო, რომ საირხეში გათხრები გრძელდება და დამატებით მოპოვებულმა მასალებმა შესაძლოა შემდეგში რამდენადმე ნათელი გახადოს ჩვენი დღევანდელი წარმოდგენები. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ყვირილის ზემო წელზე შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები მეტყველებენ რომ „საირხის ქვეყანას“, როგორც ადმინისტრაციულ ოლქს თავისი ადგილი ეჭირა კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.

კოლხეთის სახელმწიფოს ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტრაბონის ცნობას, სადაც იგი შემდეგს გვაძინობს: „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე. ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სეკატუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება“<sup>31</sup>. მკვლევარებს ეს ცნობა სხვადასხვანაირად აქვთ ინტერპრეტირებული, ერთნი მიიჩნევენ, რომ საგამგეო ერთეულებად ქვეყნის დაყოფა მოხდა ადრეანტიკურ ხანაში, კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე<sup>32</sup>, მეორენი ასეთ დაყოფას ძვ. წ. II საუკუნის მოვლენად მიიჩნევენ და ფიქრობენ, იგი მოასწავებდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას და ცალკეული ოლქების გამგებელთა დამოუკიდებლობის აღიარებას<sup>33</sup>. ყვირილის ხეობის აღმოჩენები სადღესოდ პირველი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებენ და სრულიად აშკარად მიუთითებენ, რომ ზემო იმერეთი ადრეანტიკურ ხანაში ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელსაც აქვს სამეფო ხელისუფლებას დამორჩილებული საგამგეო ქალაქი. ქალაქის სათავეში ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელი დგას, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და თავის მოხელედ აქ-

ცა. ეს მოსაზრება ვანის მდიდრული სამარხების შესწავლის შედეგად იყო გა-  
ზოქმული და აქედან გამომდინარე. პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე ვანს მიიჩნევ-  
და კოლხეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრად  
ადრეანტიკურ ხანაში<sup>34</sup>. ხოლო ელნისტური ეპოქის ვანი მას სატაძრო ქალა-  
ქად აქვს წარმოდგენილი და შესაბამისად აღნიშნული ხანის მდიდრული სამარ-  
ხები თეოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლების საკუთრებად შეიძლე-  
ბოდა მიგვეჩნია, მაგრამ ადრეანტიკური ხანის ვანის მდიდრულ სამარხებს  
მკვლევარი უყოყმანოდ მიაკუთვნებს საზოგადოების მმართველ ელიტას, რო-  
მელთა ხელში უამრავი სიმდიდრეა დაგროვილი და რომლებიც განაგებენ კოლ-  
ხეთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს სკეპტუხიას<sup>35</sup> (ვანის ქვე-  
ყანას).

იგივე შეიძლებოდა გვეთქვა საირხის მდიდრული აკლდამების მფლობელ-  
თა მიმართ, მაგრამ უკანასკნელ ხანს ვანისა და საირხის სამარხეულ კომპლექ-  
სებზე დაყრდნობით გამოითქვა მოსაზრება, რომ მათში დაკრძალული პირები  
თეოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ამ მოსაზრების ავ-  
ტორს, მ. ინაძეს ვანი ადრეული ხანიდანვე სწავლტო ცენტრად აქვს წარმოდ-  
გენილი და ადრეანტიკურ-ელნისტური ხანის კულტმსახურება წინარეანტიკური  
ხანის კოლხური რელიგიის გაგრძელებად და განვითარებად აქვს წარმოდგენი-  
ლი. ექვი არ ეპარება, რომ ვანში ძვ. წ. V საუკუნიდან არსებობს სატაძრო ცენ-  
ტრი მკვეთრად ჩამოყალიბებული ქურუმთა ინსტიტუტით, სამარხებში დაკრძა-  
ლული პირები ამ ინსტიტუტის წარმომადგენლები არიან<sup>36</sup>. ასეთი მოსაზრების  
დამადასტურებლად, იგი განიხილავს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს  
მდიდრულად დაკრძალული მიცვალებულების ინვენტარში შემავალ საკულტო  
ნივთებს. ხაზგასმით გამოყოფს დიადემებს და მიაჩნია, რომ წარჩინებული  
კოლხი ქალები დიადემებს საკრალური ცერემონიალებსა და საზეიმო პროცე-  
სიებზე ატარებდნენ, როგორც განსაკუთრებული ღირსებისა და უზენაესი ქუ-  
რუმის ნიშანს. სამარხებში აღმოჩენილ საკულტო ხასიათის სხვა მასალებს  
მკვლევარი რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებს და ასკვნის, რომ მათი  
მფლობელები იყვნენ კოლხეთის თეოკრატიული საზოგადოების უმაღლეს  
საფეხურზე მდგომი პირები<sup>37</sup>. რადგან ვანისა და საირხის სამარხები კოლექტი-  
ურია და მათში მთავარ მიცვალებულთან ერთად, შედარებით ღარიბულ ინვენ-  
ტარშიანი მიცვალებულებია დაკრძალული, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ისი-  
ნი მთავარი მიცვალებულის თანმხლები პირები იყვნენ, მათი პირადი მოახლე-  
ები, რომლებმაც წარჩინებული ქალის სიკვდილის შემდეგ გაინაწილეს მისი  
ბედი. მაშასადამე, ეს ქალები კოლხეთის საზოგადოების უფლებო წევრებად,  
მონებად არან მიჩნეული<sup>38</sup>. ამ მოსაზრებისაგან განსხვავებით მ. ინაძეს მიაჩ-  
ნია, რომ წარჩინებული ქალების თანმხლები პირების სახით საქმე გვაქვს არა  
ნონა-მხველებთან, არამედ საზოგადოების ეკონომიურად საკმაოდ დაწინაურე-  
ბულ და უფლებრივად სოციალური კიბის არც თუ ისე დაბალ საფეხურზე  
მდგომი ფენის წარმომადგენლებთან. ამ პერსონალის მაღალ მდგომარეობაზე

უნდა ლაპარაკობდეს მათთვის ვერცხლის დიადემების ჩატანება, რაც კოლხეთის წარჩინებულ ან განსაკუთრებულ გამოჩენილ პირთა პრივილეგიაა. ამრიგად, წარჩინებული კოლხი ქალებისათვის ასეთი მაღალი მდგომარეობის და ღირსების მქონე პირთა სამარხში ჩატანება არ შეიძლება გამოწვეული იყოს მათი უუფლებობით. ჩვენი აზრით, უფრო მართებული და გასაგები იქნება თუ მეტად თავისებურ დაკრძალვის წესს ავხსნით მისი საკულტო ხასიათით. კოლხი ქალებისა და მათი თანმხლები პერსონალის დაკრძალვა ხდება ნაყოფიერების ქალღმერთის სახელით და მისი ფუნქციების გაძლიერება-განახლებას ემსახურება, სახელდობრ უმაღლესი ქურუმი ქალის დაკრძალვისას სატაძრო ცენტრის ღვთისმსახურებაში მყოფი ღირსეული წევრები საკუთარი ნება-სურვილით ნაყოფიერებასა და მის ღვთაებას ეწირებიან მსხვერპლად და ისინი მეცნიერის აზრით, ტაძრის მონები კი არ არიან, არამედ მთავარ კულტმსახურთან ახლომდგომი, ღმერთქალის მსახურებაში მყოფი დიდგვაროვანთა წარმომადგენლები<sup>39</sup>. ეს მოსაზრება არქეოლოგიურ ფაქტებს ემყარება და რა თქმა უნდა ანგარიშგასაწვეია, მით უმეტეს ესაა, როდესაც საირხეში, ვანის სამარხებში დაკრძალვის ანალოგიური წესია დადასტურებული. საირხის მეხუთე სამარხის მთავარი მიცვალებულის თანმხლებ პირებს ვერცხლის დიადემების გარდა საკმაოდ მდიდრული ინვენტარი ახლავთ. იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნებაყოფლობით ეწირებოდნენ ნაყოფიერების ღვთაებას, საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთავარი ქურუმის მომდევნო მიცვალებულს ხელში ეკავა ბერძნული ლეკითოსი, რომელიც შესაძლოა ადამიანის მომაკვდინებელი სითხით იყო სავსე. ერთი სიტყვით, მეხუთე, მეათე და სულ უკანასკნელ ხანს შეატხრული მცამეტე აკლდამაში მთავარი მიცვალებულის გვერდით, მასთან შედარებით ნაკლებად მდიდრულად, მაგრამ წესიერად დაკრძალული დიადემებიანი მიცვალებულებს არსებობდა რამდენადმე მხარს უჭერს ინაძის მოსაზრებას. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს მერვე აკლდამაში. როგორც აღვნიშნეთ მთავარი მიცვალებულის კამერა გაძარცვულია. ადამიანის ძვლები ფრაგმენტების სახით იყო მიმოფანტული, დაკრძალვის წესის დაფიქსირება რა თქმა უნდა ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ მის ჩრდილო კამერაში, რომელსაც იმთავითვე მიწა ეყარა და მძარცველის ხელე არ შეხებია, ყველაფერი თავის ადგილზე იდგა. ცხენები და ძაღლები წესისამებრ იყვნენ დაკრძალული. შესანიშნავად შემონახულ ამ ჩონჩხების ფალანგებმაც კი ჩვენამდე დაუზიანებლად მოაღწია, მაშინ როდესაც ადამიანების ძვლები ცხენების თაგებს უწესრიგოდ ეყარათ ზემოდან და ჩვენამდე მხოლოდ თავისქალისა და კიდურების რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია. ფიქსაციის დროს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს აქ მხოლოდ ადამიანის თავები იყო დაკრძალული. მათი ინვენტარი ცუდად ნახელავი, მდარე ხარისხის ოქროსგან ნაკეთები მთვარისებური ფორმის საყურეებისა და ვერცხლის საკისრე რგოლებისაგან შედგება, მათ არ ამკობთ წარჩინების ნიშნად მიჩნეული დიადემები. ექვსი საყურე, სამი საკისრე რგოლი და აგრეთვე ცალცალკე დაფიქსირებული თავის ქალის ფრაგმენტები მიუთითებენ, რომ აქ

საში მიცვალებული იყო დაკრძალული, შესაძლოა კაცები, რაც თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სამარხი მამაკაცის კუთვნილებას წარმოადგენდა. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე სამარხის სამხრეთის კამერაში და ქვაყრღაში დაფიქსირებული ბექთარის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ისრის პირები, რომელიც საირხის არც ერთ სამარხში არ ყოფილა დადასტურებული. აღნიშნულიდან ვამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბადურის ნეკროპოლი არა მარტო სულიერი სფეროს წარმართავი არისტოკრატის, არამედ, პოლიტიკური ძალაუფლების მფლობელ პირთა დასაკრძალავ საკულტო ადგილსაც წარმოადგენდა. ჭერჯერობით ასეთ მოსაზრებაზე ფართოდ მსჯელობა და დანამდვილებით რამის მტკიცება ნაადრევად მიგვაჩნია. ამჟამად ნხოლოდ იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, რომ საირხეს, როგორც კოლხეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი პროვინციის ქალაქს ჰყავს თავისი არისტოკრატია, რომელიც ფლობს დიდძალ სიმდიდრეს, იცნობს იმჟამინდელი ცივილიზაციის მიღწევებს და განაგებს საირხის ქვეყნის „პოლიტიკურ და სულიერ სფეროს“.

საირხეს, როგორც ამის შესახებ სადღეისოდ აღმოჩენილი მასალები მეტყველებენ, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებთან. ბერძნული იმპორტის სიუხვით და მრავალფეროვნებით საირხეს სადღეისოდ შავიზღვის სანაპიროდან დიდი მანძილით დაშორებული ვერცერთი არქეოლოგიური პუნქტი ვერ გაუწევს ნეტოქეობას. უკანასკნელ ხანს მოპოვებული უნიკალური მასალა, რომელიც წინამდებარე ნაშრომში ვერ მოხვდა და მხოლოდ ეხლა მზადდება პუბლიკაციისათვის საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ სავაჭრო კავშირების ინტენსიურ ხასიათზე. მრავალფეროვანი ატიკური იმპორტის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, აგრეთვე დაზუსტდეს კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს მეცამეტე აკლამა, სადაც აღმოჩნდა ვერცხლისა და თიხის ატიკური კილიკი. ამ უკანასკნელზე ამოკაწრულია ლიგატურა და ოთხი ბერძნული ასოსაგან შედგენილი წარწერა. ეს იმპორტული მასალები რამდენადმე არქაულ იერს ატარებენ. ვერცხლის ფიალები, ლუშეის კლასიფიკაციის იმ ფიალებთან პოულობენ საერთოს, რომლებიც ატიკურ ნაწარმადაა მიჩნეული იმ ძვ. წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ხოლო თიხის ატიკური კილიკი, მაღალფენიანი, პირშეხნიქილი კილიკების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ძირითადად ძვ. წ. 525—480 წლებში იყო პოპულარული. ამ სახის კილიკები, საკუთრივ საბერძნეთის გარდა აღმოჩენილია ოლივიის ნეკროპოლის რამდენიმე სამარხში და დათარიღებულია ძვ. წ. 525—500 წლებით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ადრეული ხანის ბერძნული იმპორტი საქართველოს შიდა რაიონებისათვის იშვიათობას წარმოადგენენ. სამარხების გარდა ბერძნული იმპორტის, კერძოდ სხვადასხვა დანიშნულების კურკლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები აღმოჩნდა წყაროსთავის გორის ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთ ფერდობის კულტურულ ფენაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდიდრულად მოხატული კარტერი, ბერძენი არისტოკრატის ეს სასუფრე-სანადიმო ქურჭელი, უნიკალურ ნივთს წარმოადგენს. ამ სახის მხოლოდ ორი ქურჭელია აღმოჩენილი ბერძენი მოახალშენის, ფიკვენარის სამაროვანზე, ხოლო ქვეყნის სიღრმეში იგი დღემდე არსად ყოფილა დადასტურებული. სპეციალისტები ფიქრობენ რომ საირხული კარტერი ე. წ. ქერჩის სტილს მიეკუთვნება და ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებისა უნდა იყოს. ამავე ხანას მიეკუთვნება სხვადასხვა დანიშნულების, მრავალგვარი ფორმის ატიკური მოხატული ქურჭლის ფრაგმენტები. მათ შორის აღსანიშნავია სკიფოსის ფრაგმენტები, რომლებზეც ბერძნული მითოლოგიის გმირი სელენია გამოხატული. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები სამარხებში მოპოვებული ლეკითოსები, ჯამები და ბერძნული ამფორები ძირითადად ძვ. წ. V საუკუნის მეორე და IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, ხოლო ლომინაურში მოპოვებული ღია ქურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ასევე ატიკური სახელოსნოების ნაწარმია ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარზე მიუთითებს. ამრიგად საირხეში აღმოჩენილი იმპორტი მეტყველებს, რომ ამ ქალაქის მოსახლეობას ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ორასი წლის მანძილზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მასალა რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული ზღვაში წვეთთა იმასთან, რაც აქ იმ დროს შემოდიოდა და ხმარებაში იყო. მიუხედავად ამისა გათხრების შედეგად მოპოვებული იმპორტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ვაჭრობის მაშტაბებზე, კულტურულ ურთიერთობებზე.

აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ საირხელი მოსახლეობისათვის ასევე კარგადაა ცნობილი აქიმენიდური სამყაროც. აღმოსავლური ვავლენები გამომკვლავნებულია ოქრომკვდლობის ნიმუშებზე წარმოდგენილ რელიგიურ სიუჟეტებში, ვავლენები იგრძნობა აგრეთვე ამ დარგის ხელოვნების ცალკეული დეტალების მხატვრულ დამუშავებაში. სავაჭრო ურთიერთობის უცილობელ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული სირიული სახელოსნოებიდან მომდინარე მინის თასი. ამრიგად მოპოვებული უცხოური ნაწარმი ცხადყოფს კოლხეთის გაცხოველებულ სავაჭრო-კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობას ადრეატკური ხანის როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან<sup>40</sup>. ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული და განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებს ძვ. წ. VI საუკუნიდან, რაც დადასტურებულია შავი ზღვისპირა ზოლში აღმოჩენილი მასალების შესწავლით<sup>41</sup>. ადრეულ ხანაში კოლხეთიდან სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურ როლს იონური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ასრულებენ<sup>42</sup>. ხოლო ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებიდან საბერძნეთთან სავაჭრო ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებს და ამ ურთიერთობაში გაბატონებული მდგომარეობა ათენს უკავია<sup>43</sup>. უცხოური საქონელი განსაკუთრებით ინტენსიურად იკაფავს გზას ქვეყნის სიღრმეში — რიონ-

ყვარლას მაგისტრალზე. ანტიკური კერამიკა აღმოჩენილია ვანში<sup>44</sup>, დაბლა-  
ვოშში. კოვზარში, ითხვისში<sup>45</sup>, მოდინახეს სამხრეთ ფერდზე<sup>46</sup> და საირხეში.  
განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ 1967 წელს  
საჩხერე-თბილისის გზის მარცხენა მხარეს, კობოხულის გადასასვლელზე, სოფ.  
გორაძირის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მცირე გორის სამხრეთ ფერდობ-  
ზე. დენსადენის ანძისათვის ამოთხრილ ორმოში, ჩვენს მიერ აკრეფილ ანტიკუ-  
რი ხანის მასალებში აღმოჩნდა ბერძნული კერამიკის ფრაგმენტები. ამ ნატეხე-  
ბის მიხედვით არ ხერხდება, წარმოდგენა შევიქმნათ ჭურჭლის ფორმაზე, მაგ-  
რამ შავი ფერის ბზინვარე ლავი განასხვავებს მას ელინისტური ხანის ბერძნუ-  
ლი კერამიკისაგან და ადრეანტიკური ხანის ატიკურ სახელოსნოებზე მიუთი-  
თებს. გორაძირზე ბერძნული სამეთუნეო ნაწარმის მოპოვება განსაკუთრებით  
ზნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ეს სოფელი სადღეისოდ კოლხეთის უკიდუ-  
რეს აღმოსავლეთ პუნქტს წარმოადგენს, სადაც უცხოური მასალა დადასტუ-  
რებული. ისე როგორც ბერძნული იმპორტის აღმოჩენის დანარჩენი პუნქტები  
(ითხვისი, მოდინახე, საირხე), გორაძირიც იმ საგზაო მაგისტრალის გასწვრივ  
მდებარეობს, რომლითაც დასავლეთი საქართველო უკავშირდება შიდა  
ქართლს.

უკანასკნელი წლების აღმოჩენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს გზა  
ნოქმედი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. V საუკუნიდან მაინც<sup>47</sup> და წარმოადგენდა  
ტრანსკავკასიის საგზაო მაგისტრალის იმ შონაკეთს, რომლის საშუალებითაც  
ოდოთანვე უკავშირდებოდა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყ-  
ნები. ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო არქეოლოგი-  
ური მასალები, არამედ ძველ ბერძენთა წერილობითი წყაროებიც. კერძოდ,  
სტრაბონის ცნობა კოლხეთიდან იბერიაში შემავალ გზას ყვირილის ხეობაზე  
უნდა გულისხმობდეს. ცნობილია, რომ სანაოსნო ტრასა, რომელიც საბერძნე-  
თს ნავსაყუდლებში იწყებოდა და მოემართებოდა შავი ზღვისპირეთის აღმო-  
სავლეთ სანაპიროებისაკენ, ფაზისზე აღმა ცურვის შემდეგ წყდებოდა ზესტა-  
ფონ-შორაპნის მიდამოებში<sup>48</sup>. იბერიაში შემავალი ოთხი გზიდან სტრაბონი  
აღწერა ერთს, რომელიც გადის „კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან  
არსებულ ვიწროებზე, რომელზედაც ფაზისი მომდინარეობს... ფაზისზე 120  
ხილით გადაისვლება — მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო“<sup>49</sup>.

ბერძენი მწერლები გულისხმობენ მდ. რიონ-ყვარლის გზას. ამაზე ნათ-  
ლად მიუთითებს სტრაბონი, რომელიც ფაზისის ხეობაში გამავალი გზის აღწე-  
ვის შემდეგ იქვე დასძენს, რომ მდინარე წარმოიქმნება „ხემათ მდებარე მთებ-  
ში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულთს სხვა მდინარეებს, რო-  
ნელთა შორის არის გლაკოსი და ჰიპოსი. ფაზისი გავსილი და სანაოსნოდ გა-  
მოსადეგი ჩადის პონტოში“<sup>50</sup>. ამ ცნობიდან თითქოს აშკარად ჩანს, რომ აღმო-  
სავლეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა ნაგულისხმევია ისევე ფაზისის ხეობაში,  
მასწავლაძე მდინარე ყვირილას გასწვრივ. დაზუსტებას მოითხოვს სტრაბონის  
ცნობა ხეობაში არსებული 120 ხიდის შესახებ. ძნელი დასაჯერებელია 60 კმ.

მანძილზე, რაც არ უნდა მიხვეულ-მოხვეული ყოფილიყო მდინარე, მასზე 120 ხ-დი აეშენებინათ. უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ცნობაში ნაგულისხმევია ბოგირები და მცირე ხილები, აშენებული ხრამებზე და პატარა ჰდინარებებზე, რომელნიც მართლაც ასეულობით ერთვიან ორივე მხრიდან მდ ყვირილას. სტრაბონი თვითონაც აღნიშნავს, რომ „ეს ადგილები დახრამულია მრავალი ნაკადულებით“<sup>51</sup>.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ცნობაა დაცული, რაც ყვირილის ხეობაში გამავალი საეპრო გზის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი საგანგებოდ მიუთითებს გზის გასწვრივ აღმართულ მაღალ კლდეებზე (ასეთია კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელი, დასშული კლდეებით)<sup>52</sup>. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ იმ მონაკვეთზე, სადაც კოლხეთიდან იბერიაში შემავალი გზა ნაგულისხმევი, ხეობები არსად არაა „დასშული“ ისეთი მაღალი კლდეებით, როგორსაც ჭიათურა-საჩხერის მონაკვეთზე ვხვდებით. აქ 14 კმ-ის მანძილზე ვიწრო ხეობას ორივე მხრიდან თავს დაჰყურებს 100—150 მ. სიმაღლის შვეული კლდეები, რომლებიც მთავრდება სოფ. კალვათასთან. აქედან იწყება შედარებით ვრცელი და მჭიდროდ დასახლებული „საჩხერის ქვეყანა“. როგორც მთლიანად ისტორიული არგვეთის ტერიტორია, ეს მხარეც ელინისტური ხანიდან იბერიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს<sup>53</sup>. ძვ. წ. II ს.-ის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო<sup>54</sup> იბერიის დასავლეთის სასაზღვრო ხაზი ინაცვლებს შორაანის ციხის აღმოსავლეთით. ციხე, რომელიც ფარნავაზმა აღაშენა და მასსადაძე, ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის სამეფოს საზღვრებშია ძვ. წ. I საუკუნეში, როგორც ეს სტრაბონის ცნობიდან ჩანს, კოლხეთის კუთვნილება<sup>55</sup>. მასსადაძე, პირველ საუკუნეში ისტორიული არგვეთის მხოლოდ ნაწილი შედის ქართლის სამფლობელოში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კლდეებს შორის დასშული გზა შედიოდა იბერიის იმ ნაწილში, რომელიც პერანგალიხის წილის დასავლეთ კალთებზე მდებარეობდა. საირხე-კორბოულზე გავლის შემდეგ გზა გადაჰყვებოდა მთას, რომელიც „გარს ერტყმის შუა იბერიას“. აქედან მდ. კერათხევის ხეობას მიუყვებოდა მტკვრის სანაპიროსაკენ, გაივლიდა ანტიკური ხანის იბერიის ქალაქებს<sup>56</sup> და მიემართებოდა აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში. გ. წერეთელს პონტოდან ბაქტრიაში მიმავალი გზა ყვირილის ხეობის გასწვრივ ეგულებოდა. აქ იმოგზაურა მან გასულ საუკუნეში და 1898 წელს თავის ერთ ნაშრომში აღნიშნა, რომ ყვირილის ხეობაში მოგზაურობისას ადამიანი დარწმუნდება სტრაბონის აღწერის გასაოცარ სიმართლეში. შორაპნიდან საჩხერემდის და შემდეგაც დღემდისაა შემორჩენილი ქვის ხიდების ბურჯები 100 კმ. მანძილზე<sup>57</sup>. ასევე აკად. ნ. ბერძენიშვილსაც ანტიკურ ხანაში, სატრანსპორტო გზა ყვირილის ხეობაში ეგულებოდა. იგი შენიშნავდა, რომ უძველესი გზა, რომელიც რიონზე 120 ხიდს საჭიროებდა, საშუალო საუკუნეებში მივიწყებულა, ან უკეთ ვაჭრობისა და ტრანსპორტის სახის შეცვლის გამო ის გზა ყვირილის მოშორებით, მდინარის გაღმა-გამოღმა სოფლებზე გაუმართავთ. მკვლე-

ვარს მხედველობაში აქვს ე. წ. „უღევის“ და „დიდწიფელს“ გზები. „დიდწიფელს“ გზა მიემართებოდა მდ. ყვირილას მარჯვნივ მდებარე ზეგანზე, გაივლიდა ბოსლევს, კაცხს, ჭიათურას, საჩხერეს. აქ გზა სამ ტოტად იყოფოდა, ერთი მდ. ჭრუჭულას ხეობიდან შქმერის გადასვლით გადიოდა რაჭაში და აქედან ნაძისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიაში, მეორე ჭალაბეთის გადასასვლელით შიდა ქართლის მთიანეთში, ხოლო მესამე საირხე-კორბოულისა და ჯვარი-კორტოხის გადასასვლელით ჩადიოდა ქ. ალში. უღევის გზა იწყებოდა შორაპანში, მიემართებოდა ყვირილის მარცხნივ მდებარე ზეგანზე და სვერგებურულის გავლით სოფ. კორბოულთან უერთდებოდა შიდა ქართლში მიმავალ გზას.

აღნიშნული გზები, როგორც ამას ქართული წერილობითი წყაროები ადასტურებენ, ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძირითად დამაკავშირებელ ტრასას. ჩანს ამ გზას უკვე უძველესი ხანიდანვე უპირატესობა ენიჭებოდა ძნელად გადასალახავ ფონას უღელტეხილთან შედარებით, რომელიც მდ. ჩხერიმელას და ძირულას ხეობებით მიემართებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში. ტრანსკავკასიის უძველესი გზის მკვლევარები, რომლებიც უკვე ადრეანტიკური ხანიდან ვარაუდობენ კავკასიის ყელზე დიდი სავაჭრო მაგისტრალის არსებობას, უპირატესობას სურამის გადასასვლელს ანიჭებენ<sup>58</sup>. მაგრამ სადღეისოდ წერილობით წყაროებთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს არქეოლოგიურ მასალებს და ამ გზის მთავარ მონაკვეთად შორაპან-საჩხერე-ალი-გორის ტრასა უნდა მივიჩნიოთ. ბუნებრივია მისი არსებობა დიდ როლს ასრულებდა, როგორც მთლიანად ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე ცალკეული პუნქტების აღმოცენება-განვითარებაში. არქეოლოგიური მონაპოვრები საშუალებას გვაძლევს ერთ-ერთ ასეთ პუნქტად საირხე მივიჩნიოთ. იგი ილგა არა მარტო დიდ გზაზე, არამედ დიდ სავაჭრო-სატრანზიტო გზაჯვარედინზე<sup>59</sup> და უკვე ადრეანტიკურ-ელისისტურ ხანიდანვე იყო ჩამბული როგორც საშინაო, ისე სავაჭრო სავაჭრო ურთიერთობის ფერხულში<sup>60</sup>. და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სულთღირი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საირხეზე, როგორც პოლიტიკურ-რელიგიურ და სამეურნეო-სავაჭრო ცენტრზე — ქალაქზე. რომლის აყვავების ხანა ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის პერიოდს. იგი მოიცავს ძვ. წ. VI—IV საუკუნეებს. მომდევნო ეპოქაში აქ შეინიშნება აღმოსავლეთ ქართული კულტურის მომძლავრება და სრულიად ნათლად ჩანს, რომ ძვ. წ. III საუკუნიდან საირხე განაგრძობს არსებობას, როგორც იბერიის სახელმწიფოს ერთ-ერთი პროვინციის ადმინისტრაციული პოლიტიკური ცენტრი. საქალაქო ცხოვრების ორივე მონაკვეთი ემთხვევა საქართველოს შორეული წარსულის ორ მნიშვნელოვან ეპოქას. პირველ მონაკვეთში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ქართველური მოდგმის ტომების კონსოლიდაციის პროცესი, ყალიბდება კლასობრივი საზოგადოება და



იქმნება სახელმწიფოებრიობა, ხოლო მეორე მონაკვეთში ანალოგიური პროცესების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში წარმოიქმნა იბერიის სახელმწიფო, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეში საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოვიდა და რომლის შემადგენლობაში შევიდა ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციები. მათ შორის იყო არგვეთის საერისთავო, რომლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად საირხეა საგულვებელი.

## САИРХЕ — ДРЕВНИЙ ГОРОД ГРУЗИИ

## Резюме

Саирхе расположен на левом берегу Квирилы, в Верхней Имеретии, в восточной части исторической Колхиды, на западном склоне Лихского хребта в 200 км от Черноморского побережья. Ещё в I веке до нашей эры хребет этот был описан греческим географом Страбоном, который писал, что «горы отделяются от Большого Кавказа и, окружая Внутреннюю Ибернию, соединяются с горами, которые называются Мосхскими».

Меридиально расположенный Мосхский хребет соединяет горные системы Большого и Малого Кавказа и является естественной границей Восточной и Западной Грузии. Этот хребет Страбону представляется в самой середине Иберии, что, по-видимому, соответствует действительному положению вещей, ибо, начиная с III века до нашей эры и до страбоновских времен, восточные провинции Колхиды были включены в пределы Иберии, тогда как ранее этот край являлся одной из цветущих областей другого грузинского государства — Колхиды с экономическим и культурным центром в Саирхе.

Открытие и изучение городища Саирхе всецело является заслугой археологической экспедиции Государственного музея искусств Грузии. После осуществления предварительных изыскательских работ в 1966 году под руководством Ш. Я. Амиранашвили была организована археологическая экспедиция в Квирильском ущелье, руководство которой было поручено автору данной книги. И с той поры вот уже более четверти века экспедиция систематически исследует археологические памятники, расположенные в верхнем течении реки Квирилы, известной древним грекам под названием Фазис.

В течение этого периода в указанном регионе было обнаружено около 50 археологических объектов, среди которых особое место занимает Саирхе — древнейший и значительный очаг грузинской культуры. Более того, среди западно-грузинских археологических памятников раннеантичной эллинистической эпохи по уровню и культурно-историческому значению Саирхе мог сравниться с городом Вани и вполне естественно, что открытие второго, несколько отличающегося от Вани хозяйственно-культурного и религиозного центра привлекло к себе внимание широкой общественности и особенно специалистов.

Прежде всего, следует отметить, что формированию городской жизни в Саирхе предшествовало многовековое развитие культуры: на 15-и холмах к западу от поселения (таб. XI) и в промежутках обнаружены и изучены культурные слои, содержащие материалы, характерные для второй половины III тысячелетия до нашей эры. С начала I тысячелетия холмы заселены уже колхскими племенами и именно на базе Колхидской культуры сформировался на территории современного поселения Саирхе город античной эпохи.

Картографирование подъемного материала и материалов, добытых в разведочных раскопках, показало, что городище занимает территорию площадью более 70 га и, следовательно, этот древний город, одно из самых крупных поселений Западной Грузии дохристианского периода.

В течение последних пяти полевых сезонов раскопки проводились на холме Сабадури, где к настоящему времени выявлены и относительно полно изучены три стратифицированных культурных слоя.

Первый, нижний слой, относится к VIII—VII векам, второй к VI—IV, и третий к III—I векам до нашей эры. (таб. XIII<sub>2</sub>).

Раскопки показали, что после IX—VIII веков и до I века до н. э. в Саирхе наблюдается непрерывная жизнь.

Нижний первый слой в некоторых местах отделен стерильными прослойками от вышележащего второго слоя. Мощность первого слоя достигает одного метра, и он характеризуется остатками деревянных строений на каменном цоколе сухой кладки, кучами обожженной обмазки, золистыми прослойками, насыщенными керамическими обломками, металлическими предметами, зернотерками и остеологическим материалом (таб. XIV<sub>2</sub>).

Керамика первого слоя украшена врезным геометрическим орнаментом и наиболее характерным её признаком являются зооморфные ушки (таб. XIV<sub>1</sub>). Аналогичные гончарные изделия широко представлены на памятниках Колхидской изменности и частично в Восточной Грузии, датированных в пределах первой половины I тысячелетия до нашей эры. Более узкой датировке поддается найденный в первом слое Сабадури бронзовый топор прекрасной обработки (таб. XVI). Специалисты его относят к VII веку до нашей эры. Анализ археологических находок из первого слоя Сабадури дает нам право в качестве его верхнего хронологического предела уверенно определить конец VII века до н. э. Значительно труднее определить нижнюю дату. Можно только утверждать, что жилые холмы Саирхе были заселены колхидскими племенами в начале I тысячелетия до н. э.

Мощность среднего, т. е. второго культурного слоя местами достигает метра, и он распространяется по всей территории городища. В слое представлены каменные основания строений, причем в некоторых из них удается четко зафиксировать обугление остатков бревенчатых стен.

Культурный слой на всех участках городища характеризуется единообразным керамическим материалом. В отличие от нижележащего первого слоя здесь представлен широкий ассортимент разнообразных сосудов: это миски, чаши, пифосы, корчаги, горшки, декоративные вазы прекрасной выделки и т. д. (таб. XVI, XVII, XVIII, XIX, XX). Вся гончария, её продукция аналогичны керамике, найденной в Вани, Даблагоми и других археологических памятниках Колхиды. Керамика эта хорошо изучена и датируется VI—IV веком до н. э.

В этом же слое зафиксирована находка фрагмента чернолаковой керамики аттического производства V века до н. э.

Металлические предметы из второго слоя — железные гвозди, молотки, топор и лемех (таб. XV) так же широко представлены в археоло-

гических комплектах, найденных на территории Западной Грузии и датированных VI—IV вв. до н. э.

Таким образом, анализ археологических материалов из второго слоя позволяет датировать этот слой VI—IV в. до н. э.

Третий слой отделяется от нижележащего второго слоя стерильной прослойкой и имеет мощность до полутора метров. Находки представлены в основном керамическим материалом. Это расписная или крашенная красным ангобом лощенная столовая посуда, а также хозяйственные сосуды красноватого обжига — пифосы, корчаги, кувшины (таб. XXI, XXII). Вся эта гончарная продукция резко отличается от колхидской керамики предыдущей эпохи и аналогична восточно-грузинской керамике из Самадло, Агапани, Уплисцихе, Мцхета и других памятников эллинистической эпохи, которые исследователи датируют III—I вв. до н. э. Исходя из всего вышесказанного, можно утверждать, что в Саирхе в течение, если не всего I тысячелетия до н. э., то по крайней мере после IX—VIII вв. и до I века наблюдается непрерывная жизнь. Поселение достигает наиболее значительных размеров в VI—IV вв. до н. э. В эту эпоху Саирхе представляет собой мощный очаг металлургического производства. Здесь раскопана металлургическая мастерская из трех помещений, в которой обнаружено множество предметов, связанных с производством цветных металлов, в частности, бронзовые слитки и глиняные тигеля для отливки металла (таб. XXIII): спектральный и химический анализы слитков и металлического осадка в тигелях подтвердили, что слитки отливались в этих самых сосудах.

В подъемном материале, собранном на обширной территории городища, представлены обломки глиняных накопечников, кузнечных поддувал, железные крицы, обнаружены здесь также остатки железоплавильных печей. (таб. XXIII).

Все это свидетельствует, что в Саирхе велось также производство и обработка железа. Хотя городище исследовано далеко не полностью, уже сейчас можно утверждать, что в первой половине первого тысячелетия до н. э. в Саирхе началась концентрация металлургического производства, которым издревле славились верховья реки Квирилы.

В середине первого тысячелетия в Саирхе действует несколько мастерских по плавке и обработке железа и цветных металлов, в которых очевидно были заняты сотни ремесленников. Само собой разумеется, что даже такому крупному поселению, каким было Саирхе, не требовалось столь обширное производство: большая часть его продукции имела по-видимому товарный характер и мастерские Саирхе снабжали весь регион. Надо полагать, что металл шёл также на экспорт, тем более, что здесь в результате раскопок добыты и такие материалы, которые свидетельствуют об оживленной торговой связи данного пункта с внешним миром.

Дома в Саирхе, как и в большинстве Колхидских поселений, обычно строились из брёвен или обмазанной глиной плети, однако, Саирхе, по-видимому был городом ордерной архитектуры. В городище найдены, а затем выявлены раскопками остатки храма IV века до н. э. (таб. XLII). Высеченные из известняка скульптурные головы льва, фаллические

предметы, изображающие акт оплодотворения, ктейсы и фаллы — (таб. XLIV) свидетельствуют о том, что храм был посвящен божеству плодородия. Высокохудожественно обработанные капители дорического ордера (таб. XLVI) весом до полутоны высечены в каменоломнях, находящихся в двадцати километрах от городища. Выполнение трудоемких работ очевидно говорит о существовании в Саирхе общественной организации труда и, в частности, о существовании здесь храмовой организации, ведавшей духовной сферой жизнедеятельности города и в тоже время объединяющей широкий круг рабочих-ремесленников и мастеров-зодчих.

После открытия в Саирхе таких выдающихся археологических и архитектурных памятников перед нами естественно встала проблема найти здесь—в одном из крупнейших торгово-экономических и религиозно-культурных центров Колхиды, свидетельства существования сильной политической власти. В результате долгих и настойчивых изысканий нам удалось найти их, и вот пятый сезон, как мы изучаем на западном склоне холма Сабадурн богатые погребения правителей древнего города.

Перекрытые высокой каменной насыпью погребения, которые можно назвать склепами, довольно сложные постройки. Внутри каменных стен сухой кладки возведены бревенчатые стены, скрепленные крупными железными гвоздями, строения обычно с двумя камерами (таб. XXIV, XXIX). Общая площадь камер погребения № 5, например, достигала 20 кв. м. (таб. XXIV). В северной камере обнаружены три человеческих и пять конных захоронений. Сильно скорченные покойники лежали на левом боку, головой к северо-западу. Их погребальный инвентарь состоял из серебряных диадем, (таб. I<sub>2</sub>, XXV<sub>1,2</sub>) золотых серёг (таб. I<sub>3,4</sub>, II<sub>1</sub>), тисненых из золота пластинок с изображением птичьих головок (таб. XXV<sub>6</sub>), золотого ожерелья с подвесками в виде бараньих головок (таб. II<sub>2</sub>), серебряного браслета (таб. XXV<sub>3</sub>) и аттического чернофигурного лекифа (таб. III<sub>3</sub>).

В захоронениях людей и в сопровождающем их инвентаре соблюдены определенные закономерности. Украшения покойника, уложенного у восточной стены склепа, были значительно богаче и разнообразнее, чем украшения остальных двух погребенных. Следует отметить, что подобная именуемая дифференциация наблюдается также в богатых погребениях из Вани. Иерархия по имущественному положению в пятом погребении из Саирхе соблюдена даже по отношению к лошадям.

